მისტერიები

კნუტ ჰამსუნი

შარშან, შუა ზაფხულში, ნორვეგიის ერთი პატარა ზღვისპირა ქალაქი მეტისმეტად უჩვეულო ამბების ასპარეზად გადაიქცა. უეცრად გამოტყვრა უცნობი კაცი, ვინმე ნაგელი, უცნაური და თვალთმაქცი, რომელმაც საოცარი ამბები დაატრიალა, შემდეგ კი როგორც გამოჩნდა, ასევე მოულოდნელად გაუჩინარდა. ამ კაცთან ჩამოდიოდა აგრეთვე ვიღაც ახალგაზრდა და საიდუმლოებით მოცული მანდილოსანი. ღმერთმა უწყის, რა საქმეების გამო მოდიოდა ეს ქალი მასთან, თუმც ორი-სამი საათის მეტს არც რჩებოდა და უკანვე ბრუნდებოდა. მაგრამ ეს მაინც არაა დასაწყისი...
დასაწყისი კი, აი, როგორი გახლავთ: ერთხელ, იქნებოდა დაახლოებით საღამოს ექვსი საათი, სანაპიროზე მდგარი ხომალდის გემბანზე რამდენიმე მგზავრი გამოჩნდა, მათ შორის იყო ერთი მამაკაცი, რომელსაც ყვითელი კოსტიუმი ეცვა და თავზე ხავერდის ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა. ეს მოხდა თორმეტი ივნისის საღამოს. იმ დღეს ქალაქში ბევრ ადგილას ალმები ააფრიალეს ფრეკენ ჰელანის ნიშნობის აღსანიშნავად, რომელიც სწორედ თორმეტ ივნისს უნდა შემდგარიყო. ცენტრალური სასტუმროს შიკრიკი მაშინვე ავიდა გემზე და ყვითელკოსტიუმიანმა მამაკაცმა მას თავისი ბარგი ჩააბარა. ერთ-ერთ შტურმანს კი თავისი ბილეთი მისცა. მერე მოჰყვა წინ და უკან სიარულს, თითქოს ნაპირზე გადასვლას აპირებსო. ეტყობოდა, ძალზე ღელავდა. როცა გემზე მესამე ზარის ხმა გაისმა, აღმოჩნდა, რომ გემის ბუფეტში ანგარიშის გასწორება ვერც კი მოესწრო.
და აი, სწორედ იმ წუთს, როცა ემზადებოდა დანახარჯის გასასტუმრებლად, უეცრად შედგა, შენიშნა, რომ გემი დაძრულიყო. ცოტა არ იყოს, შეცბა, მერე კი ხელით ანიშნა სასტუმროს შიკრიკს და მოაჯირიდან გადასძახა:
_ ჩემი ბარგი სასტუმროში მიიტანეთ და ოთახი მომიმზადეთ.
გემი უკვე ფიორდიდან გადიოდა ამ მგზავრთან ერთად. ეს მგზავრი კი იოჰან ნილსენ ნაგელი იყო. შიკრიკმა ურიკით წაიღო მისი ბარგი, რომელიც მხოლოდ ორი პატარა ჩემოდნისა და ქურქისგან შედგებოდა, _ დიახაც, ქურქისაგან, თუმც პაპანაქება ზაფხული იდგა, _ გარდა ამისა, იყო ხელის სამგზავრო ჩანთა და ვიოლინოს ბუდე. არც ერთ მათგანზე ინიციალები არ იყო აღნიშნული.
მეორე დღეს, დაახლოებით შუადღისას, იოჰან ნაგელი ორცხენიანი ეტლით მიადგა სასტუმროს. ასევე და უფრო მარჯვედაც შეიძლებოდა გემით ჩამოსულიყო, მაგრამ მაინც ეტლი არჩია, თან ზოგიერთი ნივთიც მოიყოლა: წინა საჯდომზე ჩემოდანი იდგა, მის გვერდით კი სამგზავრო ჩანთა, პალტო და თასმებიანი მოსასხამი ეწყო. მოსასხამის თასმებზე ამოქსოვილი იყო ინიციალები: ი.ნ.ნ.
ჯერ ეტლიდან არც კი გადმომხდარიყო, რომ მაშინვე თავისი ოთახი მოჰკითხა სასტუმროს პატრონს. როცა მეორე სართულზე მოთავსებულ ოთახში შეიყვანეს, კედლების სისქის შემოწმებას შეუდგა, მეზობელი ოთახებიდან ხმა ხომ არ გამოვაო. შემდეგ კი უცებ ჰკითხა მოახლეს:
_ რა გქვიათ?
_ სარა.
_ სარა, შეგიძლიათ რაიმე მაჭამოთ? მაშ, სარა გქვიათ? მოიცადეთ, _ თქვა ისევ, _ ოდესღაც ამ სახლში აფთიაქი ხომ არ იყო?
_ დიახ, მაგრამ მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, _ მიუგო გაკვირვებულმა სარამ.
_ ოჰო, ბევრმა წყალმა? ამან მაშინვე განმაცვიფრა, რაწამსაც დერეფანში შემოვედი. ამას სუნით კი არ მივხვდი, არა, არა, ისე, როგორღაც ვიგრძენი. დიახ. დიახ.
სადილად ძირს ჩამოვიდა, ჩუმად იჯდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მისი თანმხლები ორი ბატონი, გუშინ მასთან ერთად გემით რომ ჩამოვიდნენ, მაგიდის მეორე ბოლოში იჯდა. ნაგელის შემოსვლაზე ერთმანეთს გადახედეს და კინაღამ გადაიხარხარეს მის დაბნეულობაზე, რომლის წყალობითაც გუშინ ასეთი ამბავი დაემართა. ნაგელმა ისე დაიჭირა თავი, ვითომც არაფერი მესმისო, სწრაფად ისადილა, დესერტზე თავი გააქნია უარის ნიშნად და სკამიდან, თითქოს გადმოცურდაო, უეცრად წამოდგა. სიგარა გააბოლა და ქუჩაში გავიდა.
გვიან ღამემდე აღარ გამოჩენილა. თითქმის სამი საათი სრულდებოდა, რომ დაბრუნდა. სად იყო? შემდეგ გამოირკვა, რომ მეზობელ ქალაქში ყოფილა, ფეხით გაუვლია და გამოუვლია მთელი ეს გრძელი გზა, რომლითაც ეტლში მჯდარი ჩამოვიდა ამ დილით. ეტყობა, გადაუდებელი საქმე ჰქონდა. კარი რომ გაუღო სარამ, მთლად ოფლში იყო გახვითქული, მაგრამ მაინც რამდენჯერმა გაუღიმა მოახლეს, ჩანდა, მშვენიერ გუნებაზე იყო.
_ ღმერთო ჩემო, რა დიდებული ყელი გაქვთ, ძვირფასო! _ თქვა მან, _ ჩემი აქ არყოფნისას ხომ არაფერი მომსვლია ფოსტით? უჰ, მთელი სამი დეპეშა!.. მომისმინეთ, პატივი დამდეთ და ეგ სურათი

კედლიდან ჩამოხსენით, გეთაყვა. მაშინ თვალში ეკალივით აღარ დამიწყებს ჩხვლეტას. პირდაპირ აუტანელია, ვიწვე აქ, საწოლში, და სულ მაგას ვუცქირო. ნაპოლეონ მესამეს მართლაც არ ჰქონია ასე მწვანე წვერი. გმადლობთ.
სარა რომ გავიდა, ნაგელი ისევ ოთახის შუაგულში დარჩა, იდგა მდუმარედ, ფეხმოუცვლელად. თვალგაშტერებული მისჩერებოდა კედლის რომელიღაც წერტილს და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ თავს უფრო და უფრო ძირს ხრიდა, სულაც არ ინძრეოდა. ეს კი კარგა ხანს გაგრძელდა.
ოდნავ ტანდაბალი კაცი იყო ნაგელი, საოცრად მიბნედილი მზერა და ქალური ბაგეები ჰქონდა მის შავგვრემან სახეს. ერთ თითზე უბრალო, ტყვიისა თუ რკინის, ბეჭედი ეკეთა. მხარბეჭიანი იყო, ოცდარვა-ოცდაათიოდე წლისა თუ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ოცდაათ წლისაზე მეტი მაინც არა. თმა საფეთქლებთან შეჭაღარავებოდა.
ნაგელი ღრმა ფიქრიდან გამოერკვა და მძლავრად შეირხა, ისე მძლავრად, გეგონებოდათ, ასე განგებ გააკეთაო. კაცს შეიძლება ეფიქრა, ამდენ ხანს იმიტომ იდგა, იმას სწონიდა, უკეთ როგორ შევირხეო, თუმცა ოთახში მარტოდმარტო იყო. შემდეგ შარვლის ჯიბიდან ამოიღო რამდენიმე გასაღები, ცოტაოდენი ხურდა ფული და რაღაც მედალი, წყალწაღებულთა გადარჩენისათვის რომ იძლევიან, რომელიც საოცრად გაცვეთილ, გაქუცულ ლენტზე იყო მიბნეული. ეს ნივთები საწოლის გვერდით მდგარ პატარა მაგიდაზე დააწყო. შემდეგ ბალიშის ქვეშ შეაცურა საფულე, ჟილეტის ჯიბიდან ამოიღო საათი და პატარა შუშა, ეტიკეტით: `შხამი~. საათი, ვიდრე ძირს დადებდა, ერთ წუთს ხელში ეჭირა, შუშა კი ჯიბეში ჩაიდო ისევ, შემდეგ თითიდან ბეჭედი წაიძრო და პირი დაიბანა. თმა თითებით მოიწესრიგა, რადგან სარკე არ ჰქონდა.
დაწვა თუ არა, გაახსენდა, რომ ბეჭედი პირსაბანზე დაავიწყდა. მაშინვე წამოდგა და თითზე გაიკეთა, თითქოს ამ საცოდავი რკინის ბეჭდის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიაო. ბოლოს გახსნა სამი დეპეშა, მაგრამ ძლივს მოასწრო პირველის წაკითხვა, რომ სიცილი აუტყდა, ნაზი, წყნარი სიცილი. იწვა და იცინოდა, სრულიად მარტო, თავის თავთან განმარტოებული. უჩვეულოდ ლამაზი კბილები ჰქონდა. უეცრად სახე ისევ მოეღუშა და ცოტა ხნის შემდეგ დეპეშა საოცრად გულგრილად გადაისროლა განზე, მაგრამ საკითხი, ეტყობა, დიდსა და მნიშვნელოვან საქმეს შეეხებოდა: სამოცდაორი ათას კრონს იძლეოდნენ მამულში და სულ ნაღდს ჩაუთვლიდნენ, თუ ახლავე დასთანხმდებოდა. მშრალი, მოკლე, საქმიანი დეპეშები ჩანდა და სასაცილო აქ სულაც არა იყო რა, მაგრამ დეპეშებს ხელს არავინ აწერდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ნაგელს ჩაეძინა. ორი სანთელი, რომლის ჩაქრობა დაავიწყდა და მაგიდაზე ენთო ისევ, ანათებდა მის სუფთად გაპარსულ სახეს, გულმკერდს და თანაბარ სინათლეს აფრქვევდა მაგიდაზე გაშლილ დეპეშებს.
მეორე დილით იოჰან ნაგელმა ფოსტაში გაგზავნა შიკრიკი, რომელმაც მას რამდენიმე გაზეთი მოუტანა, მათ შორის საზღვარგარეთულიც, _ წერილები კი აღარ მიუღია. ვიოლინოს ბუდე ოთახის შუაში მდგარ მაგიდაზე დადო, თითქოს სურს ვინმეს აჩვენოსო, გახსნით კი არ გაუხსნია და არ ამოუღია ინსტრუმენტი.
მთელი დილა ისე გაატარა, რომ არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ ორი ბარათი დაწერა, შემდეგ კი ოთახში ბოლთას სცემდა და რომელიღაც წიგნს კითხულობდა. მერე ქალაქში გავიდა და თავისთვის ერთი წყვილი ხელთათმანი იყიდა, ცოტა მოგვიანებით კი ბაზარში წავიდა, ათ კრონად ქერა ლეკვი შეიძინა და მაშინვე სასტუმროს პატრონს აჩუქა.
ასე რომ, მთელ დღეს სასარგებლო არაფერი გაუკეთებია. ქალაქში არავითარი საქმე არ ჰქონდა, სტუმრად არავის სწვევია და კაცისშვილი ნაცნობი არ ჰყავდა. სასტუმროში, ცოტა არ იყოს, კიდევაც უკვირდათ მისი უჩვეულო გულგრილობა ყველაფრისადმი, თვით საკუთარი საქმეებისადმიც კი. დეპეშები დღემდე ოთახის შუაგულში მდგარ მაგიდაზე ეყარა და ყველას შეეძლო შიგ ჩაეხედა. მათ აღარ მიჰკარებია იმ საღამოს შემდეგ, რაც მიიღო. უცნაური ჩვეულებაც ჰქონდა, _ უპასუხოდ ტოვებდა შეკითხვებს. სასტუმროს პატრონმა ერთი-ორჯერ სცადა შეეტყო, ეს კაცი რისთვის ჩამოსულიყო ამ ქალაქში, მაგრამ ნაგელმა ორჯერვე გამოცვალა საუბრის თემა. კიდევ ერთი უცნაური საქციელი ჩაიდინა დღეს: თუმცა არავის არ იცნობდა აქ და არც ვინმეს ელაპარაკებოდა, სასაფლაოს ჭიშკართან მაინც შეჩერდა ერთი ახალგაზრდა ქალის წინ, შეხედა და, თავისი საქციელის გასამართლებლად ერთი სიტყვაც რომ არ უთქვამს, მდაბლად დაუკრა თავი. ქალი ყურებამდე გაწითლდა. ამის შემდეგ ეს თავხედი მთავარი გზით მღვდლის კარ-მიდამოსაკენ გაემართა და მას ახლოსაც კი ჩაუარა. მეორე და შემდგომ დღეებშიც ასევე გაისეირნა. კარს გვიან ღამით უღებდნენ, რადგან სასტუმრო იკეტებოდა, ის კი მუდამ გვიან ბრუნდებოდა.
მესამე დილას კი, როცა ნაგელი თავისი ოთახიდან გამოდიოდა, სასტუმროს პატრონმა თავი დაუკრა და რამდენიმე თავაზიანი სიტყვა უთხრა. ორივენი ვერანდაზე გავიდნენ და სკამებზე ჩამოსხდნენ. სასტუმროს პატრონი ერთი ყუთი ახალი თევზის გაგზავნის თაობაზე შეეკითხა.

_ ხომ ვერ მეტყვით, როგორ გავგზავნო ეს ყუთი?
ნაგელმა ყუთს გადახედა, გაიღიმა და უარის ნიშნად თავი გააქნია.
_ არა, ამ საქმისა არაფერი გამეგება, _ მიუგო მან.
_ ნუთუ? _ გაიკვირვა სასტუმროს პატრონმა, _ მე კი ვფიქრობდი, რომ თქვენ შეიძლება ბევრი გიმოგზაურიათ, მრავალ ქვეყანაში ყოფილხართ და გინახავთ, როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევაში.
_ ოჰ, არა, მე ცოტას ვმოგზაურობდი.
_ მართლა?
მცირე ხნის დუმილის შემდეგ სასტუმროს პატრონმა უთხრა:
_ ალბათ, საქმე გქონდათ... სულ სხვა რამით იყავით დაკავებული... კომერსანტი ხომ არ ბრძანდებით?
_ არა.
_ მაშ, აქ საქმის გამო არ ჩამოხვედით?
არაფერი უპასუხა. ნაგელმა სიგარას მოუკიდა და გააბოლა, თან მზერა სივრცისათვის მიეშტერებინა. სასტუმროს პატრონი გვერდიდან ადევნებდა თვალს.
_ ვიოლინოზე ხომ არაფერს დაგვიკრავთ? ვნახე, ვიოლინო ჩამოგიტანიათ, _ უთხრა ისევ სასტუმროს პატრონმა.
_ აჰ, არა, მისი დაკვრა უკვე მივატოვე.
რამდენიმე ხნის მერე ნაგელი წამოდგა და სიტყვის უთქმელად გავიდა, მაგრამ მეორე წუთსავე დაბრუნდა და თქვა:
_ მისმინეთ... რომ არ დამავიწყდეს... როცა გნებავთ, შეგიძლიათ ანგარიში წარმომიდგინოთ. ჩემთვის სულერთია, როდის გადავიხდი.
_ გმადლობთ, _ მიუგო სასტუმროს პატრონმა, _ აჩქარება რა საჭიროა. თუ აქ დიდხანს დარჩებით, შეიძლება უფრო იაფადაც გიანგარიშოთ. მე ხომ არ ვიცი, ფიქრობთ თუ არა აქ დიდხანს დარჩენას?
ნაგელი უეცრად გამოცოცხლდა და მაშინვე უპასუხა, თანაც სრულიად უმიზეზოდ სახეზე ოდნავ წამოწითლდა.
_ დიახ, შესაძლებელია, ამაში წარმოუდგენელი არაფერია, რომ აქ დიდხანს დავრჩე, _ თქვა მან, _ ყველაფერი მდგომარეობას გააჩნია. სიტყვამ მოიტანა და თქვენთვის იქნებ არც მითქვამს, რომ აგრონომი გახლავართ, მემამულე, მოგზაურობიდან ვბრუნდები და შესაძლებელია აქ რამდენიმე ხანს ვიცხოვრო. იქნებ ამის თქმაც დამავიწყდა... ჩემი გვარია ნაგელი, იოჰან ნილსენ ნაგელი.
ეს უთხრა თუ არა, მაშინვე მივიდა სასტუმროს პატრონთან და მეტისმეტად გულითადად ჩამოართვა ხელი, თან მოუბოდიშა, რომ აქამდე არ წარუდგინა თავისი თავი. მის განცვიფრებულ სახეზე ირონიის ნატამალიც კი არ შეინიშნებოდა.
_ ახლაღა ვიფიქრე, რომ შეგვეძლო უფრო უკეთესი და წყნარი ოთახი შემოგვეთავაზებინა, _ უთხრა სასტუმროს პატრონმა, _ თქვენ პირდაპირ კიბის თავზე ცხოვრობთ, ეს კი ყოველთვის როდია სასიამოვნო.
_ არა, გმადლობთ, ეგ სულ ზედმეტია. მშვენიერი ოთახი მაქვს და ფრიად კმაყოფილიც გახლავართ. ამასთან, ჩემი ოთახის ფანჯრებიდან მთელი ბაზარი მოჩანს, ეს კი მე მართობს კიდევაც.
ცოტა ხნის მერე სასტუმროს პატრონმა უთხრა:
_ მაშ, რამდენიმე ხანს უნდა დაისვენოთ? ყოველ შემთხვევაში, თქვენ გნებავთ ზაფხულის გარკვეული ნაწილი აქ გაატაროთ?
_ ორი-სამი თვე, შეიძლება მეტიც, ჯერ არც მე ვიცი ზუსტად. მდგომარეობას გააჩნია. მომავალი გვიჩვენებს.
ამ დროს მათ ახლოს ჩაიარა ვიღაც კაცმა, რომელმაც სასტუმროს პატრონს მდაბლად დაუკრა თავი. ეს იყო ულამაზო, დაბალ-დაბალი, ერთობ ღარიბულად ჩაცმული მამაკაცი. დიდი გაჭირვებით მიდიოდა, მაგრამ მაინც საკმაოდ სწრაფად მიიწევდა წინ. მართალია, მან თავი მდაბლად დაუკრა სასტუმროს პატრონს, მაგრამ შლაპა არ მოუხდია. სამაგიეროდ, ნაგელმა მოიშვლიპა თავიდან ხავერდის ქუდი.
სასტუმროს პატრონმა კაცს თვალი გააყოლა და თქვა:
_ მაგ კაცს ჩვენ მინუტი დავარქვით. სრულ ჭკუაზე არ არის, მაგრამ ძალზე საცოდავია და ისე კეთილი გული აქვს, რომ...
ეს იყო და ეს, რაც ამ კაცზე ითქვა.
_ რამდენიმე დღის წინ, _ თქვა უცებ ნაგელმა, _ გაზეთში წავიკითხე ერთ კაცზე, ტყეში რომ მკვდარი იპოვეს. ვინ იყო ეს კაცი? მგონი, კარლსენი ერქვა. აქაური იყო?
_ დიახ, _ მიუგო სასტუმროს პატრონმა, _ აქაური. ექიმბაშის შვილი იყო, შეიძლება აქედან კიდევაც ხედავთ იმ ქალის სახლს. აი, ის, წითელსახურავიანი რომაა. ის-ის იყო არდადეგებზე ჩამოვიდა ის ახალგაზრდა და მაშინვე თავი მოიკლა. ძალიან მეცოდება, დიდად ნიჭიერი ჭაბუკი გახლდათ და მალე მღვდლად გაამწესებდნენ. ძნელია რამეს თქმა ამაზე, მაგრამ ვერაა მაინცდამაინც დალაგებული საქმე.

რაკი ორივე მაჯის არტერიაა გადაჭრილი, ეს ხომ არ შეიძლება უბედური შემთხვევის გამო მომხდარიყო. თანაც პატარა დანა იპოვეს, თეთრტარიანი ჯიბის დანა. პოლიციამ ის გუშინ საღამოს იპოვა. ალბათ, აქ რაღაც სიყვარულის ამბავი იმალება.
_ ოჰო! მაგრამ არსებობს კი რაიმე ეჭვი, რომ თვითონ მოისწრაფა სიცოცხლე?
_ დიახ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ასე არ იყო. ზოგიერთები იმასაც კი ფიქრობენ, ალბათ, გახსნილი დანა ეჭირა ხელში, ტყეში ასე მიდიოდა, წაიბორძიკა და ისე დაეცა, რომ ორივე არტერია გადაისხიპაო. ხა-ხა-ხა-ხა! ეს ძალზე საეჭვოა, ძალზე საეჭვო, მაგრამ მას, ცხადია, ნაკურთხ მიწაში დაკრძალავენ. არა, სამწუხაროდ, მას არ წაუბორძიკებია.
_ თქვენ ამბობთ, რომ დანა გუშინ საღამოსღა იპოვეს, მაშასადამე, ის მის გვერდით არ ეგდო.
_ არა, მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოცილებით ეგდო. როცა არტერიები გადაიჭრა, შორს გადაისროლა დანა და ის შემთხვევით, სრულიად შემთხვევით იპოვეს.
_ ოჰო! მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა დანის გადასროლას, როცა ჭაბუკი ორივე მაჯაგადაჭრილი იწვა და სისხლისაგან იცლებოდა? უამისოდაც ყველასათვის ნათელი იქნებოდა, რომ მას მაჯები დანით ექნებოდა გადაჭრილი.
_ დიახ, ღმერთმა უწყის, ეს რა განზრახვით ჩაიდინა, მაგრამ, როგორც გითხარით, აქ რაღაც სასიყვარულო ამბავი იმალება. ამის მსგავსი არაფერი მსმენია. რაც უფრო დიდხანს ვფიქრობ, მით მეტად უცნაური მგონია ეს ამბავი.
_ მაგრამ რატომ ფიქრობთ, რომ აქ აუცილებლად სასიყვარულო ამბავი იმალება?
_ სხვადასხვა მიზეზის გამო. თუმცა ძალიან ძნელია რაიმე გადაჭრით ითქვას ამის თაობაზე.
_ რატომ არ შეიძლება, რომ ჭაბუკი მოულოდნელად დაცემულიყო? ის ხომ, ალბათ, მეტისმეტად უცნაურად იწვა, _ მუცლით მიწაზე, სახე კი გუბეში ჰქონდა წაყოფილი...
_ დიახ, საშინლად დასვრილიყო, მაგრამ ესეც არაფერს ნიშნავს, ესეც შეიძლება განგებ მოეწყო. იქნებ ამგვარი გზით სურდა თავის სახეზე სიკვდილთან ბრძოლის კვალი დაეფარა? ვინ იცის...
_ რაიმე პატარა წერილი მაინც არ დაუტოვებია?
_ ამბობენ, თითქოს მიდიოდა და რაღაცას წერდა ქაღალდის ნაგლეჯზე. სხვათა შორის, წესად ჰქონია სიარულის დროს წერა. იმასაც ფიქრობენ, რომ დანა ფანქრის წასათლელად ამოიღო, თუ რაღაც ამის მსგავსს, ჰოდა, დანიანად დაეცა და ჯერ ერთი მაჯა გადაისხიპა და მერე _ მეორე, თანაც იმ ადგილებში, სადაც არტერიებია. ხა-ხა-ხა-ხა! მაგრამ მან ნამდვილად დატოვა წერილი, ხელში ქაღალდის ნაფლეთი ეჭირა, რომელზეც შემდეგი სიტყვები ეწერა: `ოჰ, ნეტავი თქვენი ფოლადიც ისევე მახვილი იყოს, როგორც თქვენი უკანასკნელი `არა~!~
_ რა სისულელეა. კი მაგრამ, დანა ბლაგვი იყო?
_ დიახ, ბლაგვი.
_ განა არ შეეძლო წინასწარ გაელესა?
_ ეს მისი დანა როდი იყო.
_ მაშ ვისი?
სასტუმროს პატრონი ერთ წამს ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:
_ ფრეკენ ჰელანისა.
_ ფრეკენ ჰელანისა? _ ჰკითხა ნაგელმა და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ჰკითხა, _ ვინ არის ეგ ფრეკენ ჰელანი?
_ დაგნი ჰელანი. მღვდლის ქალიშვილია.
_ ოჰო! ფრიად საოცარია. გაგონილა ამგვარი საქმე?! მაშ, ჭაბუკს ასე ძლიერ უყვარდა?
_ დიახ, რა თქმა უნდა, უყვარდა. თუმც ჰელანი ვისღა არ უყვარს... ასე რომ, ის ერთადერთი როდია.
ნაგელი ღრმა ფიქრს მიეცა და აღარაფერი უთქვამს, მაგრამ სასტუმროს პატრონმა დაარღვია დუმილი:
_ ყველაფერი, რაც გითხარით, საიდუმლოა და გთხოვთ...
_ მართლა? _ მიუგო ნაგელმა, _ სრულიად დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.
როცა ამის მერე ნაგელი სასაუზმოდ ძირს ჩავიდა, სასტუმროს პატრონი იდგა სამზარეულოში და ყველას უყვებოდა, შვიდ ნომერში მცხოვრებ ყვითელ ბატონს დიდხანს ვესაუბრეო.
_ აგრონომია, _ თქვა სასტუმროს პატრონმა, _ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულა. ამბობს, აქ რამდენიმე თვეს დავრჩებიო. ღმერთმა უწყის, რა კაცია.

II

როგორღაც ისე მოხდა, რომ იმავე საღამოს ნაგელი მოულოდნელად შეხვდა მინუტს და მათ შორის მოსაწყენი და ხანგრძლივი საუბარი გაიმართა, რომელმაც სამ საათს მაინც გასტანა.
ეს ყოველივე კი ასე დაიწყო:

იოჰან ნაგელი სასტუმროს კაფეში იჯდა და გაზეთს კითხულობდა, როცა მინუტი შემოვიდა. მაგიდებს კიდევ რამდენიმე კაცი უჯდა, მათ შორის ერთი ჩასქელებული გლეხის ქალი, მხრებზე წითელი და შავი ნართის ნაქსოვი თავშალი რომ წამოესხა. ეტყობა, მინუტს ყველა იცნობდა, რადგან ზრდილობიანად დაუკრა თავი ყველას, როცა კაფეში შემოვიდა, მაგრამ ხმამაღალი შეძახილებითა და სიცილით უპასუხეს. გლეხის ქალი წამოდგა კიდეც და მასთან ცეკვა მოინდომა.
_ ოღონდ დღეს არა, ოღონდ დღეს არა, _ ორჭოფულად მიუგო მან ქალს, ქუდმოხდილი პირდაპირ სასტუმროს პატრონისკენ გაემართა და ჰკითხა:
_ ნახშირი სამზარეულოში შევიტანე. სხვა საქმე ხომ არაფერი გაქვთ დღეისათვის?
_ არა, _ მიუგო სასტუმროს პატრონმა, _ სხვა რაღა საქმე უნდა მქონდეს?
_ მართალი ბრძანდებით, _ ძლივს ამოღერღა მინუტმა და უკან დაიხია გაუბედავად.
საოცრად მახინჯი იყო ეს კაცი. ნაზი ცისფერი თვალები ჰქონდა, მაგრამ საზიზღარი, გარეთ გადმოყრილი წინა კბილები მეტისმეტად აუშნოებდა. ფიზიკური ნაკლის წყალობით ძლივს დაიხლართებოდა! თმა თითქმის მთლად გაჭაღარავებული ჰქონდა, წვერი კი _ შავი, მაგრამ ისე შეთხელებული, რომ ყველგან კანი გამოსჭვიოდა. მინუტი ოდესღაც მეზღვაური ყოფილა, ახლა კი თავის ნათესავთან ცხოვრობდა, რომელსაც პატარა ნახშირის სავაჭრო გაეხსნა ნავმისადგომის მახლობლად. როცა ვინმეს ელაპარაკებოდა, ძალზე იშვიათად თუ ასწევდა თავს, ან სულაც არ ასწევდა. ერთ-ერთი მაგიდიდან დაუძახეს: ნაცრისფერ, საზაფხულო კოსტიუმში გამოწყობილი ვიღაც ბატონი გაცხოველებით უქნევდა ხელს და თან ლუდიან ბოთლს აჩვენებდა.
_ აქ მოდით და ერთი ჭიქა დედის რძე გადაკარით, თანაც მინდა შეგათვალიეროთ, უწვერობა გიხდებათ თუ არა, _ უთხრა მან.
წელში მოხრილი და ქუდმოხდილი მინუტი მოკრძალებულად მიუახლოვდა მაგიდას. ნაგელის ახლოს რომ გაიარა, დიდი მოწიწებით დაუკრა თავი და ბაგეები ოდნავ შესამჩნევად შეარხია. ნაცრისფერკოსტიუმიანი ბატონის წინ შეჩერდა და წაიჩურჩულა:
_ გთხოვთ ასე ხმამაღლა ნუ მელაპარაკებით, ბატონო რწმუნებულო. განა ვერ ხედავთ, რომ აქ უცხოებიც არიან?
_ კი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, _ თქვა რწმუნებულმა, _ მე ხომ მხოლოდ ერთი ჭიქა ლუდი შემოგთავაზეთ? თქვენ მოდიხართ და მლანძღავთ, ძალზე ხმამაღლა რად მელაპარაკებითო.
_ არა, ვერ მიმიხვდით და უნდა მომიტევოთ, მაგრამ როცა აქ უცხო ხალხია, მე მაინცდამაინც არ მსურს ძველი ოინების გამეორება. არც ლუდის დალევა შემიძლია. ყოველ შემთხვევაში, ახლა არა.
_ მართლა? დალევა არ შეგიძლიათ, ლუდის დალევა არ შეგიძლიათ?
_ არა, გმადლობთ, ახლა არა!
_ ოჰო, მადლობას ახლა არ მიხდით? მაშ, როდის გადამიხდით? ჰა-ჰა-ჰა! თანაც მღვდლის შვილი ბრძანდებით. ცუდი არ იქნებოდა, ყურადღება მიგექციათ იმისთვის, როგორ ლაპარაკობთ.
_ ო, თქვენ სულ ვერ გამიგეთ, მაგრამ, დაე, ეგრე იყოს.
_ აბა, აბა, სისულელეს თავი დაანებეთ! რა მოგივიდათ?
რწმუნებულმა ძალით დასვა მინუტი სკამზე, ის ცოტა ხანს იჯდა, მერე კი ისევ წამოდგა.
_ არა, თავი დამანებეთ, _ უთხრა, _ ვერ დავლევ. ამ ბოლო ხანებში სმის დროს თანდათან უფრო ცუდად ვხდები, ღმერთმა იცის, რატომ. გონს მოსვლას ვერ ვასწრებ, რომ ვთვრები, მაშინ კი მართლაც ყოველგვარ სისულელეს ვროშავ.
რწმუნებული წამოდგა, ხელში ჭიქა ჩასჩარა მინუტს, პირდაპირ თვალებში ჩააშტერდა და უთხრა:
_ გაგიმარჯოთ!
ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. მინუტმა თავი ასწია, თმა უკან გადაიყარა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.
_ თქვენ რომ გესიამოვნოთ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წვეთს დავლევ, _ თქვა მან ბოლოს, _ სულ ცოტას, რომ პატივი მქონდეს ჭიქა მოგიჭახუნოთ.
_ სულ გამოცალე! _ დაუყვირა რწმუნებულმა და მაშინვე ზურგი შეაქცია, რომ არ გადაეხარხარა.
_ არა, ვერ გამოვცლი, სულ ვერ გამოვცლი. ან რატომ უნდა გამოვცალო, როცა არ მსიამოვნებს? ნუ მიწყენთ, გეთაყვა, ეგრე ნუ მოღუშავთ სახეს... იქნებ სჯობდეს ამჯერად ავასრულო თქვენი სურვილი, რაკი აუცილებლად გნებავთ. მგონი, თავში არ ამივარდება უცებ. სასაცილოა, მაგრამ სულ ვერ ვიტან მაგარ სასმელს. გაგიმარჯოთ!
_ სულ, სულ, _ დაუყვირა რწმუნებულმა ისევ, _ ბოლომდე გამოცალეთ! აი, ეგრე! ახლა კი დავსხდეთ და სახე დავმანჭოთ. ჯერ კბილები დააკრაჭუნეთ, მერე კი წვერს შეგაჭრით და ათი წლით გაგაახალგაზრდავებთ, მაგრამ ჯერ კბილები უნდა დააკრაჭუნოთ.
_ არა, მაგას ვერ გავაკეთებ, მაგას ვერ გავაკეთებ ამ უცხო ხალხის თანდასწრებით. ნუ ითხოვთ ამას ჩემგან... ნამდვილად ვერ ვიზამ, _ მიუგო მინუტმა და წასვლა დააპირა, _ არც მცალია.
_ არც გცალიათ? რა საწყენია, ხა-ხა-ხა! ძალზე საწყენია! მაშ, თქვენ არც გცალიათ, არა?

_ დიახ, ახლა დრო არ მაქვს.
_ მომისმინეთ, არც მაშინ გეცლებათ, რომ გითხრათ, უკვე სხვა სერთუკზე ვფიქრობ-მეთქი, იმის ნაცვლად, ახლა რომ გაცვიათ? მოიცა, ერთი შევხედო! სულ დაკონკილა, აი თვითონვე ნახეთ! თითის დაკარებასაც კი ვერ იტანს... _ რწმუნებულმა პატარა ნაჩვრეტს მიაგნო მინუტის სერთუკში და შიგ თითი შეჩარა, _ მაუდი ისე დაძენძილია, რომ თითის მიკარებასაც ვეღარ უძლებს, ნახეთ, ნახეთ ერთი!
_ ღვთის გულისთვის, თავი დამანებეთ! რა დაგიშავეთ? თავი დაანებეთ ჩემს სერთუკს!
_ გეუბნებით, რომ ხვალვე გამოგიგზავნით სერთუკს, ამას გპირდებით... მოიცა, დავითვალო. ერთი, ორი, ოთხი, შვიდი... დიახ, გპირდებით ამას შვიდი კაცის თანდასწრებით... მაგრამ დღეს მაინც რა დაგემართათ? ასე რამ გაგაცხარათ, გაგაბოროტათ? ლამის ყველა ფეხით გაგვქელოთ. დიახ, დიახ, სწორედ ასეა. ასე კი მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის იქცევით, რომ თქვენს სერთუკს თითით შევეხე.
_ მომიტევეთ, გეთაყვა, თქვენი განაწყენება სულაც არ მიფიქრია, ისიც კარგად იცით, რომ ყველაფერს გავაკეთებ თქვენი გულისათვის, რასაც კი მოისურვებთ, მაგრამ...
_ აბა, მაშინ მე მსურს, რომ დაბრძანდეთ.
მინუტმა ჭაღარა თმა შუბლიდან უკან გადაიყარა და დაჯდა.
_ მშვენიერია, ახლა კი პატივი დამდეთ და გააკრაჭუნეთ კბილები.
_ არა, მაგას ვერ ვიზამ.
_ მაშ, ვერ იზამთ, ჰა? ჰო თუ არა?
_ ღმერთო ჩემო, რა დაგიშავეთ? ნუთუ აღარ მომეშვებით და მომასვენებთ? სწორედ მე რატომ უნდა ვიყო ყველას მასხარა? აგერ, უცხო კაცი იცქირება აქეთ. მე ეს შევამჩნიე, თვალს არ გვაცილებს და, ცხადია, გულში იცინის. ყოველთვის ასე ხდება ხოლმე: პირველად, როცა აქ მობრძანდით, როგორც რწმუნებული, ექიმმა სტენერსენმა დამიჭირა და მაშინვე გასწავლათ, თავი როგორ უნდა შეგექციათ ჩემით, ახლა კი თქვენ ასწავლით, აი, იმ უცხო ბატონს. ასე რომ, ერთიმეორისგან სწავლობთ რიგრიგობით.
_ კარგი, კმარა. თანახმა ხართ თუ არა?
_ არა, გესმით! _ შესძახა მინუტმა და სკამიდან წამოხტა, მაგრამ თითქოს თავისი უკმეხობის შეეშინდაო, კვლავ დაჯდა და დასძინა, _ მე არც კი შემიძლია კბილების გაკრაჭუნება, დამიჯერეთ.
_ არ შეგიძლიათ? ხა-ხა-ხა! ნურას უკაცრავად, შეგიძლიათ. თქვენ დიდებულად აკრაჭუნებთ კბილებს.
_ ღმერთმანი, არ შემიძლია.
_ მაგრამ ადრე რომ შეგეძლოთ?
_ დიახ, მაგრამ მაშინ მთვრალი ვიყავი, აღარაფერი მახსოვს, ყველაფერი ამერია თავში. იმის მერე ორი დღე ვიყავი ავად.
_ სრული სიმართლეა, _ თქვა რწმუნებულმა, _ მაშინ მთვრალი იყავით, გეთანხმებით, მაგრამ, სხვათა შორის, რატომ ლაქლაქებთ ამას ამდენი ხალხის თანდასწრებით? მე კი ამას არასდიდებით არ ვიზამდი.
სწორედ ამ დროს სასტუმროს პატრონი კაფედან გავიდა. მინუტი გაჩუმდა. რწმუნებულმა კი კვლავ შეხედა და უთხრა:
_ აბა, რა გადაწყვიტეთ? ნუ ივიწყებთ სერთუკს.
_ მახსოვს, _ მიუგო მინუტმა, _ მაგრამ არ მსურს და არც შემიძლია დალევა. ეს იცოდეთ.
_ თქვენ გსურთ და შეგიძლიათ კიდეც, ვთქვი მე და თუნდაც დამჭირდეს, რომ ძალით ჩაგასხათ... _ ეს თქვა თუ არა, რწმუნებული ადგა და მინუტის ჭიქას წამოავლო ხელი, _ აბა, პირი დააღეთ!
_ არა, ღვთის მადლმა, ლუდს პირს აღარ დავაკარებ! _ დაიყვირა მღელვარებისაგან გაფითრებულმა მინუტმა, _ და ვერავითარი ამქვეყნიური ძალა ვერ გამაკეთებინებს ამას. უნდა მომიტევოთ, ლუდი ძალზე ცუდად მოქმედებს ჩემზე, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯები ხოლმე. შემიბრალეთ, გევედრებით. რაკი ასეა, მირჩევნია... მირჩევნია ისევ კბილები გავაკრაჭუნო ლუდის დაულევლად.
_ ეს უკვე სხვა ამბავია, ეშმაკმა დალახვროს, ეს სულ სხვა ამბავია, რაკი ამის გაკეთება ლუდის დაულევლად გნებავთ.
ბოლოს და ბოლოს, მინუტმა დაიწყო თავისი საშინელი კბილების კრეჭა და კრაჭუნი, რითაც იქ დამსწრეთა გულიანი ხარხარი გამოიწვია. ნაგელი, ჩანდა, ისევ გაზეთს კითხულობდა. ისევ გაუნძრევლად იჯდა ფანჯარასთან.
_ უფრო ხმამაღლა! უფრო ხმამაღლა! _ დაუყვირა რწმუნებულმა, _ უფრო ხმამაღლა გააკრაჭუნეთ, თორემ არაფერი გვესმის.
ზის მინუტი სკამზე, ორივე ხელით მაგრად ჩასჭიდებია, თითქოს ეშინია, ძირს არ გადმოვარდეს, და რაც ძალა და ღონე აქვს, კბილებს ისე აკრაჭუნებს, რომ ლამის ტვინი შეერყეს. ყველანი იცინიან, გლეხის ქალი კი ისე ხარხარებს, რომ თვალებზე ცრემლი ადგება.
_ ღმერთო ჩემო, რა მასხარა ყოფილა! _ ყვირის ის და სიცილისაგან იგუდება, _ აჰ, ეს რწმუნებულიც!..

_ აი, ესეც ასე! ამაზე ხმამაღლა გაკრაჭუნება კბილებისა აღარ შემიძლია, _ თქვა მინუტმა, _ მართლა აღარ შემიძლია, ხომ ხედავს ღმერთი, მერწმუნეთ, ამაზე მეტი აღარ შემიძლია.
_ კარგი, კარგი, ცოტა დაისვენეთ და ისევ შეუდექით საქმეს. კბილები აუცილებლად უნდა გააკრაჭუნოთ. შემდეგ კი წვერსაც შეგაჭრით. ახლა ლუდი დალიეთ. დიახ, უნდა დალიოთ, აი აქ დგას უკვე თქვენთვის მომზადებული.
მინუტმა მხოლოდ თავი გააქნია და კრინტი არ დასძრა. რწმუნებულმა ქისა ამოიღო, სუფრაზე ოცდახუთერეიანი მონეტა დააგდო და თანაც უთხრა:
_ წინათ ათ ერედ აკეთებდით ამას, მაგრამ თქვენთვის ოცდახუთიც არ მენანება, გასამრჯელოს გიმატებთ. აბა!
_ ნუღარ მაწამებთ, მაგას არ გავაკეთებ.
_ არ გააკეთებთ? უარს მეუბნებით?
_ ღმერთო შემიწყალე! ბოლოს და ბოლოს თავი დამანებეთ და მომასვენეთ! არ დაგემორჩილებით რაღაც სერთუკის გულისათვის, მეც ხომ ადამიანი ვარ. რა გნებავთ ჩემგან?
_ ახლა კი მომისმინეთ, რას გეტყვით: როგორც ხედავთ, ამ სიგარის ფერფლს ვყრი თქვენს ჭიქაში, ხომ დაინახეთ? შემდეგ ამ პაწაწკინტელა ასანთსა და კიდევ ამ პატარა ასანთსაც, ორივეს ვყრი ჭიქაში, თქვენ წინ რომ დგას. ასე! ახლა კი გეფიცებით, რომ თქვენს ჭიქას მთლიანად გამოცლით. დიახ, მთლიანად გამოცლით მაგ ჭიქას, რადაც უნდა დაგიჯდეთ.
მინუტი წამოხტა. ჩანდა, როგორ აუკანკალდა მთელი სხეული, ჭაღარა თმა ისევ შუბლზე ჩამოეშალა. იდგა ასე და თვალებში შესცქეროდა რწმუნებულს. რამდენიმე წამმა განვლო.
_ არა, ეგ მეტისმეტია, მეტისმეტი! _ წამოიძახა გლეხის ქალმაც, _ ეგ არ ქნა! ღმერთო დიდებულო!
_ მაშ, არ გსურთ, უარს ამბობთ? _ ჰკითხა რწმუნებულმა. ისიც სკამიდან წამოდგა და მინუტის წინ გაჩერდა.
მინუტი თავს ძალას ატანდა, რომ რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. ყველას მისთვის მიეშტერებინა თვალი.
მაშინ მოულოდნელად წამოდგა ნაგელი ფანჯარასთან მდგარი სუფრიდან, მაგიდაზე დააგდო გაზეთი და ოთახის შუაგულისაკენ გაემართა.. დინჯად მიდიოდა, უხმაუროდ, თუმცა საყოველთაო ყურადღება მაინც მიიპყრო. იგი მინუტის გვერდით შეჩერდა, ხელი დაადო მხარზე და ხმამაღლა, გარკვევით უთხრა:
_ თუ აიღებთ ჭიქას და სახეში შეასხამთ ამ ძაღლის ლეკვს, ათ კრონ ნაღდ ფულს მოგცემთ, თანაც დაგიხსნით მოსალოდნელი ყოველგვარი შედეგისაგან, _ ნაგელმა თითი პირდაპირ რწმუნებულის სახისაკენ გაიშვირა, _ აი, ამ ძაღლის ლეკვზე გეუბნებით.
ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. შიშით შეპყრობილი მინუტი კი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს და იმეორებდა:
_ ეს რა ამბავია!
სხვა ვერაფრის თქმა ვეღარ მოეხერხებინა, ამ სიტყვებს კი ათრთოლებული ხმით იმეორებდა, თითქოს ვინმესგან პასუხს მოელისო. კრინტი არავის დაუძრავს.
თავზარდაცემულმა რწმუნებულმა უკან დაიხია, თავის სკამს ხელი წაატანა, გაფითრებულმა, ხმაც კი ვერ ამოიღო. გაოცებისაგან პირდაღებული დარჩა.
_ ვიმეორებ, _ განაგრძო ნაგელმა ხმამაღლა და აუჩქარებლად, _ რომ მოგცემთ ათ კრონს, თუ თქვენს ჭიქას სახეში შეასხამთ ამ ძაღლის ლეკვს. აი, ფულიც, თანაც შედეგი ნუ გეფიქრებათ.
და ნაგელმა მართლა გაუწოდა მინუტს ათი კრონი ისე, რომ ფული მასაც დაენახა.
მაგრამ მინუტმა ყველა გააოცა თავისი უცნაური საქციელით. იგი მოულოდნელად გაიქცა კაფეს კუთხისაკენ, მრუდე ფეხების სასაცილო ხლართვით გაირბინა მთელი ოთახი, დაჯდა იქ და არაფერი უპასუხია.
იჯდა თავჩაქინდრული და შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა. რამდენჯერმე მუხლებიც კი მოიკეცა, თითქოს რაღაცის ეშინიაო.
ამ დროს კარი გაიღო და ოთახში სასტუმროს პატრონი შემოვიდა. რაღაც შემოჰქონდა და კაფეში დატრიალებულ ამბავს ყურადღებას არ აქცევდა. მას შემდეგ კი, რაც რწმუნებულმა ცოფიანივით საშინელი ხმით დაიყვირა, ორივე ხელი შემართა და ნაგელს ეტაკა, სახლის პატრონმა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინა და იკითხა:
_ რა ამბავია?
პასუხი არავინ გასცა. გაცხარებულმა რწმუნებულმა ორჯერ კიდევ გამეტებით შეუტია ნაგელს, მაგრამ ორჯერვე მაგარ მუშტებს წააწყდა. ვერაფერს გახდა. მარცხმა საბოლოოდ დააკარგვინა მოთმინება და აქეთ-იქით დაიწყო ხელების ქნევა, ჰაერს უტყამდა, თითქოს რაც მის ირგვლივაა, ყველაფერი უნდა გაანადგურესო. ბოლოს კუთხისაკენ დაიხია, მაგიდებამდე მივიდა, ტაბურეტს ფეხი წამოსდო და

მუხლებზე დაეცა. ხმამაღლა და მძიმე-მძიმედ ქშინავდა, ვეღარ იცნობდით, გაცოფებისაგან ისე შეცვლოდა სახე. ამასთან, ხელებიც გვარიანად დაჟეჟოდა ძვალმაგარი მუშტებისაგან, რომლებიც ყველგან ხვდებოდა, საითაც უნდა გაექნია ხელი. კაფეში ერთი ალიაქოთი ატყდა. გლეხის ქალი და მისი თანმხლებნი კარისაკენ გაიძურწნენ, დანარჩენები კი ყვიროდნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ და ცდილობდნენ, მოჩხუბარნი გაეშველებინათ. ბოლოს რწმუნებული წამოდგა იატაკიდან, მივიდა ნაგელთან, მის წინ ხელებგაწვდილი გაჩერდა და ყვირილს მოჰყვა, თან ისე საშინლად ქშინავდა, რომ სიტყვებს ძლივსღა ამოთქვამდა:

_ ეშმაკის კერძო! აქედან დაიკარგე, შე ვიგინდარავ!

შეხედა თუ არა, მაშინვე გაეღიმა ნაგელს, მივიდა მაგიდასთან, აიღო რწმუნებულის შლაპა, გაუწოდა პატრონს და თან თავი დაუკრა. რწმუნებულმა შლაპა ხელიდან გამოსტაცა, უნდოდა უკანვე ესროლა ნაგელისთვის, მაგრამ გადაიფიქრა და სწრაფად ჩამოიფხატა თავზე. მერე კი შებრუნდა და გავიდა ოთახიდან. შლაპა ორ ადგილას ძალზე დაჭმუჭნილიყო და ეს სასაცილო იერს აძლევდა.

ახლა კი წინ წამოდგა სასტუმროს პატრონი და ახსნა-განმარტება მოითხოვა. მან ნაგელს ხელი ხელზე წაავლო და უთხრა:

_ ეს რას ნიშნავს, რა ამბავია?

_ ხელი გამიშვით, გეთაყვა, არსად არ გავრბივარ. თანაც, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, შეურაცხვყავი ერთი კაცი, რომელიც ეს-ესაა აქედან გავიდა. თავის დაცვა უნდოდა. ასე რომ, სალაპარაკოც არაფერია, ყველაფერი რიგზეა.

მაგრამ სახლის პატრონი გაგულისდა და ფეხი დააბაკუნა:

_ ჩხუბი და აყალმაყალი არ იყოს! _ დაიყვირა მან, _ ამას ვერ მოვითმენ! თუ შფოთის ატეხა გნებავთ, ქუჩაში გადით. აქ კი ამის მსგავსი რამ არც მსურს დავინახო. ჭკუაზე ხომ არ შეიშალენით ყველანი?

_ ეს ძალზე კარგია, _ შეაწყვეტინა რამდენიმე სტუმარმა, _ მაგრამ ჩვენ ყველაფერი დავინახეთ.

და როგორც კეთილ ხალხს შეეფერება, მხარი დაუჭირონ გამარჯვებულს, ყველამ ნაგელის მხარე დაიჭირა. დაწვრილებით უამბეს სასტუმროს პატრონს, რაც მოხდა.

თვით ნაგელმა კი მხრები აიჩეჩა და მინუტთან მივიდა. მიუკიბავ-მოუკიბავად, პირდაპირ ჰკითხა პატარა ჭაღარათმიან მასხარას:

_ მაინც თქვენი რა არის რწმუნებული, ასე თავხედურად რომ მოგეპყროთ?

_ რას ამბობთ, _ მიუგო მინუტმა, _ არაფერიც არ არის, სავსებით უცხოა. მხოლოდ ერთხელ ვიცეკვე მის წინ ბაზრის მოედანზე ათ ერედ. ამასთან, ყოველთვის დამცინის ხოლმე.

_ მაშ, თქვენ ქუჩაში ფულზე ცეკვავთ?

_ დიახ, ზოგჯერ, მაგრამ ეს იშვიათად ხდება ხოლმე, მხოლოდ მაშინ, როცა მჭირდება ფული და სხვა გზით არ შემიძლია მისი შოვნა.

_ მერედა, რაში გჭირდებათ ფული?

_ ბევრ რამეში. ჯერ ერთი, სულელი კაცი ვარ, არაფრის უნარი არ გამაჩნია და მეტისმეტად მიჭირს... როცა მეზღვაური ვიყავი, გაცილებით უკეთ ვცხოვრობდი. მერე უბედურება შემემთხვა, ანძიდან ჩამოვვარდი და თიაქარი დამემართა. მას შემდეგ ძალიან ვწვალობ. ბიძა მარჩენს. ყველაფერს მაძლევს, რაც კი მჭირდება. მასთან ვცხოვრობ, არაფერი მაკლია, შეიძლება ითქვას, ზედმეტიც კი მაქვს, რადგან ბიძაჩემი ნახშირის ვაჭრობით ცხოვრობს. ცოტ-ცოტას მეც ვშოულობ ჩემს სარჩენ ფულს, განსაკუთრებით ახლა, ზაფხულში, როცა ნახშირს თითქმის ვერ ვყიდით. ეს სრული სიმართლეა, ისევე როგორც აქ ვზივარ და გიყვებით ყველაფერ ამას. ხანდახან ისეთი დღეებიც გამოერევა, როცა ათი ერეც პირდაპირ მისწრებაა ჩემთვის, ვიყიდი ამ ფულით რაღაც-რაღაცებს და შინ მიმაქვს. რწმუნებულს კი დიდ სიამოვნებას ჰგვრის ჩემი ცეკვის ცქერა სწორედ იმიტომ, რომ თიაქარი მაქვს და რიგიანად ცეკვა არ შემიძლია.

_ მაშ, ეს ბიძათქვენმაც იცის და მისი თანხმობით ცეკვავთ მოედანზე, რომ ფული იშოვოთ?

_ არა, არა, გარწმუნებთ, ასე ნუ ფიქრობთ. ბიძაჩემი ხშირად მეუბნება: არ არის საჭირო ეს მასხრული ფულიო. დიახ, ამ ფულს ხშირად მასხრულს უწოდებს. როცა შინ ვბრუნდები ათი ერეთი, სასტიკად მლანძღავს, რომ ჩემით თავს იქცევენ ადამიანები.

_ ეგ იყო პირველი. ახლა კი მეორე...

_ რაო?

_ ახლა კი მეორე.

_ არაფერი მესმის.

_ თქვენ ხომ თქვით, ჯერ ერთი, მე სულელი კაცი ვარო, მეორე?

_ რაკი ასეა, მაშინ პატიება უნდა გთხოვოთ.

_ მაშ, მარტო სულელი ხართ?

_ სულით და გულითა გთხოვთ, მომიტევოთ.

_ მამათქვენი მღვდელი იყო?
_ დიახ.
ცოტა ხანს გაჩუმდნენ.
_ მომისმინეთ, _ უთხრა ნაგელმა, _ თუ არსად გეჩქარებათ, ერთი წუთით ჩემთან, ოთახში შემობრძანდით. თანახმა ხართ? პაპიროსს ეწევით? კარგი, მე ზემო სართულში ვცხოვრობ. დიდად დაგიმადლებთ, თუ ჩემთან შემობრძანდებით.
იქ მყოფნი დიდად განცვიფრებულნი დარჩნენ, როცა ნაგელი და მინუტი მეორე სართულზე ავიდნენ, სადაც მთელი საღამო ერთად გაატარეს.

III
მინუტი სკამზე ჩამოჯდა და სიგარას მოუკიდა.
_ არ სვამთ? _ ჰკითხა ნაგელმა.
_ დიახ, მაგრამ ბევრს არა. მაშინვე თავბრუ მესხმის და ყველაფერი ერთიორად მეჩვენება, _ მიუგო სტუმარმა.
_ შამპანური როდისმე დაგილევიათ? რა თქმა უნდა, დაგილევიათ.
_ დიახ, დიდი, დიდი ხნის წინ, ჩემი მშობლების ვერცხლის ქორწილზე დავლიე.
_ გემრიელი იყო?
_ ჰო, მახსოვს, ძალიან მომეწონა.
ნაგელმა დარეკა და უბრძანა, შამპანური მოეტანათ.
ცოტ-ცოტა შამპანური მოსვეს და სიგარა გააბოლეს. უცებ ნაგელი დაჟინებით მიაჩერდა მინუტს და უთხრა:
_ მითხარით, გეთაყვა... მინდა ერთი რამ გკითხოთ, რაც შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ: შეგიძლიათ თუ არა გარკვეული ჯილდოს საზღაურად ჩაიწეროთ უცხო ბავშვი შვილად? ეს მე ახლა უცებ, შემთხვევით, მომაფიქრდა.
მინუტმა თვალებდაჭყეტილმა შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა.
_ უმნიშვნელო თანხის, ორმოცდაათი კრონის, ან, ვთქვათ, ორასი კრონის გამო? _ ჰკითხა ნაგელმა, _ თანხა განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს.
მინუტი კი თავს აქნევდა და დიდხანს დუმდა.
_ არა, _ მიუგო, როგორც იქნა.
_ მაშ, ვერ იზამთ ამას? რომ დამეთანხმებოდეთ, ახალვე ნაღდ ფულს ჩაგითვლიდით.
_ ეგ სულერთია. არა, ვერ ვიზამ. მაგ სამსახურს ვერ გაგიწევთ.
_ მაინც, რატომ?
_ კმარა! ნუღარაფერს მეტყვით და ნურც მთხოვთ, თავი დამანებეთ. მეც ხომ ადამიანი ვარ.
_ შესაძლოა, ეს ძალზე უხეშად გამომივიდა, მაგრამ რა მიზნით შეგიძლაით გაუწიოთ ვინმეს ამგვარი სამსახური? აი, უცებ მომინდა ერთი კითხვა დაგისვათ კიდევ: თანახმა იქნებით თუ არა... შეგიძლიათ თუ არა გაზეთები, შეკრულა ან ქაღალდის ტომარა ზურგზე მოიკიდოთ და მთელი ქალაქი შემოიაროთ?.. დაიწყოთ ამ სასტუმროდან, გადაკვეთოთ მოედანი და მერე გასწიოთ სანაპიროს გასწვრივ? შეგიძლიათ ამის გაკეთება ხუთ კრონად?
მინუტი შეცბა, თავი ჩაქინდრა და რამდენჯერმე უნებლიეთ გაიმეორა: `ხუთი კრონი~, მაგრამ არაფერი უპასუხა.
_ დიახ, ხუთ ან ათ კრონად, თუ ისურვებთ. ვთქვათ, ათ კრონად. მაშ, შეგიძლიათ ეს ათ კრონად გააკეთოთ?
_ დიახ, მე...
_ მომიტევეთ, _ სასწრაფოდ განაგრძო ნაგელმა, _ მომიტევეთ, რომ გაწყვეტინებთ, _ თქვა ისევ, რათა ხელი შეეშალა მისთვის საუბრის გაგრძელებაში, _ რა გქვიათ? აღარ მახსოვს, მგონი, არც კი გითქვამთ, რა გქვიათ?
_ გრიგორი.
_ აჰ, გრიგორი. ნათესავი ხომ არ ბრძანდებით იმ გრიგორისა, ეიდსვოლის ყრილობაში* რომ მონაწილეობდა?
_ დიახ, მისი ნათესავი ვარ.
_ ჰო, რაზე ვლაპარაკობდით?.. მაშ, გრიგორი გქვიათ? თქვენ, ცხადია, არ ისურვებთ ათი კრონი ამრიგად გამოიმუშავოთ?
_ არა, _ წაიჩურჩულა მინუტმა გაუბედავად.
_ მაშ, მომისმინეთ, _ მიმართა კვლავ ნაგელმა და ეს სიტყვა მეტისმეტად ნელა წარმოთქვა, _ სიხარულით მოგცემთ ათ კრონს იმისათვის, რომ არ დაეთანხმეთ ჩემს წინადადებას. თანაც, კიდევ ათ

კრონს დაგიმატებთ იმისათვის, რომ სიამოვნება განმაცდევინოთ ამ ფულის მიღებით. სკამიდან არ წამოხტეთ: ეს მცირედი სამსახური სულაც ვერ შემაწუხებს. ბევრი ფული მაქვს, ძალიან ბევრი ფული... ამისთანა წვრილმანებს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, _ ფული ამოიღო და დასძინა, _ თქვენ ამით მხოლოდ დიდ სიამოვნებას მომანიჭებთ, გეთაყვა!
მინუტი სიხარულისაგან დამუნჯდა, ბედნიერებამ თავბრუ დაასხა და ცდილობდა, არ ატირებულიყო. ნახევარ წუთს თვალებს აფახულებდა, რომ ცრემლები შეეჩერებინა. მაშინ ისევ ნაგელმა ჰკითხა:
_ ალბათ, ორმოციოდე წლის იქნებით, არა?
_ ორმოცდასამისა ვარ, ორმოცდამეოთხეში გადავდექი.
_ ჰოდა, ჩაიდეთ ეგ ფული ჯიბეში. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ!.. რა ჰქვია იმ რწმუნებულს, ძირს, კაფეში რომ ვესაუბრეთ?
_ ნამდვილად არ ვიცი, უბრალოდ რწმუნებულს ვეძახით, საოლქო სასამართლოს კანცელარიის რწმუნებულია.
_ დიახ, დიახ, არსებითად ეგ სულერთია. ერთი მითხარით...
_ უკაცრავად! _ მინუტმა თავი ვეღარ შეიკავა, გული მადლიერების გრძნობით აევსო და მოინდომა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გამოეხატა მადლიერება, თუმცა ბავშვივით აბნეულად ტიტინებდა.
_ უკაცრავად, მომიტევეთ! _ თქვა და სხვა რამის თქმა დიდხანს ვეღარ მოახერხა.
_ რა გინდოდათ გეთქვათ?
_ მინდოდა მხოლოდ მადლობა გადამეხადა თქვენთვის, გადამეხადა მთელი... წრფელი...
მცირე ხანს ხმა აღარ ამოუღიათ.
_ ეგ უკვე დავამთავრეთ.
_ არა, მოიცა! _ წამოიძახა მინუტმა, _ მომიტევეთ, მაგრამ სულაც არ დაგვიმთავრებია. თქვენ იფიქრეთ, რომ არ მინდა შევასრულო თქვენი თხოვნა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სიჯიუტის გამო და იმით ვტკბები, რომ საშუალება მეძლევა, ყალყზე შევდგე... მაგრამ ღმერთს გეფიცებით... განა შეგვიძლია ამას თავი დავანებოთ? განა შეგვიძლია ვთქვათ, თავი დავანებოთ ამას, რაკი შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ გასამრჯელო არ მომწონდა და არ ვისურვე ეგ საქმე ხუთ კრონად გამეკეთებინა? გარწმუნებთ, გასამრჯელოს გამო არ ვყომანობდი... განა თქვენც ასე არ ფიქრობთ? აი, სწორედ ეს მინდოდა მეთქვა.
_ დიახ, კარგი და პატიოსანი, ჩვენც ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. თქვენი სახელისა და აღზრდის მქონე კაცმა შეუძლებელია ასეთი სისულელეები ჩაიდინოს. კარგი. ერთი რამ მომაფიქრდა... თქვენ, რა თქმა უნდა, ამ ქალაქის ცხოვრებას კარგად იცნობთ, ასე არაა? საქმე ის არის, რომ ვფიქრობ რამდენიმე ხანს აქ ვიცხოვრო, აქ გავატარო ზაფხულის რამდენიმე თვე, რას იტყვით ამაზე? ხომ აქაური ბრძანდებით?
_ დიახ, აქ დავიბადე. მამაჩემი აქ მღვდლად იყო გამწესებული და მეც ცამეტი წელია აქ ვცხოვრობ, იმ დღიდან, რაც ეს უბედურება შემემთხვა.
_ ნახშირი დაგაქვთ? რაღაც ისე მომესმა, თითქოს თქვით, რომ ნახშირი მოგაქვთ, აქ, სასტუმროში?
_ დიახ, ნახშირს ბინა-ბინა დავატარებ. თუ ფიქრობთ, რომ ეს არ მომწონს, დიდად ცდებით. ამ სამუშაოს უკვე მივეჩვიე და არც არაფერსა მვნებს, თუ ფრთხილად ავივლი კიბეს... მაგრამ შარშან ზამთარს კიბიდან გადმოვვარდი და ისე დავშავდი, რომ კარგა ხანს ყავარჯნით დავდიოდი.
_ ნუთუ? ეგ როგორ დაგემართათ?
_ ბანკის კიბეზე ავდიოდი, საფეხურები კი მოყინული იყო. კარგა მძიმე ტომარა მიმქონდა და როცა კიბის შუაწელს მივაღწიე, დავინახე, კონსული ანდერსენი ჩამოდიოდა. მაშინვე შემოვბრუნდი, რომ ძირს დავშვებულიყავი და კონსულისთვის გზა დამეთმო. თუმც მას არ უთქვამს, რომ მოვრიდებოდი, მაგრამ ეს თავისთავად იგულისხმებოდა და მეც ამის გაკეთება, ცხადია, ისე მსურდა, რომ კონსულს არ ებრძანებინა. მაგრამ ბედმა არ გამიღიმა, საფეხურზე ფეხი ამისხლტა და დავეცი. დავეცი მარჯვენა მხარეზე, ეს ცოტა არ იყოს სასაცილო კია, მაგრამ რამდენჯერმე გადავკოტრიალდი და ისევ სწორედ მარჯვენა მხარზე დავეცი. `თავს როგორ გრძნობთ? _ მკითხა კონსულმა, _ რაკი არა კვნესით, მაშასადამე, არაფერი დაგშავებიათ? `არა, _ მივუგე, _ მგონი, არაფერი~, მაგრამ ხუთმა წუთმაც არ განვლო, რომ ორჯერ შემიწუხდა გული. ამასთან, მუცლის ქვემო ნაწილი შემებერა, ჩემი ძველი სნეულების გამოისობით. კონსულმა გულუხვად დამაჯილდოვა შემდეგ, თუმცა არაფერში მიუძღოდა ბრალი.
_ სხვა არაფერი დაგიშავდათ? თავი არ დაგირტყამთ?
_ ო, დიახ, ოდნავ თავიც დავარტყი. რამდენიმე ხანს სისხლს ვაფურთხებდი.
_ კონსული გეხმარებოდათ, სანამ მორჩებოდით?
_ დიახ, და ძალზე გულუხვადაც. ხან რას მიგზავნიდა და ხან რას, ერთ დღესაც არ დავვიწყებივარ. ყველაზე დიდებული ის იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როცა კონსულთან მივედი მადლობის

გადასახდელად, ბრძანა, ალამი აღემართათ. ერთობ დაჟინებული ბრძანება გასცა, აღემართათ ალამი ჩემს პატივსაცემად, თუმცა იმ დღეს ფრეკენ ფრედრიკაც იყო დაბადებული.
_ ფრეკენ ფრედრიკა ვინღაა?
_ კონსულის ქალიშვილი.
_ ოჰო. ეს დიდად მოსაწონია... აჰ, მართლა, არ იცით, რა შემთხვევის გამო იყო მთელი ქალაქი ალმებით მორთული ამ რამდენიმე დღის წინ?
_ რამდენიმე დღის წინ? მოიცა, გავიხსენო... ეგ ამ ერთი კვირის წინ ხომ არ იყო? დიახ, ეს ფრეკენ ჰელანის, დაგნი ჰელანის ნიშნობის გამო იყო. დიახ, დიახ, ერთიმეორეზე მიყოლებით ინიშნებიან, ქორწინდებიან და მიემგზავრებიან. ჩემი მეგობრები და ნაცნობები მთელ ქვეყანაზე არიან დაფანტული და მენატრება მათი ხელახლა ხილვა. თვალს ვადევნებდი, როგორ თამაშობდნენ ისინი ყმაწვილობისას, სკოლაში დაიარებოდნენ, იზრდებოდნენ და სიმწიფეში შედიოდნენ. დაგნი კი სულ რაღაც ოცდასამი წლისაა და მთელ ქალაქს უყვარს. მეტისმეტად ლამაზია. ლეიტენანტ ჰანსენზეა დანიშნული, ჰანსენმა კი ოდესღაც ეს ქუდი მაჩუქა. ისიც აქაურია.
_ ქერათმიანი ხომ არაა ეგ ფრეკენ ჰელანი?
_ დიახ, ქერათმიანი ქალიშვილია. საოცრად ლამაზია და ყველას უყვარს.
_ მგონი, მინახავს კიდეც მღვდლის კარ-მიდამოს მახლობლად. წითელ ქოლგას ხომ არ ატარებს?
_ დიახ, ნამდვილად! აქ წითელქოლგიანი, რამდენადაც მახსოვს, სხვა არავინ დაიარება. ნამდვილად გინახავთ, თუ იმ ქალს, თქვენ რომ შეხვდით, სქელი ქერა ნაწნავი ჰქონდა. აქ არავის არ ჰგავს. თქვენ, ალბათ, არ გისაუბრიათ მასთან?
_ მგონი, ვესაუბრე კიდეც! _ და ჩაფიქრებულმა ნაგელმა თავისთვის დასძინა, _ მაშ, ეს იყო ფრეკენ ჰელანი.
_ დიახ, მაგრამ, ალბათ, დიდხანს არა. საეჭვოა, მასთან ხანგრძლივად გემუსაიფოთ. ეს სიამოვნება მომავალში გელით. ძალზე ხმამაღლა კისკისებს, როცა რაიმე სასაცილოს ხედავს, ხშირად სულ უბრალო რამეზეც კი იცინის, რადგან ძალზე მხიარულია. თუ მასთან საუბარი მოგიხდათ, ნახავთ, რა ყურადღებით ისმენს თქვენს ლაპარაკს და მაშინღა გიპასუხებთ, როცა სათქმელს მორჩებით. ლაპარაკის დროს ღაწვები ეფაკლება; მერწმუნეთ, სისხლი თავში უვარდება, როცა ვინმესთან საუბრობს, და მაშინ უფრო ლამაზი ხდება. ჩემთან კი სულ სხვა ამბავია, ჩემთან ყოველთვის დაურცხვენლად ტიტინებს ხოლმე. მე შემიძლია, მაგალითად, როცა ქუჩაში მისეირნობს, მივიდე მასთან, ის შეჩერდება და მაშინვე ხელს ჩამომართმევს, თუნდაც ეჩქარებოდეს. თუ არ გჯერათ, შემდეგში დააკვირდით ამ შემთხვევას.
_ სიამოვნებით გერწმუნებით. მაშ, ფრეკენ ჰელანის სახით თქვენ კარგი მეგობარი გყავთ?
_ მხოლოდ იმ გაგებით, რომ ყოველთვის კეთილი და მოწყალეა ჩემ მიმართ. სხვაგვარად კი, ცხადია, ეს შეუძლებელია. ხანდახან მღვდლის სახლშიც მივდივარ, როცა მიმიპატიჟებენ და რამდენადაც შევნიშნე, უსიამოვნო სტუმარი სულაც არა ვარ, თუნდაც დაუპატიჟებლად შევიარო. ფრეკენ დაგნი წიგნებს მაძლევდა წასაკითხად, როცა ავად ვიყავი, თვითონვე მოჰქონდა.
_ რა წიგნები იყო?
_ თქვენ გინდათ მკითხოთ, რა წიგნები იყო, რომელთა წაკითხვა და გაგება მე შემეძლო?
_ ამჯერად ვერ მიმიხვდით. თქვენი შეკითხვა ძალზე მახვილია, მაგრამ ვერ გამიგეთ. ისე კი მშვენიერი კაცი ბრძანდებით. მე ის მინდოდა გამეგო, რა წიგნები აქვს მაგ ახალგაზრდა ქალს, რას კითხულობს? აი, რისი გაგება მსურდა.
_ მახსოვს, ერთხელ ჰარბორგის `გლეხი სტუდენტები~ მომიტანა, კიდევ სხვა ორი წიგნიც, ერთ მათგანში ტურგენევის `რუდინი~ იყო. მეორეჯერ რომ მოვიდა, ჰარბორგის `შეურიგებელნი~ წამიკითხა ხმამაღლა.
_ ეს მისი საკუთარი წიგნები იყო?
_ დიახ, მამამისისა, წიგნებზე მამამისის სახელი იყო აღნიშნული.
_ ოჰო!.. ცოტა კიდევ დალიეთ. მოდი, ვინმეს სადღეგრძელო, თუნდაც ბედანის ოჯახის სადღეგრძელო დავლიოთ, გინდათ? ალბათ, ძალზე სიმპათიური ოჯახია.
როცა სადღეგრძელო დალიეს, ნაგელმა თქვა:
_ როგორა თქვით, როცა კონსულ ანდერსენთან მიხვედით მადლობის გადასახდელად...
_ ჰო, მინდოდა მადლობა გადამეხადა დახმარებისათვის.
_ დიახ, დიახ... და მათ ალამი აღმართეს თქვენს პატივსაცემად?
_ ჰო, კონსულმა ბრძანა ის ჩემს პატივსაცემად აღემართათ. ეს თვითონ მითხრა.
ორივენი დუმდნენ მცირე ხანს.
_ აბა, ერთი დაფიქრდით, ალამი ფრეკენ ფრედრიკას დაბადების დღის აღსანიშნავად ხომ არ აღუმართავთ?

_ დიახ, ცხადია. ეგეც ადვილად საფიქრებელია და ძალიან კარგიც უქნიათ. რა სირცხვილი იქნებოდა, რომ ფრეკენ ფრედრიკას დაბადების დღეს ალამი არ აღემართათ.
_ სავსებით მართალი ბრძანდებით... მაგრამ ახლა სხვა რამეზე ვისაუბროთ. რამდენი წლისაა ბიძათქვენი?
_ დაახლოებით სამოცდაათი წლისა. არა, ეს მეტისმეტი მომივიდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სამოც წელსაა გადაცილებული. მოხუცია, თუმცა თავის ხანთან შედარებით მხნედ გამოიყურება. თუ დასჭირდა, უსათვალოდ შეუძლია კითხვა.
_ რა ჰქვია?
_ იმასაც გრიგორს ეძახიან. ორივეს გრიგორი გვქვია.
_ ბიძათქვენს საკუთარი სახლი აქვს თუ დაქირავებული?
_ ოთახში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ქირას იხდის, ნახშირის ფარდული კი საკუთარი აქვს. ბინის ქირის გადახდა არ გვიჭირს. ნახშირს ვაძლევთ ხოლმე, ხანდახან კი რამე პატარა საქმეს ვუკეთებ.
_ ბიძათქვენს, ალბათ, ნახშირი არ დააქვს?
_ არა, ეს მოვალეობა მე მაკისრია. ის ნახშირს წონის და ყველაფრის განმკარგულებელია, მე კი ნახშირი დამაქვს. ეს ხომ უფრო ადვილია ჩემთვის. ბიძაზე ღონიერი ვარ.
_ რა თქმა უნდა. ერთი ესეც მითხარით, გყავთ ვინმე ქალი, სადილს რომ გიმზადებდეთ?
მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა.
_ მაპატიეთ, _ მიუგო მინუტმა, _ გული ნუ მოგივათ ჩემზე, მაგრამ ახლავე წავალ, თუ ისურვებთ. ისე იყოს, როგორც თქვენ გნებავთ. იქნებ იმისთვის მაჩერებთ აქ, რომ მასიამოვნოთ, თვითონ კი არავითარ სიამოვნებას არ განიჭებთ იმაზე საუბარი, თუ როგორ ვცხოვრობ. იქნებ სხვა რაიმე განზრახვა გაქვთ და მე არ ვიცი, მაშინ ეს კარგია, მაგრამ თუ ახლა წავალ თქვენგან, ვერავინ მაწყენინებს, ამისა ნუ გეფიქრებათ. ისეთ ბოროტ კაცს არავის გადავეყრები. რწმუნებული არ იდგება კართან, არ დამელოდება, რომ შური იძიოს ჩემზე. თუ ამის გეშინიათ, თუნდაც იქ იდგეს, მაინც ვერ გაბედავს ცუდი რამ შემამთხვიოს. ეს მტკიცედ მჯერა.
_ რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც გესიამოვნებათ, მაგრამ თუ დარჩებით, ამით დიდ სიამოვნებას მომანიჭებთ. ისე კი თავს ნუ დაივალდებულებთ, მიამბოთ რამე მხოლოდ იმის გამო, თამბაქოს საყიდლად ორიოდე კრონი რომ გასესხეთ. როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით.
_ ვრჩები, ვრჩები! _ წამოიძახა მინუტმა, _ უფლის ლოცვა-კურთხევა არ მოგკლებოდეთ! _ შესძახა კვლავ, _ ბედნიერი ვარ, ჩემი აქ ყოფნა ოდნავ მაინც თუ გაგართობთ, თუმცა მრცხვენია ჩემი თავისაც და იმისაც, აქ რომ ვზივარ, ამ საძაგელ ტანსაცმელში გამოწყობილი. შემეძლო უფრო წესიერი სახე მქონოდა, დრო რომ მეშოვა საამისოდ. ეს ბიძისეული ძველისძველი, გრძელი სერთუკი მაცვია, თანაც ისე დაძენძილი, რომ ხელს ვერ წააკარებს კაცი. რწმუნებულმა კი კიდევ ერთი დიდი ნაჩვრეტი გაუკეთა, იმედი მაქვს, მომიტევებთ... ქალზე კი რომ ბრძანეთ, სადილს გიმზადებთ თუ არაო, უიმისოდ მივდივართ იოლას. ყველაფერს თვითონვე ვიმზადებთ. ეს არც ისე ძნელია, თანაც ყველაფერს, რაც შეიძლება, ვამარტივებთ. თუ დილით ყავას ავადუღებთ, საღამოთიც იმის ნარჩენსა ვსვამთ გაუთბობლად. ასევე ვაკეთებთ სადილსაც, როცა მოგვიხერხდება. უკეთესი სხვა რაღა უნდა ისურვოს ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილმა კაცმა? სარეცხს კი მე ვრეცხავ, ამით ცოტათი ვერთობი კიდევაც...
ამ დროს სასტუმროში ქვემო სართულიდან ზარის ხმა მოისმა. სტუმრების ფეხის ხმაც გაისმა, კიბეზე რომ ჩადიოდნენ სავახშმოდ.
_ ეს ვახშმის ზარია, _ თქვა მინუტმა.
_ დიახ, _ მიუგო ნაგელმა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა და მოუთმენლობის ოდნავი ნიშანიც არ გამოუმჟღავნებია. პირიქით, სავარძელში უფრო მოხერხებულად მოკალათდა და მინუტს ჰკითხა:
_ იქნება თქვენ კარლსენსაც იცნობდით, ამ რამდენიმე დღის წინ ტყეში რომ იპოვეს მკვდარი? რა სამწუხარო ამბავია, არა?
_ დიახ, მეტისმეტად სამწუხაროა. როგორ არ ვიცნობდი? დიდებული, კეთილშობილი კაცი იყო. იცით, ერთხელ რა მითხრა? ერთ კვირა დღეს სისხამ დილით გამომიძახეს მასთან, ეს დაახლოებით ერთი წლის წინ მოხდა, მაისში. კარლსენმა მთხოვა მისი ერთი წერილი წამეღო. `დიდი სიამოვნებით წავიღებ, _ ვუთხარი მე, _ მაგრამ დღეს ისეთი ფეხსაცმელები მაცვია, რომ უხერხულია გამოჩენა წესიერ ხალხთან. თუ გნებავთ, შინ გავიქცევი და ერთ წყვილ ფეხსაცმელს ვიშოვი სადმე~. `არა, რა საჭიროა, _ მომიგო მან, _ მაგას არა უშავს რა, თუ ფეხები არ დაგისველდებაო~. ამაზეც კი იფიქრა იმ სათნო ადამიანმა! შემდეგ ჩუმად ჩამიცურა კრონი ჯიბეში და წერილი გადმომცა. ტალავერში გამოსვლა ვერც კი მოვასწარი, რომ კვლავ გაიღო კარი და დამეწია. სახე ისე მორღვეოდა, რომ შევჩერდი და ცქერა დავუწყე. თვალები ცრემლით ავსებოდა. გადამეხვია, მაგრად მიმიკრა მკერდზე და მითხრა: `წაიღეთ ეს წერილი, მეგობარო, არასოდეს არ დაგივიწყებთ. მღვდელი რომ გავხდები და

ადგილს მივიღებ, მობრძანდით და სამუდამოდ დარჩით ჩემთან. ახლა კი გასწით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!~ სამწუხაროდ, მან ეს ადგილი ვერ მიიღო, მაგრამ ცოცხალი რომ დარჩენილიყო, სიტყვას არ გატეხდა.
_ ჰოდა, მიუტანეთ წერილი?
_ დიახ.
_ მაშ, ძალიან გაახარა მაგ წერილმა ფრეკენ ჰელანი?
_ მაგრამ თქვენ საიდან იცით, რომ ფრეკენ ჰელანს მივუტანე წერილი?
_ საიდან ვიცი? განა ეგ თქვენვე არ მითხარით?
_ მე? მართალს არ ამბობთ.
_ ხა-ხა-ხა, მართალს არ ვამბობ? მაშ, ფიქრობთ, რომ გატყუებთ?
_ მაპატიეთ, გეთაყვა, შეიძლება მართალიც ბრძანდებით, მაგრამ მე მაინც არ უნდა მეთქვა ეს. უნებლიეთ მომივიდა. არა, მართლა გითხარით?
_ რატომ არ უნდა გეთქვათ? განა კარლსენმა აგიკრძალათ მაგის თქმა?
_ არა, იმან არა.
_ მაშ, ვინ, ჰელანმა?
_ დიახ.
_ კარგი, კარგი, შევინახავ მაგ საიდუმლოს. მაგრამ რატომ სწორედ ამ დღეებში წავიდა ტყეში და მოკვდა.
_ არაფერი გამეგება. ჩანს, უბედური შემთხვევა მოხდა?
_ უბედური შემთხვევა? აჰ, მართლა! ის ხომ დაეცა და დანას დააჭრა მაჯები.
_ დიახ, ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა, წაიბორძიკა, დაეცა და წაქცევისას არტერიები გადაიჭრა. საშინელი უბედურება მოხდა.
_ არ იცით, როდის კრძალავენ?
_ ხვალ შუადღისას.
მეტი აღარაფერი უთქვამთ. ცოტა ხანს ორივენი დუმდნენ. სარამ ღრიჭოდ შემოღებულ კარში თავი შემოყო და მოახსენა: ვახშამი მოგართვითო. რამდენიმე წუთის შემდეგ ნაგელმა თქვა:
_ მაშ, ფრეკენ ჰელანი დანიშნულია. ვინ არის მისი საქმრო?
_ ლეიტენანტი ჰანსენი, ყოჩაღი ვაჟკაცი და დიდებული ადამიანი. მასთან ჰელანს არაფერი გაუჭირდება.
_ რაო, მდიდარია?
_ დიახ, მამამისი ძალიან მდიდარია.
_ ვაჭარია?
_ არა, გემთმფლობელი. ამ ორიოდე სახლის იქით ცხოვრობს, თუმცა სახლი დიდი არა აქვს. დიდი სახლი არც სჭირდება. შვილი რომ მიემგზავრება ხოლმე, სახლში მხოლოდ მოხუცები რჩებიან. ქალიშვილიც ჰყავთ, მაგრამ ინგლისშია გათხოვილი.
_ მაინც როგორ ფიქრობთ, რამდენი ფული ექნება მოხუც ჰანსენს?
_ ვინ იცის, იქნებ მილიონიც.
_ დიახ, _ თქვა ნაგელმა, _ ყველაფერი უსამართლოდაა ამქვეყნად მოწყობლი. რა იქნებოდა, მაგ ფულის თუნდაც პატარა ნაწილი შენ გქონოდა, გრიგორ?
_ რას ბრძანებთ, რაში მჭირდება? აჰ, არა, ჩვენ იმითაც კმაყოფილი უნდა ვიყოთ, რაც გვაქვს.
_ ისე, სიტყვამ მოიტანა... მაგრამ თავში კიდევ ერთი კითხვა დამებადა. თქვენ, ალბათ, ცოტა დრო გრჩებათ სხვა სამუშაოსთვისაც, რაკი ნახშირი დაგაქვთ, ხომ მართალია? რა თქმა უნდა, ეს ასეა. წეღან ყური მოვკარი სასტუმროს პატრონს რომ ეკითხებოდით, დღეისათვის სხვა ხომ აღარაფერი საქმე გაქვთო. გახსოვთ?
_ არა.
_ ეს პირველ სართულზე იყო, კაფეში. სამზარეულოში ნახშირი შევიტანეო, უთხარით და მაშინვე ჰკითხეთ, დღეს ხომ სხვა საქმე არ გექნებათო, განა არ გახსოვთ?
_ აჰ, დიახ, მაგრამ მაგ კითხვაში სულ სხვა რამ იმალებოდა. განა ეგეც შეამჩნიეთ? საქმე ისაა, რომ ნახშირის ფული მაშინვე მინდოდა მიმეღო, მაგრამ მეუხერხულა ეს პირდაპირ მეთქვა, და ისღა ვკითხე, სხვა საქმე ხომ არაფერი გაქვთ-მეთქი. აი, სულ ეს იყო. ახლა ძალიან გვიჭირს და ვფიქრობდი, ნახშირის ფულს მომცემს-მეთქი.
_ რამდენი გჭირდებათ, რომ მაგ გაქირავებას დააღწიოთ თავი? _ ჰკითხა ნაგელმა.
_ რას ბრძანებთ, _ შესძახა მინუტმა, _ ეგ აღარ მითხრათ, ძალზე გულუხვად დამეხმარეთ. ყველაფრისთვის ექვსი კრონი იყო საჭირო, ახლა კი აქ წამოვჭიმულვარ და ჯიბეში თქვენი ოცი კრონი მიდევს, ღმერთმა გადაგიხადოთ ამის სამაგიერო! ეგ ექვსი კრონი მედუქნისთვის უნდა მიგვეცა

კარტოფილსა და სხვა რაღაცებში. ანგარიში გამოგვიგზავნა. ორივენი ვისხედით და თავს ვიმტვრევდით, როგორ გამოვსულიყავით ამ გაქირავებიდან. ახლა კი ყველაფერი მოგვარდა, ჩვენ შეგვიძლია ამ ღამით მშვიდად დავიძინოთ და ხვალინდელ დღეს უზრუნველად შევხვდეთ.
_ ახლა კი ეს ღვინო გამოვცალოთ და შემდეგ ერთმანეთს დავცილდეთ... ხვალამდე, _ უთხრა ნაგელმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ და წამოდგა, _ თქვენი სადღეგრძელო იყოს! იმედია, უკანასკნელად არ ვხვდებით. აუცილებლად უნდა შემპირდეთ, რომ კიდევ შემოივლით. როგორც ხედავთ, მე აქ ვცხოვრობ, მეშვიდე ნომერში. დიდ, დიდ მადლობას გიხდით, რომ მეწვიეთ!
ნაგელმა გულწრფელად თქვა ეს სიტყვები და მინუტს მაგრად ჩამოართვა ხელი. მერე ჭიშკრამდე მიაცილა თავისი სტუმარი. აქ კი მოიხადა თავისი ხავერდის ქუდი და მდაბლად დაუკრა თავი. მინუტი წავიდა. ქუჩაზეც რომ გადადიოდა, უკან-უკან იხედებოდა და თავს უკრავდა, მაგრამ კრინტიც ვერ დაძრა, თუმც ძალიან ცდილობდა ეთქვა რამე.
სასადილოში რომ შევიდა, ნაგელმა მოუბოდიშა სარას ვახშამზე დაგვიანებისათვის.

IV
მეორე დილით იოჰან ნაგელი სარამ გააღვიძა, კარზე დაუკაკუნა და გაზეთები შეუტანა. ნაგელი სწრაფად ათვალიერებდა მათ და ერთიმეორეზე მიყოლებით ყრიდა იატაკზე. დეპეშა კი, რომ გლადსტონი იძულებული შეიქნა ორი დღე წოლილიყო გაცივების გამო, მაგრამ ახლა კი ადგა, მან ორჯერ წაიკითხა და შემდეგ ხმამაღლა გადაიხარხარა. ამის მერე ხელებში ჩარგო თავი და მიეცა ფიქრს, ხანდახან რომ თავის თავთან ხმამაღალი საუბრით წყვეტდა.
საშიშია გაღებული ჯიბის დანით ტყეში სიარული. ფეხს რაღაცას წამოჰკრავ, წაიქცევი და უცებ ორივე მაჯის არტერიებს გადაიჭრი. აი, თუნდაც კარლსენი... როგორ ცუდად დამთავრდა ეს მისთვის... სხვათა შორის, ამაზე ნაკლებსაშიში როდია, როცა მისეირნობ და თან შხამიანი შუშა გიდევს ჯიბეში. შეიძლება დაეცე გზაზე, შუშა დაიმსხვრეს, ნამსხვრევები სხეულში შეგერჭოს და შხამი კი სისხლში მოხვდეს. ერთი სიტყვით, უსაფრთხო გზა არ არსებობს. მაშ, რა ვქნათ? სხვათა შორის, არის ერთი გზა, რომელზეც არასდროს წაიქცევი. ეს გლადსტონის გზაა. ისე ყურადღებით შევყურებ გლადსტონის ყაირათიან გამომეტყველებას, როცა გზაზე მიაბიჯებს, რა თავგამოდებით ცდილობს არ წაიბორძიკოს, რა შეთანხმებით ზრუნავენ განგება და თვითონ გლადსტონი, რომ დაიცვან იგი.
მაშ, ახლა უკვე მორჩენილა იმ გაცივების მერე. გლადსტონი იქამდე იცოცხლებს, სანამ სრული ჯანმრთელობის წყალობით არ დაიღუპება...
მაშ, სახით გუბეში დაეცი, პასტორო კარლსენ? ნუთუ ისევ ღია დარჩება ეს კითხვა: შეგნებულად გააკეთეს ეს, რომ სიკვდილის წინ არ დაგმანჭოდა სახე, თუ უეცარმა კრუნჩხვამ წამოგიარა? სხვათა შორის, ისეთი დრო აირჩიე, როგორც წყვდიადით დაშინებულმა ყმაწვილმა _ ნათელი დღე, შუადღის ჟამი და იწექი გამოსათხოვარი ბარათით ხელში. საცოდავო კარლსენ, საცოდავო კარლსენ! მაინცდამაინც ტყე რატომ აირჩიე შენი პატარა გონებამახვილური განზრახვის აღსასრულებლად? იცნობდი თუ არა ტყეს და მისი ხმა უკეთ გესმოდა თუ არა, ვიდრე ხმა მინდვრის, ზღვისა და გზისა? მთელი დღე დაბურულ ტყეში დასეირნობდა ყმაწვილი, ტრა-ლა-ლა-ლა-ლა... აი, თუნდაც ვარდალის ტყე ავიღოთ, იოვეკესაკენ მიმავალ გზაზე. ო, რა ნეტარებაა იწვე ამ ტყეში ღრმა ფიქრებში ჩაძირული, თვალები ზეცას მიაშტერო, დალახვროს ეშმაკმა, სულ ზევით, ზევით მეშვიდე ცას რომ მიაწვდინო მზერა, ხა-ხა-ხა! იქ მწოლიარეს თითქმის გესმის ზემოთ როგორ ჩურჩულებენ შენზე:
`აქეთ, აქეთ! _ წამოიძახებს განსვენებული დედა, _ არა, როგორც კი გაბედავს, რომ ამ გუბეში ჩავარდეს, მაშინვე გავეცლები აქაურობას~, _ ამბობს და ამ საკითხს დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს. `ხა-ხა-ხა-ხა! _ ვეპასუხები მე, _ ხელს ნუ მიშლი, გეთაყვა, ხელს ნუ მიშლი~. ამას ისე ხმამაღლა ვამბობ, რომ ორი ანგლოზის, იაირ და სვავა ბერსენების პატივცემული ქალიშვილის ყურადღებას ვიქცევ. ხა-ხა-ხა~.
რას ვგორავთ აქ და რაზე ვიცინით? იქნებ უპირატესობის შეგრძნების გამო? მხოლოდ ბავშვებს აქვთ უფლება სიცილისა და კიდევ ძალიან ნორჩ გოგონებს, მეტს არავის. სიცილი რუდიმენტია, მაიმუნების ეპოქიდან შემორჩენილი, საძაგელი, უსირცხვილო ბგერა, რომელიც ამ ყელიდან კი არ ამოდის, არამედ საიდანღაც, ჩემი სხეულის რომელიღაც ნაწილიდან, როცა ნიკაპს ქვემოთ მიღიტინებენ ხოლმე. რა მითხრა ერთხელ ყასაბმა ჰეუგემ, რომელიც თვითონ ხარხარებდა ხოლმე და ძალიან მოჰქონდა ამით თავი? მითხრა, რომ ვერც ერთი კაცი, რომელიც ჯერ კიდევ კარგად ფლობს თავის ხუთ...
არა, რა მშვენიერი გოგონა ჰყავდა იმ ყასაბს! იმ დღეს, ქუჩაში რომ შევხვდი, წვიმა მოდიოდა. გოგონას სათლი მოჰქონდა, ფული დაჰკარგვოდა, საზოგადო სამზარეულოდან საჭმლის გამოსატანი. გოგონა მიდიოდა და ტიროდა. განსვენებულო დედავ, ხედავდი თუ არა მაგ შენი ზეციდან, რომ ერთი გროშიც არ მეგდო ჯიბეში, საბრალო გოგონა რომ გამეხარებინა? რომ პირდაპირ თმას ვიგლეჯდი ქუჩაში ბრაზისაგან და მე ერთი ერეც კი არ გამაჩნდა? ამ დროს ჩვენს ახლოს ორკესტრმა ჩაიარა. შემობრუნდა

ლამაზი მოწყალების და, თვალები შემომანათა, მერე კი შინ გასწია, თავჩაღუნულმა. ალბათ, წუხდა თავის თავზე, ის ნათელი მზერა რომ მაჩუქა. ამ დროს კი გრძელწვერა კაცმა, ნაზი ფეტრის შლაპა რომ ეხურა, ხელზე ხელი მტაცა, თორემ ეკიპაჟი გამსრესდა. დიახ, ღმერთმანი, კინაღამ გამსრისეს...
სს! ერთი... ორი... სამი. რა ნელა ირეკება! ოთხი... ხუთი... ექვსი... შვიდი... რვა. ნუთუ რვა საათია? ცხრა... ათი საათი შესრულებულა უკვე. დროა, ავდგე, მაგრამ სად რეკავს საათი? ალბათ, კაფეში. მაგრამ ეს სულერთია, სულერთია, სულერთია. რა სასაცილო სკანდალი მოხდა გუშინ კაფეში. მინუტი მთლად ცახცახებდა. დროზე მივუსწარი. ალბათ, ყველაფერი იმით გათავდებოდა, რომ დალევდა იმ ლუდიან ჭიქას, შიგ პაპიროსის ფერფლი და ასანთის ღერის ნამტვრევები რომ ეყარა. რა მოხდებოდა მერე? გავკადნიერდები და გკითხავ, ცნობისმოყვარე რეგვენო, რა მოჰყვებოდა ამას? რა უფლებით ეჩხირები სხვის საქმეებში? ან, საერთოდ, რისთვის მოვედი აქ, ამ ქალაქში? იქნებ ეს რაიმე მსოფლიო კატასტროფის შედეგია, მაგალითად, გლადსტონის გაცივებისა? ხა-ხა-ხა! სჯობია, სიმართლე თქვა, ჩემო პატარავ, თქვა, რომ შინისაკენ მიემგზავრებოდი, მაგრამ უეცრად მოგხიბლა ამ ქალაქის ხედმა. თუმც ასე ძლიერ პატარა და საცოდავია, კინაღამ ატირდი გამოუცნობი, იდუმალი გრძნობისაგან, როცა ეს ალმები დაინახე. ეს მოხდა თორმეტ ივნისს, ქალაქი ალმებით მოერთოთ ფრეკენ ჰელანის ნიშნობის აღსანიშნავად. ორი დღის შემდეგ კი თვითონ მას შევხვდი.
რატომ უნდა შევხვედროდი მას სწორედ იმ საღამოს, როცა ასე აწრიალებული სულიერი განწყობილება მქონდა და არც კი მესმოდა, რას ვაკეთებდი? როცა კარგად დავუფიქრდები ხოლმე ყოველივე ამას, აღარ ვიცი, სირცხვილისგან სად დავიკარგო.
_ საღამო მშვიდობისა, ფრეკენ! მე აქ უცხოელი ვარ, მომიტევეთ, გეთაყვა, სასეირნოდ გამოვედი და არ ვიცი, სად მოვხვდი.
მინუტი მართალია, იგი მაშინვე წამოწითლდა, როცა მიპასუხა.
_ საით გნებავთ წაბრძანება? _ მკითხა და თან ამათვალიერ-ჩამათვალიერა.
მე ქუდი მოვიხადე და თავშიშველი გავჩერდი მის წინ. სიტყვებს ვეძებდი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა, ქუდი ხელში მეჭირა და ვიდექი ასე.
_ ხომ ვერ მეტყვით, ზუსტად რამდენი მანძილია აქედან ქალაქამდე?
_ ეგ არ ვიცი, _ მომიგო ჰელანმა, _ არ ვიცი, რა მანძილია აქედან ქალაქამდე, მაგრამ პირველივე კარ-მიდამო, რომელსაც თქვენ ნახავთ, მღვდლისაა, იქიდან კი მეოთხედი მილია ქალაქამდე, _ მითხრა თუ არა, მაშინვე დააპირა გზის გაგრძელება.
_ დიდად გმადლობთ, _ ვუთხარი მე, _ მაგრამ რაკი მღვდლის კარ-მიდამო ამ ტყის იქითაა, მაშინ ნება მიბოძეთ, გაგაცილოთ, თუ თქვენც იქით მიბრძანდებით, ან კიდევ უფრო შორს ამ მიმართულებით.
მზე უკვე ჩავიდა, ქოლგას მე წამოგიღებთ. თავს არ მოგაბეზრებთ, კრინტსაც არ დავძრავ, თუ თქვენ არ ისურვებთ. მინდა მხოლოდ თქვენ გვერდით მოვდიოდე და ვუსმენდე ფრინველთა ჟღურტულს. არა, ნუ მიდიხართ, ნუ წახვალთ! რატომ გამირბიხართ?
მაგრამ, რაკი ის მაინც გაიქცა, და აღარ მომისმინა, მეც გამოვეკიდე, რომ ბოდიში მომეხადა.
_ ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, თუ თქვენს ნათელ სახეს ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება არ მოეხდინოს! ახლა კი ისე სწრაფად მოკურცხლა, რომ ორ წუთში გაუჩინარდა. თავისი მძიმე ქერა ნაწნავი ხელში დაიჭირა. ამის მსგავსი არაფერი მინახავს.
_ არა, ეს როგორ გამოვიდა. მისი შეურაცხყოფა ხომ აზრადაც არ მომსვლია, ცუდი არაფერი გამივლია გულში. ნაძლევსაც კი ჩამოვიდოდი, რომ ამ ქალიშვილს თავისი ლეიტენანტი უყვარდა, არც კი მიფიქრია გადავკიდებოდი სწორედ ამ თვალსაზრისით.
მაგრამ ეს კარგია, კარგია... მისმა ლეიტენანტმა იქნებ დუელში გამომიწვიოს, ხა-ხა-ხა-ხა, რწმუნებულს მოეთათბირება, საოლქო სასამართლოს რწმუნებულს, და დუელში გამომიწვევს...
...როგორ მინდა გავიგო, მისცემს თუ არა რწმუნებული მინუტს ახალ სერთუკს? ერთი დღე მოვიცადოთ. ორის მოცდაც შეიძლება, მაგრამ ეს ამ ორ დღეში მაინც თუ არ გააკეთა, უნდა შევახსენოთ. წერტილი. ნაგელი.
...ხომ არ სჯობია ენას კბილები დავაჭირო? შეიძლებოდა გასტრონომიული მაღაზია გამეხსნა, ძეხვები დამემზადებინა, ღორის ქონი დამეწყო, მეყლაპა და თან ციტატები ამომეწერა ჰიუგოდან. შეიძლება ცხენი მყოლოდა, მქონოდა ეტლი, კანტორა გამეხსნა ქალაქში... ერთი სიტყვით, მეცხოვრა ადამიანურად, კარგი ურთიერთობა დამემყარებინა ხალხთან, მიმეღო სტურტინგის წევრები, ხელგაშლილად მეცხოვრა, მქონოდა სახლი, მყოლოდა ცოლი და ძაღლი. წერტილი, ნაგელი. ამასთან, გამეკითხა ღარიბებიც ჩემი ძალ-ღონისა და ქონების შესაბამისად.
...აქ მე ერთ ღარიბ ქალს ვიცნობ... ისე დარცხვენილი მიცქერდა, თითქოს სურდა ეთხოვა რამე, მაგრამ ვერ გაბედა. მუდამ თან მდევენ მისი თვალები, თუმცა მთლად გაჭაღარავებულია. ოთხჯერ შორი გზით მოვუარე, რომ გვერდი ამევლო მისთვის და არ შევხვედროდი. ჯერ ბებერი არაა, განა სიბერისგანაა გაჭაღარავებული? დღემდე ისე საოცრად შავი, საშინლად შავი წამწამები აქვს, გეგონება

მათ შიგნით თვალები ოდნავღა ბჟუტავენ და იფერფლებიანო. თან მუდამ კალათა დააქვს, რომელსაც წინსაფრის ქვეშ მალავს, ეტყობა, სწორედ ამ კალათის გამო რცხვენია. ახლოს რომ ჩამიარა, შემოვტრიალდი და დავინახე, რომ ბაზრისაკენ წავიდა. იქ კალათიდან ორი-სამი კვერცხი ამოიღო და პირველივე მუშტარს მიჰყიდა, მერეც კალათა ისევ წინსაფარქვეშ დამალა და შინ გასწია. სანაპიროზე ცხოვრობს ერთ პაწაწკინტელა სახლში. სახლი ერთსართულიანია და შეღებილიც არ არის. ერთხელ ფანჯრიდან დავინახე: ფანჯარაზე ფარდა არაა ჩამოფარებული, იქ მხოლოდ თეთრყვავილებიანი რამდენიმე ქოთანი შევნიშნე. ახლოს ჩავუარე, ის კი ოთახის შუაგულში იდგა და თვალებით მიმაცილებდა. ღმერთმა უწყის, ვინაა, მაგრამ ძალზე პატარა ხელები აქვს. შემეძლო განმეკითხე, ჭაღარა ქალწულო, მაგრამ გადავწყვიტე დახმარება აღმოგიჩინო.
...თუმცა კარგად ვიცი, რატომ მდევენ შენი თვალები. პირველ წუთშივე მივხვდი ამას. რა საოცარია, რომ ახალგაზრდული სიყვარული ასე დიდხანს ინახება გულში, შემდეგ კი თავს უეცრად, ხმამაღლა გაამჟღავნებს. მაგრამ შენ მაინც არა გაქვს იმ ასულის ღვთაებრივი სახე და გაცილებით ხნიერიც ხარ მასზე. ვაგლახ, ის მაინც გათხოვდა ვიღაც ტელეგრაფისტზე და კაბელვოგს გაემგზავრა. კაცია და გუნება. არც ველოდი, რომ შემიყვარებდა და ეს არც მოხდა. სიყვარული არ იქნება ძალადაო, ნათქვამია... ოჰო, საათი უკვე თერთმეტის ნახევარს რეკავს... დიახ, დიახ, ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო! მაგრამ რომ გცოდნოდა, რა უსაზღვრო სიყვარულით ვფიქრობდი შენზე ეს ათი წელიწადი, არასოდეს მავიწყდებოდი! მაგრამ მაინც მხოლოდ მე ვარ დამნაშავე ყოველივეში, იგი არაფერ შუაშია. სხვებს ერთი წელიც ძლივს ახსოვთ, შემდეგ მორჩა და გათავდა, მე კი მთელ ათ წელს არ ვივიწყებდი!
...მე დავეხმარები ჭაღარათმიან კვერცხის ვაჭარ ქალს, დიახ, განვიკითხავ და დავეხმარები კიდეც მხოლოდ მისი თვალების გამო. მე ხომ ფული თავზე საყრელი მაქვს, სამოცდაორი ათასი კრონი ნაღდი ფული კარ-მიდამოსათვის. ჰო-ჰო, საკმარისია, მაგიდას ერთი თვალი გადავკრა, რომ სამი დეპეშა, სამი უძვირფასესი საბუთი დავინახო... აჰ, რა გონებამახვილური ჭორია! შენ აგრონომიცა ხარ და კაპიტალისტიც, თანაც არ ჩქარობ ახლავე გაყიდო, პირველივე წინადადების შემდეგ, არამედ გამოიძინებ და ყველაფერს საფუძვლიანად ასწონ-დასწონი. დიახ, სწორედ რომ ასწონ-დასწონი. ამასობაში კი ეს არავის არ უკვირს, თუმცა ყველაფერი ისე უხეშადაა გაკეთებული, რომ მაშინვე თვალში გეცემა. შენი სახელი ვირია, ადამიანო! შეიძლება, როგორც ვირი, ისე გაგაცუროს კაცმა, როცა კი მოისურვებს.
აი, მაგალითად, იქ, ჩემი ჟილეტის ჯიბიდან პატარა შუშას მოუჩანს ყელი. ეგ წამალი წყალბადციანმჟავაა. ვატარებ მხოლოდ უცნაურობის გულისათვის და არც ვაჟკაცობა მყოფნის, გადავყლაპო. მაშ, რატომღა დამაქვს თან ან რისთვის ვიყიდე? ეს მხოლოდ შარლატანობაა და მეტი არაფერი, მოდური დეკადენტური თვალთმაქცობა, რეკლამა, ქარაფშუტობა. ფუი!.. `ნაზი, ფაქიზი ხარ, როგორც ფაიფური, ჩემთვის წამალია შენი მწველი მზერა!
თუნდაც ისეთ უბრალო რამეზე ვილაპარაკოთ, როგორიც ჩემი მედალია წყალწაღებულთა გადარჩენისთვის. როგორც იტყვიან, მე ის ნამდვილად დავიმსახურე. ცხოვრებაში რის გაკეთება არ მოგიწევს ხოლმე! ადამიანის სიცოცხლე იხსენი, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა უწყის, იყო თუ არა ეს ჩემი დამსახურება. თვითონ განსაჯეთ, მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო: კარის სახელურისთვის ხელი მოეკიდა ვიღაც ახალგაზრდას, იდგა და ტიროდა, მხრები უცახცახებდა. გავესაუბრე, დაბნეულად შემომხედა, შემდეგ კი თავპირისმტვრევით დაეშვა სალონისაკენ. გამოვედევნე, მაგრამ შემასწრო და დაწვა დასაძინებლად. მგზავრების სია გადავშალე, ვიპოვე მისი სახელი და ისიც შევიტყვე, რომ ჰამბურგში მიემგზავრებოდა. ეს მოხდა პირველ საღამოს. მას მერე თვალი აღარ მომიცილებია ამ ახალგაზრდისათვის. რამდენიმე ადგილას მოულოდნელად წავადექი თავს და პირდაპირ თვალებში ჩავხედე. რისთვის ვქენი ეს? თვითონ განსაჯეთ, მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო. ვხედავდი, როგორ ტიროდა, ენით უთქმელი რაღაც აწამებდა და უაზრო თვალებით უმზერდა ბნელ, უძირო უფსკრულს, მაგრამ მე რა მაწუხებდა? ცხადია, არაფერი. აი, სწორედ ამიტომ თავად განსაჯეთ პირუთვნელად, მოურიდებლად... ორმა დღემ განვლო. პირისქარი ქროდა, ზღვაზე დიდი ღელვა დაიწყო. ღამის ორ საათზე კიჩოზე გამოვიდა, მე კი უკვე იქ ვიწექი და განაბული თვალს ვადევნებდი, მთვარის შუქზე სახე ყვითელი მოუჩანდა. შემდეგ? შეშფოთებულმა სივრცეს მიაპყრო მზერა, ასწია ხელები და გადახტა გემიდან ფეხებწინგაშვერილი. მაგრამ ყვირილისგან მაინც ვერ შეიკავა თავი. ინანა, ეს რა ვქენიო, თუ შიშმა შეიპყრო უკანასკნელ წამს? აჰ, არა, მაშ რატომ დაიყვირა? მოწყალეო ბატონებო და ქალბატონებო, რას იზამდით ჩემს ადგილას? თვით თქვენთვის მომინდვია ამ კითხვის გადაჭრა. ძალზე მოსალოდნელია, რომ დიდი პატივისცემით განიმსჭვალებოდით ამ უბედური კაცის კეთილშობილური, თუმცა ბოლო წუთს ოდნავ შემკრთალი სიმამაცის გამო და თქვენი საფარიდან ფეხსაც არ მოიცვლიდით. მე კი რაც ძალ-ღონე მქონდა, დავუყვირე კაპიტანს და მაშინვე გადავხტი ზღვაში, სისწრაფისთვის თავით დავეშვი. გიჟივით აქეთ-იქით დავიწყე ფართხალი, ვეძებდი

მას ყოველი მიმართულებით და თან მესმოდა, გემზე რაღაცას რომ გაჰყვიროდნენ. უეცრად მის თითებგაფარჩხულ ხელს წავაწყდი, გაფიჩხებულივით რომ ზევით ამოტივტივებულიყო. ფეხებს ძლივსღა იქნევდა. მაშინვე ვწვდი ქეჩოში და ნაპირისაკენ დავითრიე, თან ვგრძნობდი, რომ თანდათან მძიმდებოდა. აი, გაირინდა და ფეხების ქნევა შეწყვიტა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მკვეთრად შემოტრიალდა და შეეცადა ჩემი ხელიდან გათავისუფლებულიყო. მეც მასთან ერთად დავიწყე ტრიალი მორევში ჩავარდნილივით. თავს ტალღები გვევლებოდნენ. ერთმანეთს შუბლებით დავეჯახეთ და თვალთ დამიბნელდა. რა უნდა მექნა? კბილები დავაღრჭიალე და ერთი მაგრად შევუკურთხე ამ ცხოვრებას, თანაც ხელი არ გამიშვია ბიჭისთვის, მეჭირა, ვიდრე ნავი არ მოცურდა. თქვენ რას იზამდით? მე ვიხსენი იგი, როგორც ტლანქი, რეგვენი დათვი, მერე რა? მაგრამ განა თვითონ თქვენ არ მოგანდვეთ განგესაჯათ ეს საქმე, მოწყალეო ბატონებო და ქალბატონებო? არაფრისა არ მოგერიდოთ, ეგ სულაც არ მეხება. მაგრამ ვთქვათ, ვამბობ მე, ამ კაცისთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო, არ ჩასულიყო ჰამბურგში? აი, ამაშია ძაღლის თავი დამარხული. იქნებ იქ ვინმეს უნდა შეხვედროდა, მას კი ეს არ სურდა? ეს მედალი კი ამ საქებარი საქმისათვის მომცეს და მას ჯიბით ვატარებ. სულაც არ ვფიქრობ, ღორებს გადავუგდო. ესეც თქვენ თვითონ განსაჯეთ, პირუთვნელად, მოურიდებლად. რა ეშმაკად მინდა? ეს ყველაფერი ისე ნაკლებად
მაინტერესებს, რომ იმ უბედური კაცის სახელიც არ მახსოვს, თუმცა დარწმუნებული ვარ, დღემდე ცოცხალია. რატომ იხრჩობდა თავს? იქნებ უიმედო სიყვარულის გამო, ალბათ, ამ საქმეში ნამდვილად ვიღაც ქალი ურევია, მე კი არ ვიცი. გარდა ამისა, ესეც სულერთია ჩემთვის. მორჩა და გათავდა.
ეჰ, ქალები, ქალები! აი, მაგალითად, კამა, პატარა დანიელი გოგონა. ღმერთი იყოს მისი მფარველი! გვრიტივით ნაზია, ერთგულია სულით და სხეულით და ამავე დროს იმის უნარიც შესწევს, გამოსწოვოს ადამიანს უკანასკნელი გროში, დიახ, გამოსწოვოს ყველაფერი და გაუშვას. ამისათვის მას სჭირდება მხოლოდ გვერდზე გადაიგდოს თავისი ცბიერი თავი და წაიჩურჩულოს: `სიმონსენ, საყვარელო სიმონსენ!~ ღმერთი იყოს შენი შემწე, კამა! ერთგულებით აღსავსე კამა! ახლა კი ჯანაბამდის გზა გქონია, ბარიბარში ვართ...
ახლა კი უნდა ავდგე...
არა, ასეთ ქალებს უნდა ერიდოს კაცი. `ქალის სიყვარულს უფრთხილდი, შვილო~ , _ ამბობს ერთი დიდი მწერალი... რაო, რას ამბობს ეს დიდი მწერალი? კარლსენი სუსტი ადამიანი იყო, იდეალისტი, და მოკვდა თავისი დიდი გრძნობების ან, უფრო სწორად, სუსტი ნერვების გამო, რაც, თავის მხრივ, კვებისა და სუფთა ჰაერზე მუშაობის ნაკლებობის ბრალია. ხა-ხა-ხა! სუფთა ჰაერზე მუშაობის. `ოჰ, ნეტავი თქვენი ფოლადიც ისევე მახვილი იყოს, როგორც თქვენი უკანასკნელი `არა~. ვიქტორ ჰიუგოს ციტირებით მან მთელი რეპუტაცია წაიხდინა. ვთქვათ, კარლსენს თავის დროზე, თუნდაც უკანასკნელ დღეს, კატასტროფამდე ნახევარი საათით ადრე შევხვედროდი და მას ჩემთვის ეთქვა, სიკვდილის წინ ვიქტორ ჰიუგოს ციტირებას ვაპირებო, პირდაპირ ასე ვეტყოდი: ერთი შემომხედეთ, მე ვფლობ ხუთივე... ხუთივე... ვეტყოდი მე მას... შემომხედეთ, მე ვფლობ ხუთივე გრძნობას და კაცობრიობის სახელით ცოტათი დაინტერესებული ვარ, რომ თქვენი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები დიდი პოეტის ციტატით არ გასვაროთ. იცით თუ არა, რა არის დიდი პოეტი? დიდი პოეტი ის ადამიანია, ვისაც არაფრის არ რცხვენია, ვისაც სულ მთლად დაუკარგავს სირცხვილს გრძნობა. ზოგიერთ მასხარასაც კი აქვს ისეთი წუთები, როცა საკუთარ თავთან განმარტოებული წითლდება სირცხვილისაგან, დიდი პოეტი კი _ არასოდეს. მაგალითი ჩემგან აიღეთ, თუ ვინმეს ციტირება გსურთ, რომელიმე გეოგრაფიიდან მოიყვანეთ ციტატები და თავს ნუ გასცემთ. ვიქტორ ჰიუგო... იუმორის გრძნობა თუ გაგაჩნიათ? ერთხელ ბარონი ლედენი ესაუბრა ვიქტორ ჰიუგოს. მუსაიფის დროს ეშმაკმა ბარონმა ჰკითხა: `თქვენი აზრით, ვინ არის საფრანგეთის ყველაზე დიდი პოეტი?~ _ ვიქტორ ჰიუგომ შუბლი შეიჭმუხნა, ტუჩების კვნეტა დაიწყო და ბოლოს მიუგო: `ალფრედ დე მიუსე სიდიდით მეორეა~. ხა-ხა-ხა! მაგრამ თქვენ იქნებ იუმორის გრძნობა არ გაგაჩნიათ? იცით კი, რა გააკეთა ვიქტორ ჰიუგომ 1870 წელს? დაწერა მოწოდება მსოფლიოს ყველა მკვიდრისადმი. ამ მოწოდებით მკაცრად აუკრძალა გერმანელ ჯარისკაცებს პარიზისთვის ალყა შემოერტყათ და დაებომბათ. `მე ხომ პარიზში მყავს შვილიშვილები და სხვა ნათესავები, არ მინდა ვიხილო, როგორ დაფლეთს მათ ყუმბარები~, _ უთქვამს თურმე ვიქტორ ჰიუგოს. ჰა-ჰა-ჰა! ეჰ, დიახ, თქვენ ხომ იუმორის გრძნობა არ გაგაჩნიათ! დიახ, ეს ასეა, ფეხსაცმელები კი ჯერაც არ მოუტანია. სად დაიკარგა სარა მაგ ფეხსაცმელებით?
მაშ, გეოგრაფის ციტირება მოვახდინოთ...
რა საოცრად ლამაზი ტანი აქვს ამ სარას! სიარულის დროს თეძოებს ისე არხევს, როგორც სიმსუქნისაგან გათქვირული ფაშატი _ ბარძაყებს. პირდაპირ დიდებულია. ნეტავი გათხოვილი თუ იყო როდისმე? ყოველ შემთხვევაში, არცთუ ხმამაღლა შეჰკივლებს, რომ უჩქმიტოს კაცმა, მერედა, რა გან-განზე ადგამს ფეხებს... არა, მე ვნახე ერთი ქორწილი, ესე იგი დავესწარი მას. ჰმ! მოწყალეო ბატონებო და ქალბატონებო, ეს მოხდა ერთ კვირა საღამოს, შვეიცის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურში,

სადგურ კონგსბანკში, მაგრამ კარგად დაიხსომეთ, გეთაყვა, რომ ეს მოხდა კვირა საღამოს. ქალს დიდი თეთრი ხელები ჰქონდა, ბიჭს იუნკრის ახალი მუნდირი ეცვა და ისე ახალგაზრდა იყო, რომ ჯერ ულვაშებიც კი არ ამოსვლოდა. ერთად მოემგზავრებოდნენ გეტებორგიდან. ქალიც ნორჩი იყო, ორივენი სულ ბავშვებსა ჰგავდნენ. მე ვიჯექი, გაზეთს ვკითხულობდი და თან ორივეს ჩუმად ვათვალიერებდი. ჩემი ყოფნა ძალზე ავიწროებდა მათ და ერთობ უმწეოდ გამოიყურებოდნენ. ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ. ახალგაზრდა გოგონას თვალები ისეც სულ უციმციმებდა და არ შეეძლო ერთ ადგილას მშვიდად ჯდომა. უცებ ორთქლმავლის სასტვენის ხმა გაისმა და მატარებელი შეჩერდა სადგურ კუნგსბაკში. ბიჭმა გოგოს ხელი ხელზე წაავლო, ერთმანეთს მოეხვივნენ და, მატარებელი შეჩერდა თუ არა, სასწრაფოდ გაცვივდნენ ვაგონიდან. აი, გოგონამ სწრაფად მიირბინა კართან: `ქალებისათვის~. ბიჭიც ფეხდაფეხ მიჰყვა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ბიჭს შეეშალა და ისიც ქალთა საპირფარეშოში შევიდა. სასწრაფოდ ჩაიკეტნენ შიგნით. სწორედ ამ წუთს გაისმა ზარის ხმა და მთელ ქალაქში დაიწყო ზარების რეკვა, რადგან კვირა საღამო იყო. ისინი კი სხედან იქ ზარების ამ ხმამაღალ გუგუნში. გადის სამი, ოთხი, ხუთი წუთი. სად დაიკარგნენ აქამდე? ისინი ისევ იქ არიან, ზარები კი რეკავენ. ღმერთო ჩემო, ერთიც ვნახოთ და დააგვიანდეთ მატარებელზე! მაგრამ, აი, როგორც იქნა, კარი გაიღო და ბიჭმა გამოიხედა. თავშიშველა, მის უკან გოგო გამოჩნდა, მან ბიჭს ქუდი დაახურა, ბიჭმა თავი მიიბრუნა და გაუღიმა. შემდეგ ერთი ნახტომით გადმოევლო კიბეს, გოგონაც მას მოჰყვა, თან კი ტანსაცმელს ისწორებდა. შემოვიდნენ ვაგონში და კვლავ თავ-თავიანთ ალაგას მოკალათდნენ ისე, რომ ეს არავის შეუმჩნევია. მათ ხომ თვალს არავინ ადევნებდა, ჩემ გარდა. გოგოს მთლად თაფლისფერი თვალები ჰქონდა, როცა შემომხედა და გამიღიმა, პატარა მკერდი კი აუდიოდ-ჩაუდიოდა, სულ აუდიოდ-ჩაუდიოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ორივეს ჩაეძინა. ღრმა ძილს მიეცნენ, _ ასე საოცრად დაღლილიყვნენ.

როგორ მოგწონთ ეს ამბავი? მოწყალეო ბატონებო და ქალბატონებო, დავამთავრე ჩემი მოთხრობა. გვერდს ავუვლი იმ პატივცემულ მანდილოსანს, მამაკაცური საყელო, ანუ `ლურჯი წინდა~ რომ აქვს და ლორნეტით იმზირება. მე მივმართავ თქვენ შორის ორ-სამ მანდილოსანს, რომელნიც თავიანთ დღეებს საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არ ატარებენ. მომიტევეთ, თუ ვინმეს ვაწყენინე: პატიებას განსაკუთრებით ლორნეტიანსა და წინდებიან პატივცემულ მანდილოსანსა ვთხოვ. აი, ისიც ფეხზე დგება, ფეხზე დგება! ღმერთმანი, ან წასვლას აპირებს, ანაც ვიღაცის ციტირება უნდა მოახდინოს. თუკი ვინმეს ციტირება ნებავს, ალბათ, იმიტომ, რომ უარყოს ჩემი ნათქვამი. მაგრამ რაკი ჩემი ნათქვამის უარყოფა ნებავს, ასე დაიწყებს:

_ ჰმ! _ იტყვის იგი, _ ამ ვაჟბატონს ძალზე მამაკაცური, უხეში წარმოდგენა აქვს ცხოვრებაზე, მაგის მსგავსი არაფერი მომისმენია. მერედა, ეს ცხოვრება? აი, რას უწოდებს ის ცხოვრებას! ნუთუ ამ ვაჟბატონს სრულებით არ სმენია, რა თქვა ცხოვრებაზე მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა მოაზროვნემ? `ცხოვრება ტროლებთან ბრძოლაა ჩვენს გულსა და ტვინში~, ამბობს იგი...

დი-დე-ლი-დე-ია!

ცხოვრება, მართლაც რომ ტროლებთან ბრძოლაა გულსა და ტვინში. სწორია, მოწყალეო ბატონებო და ქალბატონებო, ნორვეგიელ პერს, ფოსტის მეეტლეს, ერთხელ დიდი პოეტი მიჰყავდა. გზაში გულუბრყვილო მეეტლემ პოეტს ჰკითხა: `თქვენი აზრით, რას ნიშნავს შექმნა?~ დიდმა პოეტმა ტუჩები გამობერა, როგორც კი შეეძლო, მკერდი წინ წამოსწია და თქვა: `შექმნა საკუთარი თავის განსჯაა~. ნორვეგიელი მეეტლე პერი კი თავით ფეხებამდე შეაძრწუნა ამ სიტყვებმა...

თერთმეტი საათია. ფეხსაცმელები, ეშმაკმა დალახვროს, სად დაიკარგა ჩემი ფეხსაცმელები? მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ბედკრულ ჩვევას, ბულდოგებს რომ ახასიათებს, _ ისინი ხომ ყველაფერზე ბეწვს იშლიან, იღრინებიან, თანაც იმ დროს, როცა არავის შეუძლია უჩხვლიტოს ვინმეს ან რაიმეს, თუნდაც ნარშავა იყოს ან ასკილი, მაჩვზღარბი ან როშორი.

ჩემთან მოდის ტანმაღალი, ფერმკრთალი, მთლად შავით შემოსილი მანდილოსანი, ალისფერ ბაგეებზე მომხიბვლელი ღიმილი რომ გადაჰკვრია. მას ჩემთვის სიკეთე სურს, სახელოზე ხელს მკიდებს და მაჩერებს: _ თუ შეძლებთ ისეთი გონებრივი მღელვარება გამოიწვიოთ, როგორიც ვიქტორ ჰიუგომ გამოიწვია, _ მითხრა მან, _ აი, მაშინ გაქვთ უფლება თქვენი აზრის გამოთქმისა, _ ასე თქვა მან.

_ ხა-ხა-ხა, _ მივუგე მე, _ თანაც ამას მე მეუბნებით. მე ხომ არც ერთ პოეტს არ ვიცნობ და არც როდისმე მისაუბრია რომელიმე მათგანთან. მე ხომ აგრონომი გახლავართ და პატარაობიდანვე მხოლოდ ის ვიცოდი, რა არის გუანო და ხორბალი, და არ შემიძლია ორიოდე სიტყვა შევთხზა საწვიმარ ქოლგაზეც კი, რომ არაფერი ვთქვათ სიკვდილზე, სიცოცხლესა და მარადიულ სასუფეველზე!

_ მაშინ ვინმე სხვა დიდი ადამიანი ავიღოთ, _ თქვა მან, _ თქვენ აქ თავი მოგაქვთ, მედიდურობთ და ტალახით სვრით ყველა დიდ ადამიანს. მაგრამ დიდი ადამიანები მაინც დიდ ადამიანებად დარჩებიან და ნახავთ, რომ ისინი სულ დიდი ადამიანები იქნებიან მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე.

_ ქალბატონო, _ მივუგე მე და მოწიწებით დავუკარი თავი, _ ქალბატონო, ღმერთო დიდებულო, განათლების რა დაბალი დონე, რა გონებრივი უმწეობაა თქვენს სიტყვებში! მაინც მომიტევეთ, ასე გულახდილად რომ გესაუბრებით, მაგრამ თქვენ ქალი კი არა, მამაკაცი რომ ბრძანდებოდეთ, რაზეც გნებავთ დავიფიცებ, რომ მემარცხენე პარტიის მომხრე ხართ. სულაც არ ვფიქრობ ტალახით შევსვარო ყველა დიდი ადამიანი, მაგრამ ადამიანის სიდიდეს მე იმით კი არა ვზომავ, თუ რამხელა მღელვარება გამოიწვია, მასზე ვმსჯელობ წმინდა სუბიექტურად, ჩემი პატარა ტვინისა და კრიტიკული უნარის შემწეობით. დიდ ადამიანზე მე ვმსჯელობ, ასე ვთქვათ, იმ გემოს მიხედვით, რომელიც პირში მრჩება მისი მოღვაწეობის შემდეგ. ეს კი სულაც არაა მედიდურობა, არამედ ჩემი სისხლისა და ხორცის სუბიექტური ლოგიკის შედეგია. მთავარი, უპირველეს ყოვლისა, ის კი არაა, რომ მოძრაობა, მღელვარება, გამოიწვიოთ და ჰეივოგთა თემის მთავარ ქალაქად კინგოს ნაცვლად ლილესანი გამოაცხადო. საქმე ის კი არაა, რომ ააჩოჩქოლო ერთი მუჭა ვექილები, მასწავლებლები, ჟურნალისტები თუ გალილეის მეთევზეები ანდა ნაპოლეონ მეცხრეზე ბროშურა გამოსცე. არა, საქმე ისაა, რომ გავლენა მოახდინო და აღზარდო ხელისუფალნი, რჩეული და მაღლა მდგომი ადამიანები, კაცობრიობის მბრძანებელნი, ძლიერნი ამა სოფლისანი, კაიაფები, პილატეები და კეისრები. რას მივაღწევ, რომ როგორმე გამოვიწვიო ბრძოლის მღელვარება, თუ ბოლოს და ბოლოს ჯვარს ვეცმები? შეიძლება შეარიგო ისე მრავალრიცხოვანი ბრბო, რომ ფრჩხილებით მოიპოვოს მცირეოდენი ნაჭერი ძალაუფლებისა. ბრბოს შეიძლება დიდი დანა მიაჩეჩო ხელში და აიძულო, ჩხვლიტოს ამ დანით, ჭრას და ჩეხოს; შეიძლება ეს ბრბო ისეც გამოასულელო, რომ ხმის უმრავლესობაც კი მოიპოვოს არჩევნებში, მაგრამ გამარჯვების მოპოვება, მოპოვება მთავარი სულიერი საგანძურისა, გინდაც ერთი მტკაველით პროგრესის გზაზე ქვეყნის წინ წაწევა, _ არა, ეს შეუძლებელია, ბრბო ამას ვერ გააკეთებს. დიდი ადამიანები მშვენიერი სასაუბრო თემაა, მაგრამ ბრბოზე მაღლა მდგარი ადამიანები, მბრძანებლები, მსოფლიო გენიოსები კიდევ ერთხელ უნდა ჩაუფიქრდნენ იმას, თუ ვინ არიან ის ადამიანები, რომელთაც `დიდებს~ უწოდებენ. ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდება, რომ დიდი ადამიანები დგანან ბრბოსა და უმაქნისი უმრავლესობის, ვექილების, მასწავლებლების, ჟურნალისტებისა და ბრაზილიის იმპერატორის უკან თაყვანისმცემელთა სახით.
_ მაშ ეგრეა? _ ირონიულად წამოიძახა მანდილოსანმა... თავმჯდომარემ მაგიდაზე დააკაკუნა და სთხოვა, დაწყნარებულიყო, მაგრამ ქალბატონი შეუპოვრად იცავდა თავის აზრს, _ რაკი თავს არ ესხმით ყველა დიდ ადამიანს, მაშინ დამისახელეთ თუნდაც ერთი ვინმე, რომელიც თქვენს შეწყნარებას იმსახურებს. საინტერესო იქნებოდა ეს მოგვესმინა.
_ სიამოვნებით დაგისახელებდით, _ მივუგე მე, _ მაგრამ საქმე ისაა, რომ თქვენ ძალზე მოწადინებული ბრძანდებით სიტყვაზე დამიჭიროთ. მე რომ დაგისახელოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ადამიანი, თქვენ დაასკვნით, რომ მათ გარდა მე არავის ვცნობ. თანაც, ეს რატომ უნდა ვქნა? რომ წარმოგიდგინოთ არჩევანი ლევ ტოლსტოის, იესო ქრისტესა და ემანუილ კანტს შორის, თქვენ მაინც ცოტა ჩაფიქრდებით, ვიდრე, უწინარეს ყოვლისა, ერთ-ერთ მათგანზე შეჩერდებით. თქვენ, მაგალითად, იტყვით, რომ ესენი ყველანი დიდი ადამიანები არიან თავ-თავიანთ სფეროში და მთელი ლიბერალური და მოწინავე პრესა მხარს დაგიჭერთ...
_ მაგრამ, თქვენი აზრით, ვინ არის მაინც მათ შორის ყველაზე დიდი? _ შემაწყვეტინა მან.
_ ჩემი აზრით, ქალბატონო, სწორედ ის დიდი ადამიანი მაინც არა, ვინც ყველაზე მეტ მოძრაობას იწვევს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ადამიანები ყველაზე მეტს ხმაურობენ. არა, შინაგანი ხმა მარწმუნებს, რომ ყველაზე დიდი ისაა, ვინც ეს ქვეყანა ადამიანით, თავისი ყველაზე მეტად საჭირო და ჭეშმარიტი საუნჯით გაამდიდრა. დიდი ტერორისტი ყველაზე დიდია, ის გაუგონარი ბერკეტია, რომელიც ქვეყანას ამოძრავებს.
_ მაგრამ მათ შორის, ვინც თქვენ დაასახელეთ, ცხადია, ქრისტე...
_ დიახ, დიახ, ცხადია, ქრისტე, _ ვუპასუხე მაშინვე, _ თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, და დიდად მოხარული ვარ, რომ ამ საკითხში თქვენს აზრს ვიზიარებ... არა, საერთოდ, მე ძალზე ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ მოძრაობის გამომწვევ უნარსა და ქადაგების ნიჭს, ამ წმინდა გარეგნულ უნარს სიტყვის ძებნა სულაც არ სჭირდება. რა არის მოქალაქე, პროფესიული მოქალაქე? ეს არის ადამიანი, რომელსაც შუამავლის სახით მხოლოდ ზიანი მოაქვს, ის საქონლის გამსაღებელი აგენტია, რაც მეტ საქონელს გაყიდის, მით უფრო დიდი სახელით სარგებლობს. ჰა-ჰა-ჰა, რაც უფრო მეტს იყვირებს თავის საქონელზე, მით უფრო განადიდებს საქმეს. მაგრამ რა აზრი აქვს, ავუხსნა ჩემს კეთილ მეზობელ ულა ნურისტუენს ფაუსტის შეხედულება ცხოვრებაზე? შეცვლის თუ არა ეს მომავალი თაობის აზრთა მსვლელობას?
_ მაგრამ რა ეშველება ულა ნურისტუენს, თუ არავინ...
_ ჯანაბამდე გზა ჰქონია ულა ნურისტუენს, _ შევაწყვეტინე მე, _ მას ამქვეყნად არაფერი ესაქმება, მხოლოდ სიკვდილს უნდა ელოდოს ან, უფრო სწორად, ეცადოს, რაც შეიძლება ჩქარა აიბარგოს

აქედან. ულა ნურისტუენმა მიწა უნდა გაანოყიეროს. ეს ერთ-ერთი ჯარისკაცია, რომელსაც ნაპოლეონი თავისი ცხენის ფლოქვებითა ქელავს, აი ვინ არის ულა ნურისტუენი, _ თუ გსურს იცოდეთ! ულა ნურისტუენი, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი, თუ მართალს არ ვამბობდე, არც შედეგია, რაც უნდა იყოს ის. ის მძიმეც კი არაა დიდ წიგნში, არამედ ქაღალდზე დარჩენილი მელნის უმნიშვნელო ლაქაა. აი, ვინ არის ულა ნურისტუენი!..
_ წყნარად, ღვთის გულისათვის, დამშვიდდით! _ მითხრა ნამდვილად შეშინებულმა ქალბატონმა და საგონებელში ჩავარდნილმა შეხედა თავმჯდომარეს, გარეთ ხომ არ გამიძახებდა.
_ კარგი, _ მივუგე, _ კარგი, ერთ სიტყვასაც აღარ გეტყვით, _ მაგრამ სწორედ ამ წუთს ჩემი მზერა მის მომხიბლავ პირსახეზე შეჩერდა და ისევ განვაგრძე, _ მომიტევეთ, ქალბატონო, რომ ასე დიდხანს დაგაყოვნეთ ჩემი ლაქლაქით. ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისათვის. თქვენ საოცრად ლამაზი სახე გაქვთ, როცა იღიმებით, მშვიდობით.
მაგრამ ქალბატონს სახეზე წითელმა ფერმა გადაჰკრა და მაშინვე სახლში მიმიწვია. დიახ, დიახ, სახლში, სადაც თვითონ ცხოვრობს. ხა-ხა-ხა-ხა, ის ცხოვრობს ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ ნომერში. დიდი სურვილი აქვს ერთხელ კიდევ მეზაასოს ყველაფერ ამაზე; იგი არ მეთანხმება და სურს მედავოს ბევრ რამეზე. თუ ხვალ საღამოს მივალ, სრულიად მარტო დამიხვდება. მაშ მივალ თუ არა ხვალ საღამოს? გმადლობთ! ნახვამდის!
ბოლოს და ბოლოს, გამოირკვა, რომ მას სურდა ჩემთვის ჰადინგდალში შეკერილი, ეროვნული სურათით დამშვენებული ახალი აბრეშუმის საბანი ეჩვენებინა.
`დე-ია! უკვე მზემ მომანათა!~
ნაგელი საწოლიდან წამოხტა, შტორი ასწია და ფანჯრიდან გაიხედა. ნათელი მზე მოჰფენოდა მთელ მოედანს, მშვენიერი, წყნარი ამინდი იდგა. დარეკა. გადაწყვიტა, ესარგებლა სარას დაუდევრობით, ფეხსაცმელები თავის დროზე რომ არ მოუტანა და დღეს ცოტა ფამილარულად მოპყრობოდა. ვნახოთ, როგორია ეს სოფლელი გოგო, ვნებით რომ უბრწყინავს თვალები! ისე კი ყველაფერი ეს სისულელეა! სიტყვის უთქმელად წელზე შემოხვია ხელი.
_ მომცილდით! _ უთხრა სარამ და ხელი ჰკრა.
მაშინ ნაგელმა გულგრილად ჰკითხა:
_ აქამდე რატომ არ მომიტანეთ ფეხსაცმელები?
_ მაპატიეთ, გეთაყვა, _ მიუგო სარამ, _ მაგრამ დღეს სარეცხი გვაქვს, ისეც ძალზე ბევრი სამუშაოა ხოლმე.
ნაგელი თორმეტ საათამდე არსად წასულა. შემდეგ კი სასაფლაოსაკენ გაემართა, კარლსენის დაკრძალვას რომ დასწრებოდა. ჩვეულებისამებრ, მას ყვითელი კოსტიუმი ეცვა.
V
სასაფლაოზე ჯერ არავინ მოსულიყო. ნაგელი გათხრილ სამარესთან მივიდა და შიგ ჩაიხედა, იქ საფლავის ფსკერზე ორი თეთრი ყვავილი ეგდო. `ვინ ან რა მიზნით ჩაყარა აქ ეს ყვავილები? სადღაც მინახავს ეს თეთრი ყვავილი~, _ გაიფიქრა მან. უცებ გაახსენდა, რომ ჯერ წვერი არ გაეპარსა. საათზე დაიხედა, ერთ წუთს ჩაფიქრდა და სასწრაფოდ გასწია ისევ ქალაქისკენ. მოედანზე საოლქო სასამართლოს კანცელარიის რწმუნებული დაინახა, პირდაპირ მისკენ მოდიოდა. ნაგელიც ჯიქურად გაემართა მისკენ, შიგ თვალებში უმზერდა, მაგრამ ორივენი მიუსალმებლად, ხმაამოუღებლად გასცდნენ ერთმანეთს. ნაგელი სადალაქოში შევიდა. სწორედ ამ დროს გაისმა სამგლოვიარო მარშის ხმა.
ნაგელი არ ჩქარობდა, არც ვინმეს გამოლაპარაკებია, კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს დაუწყო სინჯვა, ყველა სურათს კარგა ხანს, დაკვირვებით ათვალიერებდა. ბოლოს მისმა რიგმაც მოაწია და სავარძელში ჩაჯდა.
წვერი რომ მოიპარსა და ქუჩაში გამოვიდა, ისევ საოლქო სასამართლოს კანცელარიის რწმუნებული დაინახა. რწმუნებული ისევ დაბრუნებულიყო და ახლა თითქოს ვიღაცას ელოდა. მარცხენა ხელში ჯოხი ეჭირა, მაგრამ, დაინახა თუ არა ნაგელი, ჯოხი მაშინვე მარჯვენაში გადაანაცვლა და ხელში თამაში დაუწყო. ორივენი ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ერთიმეორეს. `წეღან რომ შევხვდი, ჯოხი არ ჰქონია, _ გაიფიქრა ნაგელმა, _ ახალი არ ჩანს, არ უყიდია, ალბათ, გამოართვა ვინმეს. ეს კვერთხი ესპანური ლერწმისაა~.
ერთმანეთს რომ გაუპირისპირდნენ, რწმუნებული შეჩერდა. ნაგელიც უეცრად შედგა. თითქმის ერთდროულად შეყოვნდნენ ორივენი. შემდეგ ნაგელმა ხავერდის ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა, თითქოს თავის მოფხანა სურდა, შემდეგ კი ისევ გაისწორა. რწმუნებულმაც ჯოხი ქვაფენილის ქვებს ძლიერ ჩაარტყა და მას დაეყრდნო. ასე ხმაამოუღებლად იდგა რამდენიმე წამს, შემდეგ კი უცებ წელში გასწორდა, ზურგი შეაქცია ნაგელს და თავის გზაზე გასწია. ერთი წუთის მერე ნაგელმა დაინახა, მისი ზურგი როგორ გაუჩინარდა სადალაქოს ქუჩის კუთხეში.

ეს მუნჯი სცენა რამდენიმე კაცის თანდასწრებით გათამაშდა. ჩვენ შორის რომ დარჩეს, ის დაინახა მხოლოდ ერთმა კაცმა, ლატარიის ბილეთებს რომ ყიდდა. ცოტა მოშორებით იჯდა თაბაშირის ნაწარმით მოვაჭრე და ისიც თვალს ადევნებდა ამ საოცარ სცენას. ნაგელმა ამ გამყიდველში იცნო კაფეში ბრძანებული ერთ-ერთი სტუმარი, რომელიც ამას წინათ რწმუნებულთან მისი შეჯახების მოწმე გახლდათ. ეს ის იყო, ნაგელს რომ მხარი დაუჭირა სასტუმროს პატრონთან საუბარში.
როცა ნაგელი მეორეჯერ მივიდა სასაფლაოზე, მღვდელი უკვე მიცვალებულს პანაშვიდს უხდიდა. სასაფლაო ხალხით შავად იყო დაფარული. ნაგელმა საფლავამდე ვერ მიაღწია და ჩამოჯდა ახალ დიდ მარმარილოს ფილაზე, რომელსაც შემდეგი ეწერა: `ვილჰელმინა მეეკი. დაიბადა 1873 წლის 20 მაისს. გარდაიცვალა 1891 წლის 16 თებერვალს~. მეტი არაფერი ეწერა. ფილა სულ ახალი იყო და ახალი მწვანე ბელტებით შემოფენილი. ნაგელმა ერთ პატარა ბიჭს თავისთან მოუხმო.
_ ხედავ იმ კაცს, მიხაკისფერი სერთუკი რომ აცვია? _ ჰკითხა მან.
_ დიახ, ხელში ქუდი რომ უჭირავს?
_ წადი და სთხოვე, აქ მოვიდეს.
ბიჭი წავიდა.
მინუტი რომ მოვიდა, ნაგელი წამოდგა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:
_ გამარჯობა, ჩემო მეგობარო. დიდად მოხარული ვარ, რომ ისევ გნახეთ. სერთუკი თუ მიიღეთ?
_ სერთუკი? არა, ჯერ არა. მაგრამ, ალბათ, მივიღებ, _ მიუგო მინუტმა, _ ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ გუშინდელი საღამოს გამო. გმადლობთ ყველაფრისათვის. დიახ, დიახ, დღეს კარლსენს ვკრძალავთ! ოჰ, ღმერთო ჩემი, ამას უნდა შეურიგდეს კაცი?
ორივენი მარმარილოს ახალ ფილაზე ჩამოსხდნენ და გააბეს საუბარი. ნაგელმა ჯიბიდან ფანქარი ამოიღო და ფილაზე რაღაცის წერა დაიწყო.
_ ვინ არის აქ დაკრძალული? _ იკითხა მან.
_ ვილჰელმინა მეეკი. სხვათა შორის, ჩვენ მხოლოდ მინა მეეკს ვეძახდით, შემოკლების გულისათვის. ჯერ კიდევ მთლად ბავშვი იყო: მე მგონი, ჯერ ოცი წლისაც არ იყო.
_ არა, თვრამეტისაც კი არ შესრულებულა, ამ წარწერას თუ დავუჯერებთ. ესეც კარგი ადამიანი იყო?
_ რა უცნაურ კითხვას იძლევით?
_ მე თქვეი მშვენიერი უნარი შეგნიშნეთ ყველა ადამიანზე სწორად მსჯელობისა.
_ მინა მეეკი რომ გცნობოდათ, მაშინ სავსებით დამეთანხმებოდით, _ ეს მტკიცედ მჯერა. საოცრად კეთილი იყო. თუ ღმერთს ანგელოზები ჰყავს, ის ახალი ანგელოზი იქნება.
_ დანიშნული იყო?
_ დანიშნული? არა, არაფერი მაგის მსგავსი არა ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მე ეგ არ გამიგია. რა თქმა უნდა, დანიშნული არ იყო. გამუდმებით ლოცულობდა და ხშირად ხმამაღლა ებაასებოდა ღმერთს ქუჩაშიც კი, მისი ხმამაღალი ლოცვა ყველას ესმოდა. ადამიანები ჩერდებოდნენ და უსმენდნენ. ყველას უყვარდა მინა მეეკეი.
ნაგელმა ფანქარი ჯიბეში ჩაიდო. ფილაზე რაღაც ლექსი დაწერა. შავი სტრიქონები ულამაზოდ გამოიყურებოდა თეთრ მარმარილოზე.
მინუტმა თქვა:
_ თქვენით დიდად დაინტერესებული არიან. მე იქ ვიყავი და პანაშვიდს დავესწარი, მაგრამ შევნიშნე, რომ გასვენებაზე მოსულთა უმრავლესობა თქვენზე ლაპარაკობდა.
_ ჩემზე?
_ დიახ. ერთმანეთს ჩურჩულით ეკითხებოდნენ, ვინ ბრძანდებით. აი, დგანან და აქეთ იცქირებიან.
_ ვინ არის ის ქალი, შლაპაზე შავი ფრთა რომ აქვს დამაგრებული?
_ ის, თეთრ ხელში რომ ქოლგა უჭირავს? ეგ ფრედრიკა ანდერსენია, ფრეკენ ფრედრიკა, რომელზეც მე გელაპარაკეთ უკვე. ის კი, მის გვერდით რომ დგას და პირდაპირ აქეთ იცქირება, პოლიცმაისტერის ქალიშვილია. მას ფრეკენ ულსენს ეძახიან, ჰუდრუნ ულსენს. მე ხომ მათ ყველას ვიცნობ. დაგნი ჰელანიც აქვეა. შავი სამოსელი აცვია, ის ყველა სხვა ტანსაცმელზე მეტად უხდება; ხედავთ? სხვათა შორის, დღეს ყველა შავითაა შემოსილი, ეს ასეც უნდა იყოს, მე კი აქ ვზივარ და სისულელეებს ვროშავ. ხედავთ იმ ბატონს, ლურჯი საგაზაფხულო პალტო რომ აცვია და სათვალე უკეთია? ეგ ექიმი სტენერსენია. იგი მაზრის ექიმი როდია, მხოლოდ კერძო პრაქტიკას ეწევა და შარშან შეირთო ცოლი. მისი მეუღლეც იქვე დგას, ცოტა მოშორებით. არ ვიცი, ხედავთ თუ არა პატარა შავგვრემან ქალბატონს, პალტო აბრეშუმით რომ აქვს გაწყობილი? დიახ, ეს მისი ცოლია. ცოტათი ავადმყოფობს და ყოველთვის თბილად იცვამს. აგერ, რწმუნებულიც მოდის...
ნაგელმა ჰკითხა:
_ არ შეგიძლიათ, მაჩვენოთ ფრეკენ ჰელანის საქმრო?

_ არა, მისი საქმრო ლეიტენანტი ჰანსენია. აქ არ არის, ნაოსნობაშია. ჰელანი დანიშნა თუ არა ამ რამდენიმე დღის წინ, მაშინვე გაემგზავრა.
მცირე ხნის დუმილის შემდეგ ნაგელმა ჰკითხა:
_ სამარის ფსკერზე ორი ყვავილი ეგდო, ორი თეთრი ყვავილი... ხომ არ იცით, საიდან გაჩნდა აქ?
_ როგორ გითხრათ? _ მიუგო მინუტმა, _ ესე იგი... თქვენ მეკითხებით? ეს შეკითხვაა? მართალი გითხრათ, მრცხვენია ამის თქმა... იქნებ სჯობდა, ეს ყვავილები კუბოს სახურავზე მიმემაგრებინა. შემეძლო მეთხოვა და ყვავილები ასე არ გადამეყარა.. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს რაღაც ორიოდე ყვავილს? საცა უნდა დამეწყო ისინი, სულერთია, ორზე მეტი ვერ გახდებოდა. ამიტომაც ავდექი დღეს სისხამ დილით, ოთხი საათი რომ დაიწყო, უფრო სწორად რომ ვთქვა, ღამით, და დავაწყვე ისინი სამარის ფსკერზე. მე თვითონაც სამარეში ჩავედი, დავაწყვე ისინი და სამარეში მდგარი ორჯერ ხმამაღლა გამოვეთხოვე. ამან ისე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ შემდეგ ტყეში გავწიე და იქ დავხეტიალობდი, მწუხარების გამო სახეზე ხელებაფარებული. რარიგ უცნაურია ვინმესთან სამუდამოდ გამოთხოვება: თუმცა იენს კარლსენი ჩემზე ყველაფრით მაღლა იდგა, მაგრამ ის მაინც ჩემი კარგი მეგობარი იყო.
_ მაშ, ის ყვავილები თქვენ მოიტანეთ?
_ დიახ, მე, მაგრამ ეს იმისთვის კი არ გავაკეთე, რომ შემდეგ თავი მექო, ღმერთია მოწამე! ან ღირს კი ლაპარაკი ასეთ უმნიშვნელო რამეზე? ყვავილები გუშინ საღამოს ვიყიდე, შინ რომ ვბრუნდებოდი. ბიძაჩემმა პირადი ხარჯებისთვის მომცა ნახევარი კრონი, თქვენ მიერ ბოძებული ფული რომ მივუტანე. ისე გაუხარდა, რომ კინაღამ გადაირია. ის თქვენთან მოვა მადლობის სათქმელად; დიახ, დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ მოვა. ჰოდა, როცა მივიღე ნახევარი კრონი, მაშინვე გამახსენდა, რომ დაკრძალვის დღისთვის ყვავილები არ მქონდა ნაყიდი და გავწიე სანაპიროზე...
_ გასწიეთ სანაპიროზე?
_ დიახ, ერთ მანდილოსანთან, რომელიც იქ ცხოვრობს.
_ ერთსართულიან სახლში?
_ დიახ.
_ იმ მანდილოსანს ჭაღარა თმა აქვს, არა?
_ დიახ, სულ ჭაღარა. თქვენ გინახავთ? გემის კაპიტნის ქალიშვილია, მაგრამ ძალზე ღარიბი. ჯერ არ უნდოდა ის ნახევარი კრონი აეღო, რომელსაც მე ვაძლევდი, მაგრამ ფული მაგიდაზე დავუდე, თუმცა რამდენჯერმე უარი მითხრა. ისე მორიდებულია, რომ ხშირად იტანჯება ამის გამო.
_ რა ჰქვია?
_ მართა ჰუდე.
_ მართა ჰუდე?
ნაგელმა ამოიღო უბის წიგნაკი, ჩაიწერა სახელი და თვქა:
_ გათხოვილი იყო? ქვრივია?
_ არა. დიდხანს მოგზაურობდა მამასთან ერთად, როცა ის კაპიტანი იყო, მაგრამ მისი სიკვდილის მერე სულ აქ ცხოვრობს.
_ ნათესავები არავინ ჰყავს?
_ მართალი გითხრათ, არ ვიცი. მგონი, არ ჰყავს.
_ რით ცხოვრობს?
_ ღმერთმა უწყის, რით. ეს არავინ იცის. თუმცა ის ცოტაოდენ ფულს, ალბათ, ღარიბთა დამხმარე საზოგადოებისგან იღებს.
_ მაშ წახვედით ამ მანდილოსანთან, მართა ჰუდესთან? როგორ აქვს ბინა მოწყობილი?
_ რა შეიძლება ითქვას ძველ, საცოდავ ოთახზე? იქ დგას ერთი საწოლი, მაგიდა და ორი სკამი. ახლა მახსენდება, რომ იქ სამი სკამია, რადგან ერთი კუთხეში, საწოლთან დგას. კაცმა რომ თქვას, ეს წითელ პლუშგადაკრული სავარძელია, მაგრამ ისეთი ძველი და მონჯღრეული, რომ მხოლოდ კედელთან შეიძლება მისი მიდგმა. ამის მეტი, მგონი, არაფერია.
_ ნუთუ მართლა მეტი არაფერი აქვს? არც კედლის საათი აქვს, არც რაიმე სურათი ან სხვა რამ ამის მსგავსი?
_ არა. რატომ მეკითხებით?
_ მაშ, ის სავარძელი, რომლის მიდგმა მხოლოდ კედელთან შეიძლება და წითელი პლუში აქვს გადაკრული, როგორია შესახედავად? ძალზე ძველია? არ შეიძლება ზედ დაჯდომა? მაღალზურგიანი სავარძელია?
_ დიახ, მაღალზურგიანია, თუმცა კარგად არც მახსოვს.
საფლავთან გალობა გაისმა. უკვე ამთავრებდნენ მიწით ამოვსებას. გალობის ხმა რომ მიწყდა, ერთი წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა. გამცილებელთა

უმეტესობა სასაფლაოს დიდი ჭიშკრისაკენ გაემართა, მაგრამ ზოგიერთნი ჩერდებოდნენ და ერთმანეთს ებაასებოდნენ. მამაკაცებისა და მანდილოსნების ერთი ჯგუფი იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც მინუტი და ნაგელი ისხდნენ. ესენი სულ ახალგაზრდები იყვნენ, მანდილოსნები გაკვირვებულნი ათვალიერებდნენ ორივე მამაკაცს. დაგნი ჰელანი მთლად ატკრეცილი იყო, მაგრამ არც მარჯვნივ გაუხედავს და არც მარცხნივ, სულ პირდაპირ იცქირებოდა. რწმუნებულსაც თავი არ აუწევია, ჩუმად ესაუბრებოდა ერთ-ერთ მანდილოსანს.
იმ დროს, როცა ყველამ ძალზე ახლოს გაუარა, ექიმი სტენერსენი, რომელიც მათ შორის მოდიოდა, უეცრად შეჩერდა და მინუტს ანიშნა. მინუტი მაშინვე წამოდგა ფეხზე. ნაგელი კი ისევ ფილაზე ჯდომას განაგრძობდა.
_ არ შეგიძლიათ, სთხოვოთ ბატონ... _ მოესმა მას ექიმის სიტყვები, მაგრამ მეტი ვერაფერი გაარჩია. ცოტა ხნის მერე საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქვეს მისი სახელი. მაშინ ნაგელიც წამოდგა. ქუდი მოიხადა და ექიმმა მოიბოდიშა, ერთი მანდილოსნის უსიამოვნო დავალება მაქვს გადმოსაცემიო; ეს მანდილოსანი, ახლა ჩემ გვერდით რომ მოდიოდაო, ფრეკენ მეეკი, სთხოვს ბატონს, მარმარილოსფილიან საფლავის ქვას ცოტა ფრთხილად მოექცეს და არ დაჯდეს მასზე. ფილა ახალია, ახლახან დაადეს, ფუნდამენტიც ჯერ სულ ახალია, რბილი ბელტის მიწაა და სამარის ქვა შეიძლება უეცრად დაჯდესო. ამიტომ გთხოვთ განსვენებულის და.
ნაგელმა რამდენჯერმე მოიბოდიშა, ჩემი მხრიდან ეს დაბნეულობა, დაუდევრობაა და სავსებით გასაგებია ფრეკენის შეშფოთება სამარის ქვის გამოო. მან ექიმსაც დიდი მადლობა გადაუხადა.
ამ საუბრის დროს ისინი ნელ-ნელა მისეირნობდნენ. როცა ჭიშკარს მიაღწიეს, მინუტი გამოეთხოვა და ექიმი და ნაგელი მარტონი დარჩნენ.
ექიმმა ჰკითხა:
_ ალბათ, ფიქრობთ რამდენიმე ხანს აქ დაჰყოთ, არა?
_ დიახ, _ მიუგო ნაგელმა, _ კარგი ჩვეულება არ უნდა დაივიწყოს კაცმა, ზაფხული გაატაროს სოფლად, დაისვენოს და ძალ-ღონე მოიკრიბოს ზამთრისათვის, რომ შემდეგ ისევ შეუდგეს... მერედა, რა დიდებული ქალაქი გაქვთ.
_ სადაური ბძანდებით? გულდასმით ვაკვირდები თქვენი საუბრის კილოს.
_ ფაინმარკენელი გახლავართ, კვენი. სხვადასხვა ადგილას მიცხოვრია, ხან აქ, ხან იქ.
_ ახლა საზღვარგარეთიდან ჩამობრძანდით?
_ დიახ, პირდაპირ ჰელსინგფორსიდან.
ჯერ უბრალო ამბებზე საუბრობდნენ, მაგრამ მალე სხვა საკითხებზეც გადავიდნენ, ისაუბრეს არჩევნებზე, რუსეთის მოუსავლიანობაზე, ლიტერატურასა და განსაკუთრებით კარლსენზე.
_ როგორ ფიქრობთ, თქვენ დღეს თვითმკვლელი დაკრძალეთ? _ ჰკითხა ნაგელმა.
ექიმმა ვერაფერი უთხრა, ან იქნებ არც ისურვა ეთქვა რაიმე. ეს მე არ მეხება და არც მინდა გავერიო ამგვარ საქმეებში. რაღას არა ყბედობენ. სხვათა შორის, რატომ არ შეიძლება იყოს ეს ახალგაზრდა თვითმკვლელი? ყველა თეოლოგმა თავი უნდა მოიკლასო.
_ რატომ მაინცდამაინც თეოლოგებმა?
_ იმიტომ, რომ მათი როლი დამთავრდა, იმიტომ, რომ ჩვენმა საუკუნემ ისინი ზედმეტებად აქცია. ადამიანებმა დამოუკიდებლად დაიწყეს ფიქრი და რელიგიური გრძნობა გაუქარწყლდათ.
`მემარცხენეა!~ _ გაიფიქრა ნაგელმა. მას არ შეეძლო გაეგო, რა სარგებლობას მოუტანდა ადამიანს, თუ მას ყველა სიმბოლოს, მთელ პოეზიას წაართმევდნენ. სხვათა შორის, ისიც საკითხავია, ზედმეტები არიან თუ არა თეოლოგები ჩვენს საუკუნეში, მით უფრო, რომ რელიგიური გრძნობა სულაც არ მცირდება.
_ რა თქმა უნდა, ხალხის ქვედა ფენებში, თუმც იქაც სულ უფრო და უფრო... მაგრამ განათლებულ ადამიანებს ეს გრძნობა უეჭველად უსუსტდება. თუმცა ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, _ უკმეხად შეწყვიტა ექიმმა, _ ჩვენ ფრიად განსხვავებულ თვალსაზრისზე ვდგავართ.
ექიმი თავისუფლად მოაზროვნე იყო, მას ისე ხშირად მოუსმენია ამგვარი შედავება, რომ მათი სათვალავიც კი აერია. მაგრამ ამან განა შეცვალა მისი აზრები? ოცი წლის განმავლობაში სულ ამ თვალსაზრისზე იდგა. როგორც ექიმმა მან უამრავჯერ ნახა, როგორ ტოვებს ადამიანებს `სული~. არა, ცრურწმენას ის დიდი ხანია, მოერია...
_ რას ფიქრობთ არჩევნებზე? _ ნაგელმა გაუღიმა, _ მე ყველაფერ საუკეთესოს ველი.
_ მეც, _ თქვა ექიმმა, _ სირცხვილიც კი იქნება, სამინისტრომ ხმების უმრავლესობა ვერ მიიღოს ასეთი უდავო დემოკრატიული პროგრამის გამო.
ექიმი მემარცხენე იყო და რადიკალიც და რაც აზროვნება დაიწყო, სულ ამ თვალსაზრისზე იდგა. იგი დიდად შიშობდა ბუსკერუდის გამო. სმოლენზე* მთლად უარი განაცხადა. საქმე ის არის, რომ ჩვენ, მემარცხენეებს, ძალზე მცირე სახსრები გაგვაჩნიაო.

_ თქვენ და სხვა ადამიანებმა, რომელთაც ქონება გაქვთ, მხარი უნდა დაგვიჭიროთ. საქმე ხომ მთელი ქვეყნის მომავალს შეეხება.
_ მე? ქონებიანი? _ ჰკითხა ნაგელმა, _ ვაი, რომ ცუდადაა ჩემი ქონების საქმე.
_ შეიძლება მილიონერი არ ბრძანდებით, მაგრამ მაინც... ვიღაცა ამბობდა, რომ ნამდვილად მდიდარი ხართ, სამოცდაორი ათას კრონად ღირებული ადგილ-მამულის პატრონი.
_ ხა-ხა-ხა! აი, ესეც თავშესაქცევი ამბავი. მთელი თავი და ბოლო ამ საქმისა ისაა, რომ ამ დღეებში უმნიშვნელო მემკვიდრეობა, სულ რამდენიმე ათასი კრონი, მივიღე დედის სიკვდილის შემდეგ. აი, ესაა ყველაფერი. არავითარი ადგილ-მამული მე არ გამაჩნია. ეს რაღაც მისტიფიკაციაა.
ექიმის სახლს მიაღწიეს, ყვითლად შეღებილ ორსართულიან ვერანდიან სახლს. ბევრ ადგილას საღებავი გადაცლილი ჰქონდა, სახურავი ნაპირებზე ნაფლეთ-ნაფლეთად ეკიდა. ზემო სართულის ერთ ფანჯარას მინები აკლდა, ფარდებიც არცთუ ისე სუფთა იყო. სახლის უწესრიგო გარეგნობამ ნაგელზე ცუდად იმოქმედა და მაშინვე წასვლა დააპირა, მაგრამ ექიმმა უთხრა:
_ ხომ არ შემობრძანდებით ჩვენთან? არა? იმედია, ერთმანეთს კიდევ ვნახავთ როგორმე. დიდად გვასიამოვნებთ როგორც ჩემს ცოლს, ისე მე. არ გსურთ ახლა შემობრძანდეთ და გაიცნოთ იგი?
_ თქვენი მეუღლეც ხომ სასაფლაოზე ბრძანდებოდა. შეიძლება ჯერ კიდევ მოსვლაც ვერ მოასწრო.
_ სავსებით მართალი ბრძანდებით. იგი სხვებთან ერთად მოდის. მაშ, სხვა დროს შემოგვიარეთ როდისმე, აქეთ რომ გამოივლით.
ნაგელი კვლავ სასტუმროსაკენ გაემართა. ის-ის იყო კარი უნდა შეეღო, რომ რაღაც გაახსენდა. თითები გაატკაცუნა, ნაზად გაიღიმა და თქვა:
_ ერთი უნდა ვნახო, დატოვეს თუ არა ჩემი დაწერილი ლექსი?
ისევ სასაფლაოზე მივიდა და მინა მეეკის სამარის ქვასთან შეჩერდა. არსად კაცის ჭაჭანება არ იყო, მაგრამ ლექსიც წაეშალათ. ვინ ქნა ეს? ლექსის არავითარი კვალი, ერთი ასოც კი არ იყო დარჩენილი.

VI

მეორე დილას ნაგელი მშვენიერ გუნებაზე ადგა. ასეთ გუნებაზე ჯერ კიდევ საწოლში დადგა. თითქოს სულ მაღლა, მაღლა იწევდა სახლის ჭერი და ბოლოს უსაზღვრო ლურჯ ცის თაღად იქცა. ამ დროს ნაგელმა იგრძნო, რომ თითქოს ის ამწვანებულ მდელოზე იწვა და ნაზი, საამო ნიავი ელამუნებოდა. ოთახში ბუზების ბზუილი გაისმოდა. ზაფხულის თბილი დილა იყო.
სწრაფად ჩაიცვა, არ უსაუზმია, ისე გამოვიდა სასტუმროდან და დაიწყო ქალაქში ხეტიალი. თერთმეტი საათი სრულდებოდა.
ყოველი სახლიდან უკვე როიალის ხმა მოისმოდა. ყოველ უბანში გაღებული ფანჯრებიდან მრავალფეროვანი მელოდიები იჭრებოდა, შორს კი, ქუჩაში, რომელიღაც ავი ძაღლი გაბმული ყეფით ხმამაღალ ბანს აძლევდა ამ ბგერებს. ნაგელის გულში სიხარული და სინათლე ჩაიღვარა და თვითონაც რომელიღაც სიმღერა წამოიწყო, გზაში კი ერთ ბერიკაცს რომ ჩაუარა, რომელიც მიესალმა, ამ შემთხვევით ისარგებლა და ხელში მონეტა ჩაუდო.
დიდ, თეთრ სახლს მიაღწია. მეორე სართულზე ფანჯარა გაიღო, თეთრმა ნაზმა ხელმა კავი გადმოჰკიდა. ფარდა ისევ ირხეოდა, ხელი ისევ წავლებული ჰქონდათ კავზე და ნაგელი მიხვდა, რომ ფარდის უკნიდან ვიღაც უთვალთვალებდა. შეჩერდა და მაღლა დაიწყო ცქერა. ერთ წუთზე მეტ ხანს იდგა ფეხმოუცვლელად, მაგრამ არავინ გამოჩნდა. სახლზე მიკრულ ფირფიტას შეხედა: `ფ. მ. ანდერსენი, დანიის საკონსულო~.
ნაგელმა წასვლა დააპირა, მაგრამ როცა შემობრუნდა, ფრეკენ ფრედრიკამ ფანჯრიდან გამოყო თავისი მოგრძო, არისტოკრატიული სახე და გაოცებული თვალებით მიაჩერდა ნაგელს. ნაგელი ისევ შედგა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა და ქალიშვილის ღაწვებს ვარდისფერი შეეპარა. თითქოს აინუნშიც არავის აგდებსო, სახელოები ზემოთ აიწია და იდაყვებით ფანჯრის რაფას დაეყრდნო. ქალიშვილი დიდხანს იყო ასე გადმოყრდნობილი, ყველაფერი ძველებურად რჩებოდა, მაგრამ ნაგელმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამისთვის და წასულიყო. ამ დროს უცნაური კითხვა დაებადა თავში: ახალგაზრდა მანდილოსანი დაჩოქილი ხომ არ იყო ფანჯრის წინ? `თუ ასეა, _ გაიფიქრა მან, _ კონსულის ოთახები არც ისე მაღალჭერიანი ყოფილა, რადგან ფანჯარა ექვს ფუტზე ოდნავ მაღალი თუ იქნებოდა, ფანჯრის ზემო ნაწილიდან ჭერამდე კი ერთი ფუტიც არ იყო~. ნაგელს გაეცინა, ასე უბრალო რამეებზე რომ დაიწყო ფიქრი. რად აინტერესებდა კონსულის ბინა. ისევ გზას გაუდგა.
ნავმისადგომში მუშაობა დუღდა და გადმოდუღდა. ფუსფუსებდნენ საბაჟოში მომუშავე მტვირთავები და მეთევზეები, ერთ ადგილას რომ შეგროვილიყვნენ და ყოველი მათგანი საკუთარი საქმით იყო გართული. ჯალამბრები გუგუნებდნენ, ორი გემი თითქმის ერთდროულად იძლეოდა გამგზავრების ნიშანს. ზღვის ზედაპირი სარკესავით კრიალა იყო. მზე უკვე მაღლა იდგა, წყალი რომ ერთიან ოქროს მასად გადაექცია, რომელშიც მუცლით ჩაფლულიყვნენ გემები და ნავები. ერთი დიდი, მოშორებით

მდგარი, სამანძიანი გემიდან არღნის საცოდავი ხმა მოისმოდა და როცა გემის საყვირებისა და ჯალამბრების გუგუნი ერთი წუთით მიწყდა, ეს მწუხარე მელოდია მთრთოლარე, ქალიშვილის მიკნავებულ ხმას წააგავდა, რომელიც მთლად იკარგებოდა. სამანძიან გემზე კვლავ აღრიალებდნენ არღანს და პოლკას ცეკვაც კი დაიწყეს ამ მწუხარე სიმღერის ჰანგზე. ნაგელის მზერა ერთ ბავშვზე, ნავმისადგომის პირას მდგარ პატარა გოგონაზე შეჩერდა, კატა რომ ჩაეხუტებინა. კატა ისე ეკიდა, რომ მისი უკანა ფეხები თითქმის მიწას ეხებოდა, მაინც ითმენდა და არ იძვროდა, ნაგელმა გოგონას ლოყებზე ხელი მოუთათუნა და გამოელაპარაკა:
_ ეს შენი ფისუნიაა?
_ დიახ. ორი, ოთხი, ექვსი, შვიდი...
_ აჰ, თვლაც შეგიძლია თურმე!
_ დიახ. შვიდი, რვა, თერთმეტი, ორი, ოთხი, ექვსი, შვიდი...
ნაგელმა ისევ განაგრძო გზა. იმ მხრიდან, სადაც მღვდლის კარ-მიდამო იყო, ზეციისკენ შეიფრთხიალა მზის შუქით დამთვრალმა თეთრმა მტრედმა და ხის კენწეროებს იქით გაუჩინარდა. მან ჰაერში ბრწყინვალე ვერცხლის ისარივით გაიელვა, შორს რომ ეცემა მიწაზე. სადღაც გაისმა ნაზი, თითქმის უხმო გასროლა და მალე ამის შედეგად ყურის მეორე მხარეს ოდნავ მოლურჯო ბოლის ღრუბელი დადგა.
როცა ნაგელმა უკანასკნელ ნავმისადგომს მიაღწია და რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა უკაცურ სანაპიროზე, ანგარიშგაუწევლად ავიდა მთაზე და ტყისაკენ გაემართა. მთელი ორი საათი მიდიოდა, უფრო ღრმად და ღრმად შედიოდა ტყეში და ბოლოს ერთ ვიწრო ბილიკზე შეჩერდა. ირგვლივ სრული დუმილი იდგა, ერთ ფრინველსაც კი ვერ მოჰკრავდით თვალს, ცა კი ნათელი და უღრუბლო იყო. ნაგელმა გადაუხვია ბილიკს, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა განზე, მშრალი ადგილი იპოვა და გულაღმა გაიშოტა. მის მარჯვნივ მღვდლის კარ-მიდამო იყო, მარცხნივ _ ქალაქი, მათ თავზე კი ლაჟვარდოვანი ცის ოკეანე გადაშლილიყო.
რა იქნება, რომ აღმოჩნდე იქ, მაღლა, იხეტიალო მზეებს შორის და იგრძნო, კომეტები სახეს კუდით როგორ გაგიგრილებენ. რა პატარაა ეს დედამიწა და რა საცოდავი ქმნილებაა ადამიანი. თუნდაც ეს რაღაც ნორვეგია, სადაც ორი მილიონი გლეხი ცხოვრობს და საადგილმამულო კრედიტის ბანკია, მათ არსებობაში რომ დაეხმაროს. ღირს კი ასე უმაქნისი რაღაცისთვის იყო ადამიანი! ოფლში იწურები რამდენიმე საცოდავი წლის განმავლობაში იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც გაქრე, _ დიახ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც გაქრე! ნაგელმა თავში იტაცა ხელი. ოჰ, დიახ, საქმე იმით დაბოლოვდება, რომ თვითონაც აიბარგება ამ ქვეყნიდან და ბოლოს მოუღებს ამას. ეყოფა კი ოდესმე გამბედაობა, რომ ეს ნამდვილად გადაწყვიტოს? დიახ, ღმერთია მოწამე, რომ არასოდეს იტყვის უარს თავის გადაწყვეტილებაზე უკანასკნელ წუთს. ო, რა სიხარული იგრძნო იმის გაფიქრებაზე, რომ ეს უბრალო გამოსავალი მაინც აქვს კიდევ შემონახული. თვალებზე ცრემლმომდგარი და მღელვარებისაგან შეპყრობილი ღრმად სუნთქავდა. მას უკვე ეჩვენებოდა, რომ ზეცის ოკეანეში მიცურავდა, ხელში ვერცხლის ანკესი ეჭირა, თევზაობდა და ჩუმად ღიღინებდა... ნელსურნელოვანი ხისგან დამზადებული ნავი და ნიჩბები თეთრი ფრთებივით ელავდა, იალქანი კი ცისფერი აბრეშუმისა იყო, ნახევარმთვარის მსგავსი.
ნაგელი მთლად თრთოდა სიხარულისაგან, ბურანში წასულიყო, მეტისმეტად აღტაცებული, და სული მისი მზის მცხუნვარე სხივებში განზავებულიყო. დუმილმა მოჰგვარა ეს დამათრობელი ნეტარება, არაფერი აღარ აღშფოთებდა ნაგელს, მხოლოდ მაღლა, ცაში, გაისმოდა ყრუ გუგუნი, გიგანტური მანქანის ხმაური, _ ეს ხომ ღმერთი ატრიალებდა თავისი უზარმაზარი ეტლის ბორბალს. ტყე გარინდებულიყო. ერთი წიწვიც კი არ ირხეოდა ხეებზე. ნაგელი მთლად იკრუნჩხებოდა ნეტარებისაგან, მუხლები მოეკეცა და მთელი სხეული უცახცახებდა, _ ისე მშვენიერი იყო მის ირგვლივ ყველაფერი. ვიღაცამ დაუძახა, ნაგელიც გამოეხმაურა: `დიახ~, იდაყვებზე წამოიწია და ირგლივ მომოიხედა. არავინ ჩანდა. ერთხელ კიდევ გასძახა _ `დიახ!~ და ყური მიუგდო, მაგრამ არავინ გამოჩენილა. რა საოცარია, მან ხომ ნამდვილად გაიგონა, როგორ დაუძახეს, მაგრამ ამაზე აღარ გაუგრძელებია ფიქრი. შეიძლება ეს მხოლოდ მოეჩვენა. ყოველ შემთხვევაში, ნაგელს სულაც არ სურდა, ხელი შეეშალა მისთვის. რაღაც საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში იმყოფებოდა, ფიზიკურ განცხრომას განიცდიდა, ყოველი ნერვი უთრთოდა, ეს მუსიკა მის სისხლში შეჭრილიყო და მშობლიურ სიახლოვეს გრძნობდა მთელ ბუნებასთან, მზესთან, მთებთან და ყველაფერ იმასთან, რაც ირგვლივ ეკრა. იგი საკუთარი `მე~-თი გაჟღენთილ ატმოსფეროს შეეპყრო და მისთვის ამაზე ნათლად მეტყველებდა ყოველი ხე, კოლბოხი და ბალახის ღერო. სული მისი ამაღლებულიყო და სრულხმიერი შექმნილიყო, ვითარცა ორგანი... და მას არ შეეძლო დაევიწყებინაა ის ტკბილი მუსიკა, ახლა რომ მის სისხლში ტალღებივით იღვრებოდა.

ასე იწვა იგი კიდევ რამდენიმე ხანს და სიმარტოვით ტკბებოდა. უცებ ნაბიჯის ხმა შემოესმა ბილიკიდან, ნამდვილი ნაბიჯის ხმა, და არც შემცდარა: თავი ასწია და დაინახა ქალაქიდან მომავალი კაცი. კაცს იღლიაში ამოეჩარა გრძელი პური და თოკზე გამობმული ძროხა მოჰყავდა. ყოველ წუთს ოფლს იწმენდდა სახიდან, სიცხის გამო ქურთუკი გაეხადა, მაგრამ სქელი წითელი შალის შარფი ყელზე ოჯერ ჰქონდა შემოხვეული. ნაგელი იწვა წყნარად და ათვალიერებდა გლეხს. დიახ, აი, როგორია ეს ნამდვილი ნორვეგიელი გლეხი. ხა-ხა-ხა, დიახ, აი, ეგეც ნამდვილი გლეხი იღლიაში ამოჩრილი პურითა და თოკზე გამობმული ძროხით. ოჰ, რა სანახავია! ხა-ხა-ხა-ხა-ხა! ღმერთი იყოს შენი მფარველი, კეთილო ნორვეგიელო ვიკინგო. რა იქნებოდა, ცოტა კიდევ რომ შეგეხსნა ეგ შარფი და ყელი გაგეთავისუფლებინა მისგან! მაგრამ რა სიკეთეს დაგაყრიდა, სუფთა ჰაერი დაგიბერავდა და შეიძლება ამისგან სულიც გაგძრობოდა. პრესა კი დაიტირებდა შენს უდროოდ დაღუპვას და ეს თემა გაზეთის მთელ ნომერს დაიჭერდა. მაგრამ იმისათვის, რომ აღვკვეთოთ ამის მსგავსი შემთხვევების განმეორება, სტორტინგის ლიბერალური წევრი ვეტლე ვეტლესენი წინადადებას შეიტანს მთავრობაში, რომ სასტიკად დაიცვან ნაციონალური პარაზიტები.
ასე იცვლებოდა ნაგელის თავში ერთი სარკასტული აზრი მეორეთი. უკმაყოფილო და აღელვებული წამოდგა და უკან დაბრუნდა. არა, ბოლოს და ბოლოს, იგი მართალია ყოველთვის, _ ირგვლივ მხოლოდ ტილები, ძველი ყველი და ლუთერის კატეხიზმოა, ადამიანები კი საშუალო სიდიდის მეშჩანები არიან, სამსართულიან ქოხებში რომ ცხოვრობენ; სმასა და ჭამას ვეღარ ათავებენ, თავს არყითა და საარჩევნო პოლიტიკით ინებივრებენ და დღემუდამ მწვანე საპნით, სპილენძის სავარცხლებითა და თევზით ვაჭრობენ. ღამით კი, როცა ქუხს, წვანან, ცახცახებენ შიშისაგან და იოჰან არენდტის ლოცვებს ჩურჩულებენ. დიახ, დიახ, გვაჩვენეთ თუნდაც ერთი წესიერი გამონაკლისი, თუკი ეს შესაძლებელია. დაგვისახელეთ, მაგალითად, რაიმე ცნობილი დანაშაული, ნაცვლად დიდი, არაჩვეულებრივი ცოდვისა, მაგრამ რაიმე სასაცილო და მეშჩანური უბრალო შეცოდება კი არა, _ არა, გვაჩვენეთ იშვიათი, შემზარავი გარყვნილება, რომლისგანაც თმა ყალყზე დაგიდგებათ, გაუგონარი ბოროტმოქმედება, მეფეთა ცოდვა, ჯოჯოხეთის ტლანქი სილამაზით დამშვენებული. ეს ყველაფერი კი მხოლოდ წვრილმანია! რა აზრისა ბრძანდებით არჩევნებზე, მოწყალეო ბატონო? მე კი ძალზე მეშინია ბუსკერუდისა...
მაგრამ, როცა მან კვლავ ნავმისადგომის ახლოს გაიარა და ირგვლივ რია-რია და გამოცოცხლება იხილა, ნელ-ნელა მოეშვა გულზე, ისევ გამხიარულდა და რომელიღაც სიმღერის ღიღინი წამოიწყო. ან კი როგორ გაუძლებდით ასეთი ამინდის ცდუნებას, მართლაც რომ მშვენიერი ამინდი იდგა ამ მზიან ივნისის დღეს. მთელი პატარა ქალაქი მზის სხივებში ჩაფლულიყო და ზღაპრულ ქმნილებასავით ციმციმებდა.
სასტუმროში რომ შევიდა, ნაგელს მთელი თავისი დარდი და ნაღველი უკვე კარგა ხნის გადავიწყებული ჰქონდა. მისი გული თავისუფალი იყო ყოველგვარი ბოროტებისგან, მის სულში კი ისევ ციმციმებდა მოგონება ნელსურნელოვანი ხისგან დამზადებულ ნავზე, ნახევარმთვარის ფორმაზე გამოჭრილი ცისფერი აბრეშუმის იალქანი რომ ჰქონდა.
მთელი დღე ასე კარგ გუნებაზე იდგა. საღამოს კი კვლავ გამოვიდა, ხელახლა გაემართა ზღვისკენ და ისევ იხილა მრავალი წვრილმანი, რამაც დიდად აღაფრთოვანა. მზე ჩადიოდა. მისმა დამაბრმავებელმა, მწველმა სხივებმა უკვე დაკარგეს თავისი ძალა და ნაზად ეფრქვეოდნენ ზღვის ზედაპირს. გემებიდან მოტანილი ხმაურიც კი შეწყდა. ნაგელმა შეამჩნია, რომ ყურის პირას აქა-იქ ააფრიალეს ალმები, ქალაქშიც ბევრი ალამი გამოჩნდა და მალე მუშაობა შეწყდა ყველა ნავმისადგომში. ნაგელმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და კვლავ ტყისაკენ გასწია, სადაც წინ და უკან დაეხეტებოდა, შემდეგ მივიდა მღვდლის კარ-მიდამომდე და ეზოში შეიხედა. მერე კი ისევ ტყეში შეიმალა, მიაღწია ყველაზე ბნელ ალაგს, როგორიც კი შეეძლო, ეპოვა, და ქვაზე ჩამოჯდა. იჯდა ცალ ხელზე თავჩამოყრდნობილი, მეორეს კი მუხლს უტყაპუნებდა. დიდხანს აღარ დაძრულა ამ ადგილიდან, შეიძლება იქ მთელ საათსაც კი იჯდა და ბოლოს, როცა როგორც იქნა, წამოდგა, რომ დაბრუნებულიყო, მზეს უკვე მოესწრო ჩაბრძანება. პირველი მწუხრის ჩრდილები უკვე გადმოჰფენოდა ქალაქს.
ნაგელს დიდი მოულოდნელობის ნახვამ მოუწია. ტყიდან რომ გამოვიდა, ირგვლივ, ამაღლებულ ადგილებზე, მრავალი, თითქმის ოცზე მეტი, ანთებული კოცონი დაინახა. ისინი პატარა მზეებივით ენთნენ და ყოველი მიმართულებით ჰფენდნენ სხივებს. ყურე ნავებით იყო მოფენილი და, რაც მთავარია, მათზე წითელი და მწვანე ჩირაღდნები ციმციმებდა, _ ეს ბენგალიური ასანთები იწვოდა. ერთი ნავიდან, რომელზეც კვარტეტი მღეროდა, რამდენიმე რაკეტაც კი გაუშვეს. ყველგან ფუთფუთებდა ხალხის ბრბო, ნავმისადგომი ხალხით მთლად გაშავებულიყო.
ნაგელს უნებლიეთ აღმოხდა განცვიფრების წამოძახილი. მიუბრუნდა ერთ კაცს და ჰკითხა, ეს კოცონები და ალმები რას ნიშნავსო. კაცმა შეხედა, გადააფურთხა, ხელახლა შეხედა და მიუგო, დღეს

ოცდასამი ივნისია, ივანობის წინა დღეო. ოჰო, ივანობის წინა დღე ყოფილა! სხვათა შორის, სავსებით მართალია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, რიცხვიც შეესაბამება. შეხედეთ ერთი, ივანობის წინა დღე! ერთი სიხარული მეორეს ცვლის. თურმე დღეს ივანობის წინა დღეა! ნაგელმა სიხარულით მოიფშვნიტა ხელები და თვითონაც ნავმისადგომისაკენ გაემართა და სულ იმეორებდა თავისთვის, დღეს ბედი მწყალობსო.
მანდილოსნებისა და მამაკაცების კრებულში შორიდანვე დაინახა დაგნი ჰელანის სისხლივით წითელი ქოლგა და, როცა ამ ხალხში ექიმი სტენერსენიც შეამჩნია, მცირე ხნის ფიქრის შემდეგ მასთან მივიდა. თავი დაუკრა, ხელი ჩამოართვა ექიმს და საკმაოდ დიდხანს იდგა ასე თავშიშველი. ექიმმა იგი საზოგადოებას წარუდგინა: ფრუ სტენერსენმა ხელი გაუწოდა და ნაგელი მის გვერდით დაჯდა.
ამ მანდილოსნის ფერმკრთალ სახეს მიწისფერი გადაჰკრავდა, რაც მეტისმეტად ავადმყოფურ იერს აძლევდა, მაგრამ ძალზე ახალგაზრდა იყო. საეჭვოა, ოცი წლისაზე მეტის ყოფილიყო. მეტისმეტად თბილად ეცვა.
ნაგელმა ქუდი დაიხურა და ყველას გასაგონად თქვა:
_ მომიტევეთ, რომ თქვენს საზოგადოებაში შემოვიჭერი, დაუპატიჟებლად გამოვცხადდი.
_ აჰ, რას ბრძანებთ, ჩვენთვის ეს მხოლოდ სასიამოვნოა, _ თავაზიანად შეაწყვეტინა მას ფრუ სტენერსენმა, _ იქნებ რაიმე გვიმღეროთ კიდეც?
_ არა, სიმღერა არ შემიძლია, _ მიუგო ნაგელმა, _ არავითარი მუსიკალური ნიჭი არ გამაჩნია.
_ პირიქით, ძალზე კარგი ქენით, რომ მობრძანდით; სწორედ თქვენზე ვმასლაათობდით, _ შენიშნა ექიმმა, _ თქვენ ხომ ვიოლინოზე უკრავთ?
_ არა, _ ისევ მიუგო ნაგელმა, თანაც თავი გააქნია და გაიღიმა, _ არა, არ ვუკრავ, _ და უეცრად, რაიმე საბაბის უქონლად, ფეხზე წამოდგა და თვალებგაბრწყინებულმა დაიწყო, _ დღეს ფრიად მხიარულ გუნებაზე გახლავართ. მთელი დღე უჩვეულოდ კარგად ვგრძნობდი თავს, დილიდანვე, როგორც კი გამეღვიძა. ათი საათი ისე დავხეტიალობდი, თითქოს ნეტარ სიზმარს ვხედავდი. წარმოგიდგენიათ, ყოველთვის თან მდევს ზუსტად ისეთი გრძნობა, თითქოს ნელსურნელოვანი ხისგან გაკეთებულ ნავში ვიჯდე, ნახევარმთვარის ფორმაზე ამოჭრილი ცისფერი აბრეშუმის იალქანი რომ აქვს. განა ეს მშვენიერი არაა? ნავის ნელსურნელებას ვერ აგიწერთ, ვერაფრისდიდებით ვერ აგიწერთ. მე ამას მაშინაც კი ვერ აგიწერდით, შესაფერისი სიტყვის პოვნის უნარიც რომ გამაჩნდეს, მაგრამ წარმოიდგინეთ მხოლოდ: მე მგონია, რომ ვზივარ ამ ნავში შუაგულ ოკეანეში და ვერცხლის ანკესით ვიჭერ თევზს. მომიტევეთ, მაგრამ ხომ არ ფიქრობენ აქ ბრძანებული მანდილოსნები, რომ ეს... არა, მართალი რომ გითხრათ, მეც არ ვიცი.
არც ერთ მანდილოსანს ხმა არ ამოუღია: დარცხვენილნი შესცქეროდნენ ერთმანეთს და თვალებით ეკითხებოდნენ, როგორ მოვიქცეთო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ერთიმეორეზე მიყოლებით დაიწყეს სიცილი. არავითარი თანაგრძნობა არ გამოუჩენიათ და ხმამაღლაც კი კისკისებდნენ.
ნაგელი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, თვალები ისევ უბრწყინავდა და ჩანდა, ნამდვილად ფიქრობდა ცისფერაფრიან ნავზე, მაგრამ ორივე ხელი ოდნავ უკანკალებდა, თუმცა დამშვიდებული სახით იჯდა.
ექიმი მიეშველა მათ და თქვა:
_ დიახ, ცოტა არ იყოს, ჰალუცინაციაა, რომელიც...
_ არა, მომიტევეთ, _ მიუგო ნაგელმა, _ თუმცა რატომაც არა? საქმე მხოლოდ ისაა, ამას რას უწოდებთ. დღეს მე მთელი დღე რაღაც მოჯადოებულივით ვიყავი, თუმცა არ ვიცი, ჰალუცინაცია იყო ეს თუ სხვა რაიმე. დილიდანვე კი დაიწყო, როცა ლოგინში ვიწექი. ბუზების ბზუილი შემომესმა, ეს იყო ჩემი პირველი წარმოდგენა იმის მერე, რაც გამომეღვიძა. შემდეგ შევნიშნე, მზის შუქი აღწევდა ფარდის შიგნით და უეცრად ხალისიან, ნათელ გუნებაზე დავდექი. სულში ზაფხულის შეგრძნება გამოჩნდა... წარმოიდგინეთ ხეების ნაზი შრიალი, რომელიც პირდაპირ თქვენი გულის სიღრმეში იჭრება. ჰალუცინაცია, დიახ, ეს შეიძლება ჰალუცინაციაც იყო. თუმცა კარგად არ ვიცი, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ იმას, რა ადვილად აღვიქვამდი ყველაფერს, რაკი ბუზების ბზუილიც კი მესმოდა სწორედ ამ მომენტში და რომ სწორედ ამ მომენტში ჩემთვის საჭირო იყო სახელდობრ ამგვარი სახის შუქი და ასეთი რაოდენობით, იქნებ ერთი სხივიც კი, ფარდის ნახვრეტიდან რომ შემოიჭრა. მოგვიანებით კი, როცა ავდექი და ქუჩაში გამოვედი, უწინარეს ყოვლისა, ფანჯარაში ვიხილე ლამაზი მანდილოსანი, _ ამის თქმის დროს ნაგელმა მზერა ფრეკენ ანდერსენს სტყორცნა, ქალიშვილმა კი თავი ჩაღუნა, _ შემდეგ უამრავი ნავი ვნახე, იმის მერე პატარა გოგონა, ხელში აყვანილი კატით, და სულ ასე, სულ ასე გრძელდებოდა: ერთი სიტყვით, ყველაფერი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. მალე ამის მერე ტყისკენ გავწიე და იქ, როცა გულაღმა გაშოტილი ზეცას მივშტერებოდი, ნავი და ნახევარმთვარე დავინახე.

მანდილოსნები ისევ კისკისებდნენ. ჩანდა, ექიმიც მზად იყო მათი სიცილი გადასდებოდა. მან ღიმილით თქვა:
_ მაშ, ვერცხლის ანკესით თევზაობდით?
_ დიახ, ვერცხლის ანკესით.
_ ხა-ხა-ხა!
მაგრამ აქ უეცრად დაგნი ჰელანი სახეზე წამოენთო და თქვა:
_ მშვენივრად მესმის, რომ ეგეთი წარმოდგენები... მე, მაგალითად, ნათლად ვხედავ მაგ ნავს და მაგ ნახევარმთვარის მსგავს იალქანსაც... აბა, დაუფიქრდით, წყალში ჩაძირული მოციმციმე ვერცხლის ანკესი! ვფიქრობ, ეს ძალზე ლამაზია...
ამის მეტი ვეღარაფერი თქვა, ენა დაება და გაჩუმდა, ასე იდგა იგი, თვალებდახრილი.
ნაგელი მაშინვე მიეშველა:
_ დიახ, დიახ, ხომ მართალია? მაშინვე საკუთარ თავს ვუთხარი. დაიხსომე ეს სხივმოსილი სიზმარი, ეს ბედნიერების მომასწავებელი ნიშანი. დაე, ამან შეგახსენოს: საჭიროა ითევზაო მხოლოდ სუფთა ანკესებით, სუფთა ანკესებით... თქვენ მკითხეთ, ექიმო, ვუკრავ თუ არა? მე არ შემიძლია დაკვრა, სრულებით არ შემიძლია; ვიოლინოს ბუდე დამაქვს, მაგრამ შიგ ვიოლინო არ არის; სამწუხაროდ, ბუდე მხოლოდ ჭუჭყიანი თეთრეულითაა გამოტენილი. ვფიქრობ, ამას უფრო დიდებული იერი აქვს, სხვა ჩემოდნებს შორის რომ ვიოლინოს ბუდეცაა. აი, ამიტომ დამაქვს ის. არ ვიცი, შეიძლება, ამის შემდეგ ცუდი აზრისანი შეიქნეთ ჩემზე, მაგრამ რას ვიზამ, თუმცა ამაზე ნამდვილად ვწუხვარ. სხვათა შორის, ეს სულ ვერცხლის ანკესის ბრალია.

განცვიფრებული მანდილოსნები ახლა უკვე აღარ იცინოდნენ. ექიმი, საოლქო სასამართლოს რწმუნებული რაინერტი და ადიუნქტი _ სამივენი პირდაღებულები ისხდნენ. ყველანი ნაგელს მისჩერებოდნენ, ექიმმა კი, ეტყობა, არ იცოდა, რა ეფიქრა. `რა მოუვიდა ამ საოცარ ყმაწვილს, საიდანღაც რომ გადმოხვეწილა?~ მაგრამ ნაგელი ახლა მშვიდად იჯდა, არაფერის თქმას აღარ აპირებდა. ჩანდა, ამ მტანჯველ დუმილს ბოლო არ მოეღებოდა. ისევ ფრუ სტენერსენმა გამოიდო თავი. ეს ქალი იყო განსახიერებული თავაზიანობა, ყველას რომ დედობრივი ალერსით ექცეოდა და თვალს ადევნებდა, შეურაცხყოფილი არავინ დარჩენილიყო. მან განგებ შეიკრა შუბლი და ცდილობდა სხვებზე უფრო გამოჩენილიყო მხოლოდ იმისათვის, რომ მის სიტყვას დიდი წონა ჰქონოდა.
_ საზღვარგარეთიდან ჩამობრძანდით, ბატონო ნაგელ?
_ დიახ, ფრუ.
_ მგონი, ჰელსინგფორსიდან, არა? ასე მითხრა ქმარმა.
_ დიახ, ჰელსინგფორსიდან. ესე იგი, აქ პირდაპირ ჰელსინგფორსიდან ჩამოვედი. აგრონომი გახლავართ და რამდენიმე ხანს იქ ლექციებს ვისმენდი.
მცირე ხანს დუმილი ჩამოვარდა.
_ როგორ მოგწონთ ქალაქი?
_ ჰელსინგფორსი?
_ არა, ჩვენი ქალაქი.
_ ო, ეს მშვენიერი ქალაქია, გადასარევ ადგილზეა გაშენებული. აღარც კი მინდა აქედან წასვლა; არა, გარწმუნებთ, აქედან აღარ წავალ. ხა-ხა-ხა! თუმცა ძალიანაც ნუ შეგეშინდებათ, ალბათ, აქედან მაინც წავალ ოდესმე, _ მდგომარეობას გააჩნია... თუკი, _ თქვა მან და ფეხზე წამოდგა, _ ჩემი მოსვლით გაწუხებთ, დიდ ბოდიშს ვითხოვ. საქმე ისაა, რომ გულით მწადდა თქვენთან ვმჯდარიყავი. მე ხომ აქ, ჩვენ შორის დარჩეს, ისეთი არავინა მყავს, რომ დრო მასთან გავატარო, ცნობითაც თითქმის არავინ მიცნობს, ასე რომ, საკუთარ თავთან ლაყბობას შევეჩვიე. დიდად მასიამოვნებთ, თუ სრულებით დაივიწყებთ, რომ აქ, თქვენ შორის ვიმყოფები, და ისევ ჩვეულებისამებრ განაგრძობთ ბაასს.
_ უნდა გამოვტყდეთ, რომ ერთგვარი სიახლე და გამოცოცხლება შეიტანეთ ჩვენს საუბარში, _ ბოროტი კილოთი წარმოთქვა რაინერტმა.
მაგრამ ამაზე ნაგელმა მიუგო:
_ განსაკუთრებული ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ბატონო რწმუნებულო, და მზად ვარ თქვენი ყოველგვარი მოთხოვნა დავაკმაყოფილო, მაგრამ ახლა არა, კარგი? ოღონდ ახლა არა.
_ დიახ, აქ, რა თქმა უნდა, მაგის ადგილი არ გახლავთ, _ დაეთანხმა რაინერტი.
_ თანაც, დღეს მშვენიერ გუნებაზე ვარ, _ განაგრძო ნაგელმა და ალერსიანმა ღიმილმა სახე გაუცისკროვნა. ამ ღიმილმა ისე გაუნათა სახე, რომ ერთი წუთით ბავშვისას დაემსგავსა, _ დღეს რაღაც გასაოცარი საღამოა, მალე ვარსკვლავებიც ამოვა. მთებზე ყველგან კოცონებია გაჩაღებული, ზღვიდან კი სიმღერის ხმა მოისმის. არა, მოისმინეთ! ეს სულაც არაა ცუდი! სიმღერისა არაფერი მესმის, მაგრამ ეს განა კარგი არაა? მაგონდება ერთი ღამე ხმელთაშუა ზღვაზე, ტუნისის ნაპირებთან. გემზე ასამდე

მგზავრი იმყოფებოდა, მომღერალთა გუნდი სარდინიის რომელიღაც კუთხიდან. მე არ ვეკუთვნოდი ამ საზოგადოებას და არც სიმღერა შემეძლო, ამიტომაც ვიჯექი გემბანზე და ვუსმენდი ძირს, სალონში, მოგალობე გუნდის სიმღერას. სიმღერა თითქმის მთელ ღამეს გაგრძელდა. არასოდეს დამავიწყდება, რა მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს სიმღერა თბილი ღამის წყვდიადში. შეუმჩნევლად დავხურე სალონის ყველა კარი, ესე იგი სიმღერა დარბაზში გამოვკეტე და მეგონა, ბგერები თითქოს ოკეანის ფსკერიდან ამოდიოდა, გემი კი უკვდავებას უერთდებოდა ამ ქარიშხლოვანი მუსიკის ხმაზე. წამოიდგინეთ სიმღერით გაჟღენთილი უნაპირო ზღვა, რომელიღაც მიწისქვეშა გუნდი...
ფრეკენ ანდერსენს, ყველაზე ახლოს რომ იჯდა ნაგელთან, უნებლიეთ აღმოხდა:
_ ოჰ, ღმერთო ჩემო, რა დიდებული იქნებოდა!
_ მხოლოდ ერთხელ მოვისმინე ამაზე უფრო დიდებული რამ და ისიც სიზმარში. ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. მოზრდილი ადამიანები ვეღარ ხედავდნენ ასეთ მშვენიერ სიზმრებს.
_ ნუთუ? _ თქვა ფრეკენმა.
_ გარწმუნებთ. ეს, ცხადია, ოდნავი გადაჭარბებაა, მაგრამ... ჩემი უკანასკნელი სიზმარი დღემდე ცხადად მახსოვს: ვრცელი ჭაობი ვნახე. თუმცა, მომიტევეთ, სულ მე ვლაპარაკობ და ყბედობით მოგაბეზრეთ თავი. ბოლოს და ბოლოს, ამან შეიძლება მოგაწყინოთ კიდეც. ყოველთვის როდი ვიცი ასეთი ხშირი ლაპარაკი.
ახლა კი დაგნი ჰელანმაც გახსნა ბაგეები და თქვა:
_ აქ, ალბათ, ისეთი არავინაა, რომ თავის ლაპარაკს თქვენი მოსმენა არ ამჯობინოს, _ ფრუ სტენერსენისკენ გადაიხარა და წასჩურჩულა, _ არ შეგიძლიათ აიძულოთ ილაპარაკოს? სცადეთ, ძვირფასო! უსმინეთ მხოლოდ მის ხმას.
ნაგელმა ღიმილით თქვა:
_ სიამოვნებით ვილაქლაქებ. დღეს, საერთოდ, ყბედობის გუნებაზე ვარ. ღმერთმა უწყის, რა დამემართა... მაშ, ისევ ჩემს სიზმარს მოგიყვებით _ მასში განსაკუთრებული არაფერი იყო. დიახ, მაშ ასე, მე ვნახე ვრცელი ჭაობი, ზედ ერთი ხეც კი არ იდგა, მაგრამ ხის ფესვებით იყო მოფენილი, ისინი ყველგან ეყარა საოცარი, დაგრეხილი გველების მსგავსი. ამ დაკლაკნილ, კოჟრიან ფესვებს შორის კი ერთი გიჟი დაეხეტებოდა. ახლაც ვხედავ: ფერმკრთალი სახე ჰქონდა, შავი წვერი, მაგრამ ისე მოკლე და მეჩხერი, რომ წვერიდან თითქმის ყველგან მოუჩანდა კანი. თვალებდატყვრეცილი აქეთ-იქით იცქირებოდა და მისი თვალებიდან ღრმა ტანჯვა გამოსჭვიოდა. მე ლოდის უკან ვიწექი და დავუმახე. მაშინვე ლოდისაკენ გამოიხედა, ეტყობოდა, სულაც არ გაჰკვირვებია, იქიდან რომ ძახილი შემოესმა. ალბთ, მშვენივრად იცოდა, იქ ვიწექი, თუმცა ქვას კარგად ვიყავი მოფარებული.
`სულერთია, ვერ მიპოვის და თუ მაინც გაწყრა ღმერთი, გავიქცევი, როცა მომიახლოვდება~, _ გავიფიქრე მე. თუმცა სასიამოვნო არ იყო, რომ გიჟი იდგა და ასე გაშტერებით მომჩერებოდა, მაინც შევეხმიანე ისევ, რათა გამეგულისებინა. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ, პირი დააღო და საკბენად მოემზადა, მაგრამ წინ ვეღარ წამოიწია, ფესვები იჩხორებოდა მის წინ, ფესვები აკრავდა მას მიწაზე და ადგილიდან ვეღარ იძვროდა. ისევ დავუმახე, რამდენჯერმე დავუყვირე ზედიზედ, ერთი კარგა რომ გამომეჯავრებინა და მან დაიწყო ფესვების გადაყრა, გზიდან მოშორება, ყრიდა თითო იღლიობით, მუშაობდა, რაც ძალ-ღონე შესწევდა, რომ ჩემკენ გამოეღწია, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. კვნესა დაიწყო, ჩემამდის აღწევდა მისი კვნესა, თვალებში კი უსაზღვრო ტანჯვა ეხატა. მაგრამ, როცა დავინახე, რომ არავითარი საშიშროება არ მელოდა, ფეხზე წამოვდექი და ქუდი დავუქნიე. ყვირილით გამოვჩნდი მის წინ: `ჰალო!~ _ ვყვიროდი შეუსვენებლად, ვაბაკუნებდი ფეხებს და კვლავ ვყვიროდი: `ჰალო!~ უფრო მივუახლოვდი, რომ კიდევ უფრო გამეგულისებინა, ხელს ვკრავდი და ყურში ასე ახლოდან ჩავძახოდი, რომ ამით შეურაცხყოფილს მოთმინება დაეკარგა, შემდეგ კი უკან ვიხევდი, რომ დაენახა, რა ახლოს ვიყავი მასთან. მაგრამ საბოლოოდ მაინც არ ტყდებოდა და ისევ განაგრძობდა ფესვებთან ბრძოლას, მთელ ძალ-ღონეს ძაბავდა ტანჯვისაგან გაწამებული, ცდილობდა, ფესვები მოეშორებინა გზიდან. სხეული მთლად დაეკაწრა, სახე დაუშავდა, თითის წვერებზე დგებოდა და ისე მიყვიროდა. დიახ, აბა, კარგად დაუფიქრდით, ფეხის წვერებზე შემდგარი მომჩერებოდა და მიყვიროდა. ოფლი ღვარივით ჩამოსდიოდა და საშინელი ტანჯვისაგან მთლად გასწამებოდა სახე, რადგანაც ჩემამდე ვერ მოეღწია. მოვინდომე კიდევ უფრო გამეცოფებინა, უფრო მივუახლოვდი, თითები ზედ ცხვირის წინ დავუტკაცუნე და ღვარძლიანად, საშინელი დაცინვით ვუთხარი: `ჰი-ჰი-ჰი-ჰი-ჰი!~ ერთ ფესვს დავტაცე ხელი და ვესროლე, შიგ პირში მოხვდა და კინაღამ არ წააქცია, მაგრამ მან მხოლოდ სისხლი გამოაფურთხა, ხელი იტაცა პირზე და კვლავ ფესვების გზიდან მოცილება დაიწყო. მაშინ ვიფიქრე, უფრო გაბედულად მემოქმედა, ხელი გავუწოდე, მინდოდა თითებით შუბლზე შევხებოდი და უკანვე გადმოვმხტარიყავი, მაგრამ სწორედ იმ წუთს ხელი მტაცა! ღმერთო ჩემო, რარიგ საშინლად მტაცა ხელი და როგორ გაშმაგებით ჩაეჭიდა ჩემს მაჯას. მე შევყვირე, მაგრამ მას ისევ ასე

ეჭირა ჩემი ხელი, შემდეგ კი უკან გამომყვა. ჭაობიდან გამოვედით, ხის ფესვები ფეხებში აღარ ეხლართებოდა, მას მერე, რაც ხელი ჩამჭიდა და იმ ლოდს მოვაწიეთ, რომლის უკანაც ვიმალებოდი. აქ კი დაეცა იგი ჩემს ფერხთით და ეამბორა იმ მიწას, რომელზეც ეს-ეს იყო გამოვიარე.
დასისხლიანებული და გაწამებული იდგა ჩემ წინ დაჩოქილი და მადლობას მიხდიდა იმისთვის, რომ ასეთი სიკეთე ვუქენი, მლოცავდა და ღმერთს შესთხოვდა კურთხევას ჩემთვის იმ სიკეთის ჯილდოდ. მისი ფართოდ გახელილი თვალები ღვთისადმი ვედრებით იყო აღსავსე ჩემი გულისათვის; მას ჩემთვის ხელზე არ უკოცნია, არც ჩემი ფეხსაცმელები ეხებოდა. `რატომ კოცნი იმ მიწას, რომელზეც მე დავდივარ?~ _ ვკითხე. `იმიტომ, რომ, _ მომიგო მან, _ იმიტომ, რომ სისხლიანი პირი მაქვს და არ მინდა შენი ფეხსაცმელები დავსვარო~. მას არ სურდა ჩემი ფეხსაცმელების დასვრა!.. მაშინ კვლავ შევეკითხე: `მაგრამ რატომ მიხდიდი მადლობას, როცა ასე ბოროტად მოგექეცი და ამდენი ტანჯვა მოგაყენე?~ `გმადლობ იმისათვის, _ მიპასუხა მან, _ უფრო მეტი რომ არ მომაყენე, რომ კეთილი მექმენი და კიდევ უფრო არ გამაწამე~. `კეთილი, _ ვუთხარი მაშინ, _ მაგრამ რატომ ყვიროდი და პირი რად დააღე, რომ ჩემთვის გეკბინა?~ `შენი კბენა როდი მინდოდა, _ მომიგო მან, _ პირი იმისთვის დავაღე, რომ შველა მეთხოვა, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე, შენ კი ვერ მიხვდი. ჰოდა, შევყვირე უდიდესი ტანჯვის გამო. `მაშ, ამის გამო ყვიროდი?~ _ ვკითხე კვლავ. `დიახ, ამის გამო!..~ შევხედე შეშლილს, პირიდან ისევ სისხლს აფუთრთხებდა, მაგრამ მაინც ღმერთს ევედრებოდა ჩემთვის. ახლაღა შევნიშნე, რომ იგი წინათაც სადღაც მინახავს და ვიცნობდი კიდეც. ეს იყო ხანდაზმული, ჭაღარა კაცი, მეჩხერი, საცოდავი წვერი რომ ჰქონდა, _ ეს იყო მინუტი.
ნაგელი გაჩუმდა. ყველა შეძრწუნებული დარჩა. რწმუნებულმა რაინერტმა თვალები ძირს დახარა და დიდხანს აღარ აუწევია თავი.
_ მინუტი? მაშ, ეს მინუტი იყო? _ ჰკითხა ფრუ სტენერსენმა.
_ დიახ, ის იყო, _ მიუგო ნაგელმა.
_ უჰ, საშინლად ცუდად ვიგრძენი თავი!
_ წარმოიდგინეთ, მე ვიცოდი ეს! _ თქვა უეცრად დაგნი ჰელანმა, _ როგორც კი თქვით, დაიჩოქა და მიწას ეამბორაო, მაშინვე ვიცანი იგი. გარწმუნებთ, ვიცანი. ბევრჯერ გისაუბრიათ მასთან?
_ ოჰ, არა, სულ ორჯერ შევხვდი... მაგრამ მომისმინეთ, მე, მგონი, ყველას წავუხდინე გუნება. ქალბატონო, თქვენ მთლად გაფითრდით. ღმერთო ჩემო!.. ეს ხომ მხოლოდ სიზმარი იყო!
_ არა, ასე არ შეიძლება! _ თქვა ექიმმაც, _ რაში გვეკითხება მინუტი?.. დაე, მთელი ხის ფესვები გადაკოცნოს ნორვეგიაში, ვინ დაუშლის. აი, ფრეკენ ანდერსენი კი ატირდა. ხა-ხა-ხა-და!
_ მე სულაც არა ვტირი, _ მიუგო მან, _ რატომ გგონიათ ეგრე? მაგრამ სიამოვნებით გამოგიტყდებით, ამ სიზმარმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა, ვფიქრობ, ყველაზე იმოქმედა.
_ ჩემზეც? _ წამოიძახა ექიმმა, _ რა თქმა უნდა, ოდნავადაც არა! ხა-ხა-ხა! მე მგონი, ყველანი ჭკუაზე შეიშალეთ. ახლა კი ცოტა გავისეირნოთ. უკვე აგრილდა. არ გცივა, იეტა?
_ არა, არ მცივა, ცოტა ხანს კიდევ ვისხდეთ, _ მიუგო ცოლმა.
მაგრამ ექიმი დაბეჯითებით იწვევდა ყველას სასეირნოდ, ახლავე სურდა გასეირნება. აგრილდა, _ იმეორებდა იგი, _ და თუ არავინ გამომყვებით, მარტო წავალო. მაშინ ნაგელი წამოდგა და გაჰყვა. რამდენჯერმე გაისერნ-გამოისეირნეს სანაპიროზე, თანაც ბრბოში მიიკვლევდნენ გზას, ყბედობდნენ და თან ნაცნობებს ესალმებოდნენ. ასე ისეირნეს მათ, ალბათ, ნახევარი საათი, შემდეგ კი ფრუ სტენერსენი შეეხმიანა:
_ აქ მოდით! იცით, რა მოვიფიქრეთ, სანამ თქვენ მანდ დასეირნობდით, გადავწყვიტეთ, ჩვენთან შეიკრიბოს დიდი საზოგადოება ხვალ საღამოს. დიახ, ბატონო ნაგელ, თქვენ აუცილებლად უნდა მობრძანდეთ, მაგრამ იცოდეთ, რომ დიდი საზოგადოებაში უნდა ვიგულისხმოთ განსაზღვრული რაოდენობის სასმელ-საჭმელი.
_ და განუსაზღვრელი რაოდენობის მხიარულება, _ სიხარულით ჩაერია ექიმი, _ ვიცი უკვე. ცუდად როდი მოგიფიქრებია, იეტა, ყოველთვის როდი ხარ ისე მიხვედრილი და ჭკვიანი, _ ექიმი უცებ გამოცოცხლდა და გულკეთილად იცინოდა ხვალინდელი შეხვედრის გამო, _ ოღონდაც ძალიან არ დაიგვიანოთ, _ თქვა მან, _ და ნეტავი არსად გამომიძახონ.
_ მაგრამ შეიძლება ამ კოსტიუმით გამოვცხადდე? _ იკითხა ნაგელმა, _ სხვა რაიმე მე არ გამაჩნია.
ყველას გაეცინა. ფრუ სტენერსენმა კი მიუგო:
_ რა თქმა უნდა. დიდად გვასიამოვნებთ.
უკან რომ გაბრუნდნენ, ნაგელი დაგნი ჰელანის გვერდით მოხვდა. თვით ნაგელი როდი ეცადა ამას, ეს სრულიად შემთხვევით გამოვიდა. არც ფრეკენ ჰელანს უცდია ეს. მან მხოლოდ თქვა, ახლავე მახარებს ხვალინდელი საღამო, რადგან ექიმის სახლში ყოველთვის მყუდროდ და თავისუფლად ვგრძნობ თავს, მშვენიერი ადამიანები არიან, მუდამ შეუძლიათ ისე მოაწყონ საღამო, რომ ყველა მხიარულ გუნებაზე დადგესო.

უცებ ნაგელმა ხმადაბლა თქვა:
_ იმედი ვიქონიოთ, ფრეკენ, რომ მომიტევეთ ჩემი ამასწინანდელი საშინლად სულელური საქციელი ტყეში?
ნაგელი აღგზნებული, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა და დაგნი იძულებული შეიქნა, ეპასუხა.
_ დიახ, _ თქვა მან, _ ახლა უკეთ მესმის, რატომ მოიქეცით ასე იმ საღამოს. თქვენ, ალბათ, ისეთი არ ბრძანდებით, როგორიც სხვა, დანარჩენი ადამიანები არიან.
_ გმადლობთ, _ წაიჩურჩულა ნაგელმა, _ ჩემი სული ისე ღრმა მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული, რომ ამნაირი რამ ჩემს დღეში არ მიგრძნია. მაგრამ, რატომ არ ვარ ისეთი, როგორიც სხვები არიან? იცოდეთ, ფრეკენ, რომ მთელ საღამოს ვცდილობდი გამექარწყლებინა ის შთაბეჭდილება, რომელიც, ალბათ, პირველი შეხვედრისას მოვახდინე. ჩემს მიერ წამოსროლილი ყოველი სიტყვა მხოლოდ თქვენი გულისათვის იყო ნათქვამი. რას იტყვით ამაზე? ნუ დაგავიწყდებათ, რომ დიდი დანაშაული მიმიძღვის თქვენ წინაშე და ვალდებული ვიყავი რითიმე გამომესყიდა. გამოგიტყდებით, მთელ დღეს მართლაც რომ უჩვეულოდ კაი გუნებაზე ვიდექი, მაგრამ არანაკლებ ვცდილობდი, გაცილებით ცუდად წარმომედგინა ჩემი თავი, ვიდრე სინამდვილეში ვარ და მთელი დროის განმავლობაში საკმაოდ საეჭვო თამაშს ვთამაშობდი. საქმე ისაა, მინდოდა, მეიძულებინეთ, გეფიქრათ, რომ ნამდვილად ცოტა შეურაცხადი ვარ და, საერთოდ, უნარი შემწევს ძალზე უცნაური საქციელი ჩავიდინო. ამგვარად ვიმედოვნებდი, შედარებით ადვილად დამემსახურებინა თქვენი პატიება. აი, რატომ გამოვხტი ჩემი უადგილო სიზმრებით. გარდა ამისა, გამოვძვერი კიდეც ჩემი სულელური განცხადებით ვიოლინოს ბუდეზე, თვითონვე გამოვამჟღავნე ჩემი უცნაური საქციელი, თუმც ამის თქმა საჭირო სულაც არ იყო...
_ მაპატიეთ! _ შეაწყვეტინა დაგნიმ სასწრაფოდ, _ მაგრამ ახლა რატომ მიყვებით ყოველივე ამას და მთელ საქმეს თქვენვე აფუჭებთ?
_ არა, არაფერსაც არ ვაფუჭებ. თუ მე გიყვებით, რომ მაშინ ტყეში ერთი წუთით ბოროტი განზრახვა დამებადა და უკან გამოგეკიდეთ, ამას მიმიხვდებით. მე მხოლოდ თქვენი შეშინება მომინდა იმის გამო, რომ ჩემგან გაიქეცით. მაშინ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ გიცნობდით, მაგრამ თუ ახლა გეტყვით, რომ მეც ისეთივე ვარ, როგორც სხვა, დანარჩენი ადამიანები, მაშინ ამასაც გაიგებთ. ამ საღამოს სასაცილოდ წარმოვუდგინე თავი მთელ საზოგადოებას და განვაცვიფრე ჩემი ექსცენტრიკული საქციელით მხოლოდ იმიტომ, რომ გული მომელბო თქვენთვის, რომ ჩემთვის მოგესმინათ, როცა თქვენთან მოვიდოდი ამ ახსნა-განმარტებისათვის. ჩემს მიზანს მივაღწიე, თქვენ უკვე მომისმინეთ და გამიგეთ ყველაფერი.
_ არა, მინდა გულახდილად გითხრათ, რომ ყველაფერი როდი მესმის. დაე, ასე დარჩეს, მაგაზე ხომ არ უნდა ვიმტვრიო თავი.
_ რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, თავი რატომ უნდა იმტვრიოთ ამ საკითხზე ფიქრით? მაგრამ ეს ხვალინდელი საღამო ხომ იმისათვის ეწყობა, რომ ყველა მთვლით უცნაურ, შეურაცხად ადამიანად, რომლისგანაც ყველაზე სასაცილო გამოხდომას შეიძლება მოელოდეს კაცი? სამწუხაროდ, იმედი უნდა გაგიცრუოთ. შეიძლება იმედი გაგიცრუოთ, არც ჰო გითხრათ და არც _ არა, ან იქნებ სულაც არ მოვიდე. ღმერთმა უწყის მხოლოდ.
_ არა, თქვენ, ცხადია, უნდა მოხვიდეთ.
_ უნდა მოვიდე? _ ჰკითხა ნაგელმა და შეხედა დაგნის.
ქალს აღარაფერი უთქვამს. ისინი კვლავ ერთმანეთის გვერდით მოდიოდნენ.
მღვდლის კარ-მიდამოსაკენ გადასახვევ გზას მიადგნენ. ფრეკენ ჰელანი შეჩერდა, გადაიკისკისა და თქვა:
_ ამის მსგავსი ჩემს დღეში არაფერი მინახავს! _ და თავი გააქნია. დაგნი იდგა, დანარჩენთა მოსვლას ელოდა, მათ რომ ჩამორჩნენ. ნაგელს სულით და გულით სწადდა ეთხოვა დაგნისათის, სახლამდე მიგაცილებო და ლამის უთხრა კიდეც, მაგრამ ამ დროს ჰელანმა ზურგი შეაქცია მას და ადიუნქტს გასძახა:
_ მოდით, მოდით ჩქარა! _ და ხელი დაუქნია, რომ აჩქარებულიყვნენ.

VII
მეორე დღეს, საღამოს ექვს საათზე, ნაგელი ექიმის ბინას მიადგა. ფიქრობდა, ადრე მოვედიო, მაგრამ, ვინც კი წინა დღეს გაიცნო, ყველა იქ დაუხვდა. მათ გარდა იყო ორი ახალი სტუმარიც _ ვექილი და ვიღაც ქერათმიანი ახალგაზრდა სტუდენტი. ორ პატარა მაგიდას სტუმრები უკვე მისხდომოდნენ და კონიაკშერეულ სელტერის წყალს სვამდნენ. მესამე მაგიდას უსხდნენ მანდილოსნები, რწმუნებული რაინერტი და ახალგაზრდა სტუდენტი ერთმანეთს ებაასებოდნენ. ადიუნქტი ერთობ ჩუმი კაცი გახლდათ და იშვიათად ან თითქმის არასდროს ლაპარაკობდა, ახლა კი, უბრალოდ რომ ვთქვათ,

მთლად გამომთვრალიყო და მეტისმეტად აღგზნებული და ლოყებწამოღაჟღაჟებული ხმამაღლა ლაპარაკობდა ყველაფერზე.
_ ვთქვათ, თუნდაც სერბია, სადაც მოსახლეობის ოთხმოცმა პროცენტმა წერა-კითხვა არ იცის, განა იქ უკეთესადაა საქმე? დიახ, აბა, ვინ გამცემს ამაზე პასუხს? _ და ადიუნქტი პირქუშად იმზირებოდა აქეთ-იქით, თუმცა არავინ ედავებოდა.
დიასახლისმა მიუხმო ნაგელს და მანდილოსნების სუფრასთან დასვა. რის დალევას ინებებს?
_ ესენი კი სხედან და კრისტიანიაზე საუბრობენ, _ თქვა დიასახლისმა, _ რა უცნაური იდეა დაგბადებიათ, დასახლდეთ ამ პატარა ქალაქში, როცა შეგეძლოთ ნებისმიერი ადგილი ამოგერჩიათ საცხოვრებლად თვით კრისტიანიაშიც კი.
ნაგელს კი ეს სრულებითაც არ მიაჩნდა საშიშ იდეად.
_ მინდა პროვინციაში ვიცხოვრო და დავისვენო, _ თქვა მან. კრისტიანიაში კი არავითარ შემთხვევაში არ დავსახლდებოდი. ეს ყველაზე უკანასკნელი ადგილია, რომელზეც შემეძლო ჩემი არჩევანი შემეჩერებინა.
_ მართლა? მაგრამ ის ხომ დედაქალაქია, სადაც თავს იყრის ყველაფერი, რაც კი ქვეყანაზე ცნობილი და დიდებულია, _ თეატრისა და ხელოვნების მოღვაწეები, საერთოდ, ყველაფერი.
_ დიახ, გარდა ამისა, იქ თავს იყრის უცხოელთა მთელი მასა, _ შენიშნა ფრეკენ ანდერსენმა, _ უცხოელი მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, ქუჩის მხატვრები.
დაგნი ჰელნი კი ხმაამოუღებლად იჯდა და მხოლოდ უსმენდა.
_ დიახ, ცხადია, ეს ასეა, _ დაეთანხმა ნაგელი. არ იცოდა, რატომ ემართებოდა ასე, მაგრამ ყოველთვის, როცა მისი თანდასწრებით კრისტიანიას ახსენებდნენ, მაშინვე გრენსენის ქუჩა წარმოუდგებოდა თვალწინ და გამოუმზეურებელი ტანსაცმლის სუნი ეცემოდა. ეს კი ნადვილად ასე იყო, არაფერს არ იგონებდა. ნაგელს წარმოესახებოდა პატარა, კუდაბზიკა ქალაქი ორიოდე ტაძრით, გაზეთით, სასტუმროთი და საერთო წყალსატუმბით, მაგრამ სამაგიეროდ, მსოფლიოში უდიდესი ადამიანებით. ვერსად ნახავთ, რომ ადამიანები ისე თავს იწონებდნენ და იბღინძებოდნენ, როგორც იმ ქალაქში. ოჰ, ღმერთო დიდებულო, რამდენჯერ სურდა სადმე გადაკარგულიყო, როცა იქ ცხოვრობდა.
რწმუნებულს ვერაფრით გაეგო, როგორ შეეძლო
ვინმეს ანტიპათიური გრძნობით გამსჭვალულიყო არა მარტო ცალკეული პიროვნების, არამედ მთელი ქალაქის, ქვეყნის დედაქალაქის მიმართ:
_ კრისტიანია ამჟამად სულაც არაა ასეთი უმნიშვნელო ქალაქი, ის თანდათან შესაფერის ადგილს იჭერს სხვა მნიშვნელოვან ქალაქთა შორის. კაფე `გრანდი~ კი არც ისეთი უბრალო კაფეა, _ შენიშნა მან.
ნაგელმა ამ შენიშვნაზე ჯერ არაფერი უპასუხა, მერე კი შუბლი შეიჭმუხნა და ისე ხმამაღლა თქვა, რომ ყველამ გაიგონა:
_ `გრანდი~ ეს ერთადერთი თავისებური კაფეა.
_ თქვენ, ალბათ, ხუმრობთ.
_ არა, სრულებითაც არა. `გრანდი~ სახელგანთქმული ადგილია ქალაქში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მსოფლიოს უდიდესი ადამიანები, იქ თავს იყრიან მსოფლიოს ყველაზე დიდი მხატვრები და ნიჭიერი ახალგაზრდები, ყველაზე გემოვნებიანი მანდილოსნები მთელი ქვეყნისა, მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული პოეტები და რედაქტორები! ხე-ხე-ხე! სხედან იქ ყველანი და იბღინძებიან ერთმანეთის წინაშე. ერთი აღტაცებულია იმის გამო, რომ მეორემ აღიარა მისი გენია. მინახავს, ყოველი მათგანი ზის და იმითაა გახარებული რომ დანარჩენთა ყურადღება მიიქცია.
ამ სიტყვებმა საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. რწმუნებულმა ფრეკენ ჰელანისაკენ თავი გადახარა და საკმაოდ ხმამაღლა უთხრა:
_ ჯერ არასდროს მსმენია, რომ ვინმეს ასე მოჰქონდეს თავი.
ჰელანი შეიშმუშნა და სწრაფი მზერა სტყორცნა ნაგელს. ნაგელმა კი, ალბათ, გაიგონა რწმუნებულის სიტყვები, მაგრამ მათთვის ყურადღება არ მიუქცევია. მან ჭიქაც კი მიუჭახუნა ახალგაზრდა სტუდენტს და გულგრილი სახით რაღაც სხვა საკითხზე გადაიტანა საუბარი. ნაგელს რომ ასე ქედმაღლურად ეჭირა თავი, ამან დაგნიც გააღიზიანა. ღმერთმა უწყის, რას ფიქრობს ის ყველა მათგანზე, რაკი მათ ასე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით უმასპინძლდება!
ეს რა დიდი წარმოდგენა ჰქონია თავის თავზე, რა განდიდების მანია! როცა რწმუნებულმა ჰკითხა ჰელანს, რა აზრისა ბრძანდებით ამ საკითხზეო, მან განგებ ხმამაღლა მიუგო:
_ რა აზრისა ვარ? კრისტიანია მე საკმაოდ კარგ ქალაქად მიმაჩნია.
მაგრამ ვერც ამან დაარღვია ნაგელის სიმშვიდე. ყური მოჰკრა თუ არა სანახევროდ მისკენ მიმართულ სიტყვას, თავი მოიბრუნა და მთელი გულისყურით ჰელანს მიაჩერდა, თითქოს უნდა გაიხსენოს, რით შევძელი მისი გაგულისებაო. ერთ წუთზე მეტს უცქერდა მას ასე გაშტერებული, თვალებს ახამხამებდა და ცდილობდა, რაღაც მოეგონებინა, თანაც ამ დროს ძალზე მწუხარე გამომეტყველება ჰქონდა.

მაგრამ ამ დროს ადიუნქტმა ყური მოჰკრა, რაზეც ლაპარაკობდნენ, და სასტიკი პროტესტი განაცხადა მათ წინააღმდეგ, ვინც ამტკიცებდა, კრისტიანია პატარაა, მაგალითად, ბელგრადზეო. საერთოდ, კრისტიანია არაფრით პატარა არ არის საშუალო სიდიდის დედაქალაქებზეო. ახლა კი ყველამ გადაიხარხარა. ადიუნქტის ანთებული ღაწვები და მისი შეუპოვარი მტკიცება ძალზე კომიკურად გამოიყურებოდა. ვექილი ჰანსენი, პატარა, სქელ-სქელი, თავმოტვლეპილი კაცუნა, სიცილით იგუდებოდა ამაზე, მუხლებზე ხელს ირტყამდა და ხარხარებდა.
_ საშუალო სიდიდისა, საშუალო სიდიდისა! _ ყვიროდა იგი, _ კრისტიანია არაფრით პატარა არ არის ასეთივე სიდიდის სხვა დედაქალაქებზე. არაფრით პატარა. ოჰ, ღმერთო ჩემო! თქვენი სადღეგრძელო იყოს!
ნაგელმა ისევ სტუდენტ ეიენთან განაახლა საუბარი.
_ დიახ, ახალგაზრდობისას მეც გატაცებული ვიყავი
მუსიკით, განსაკუთრებით ვაგნერით, მაგრამ თანდათან გამიარა ამ გატაცებამ. მხოლოდ იმას მივაღწიე, რომ ნოტების კითხვა შევძელი და რამდენიმე ბგერას ხმა ამოვაღებინე.
_ როიალზე? _ ჰკითხა სტუდენტმა.
როიალი იყო მისი სპეციალობა.
_ აჰ, არა, ვიოლინოზე, მაგრამ, როგორცა ვთქვი, შორს ვერ წავედი და მალე მივატოვე მუსიკა.
ნაგელის მზერა შემთხვევით ფრეკენ ანდერსენზე შეჩერდა, რომელიც თხუთმეტ წუთზე მეტი იქნებოდა, რაც კუთხეში ღუმელთან მიმჯდარიყო და რწმუნებულს ეტიტინებოდა. მისი და ნაგელის თვალები ერთმანეთს შეხვდა, ერთი წამით, მოულოდნელად, მაგრამ ქალიშვილი რაღაც შეშფოთებული შეირხა სკამზე და ლაპარაკი უეცრად შეწყვიტა.
დაგნი იჯდა და დაკეცილ გაზეთს იტყაპუნებდა ხელზე. თეთრ, გრძელ თითებზე ბეჭედი არ ეკეთა. ნაგელმა ქურდულად გადახედა. ღმერთო, რა კარგი იყო იგი ამ საღამოს! ლამპის შუქსა და ჩაბნელებული კედლის ფონზე მისი სქელი, ქერა ნაწნავები უფრო ქერა მოჩანდა. დამჯდარისთვის რომ შეგეხედათ, იტყოდით, სიმსუქნისკენაა მიდრეკილიო, მაგრამ წამოდგებოდა თუ არა, მაშინვე გაგიქრებოდათ ეს შთაბეჭდილება. მსუბუქი, ნარნარი სიარული იცოდა, თითქოს ციგურებით ბევრი უსრიალიაო.
ნაგელი წამოდგა და ჰელანთან მივიდა.
დაგნიმ უცებ თავისი მუქ-ლურჯი თვალები შეანათა და ნაგელს, თვითონაც რომ სულ არ მოელოდა ამას, უნებლიეთ აღმოხდა:
_ ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ხართ?
ამგვარმა უშუალობამ მთლად შეაკრთო ქალიშვილი. პირი დააღო, არც იცოდა, რა ეპასუხა. შემდეგ ესღა წაიჩურჩულა:
_ ცოტა კეთილგონივრულად მაინც მოიქეცით!
ამის მერე დაგნი მალე წამოდგა და როიალთან მივიდა, სადაც ნოტების გადაფურცვლა დაიწყო,_ ღაწვები მთლად ანთებოდა.
ექიმმა, პოლიტიკაზე სასუბროდ რომ სული მისდიოდა, განსაკუთრებით არავისთვის მიუმართავს, ისე იკითხა:
_ წაიკითხეთ დღევანდელი გაზეთები? `სადილაო ფურცელი~ ამ ბოლო დროს აღარაფრად არ ვარგა. განათლებული ადამიანის ენას სახსენებელიც კი აღარ გააჩნია. ეს მთლიანად რაღაც გაუთავებელი ქუჩური ლანძღვა-გინებაა.
ამაზე არავინ გამოსდავებია და ექიმი შეცბუნებული შეჩერდა. მაგრამ ვექილმა ჰანსენმა იცოდა, რისი თქმაც ნებავდა მასპინძელს და ამიტომაც მშვიდად შენიშნა რწმუნებულს:
_ ხომ არ ვაღიაროთ, რომ ორივე მხარე დამნაშავე ვართ?
_ რაო? _ შეჰყვირა ექიმმა და სკამიდან წამოიჭრა, _ მაგით ხომ არ გინდა თქვა, რომ...
სუფრა გაშალეს. საზოგადოება სასადილო დარბაზისაკენ გაემართა. ექიმი ისევ ლაპარაკობდა. საუბარი სუფრაზეც გაგრძელდა. ნაგელი კი, დიასახლისსა და პოლიცმაისტერის ქალიშვილს, ახალგაზრდა ფრეკენ ულსენს შორის რომ იჯდა, საუბარში აღარ ერეოდა.
სუფრიდან წამოიშალნენ, ყველანი ღრმად შეჭრილიყვნენ ევროპის პოლიტიკაში. გამოთქვამდნენ აზრს მეფეზე, კონსტანსზე, პარნელზე, მაგრამ როცა ბალკანური საკითხების განხილვაზე მიდგა ჯერი, მთვრალ ადიუნქტს ისევ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა სერბიას დასხმოდა თავს. ეს იყო `სადილაო ფურცელში~ წაეკითხა, იქ საშინელი მდგომარეობაა, სკოლები უყურადღებოდაა მიტოვებულიო.
_ მხოლოდ ერთი რამ მახარებს უსაზღვროდ, _ თქვა ექიმმა, თვალები რომ მოსწყლიანებოდა. _ სახელდობრ ის, რომ გლადსტონი ჯერ კიდევ ცოცხალია. შეავსეთ თქვენი ჭიქები, ბატონებო, და შევსვათ გლადსტონის სადღეგრძელო, დიახ, გლადსტონის, ამ წმინდა წყლის დიდი დემოკრატისა და თანამედროვეობისა და მომავლის დიდი ადამიანისა.

_ ცოტა მოითმინე, ჩვენც მიგვაღებინე მონაწილეობა! _ წამოიძახა მისმა მეუღლემ.
და მან ყველა მანდილოსნის ჭიქა გრძნობამორეულმა პირთამდე შეავსო ღვინით და აკანკალებულ ხელში ლანგრით ყველას ჩამოურა.
ყველამ დალია.
_ დიახ, განა ყოჩაღი არ არის მართლა, _ განაგრძო ექიმმა ენის წკაპუნით, _ საბრალო, ამას წინათ გაცივდა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე გამოკეთდება. არც ერთი პოლიტიკოსის დაღუპვა არ დამენანებოდა ახლა ისე, როგორც გლადსტონისა. ღმერთო ჩემო, როცა მასზე ვფიქრობ, ყოველთვის იმ შუქურასავით მესახება, რომელიც თავისი სხივებით მთელ ქვეყანას აშუქებს!.. თქვენ რაღაც გულგრილი სახე გაქვთ, ბატონო ნაგელ, არ მეთანხმებით?
_ რა? დიახ, რა თქმა უნდა, სავსებით გეთანხმებით.
_ აბა, რა! ბისმარკისაც ბევრი რამ მომწონს, მაგრამ გლადსტონი!..
არავინ არასდროს შეეკამათებოდა ექიმს, ყველამ კარგად იცოდა მისი ყბედობის ამბავი. ბოლოს ბაასი ისე ჩაკვდა, რომ ექიმმა ბანქოს თამაშიღა შესთავაზა სტუმრებს დროის მოსაკლავად.
_ ვის სურს თამაში? _ იკითხა მან, მაგრამ ამ დროს ფრუ სტენერსენმა მთელი დარბაზის გასაგონად წამოიძახა:
_ არა, ეს უნდა ვთქვა! იცით, რა მითხრა მე ახლა სტუდენტმა ეიენმა? ყოველთვის ისეთ შესანიშნავ ადამიანად როდი მიიჩნევდით გლადსტონს, როგორც დღეს, ბატონო ნაგელ! სტუდენტ ეიენს მოუსმენია ერთხელ კრისტიანიაში _ მგონი, მუშათა კავშირში, _ რა შეუბრალებლად შეახურეთ იგი. კაი ვინმე ბრძანებულხართ, არა უშავს რა! ნუთუ ეს სიმართლეა? არა, თქვით, თქვით!
ფრუ სტენერსენმა ეს სიტყვები ისე დინჯად, ღიმილით თქვა, რომ ხუმრობით თითითაც კი დაემუქრა და ერთხელ კიდევ მოსთხოვა ნაგელს, გვითხარით, ეგ მართალია თუ არაო.
ნაგელი შეცბუნდა და ესღა უპასუხა:
_ ეგ რაღაც გაუგებრობაა.
_ ჯერ ვიტყვი, რომ გლადსტონი მაგრა შეახურეთ, _ შენიშნა ეიენმა, _ ძალზე გააკრიტიკეთ. ისიც კი მახსოვს, რომ გლადსტონს ფარისეველი უწოდეთ.
_ ფარისეველი! გლადსტონი ფარისეველია! _ დაიყვირა ექიმმა. _ მთვრალი ხომ არ ბრძანდებოდით, გეთაყვა?
ნაგელს გაეცინა.
_ არა, მთვრალი არ ვყოფილვარ. თუმცა შეიძლება მთვრალიც ვიყავი, არ ვიცი. როგორცა ჩანს, ასეა.
_ ღმერთმანი, ნამდვილად ეგრე იქნებოდა, _ თქვა ამ აზრით ნასიამოვნებმა ექიმმა.
ნაგელს არ სურდა ახსნა-განმარტება დაეწყო და საუბარს აარიდა თავი. მაშინ დაგნი ჰელანმა ისევ სთხოვა ფრუ სტენერსენს შეეგულიანებინა იგი.
_ აიძულეთ, მოგვიყვეს, რა თქვა. ძალზე თავშესაქცევი ამბავია.
_ დიახ, რა გინდოდათ ამით გეთქვათ? _ ჰკითხა ფრუ სტენერსენმა, _ რაკი გააკრიტიკეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ გქონდათ რაღაც საფუძველი. მაშ, ჩვენც გაგვიზიარეთ. მაგით ფრიად გვასიამოვნებთ კიდეც. ახლა რომ ბანქოს თამაშს შევუდგეთ, ძალზე მოვიწყენთ.
_ თუკი საზოგადოების გამხიარულება შემიძლია, მაშინ ეს სულ სხვა საქმეა, _ მიუგო ნაგელმა.
სურდა თუ არა ამ შენიშვნით იმ როლზე მიეთითებინა, რომელსაც იგი ასრულებდა საზოგადოებაში? დამცინავმა ღიმილმა ბაგეები დაუმანჭა.
_ არ მახსოვს ის შემთხვევა, რომელიც ბატონმა ეიენმა გაიხსენა, _ დაიწყო ნაგელმა, _ რომელიმე თქვენგანს თუ უნახავს გლადსტონი ან მოუსმენია მისთვის? როცა კათედრაზე მდგარს უყურებთ, ასეთი შთაბეჭდილება გექმნებათ: შენ წინ დგას ძალზე სამართლიანი, უზადო კაცი. რაიმე ხრიკებსა და თავის დაძვრენაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. როგორ შეიძლება ამისთანა ადამიანმა რაიმე შესცოდოს უფლის წინაშე. თვითონ ისე გამსჭვალულია ამ პირუთვნელობის იდეით, რომ ჰგონია, ჩემი მსმენელებიც ასეთნი არიან და არც კი შეუძლიათ რაიმე ხრიკებსა და თავის დაძვრენაზე იფიქრონო!..
_ ეგ ხომ მშვენიერი თვისებაა ამ ადამიანისა. განა არ მოწმობს მის ჰუმანურ აზროვნებას? _ შეაწყვეტინა ექიმმა, _ არასოდეს მსმენია ამაზე უცნაური რამ.
_ მეც ეგ მინდოდა მეთქვა. ეს ყოველივე მის დასახასიათებლად გითხარით, როგორც ამ ადამიანის ერთ-ერთი მშვენიერი თვისება. ხა-ხა-ხა! სწორედ ერთ შემთხვევას მოგიყვებით, ახლა მომაგონდა. თუმცა შეიძლება მოყოლა ზედმეტიც კია, საკმარისია გავიხსენო მხოლოდ სახელი კერი. არ ვიცი, აქ ბრძანებულთაგან ყველას ახსოვს თუ არა, მინისტრად ყოფნისას როგორ იღებდა მოღალატე კერის დასმენებს. სხვათა შორის, შემდეგ თვითონ გლადსტონი დაეხმარა კერის, აფრიკაში გაქცეულიყო, ფენიების შურისძიებისგან რომ ეხსნა.
თუმცა საქმე ეს კი არა, სულ სხვა ამბავია. არსებითად, მე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ისეთ წვრილმანებს, როგორიც ზოგიერთი საქციელია, ხანდახან მინისტრები უნებლიეთ რომ სჩადიან.

მაგრამ იმ საკითხსავე დავუბრუნდეთ, რაზეც ვსაუბრობდით. ფაქტია, გლადსტონი სულით ხორცამდე გულწრფელი კაცია. თქვენ რომ გენახათ და მოგესმინათ მისთვის, ისღა დამჭირდებოდა, რომ თქვენი ყურადღება მიმექცია იმაზე, როგორი სახე აქვს ლაპარაკის დროს. ის ისე ურყევადაა დარწმუნებული საგნის კეთილხარისხოვნებაში, რომ ეს რწმენა მის მზერაში, ხმაში, მანერებსა და ჟესტ-მიმიკაში იხატება. გლადსტონის სიტყვა მარტივია და ადვილად გასაგები, მოღელავს დინჯად და დაუსრულებლად. ო, ის დაუსრულებელია, დაუშრეტელია მისი მჭევრმეტყველების შადრევანი! რომ განახვათ, რარიგ აფრქვევს თავის შენიშვნებს მთელ აუდიტორიაში, _ ორიოდე სიტყვას რკინის ნაწარმით მოვაჭრეს ესვრის, ორიოდესაც _ ჭონს, _ ისე კარგად იცის ის, რაზეც ლაპარაკობს, რომ გგონია, თითოეულ სიტყვას თითო კრონად აფასებსო. დიახ, ეს უჩვეულოდ გასართობი სანახავია! დიახ, გლადსტონი უდავო სამართლის რაინდია და მხოლოდ ამ სამართლის სახელით გამოდის. თავში არასოდეს მოუვა შეიწყნაროს რაიმე შეცდომა. მინდა ვთქვა: თუ გრძნობს, რომ სიმართლე მის მხარეზეა, შეუბრალებელია და ფართოდ სარგებლობს ამით, თვალწინ უტრიალებს მას თავის მსმენელებს და ყველაფერს სჩადის თავისი მოწინააღმდეგეების შესარცხვენად. მისი მორალი ყველაზე ჯანსაღი და ჭეშმარიტია, იგი ივღწის ქრისტიანობის, ჰუმანურობისა და ცივილიზაციის სასარგებლოდ. ვინმემ რომ შესთავაზოს, ამდენი და ამდენი ათასი გირვანქა იმისათვის, რომ სასჯელისაგან იხსნას უდანაშაულოდ სიკვდილმისჯილი ქალი, ის იხსნის ქალს, ზიზღით უარს იტყვის ფულის მიღებაზე და თანაც დიდ დამსახურებად არ ჩაითვლის ამ საქციელს. დიახ, სრულებითაც არა, არავითარ დამსახურებად არ ჩაითვლის, _ აი, როგორია ეს კაცი! დაუღალავი მებრძოლია და მუდამ მიისწრაფვის, სიკეთე თესოს ჩვენს მიწაზე, სულ არ ზოგავს საკუთარ თავს სიმართლის, ჭეშმარიტებისა და ღვთის გულისათვის. მერედა, რანაირ გამარჯვებებს არ აღწევს!
ორჯერ ორი ოთხია,
ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა, მადლობა ღმერთს!.. თუმცა, გლადსტონს უფრო მაღლა შეუძლია ავიდეს, ვინემ ეს ორჯერ ორი ოთხია. ერთხელ მოვუსმინე მას ბიუჯეტის განხილვისას და მაშინ ამტკიცებდა, ჩვიდმეტჯერ ოცდასამი სამას ოთხმოცდათერთმეტიაო და, მართლაც, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, უდიდესი გამარჯვება. ის კვლავ მართალი იყო, ამ სიმართლისაგან უბრწყინავდა თვალები, უთრთოდა ხმა და სწორედ მისი წყალობით ხდებოდა დიდი ადამიანი. მაგრამ, ჩემს უნებურად, წამოვდექი და შევხედე ამ ადამიანს. მშვენივრად ვიცოდი, რომ არ უყვარდა ხრიკები და თავის დაძვრენა, მაგრამ მაინც წამოვდექი, ვიდექი და ვფიქრობდი მის რიცხვზე, _ `სამას ოთხმოცდათერთმეტი~, ისიც ვიცოდი, რომ სავსებით სწორი იყო, მაგრამ უნებლიეთ მაინც ჩავფიქრდი და საკუთარ თავს ვუთხარი: `არა, მოიცა! ჩვიდმეტჯერ ოცდასამი სამასოთხმოცდაჩვიდმეტია!~ მშვენივრად ვიცოდი, რომ `ოთხმოცდათერთმეტი~ იყო, მაგრამ აშკარა სისწორის მიუხედავად უნდა ვთქვა: `ოთხმოცდაჩვიდმეტი~ მხოლოდ იმის გულისათვის, რომ ავუმხედრდე ამ ადამიანს, სიმართლის ამ პროფესიონალს. შინაგანი ხმა მოითხოვდა: `აღდექ, ამხედრდი ამ ანბანური სიმართლის წინააღმდეგ!~ _ და მეც ავდექი და ვთქვი: `ოთხმოცდაჩვიდმეტი~, მხოლოდ იმიტომ, რომ მწვავე შინაგანი მოთხოვნილების გამო შემენარჩუნებინა საკუთარი შეგნება სიმართლეზე, ნება არ მიმეცა, წაებილწათ, ნება არ დამერთო ამ ადამიანისათვის, დაემდაბლებინა და მიწასთან გაესწორებინა ის _ ამ ადამიანისათვის, რომელიც უდავოდ იდგა სიმართლის მხარეზე...
_ ღმერთმანი, ამაზე უაზრო და აბდაუბდა ჯერ არაფერი მსმენია როდისმე! _ წამოიყვირა ექიმმა, _ თქვენ ის გაშფოთებთ, რომ გლადსტონი ყოველთვის მართალია?
ნაგელს გაეღიმა, გულკეთილობისა თუ აფექტისგან, ძნელი იყო ამის თქმა. მან განაგრძო:
_ ეს არ მაშფოთებს და არც მორალურად მცემს დაბლა. თანაც არც მგონია, რომ აქ ვინმემ რაიმეზე გამომიჭიროს, მაგრამ ეს სულერთია. გლადსტონი სიმართლისა და სამართლიანობის მოხეტიალე ჰეროლდია, მისი ტვინი ხომ საყოველთაოდ აღიარებული მონაცემებითაა გამოჭედილი და გაყინული. ორჯერ ორი რომ ოთხია, ეს მისთვის უდიდესი ჭეშმარიტებაა მთელ დედამიწაზე. განა ჩვენ ვდაობთ, რომ ორჯერ ორი ოთხია? რა თქმა უნდა, არა. ყოველივე ამასაც მხოლოდ იმის დასამტკიცებლად ვამბობ, რომ გლადსტონი ყოველთვის მართალია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ვართ გამსჭვალულნი ჭეშმარიტების შეგნებით და რაოდენ დაჩლუნგებული გვაქვს გონება მის აღსაქმელად, _ მინდა ვთქვა, უნარი შეგვწევს თუ არა კიდევ განვცფირდეთ ასეთი ჭეშმარიტებებით. აი, რაშია საქმე... მაგრამ გლადსტონი იმდენად მართალია და ისე ჭეშმარიტად თავდადებული და ერთგული, თავში არც მოუვა აზრად, რომ კაცობრიობის მოდგმამ შეიძლება თავისი ნებით შეწყვიტოს ბედნიერი არსებობა. იგი ყოველთვის ფუსფუსებს, ყოვლისმცოდნეა. მთელ ქვეყანას აცვიფრებს თავისი დიდი სიბრძნით, ქადაგებს მას ბირმინგემში, გლაზგოში და საცობის მეფაბრიკისა და ვექილის ერთსა და იმავე შეხედულებებამდე მიდის, ვაჟკაცურად იბრძვის თავისი მრწამისასათვის და მეტისმეტად სჭიმავს თავის ბებერ, საიმედო ფილტვებს, რომ მსმენელებს მისი ერთი ძვირფასი სიტყვაც კი არ დაეკარგოს. როცა სანახაობა მთავრდება, ხალხი აღტაცებულია, გლადსტონი კი გამოეთხოვება, გასწევს

შინ, დასაძინებლად დაწვება, ღვთისმოსავივით გულხელს დაიკრეფს, ლოცულობს და დაიძინებს ისე, რომ ოდნავადაც არა ქენჯნის სინდისი, არ რცხვენია იმის გამო, რომ ბირმინგემი და გლაზგო აავსო _ რით? ის მხოლოდ ერთ რამესა გრძნობს, რომ აღასრულა თავისი ვალი კაცობრიობის წინაშე, რომ სუფთაა მისი სინდისი და იძინებს, როგორც ალალ-მართალი კაცი. ერთხელაც არ იფიქრებს, რომ დაიმძიმა სული, არ ეტყვის საკუთარ თავს: `დღეს არცთუ ისე კარგად აღასრულე შენი საქმე, თავი შეაწყინე წინა სკამებზე მჯდომ ორ ფეიქარს, ერთი მათგანი ამთქნარებდა კიდეც~. არა, ამას არ ეტყვის თავს, რადგან დარწმუნებული არ არის, რომ ეს მართალია. სიცრუის თქმა კი მას არ სურს, რადგან ეს ცოდვაა, გლადსტონს კი ცოდვის ჩადენა არა სურს. არა, ის ეტყვის თავს: `არა, მგონი, ერთი კაცი ამთქნარებდა, _ საოცარია, მაგრამ ისე მომეჩვენა, თითქოს ამთქნარებდა, მაგრამ, ცხადია, შევცდი, ეს შეუძლებელია, ის კაცი არ ამთქნარებდა~. ჰე-ჰე-ჰე!.. მართალი გითხრათ, არ მახსოვს, ვლაპარაკობდი თუ არა ამის მსგავს რამეს კრისტიანიაში, მაგრამ ეს სულერთია, ყოველ შემთხვევაში, უნდა გამოვტყდე, გლადსტონს, როგორც გამოჩენილ სასულიერო პირს, ჩემზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება არასდროს მოუხდენია.
_ ეჰ, საბრალო გლადსტონი, _ შენიშნა რწმუნებულმა რაინერტმა.
მაგრამ ამაზე ნაგელმა არაფერი უპასუხა.
_ არა, კრისტიანიაში ეგ კი არ გითქვამთ, _ შენიშნა ეიენმა, _ თქვენ მას თავს დაესხით ირლანდიელებსა და პარნელთან მისი დამოკიდებულების გამო და სხვათა შორის, თქვით, რომ როგორც გამოჩენილი გონიერი პიროვნება განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს. კარგად მახსოვს, რომ ეს თქვით. ეს დიდი და სასარგებლო ძალაა, ბრძანეთ მაშინ, მაგრამ თავისი ხასიათით ფრიად ჩვეულებრივი, სხვა არაფერია, თუ არა ბიკონსფილდის უზარმაზარი ნეკიო.
_ მახსოვს, მახსოვს. მაშინ სიტყვა წამართვეს. ჰე-ჰე-ჰე. კარგი, შემიძლია მაგაზეც მოგიწეროთ ხელი, რატომაც არა? ეს ცუდი როდია სხვა დანარჩენზე, მაგრამ შემიწყნარეთ, მოწყალე მექმენით, ბატონებო!
მაშინ ექიმმა სტენერსენმა ჰკითხა:
_ გვითხარით, გეთაყვა, მართალი ბრძანდებით?
ნაგელმა განცვიფრებისგან თვალები დააჭყიტა, შემდეგ გადაიხარხარა და უპასუხა:
_ თქვენ თვითონ როგორ ფიქრობთ?
ამ დროს გაისმა ზარის ხმა ექიმის კანტორაში. ექიმის მეუღლე წამოხტა:
_ ცხადია, ეს ასეა ხშირად. ახლა, სამწუხაროდ, ექიმს წასვლა მოუხდება. ყოველ შემთხვევაში, მე თორმეტზე ადრე არავის გავუშვებ. ახლავე დაბრძანდით, ფრეკენ ანდერსენ. ანა კიდევ მოგვართმვს ჩაის. ჯერ ხომ ათი საათიც არაა, ბატონო რწმუნებულო. თქვენ არაფერს სვამთ!
მაგრამ რწმუნებული არავის ჩამორჩებოდა სმაში.
_ წასვლაზე არავინ იფიქროს. ყველანი დარჩებით.
_ დაგნი, რატომ მიყურდი ასე?
არა, დაგნი ყოველთვის ასეთი იყო.
ამ დროს ექიმი დაბრუნდა კანტორიდან.
_ მომიტევეთ, უნდა გავემგზავრო, საშიში შემთხვევაა, სისხლდენა ასტეხია. მაგრამ ეს არც ისე შორსაა. ორ-სამ საათში დავბრუნდები. იმედი მაქვს, ყველანი აქვე დამიხვდებით. ნახვამდის! მშვიდობით, იეტა!
ექიმი დაყოვნებლივ გაემგზავრა. ერთი წუთის შემდეგ იგი ქუჩაში გამოჩნდა სხვა კაცთან ერთად: ლამის გარბოდნენ ნავმისადგომისაკენ.
ექიმის მეუღლემ თქვა:
_ აბა, რაიმეთი გავერთოთ... თქვენ რომ იცოდეთ, რა მოსაწყენია მარტოდ დარჩენა სახლში, როცა ქმარი სადმე მიემგზავრება. განსაკუთრებით მძიმეა ზამთრის ღამეებში, როცა აღარც კი ვარ დარწმუნებული, რომ საერთოდ დაბრუნდება.
_ შვილები არ გყოლიათ, როგორც ვხედავ, _ შენიშნა ნაგელმა.
_ არა, შვილები არ გვყავს... ახლა ამ გრძელ ღამეებსაც ვეჩვევი, მაგრამ პირველად სულ ვერ ვიტანდი. ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელება მზარავდა... სიბნელე, შიში მეუღლის გამო. დიახ, სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სიბნელისა მეშინია. ჰოდა, ზოგჯერ ჩემს საწოლ ოთახს ვტოვებდი და მოახლესთან ვიძინებდი... მაგრამ, დაგნი, ახლა შენი ჯერია გვიამბო რამე. რაზე გაგიტაცა ფიქრმა? რაღა თქმა უნდა, საქმროზე.
დაგნი გაწითლდა, გაიღიმა შეცბუნებულმა და უპასუხა:
_ თავისთავად ცხადია, მასზე ვფიქრობ. ეს ისეც გასაგებია. მაგრამ სჯობდა, გეკითხა, რაზე ფიქრობს რწმუნებული. მას ერთი სიტყვა არ უთქვამს მთელი საღამოს განმავლობაში.

რწმუნებული შეედავა: მთელი საღამო ფრეკენ ულსენსა და ფრეკენ ანდერსენს ვესაუბრებოდი, ფრიად მნიშვნელოვან მოღვაწეობას ვეწეოდი ამ ხმაურში, ყურადღებით ვისმენდი, სხვები როგორ ავითარებდნენ პოლიტიკურ შეხედულებებს. ერთი სიტყვით...
_ უნდა გითხრათ, რომ ფრეკენ ჰელანის საქმრო სანაოსნოდაა გამგზავრებული, _ ამ სიტყვებით ფრუ სტენერსენმა ნაგელს მიმართა, _ საზღვაო ოფიცერი გახლავთ და მალტაზე გაემგზავრა, მართალს არ ვამბობ, დაგნი?
_ დიახ, მალტაზე.
_ რა მალე ინიშნება ხოლმე ეს ხალხი! ორი-სამი კვირით ჩამოდიან მშობლებთან შვებულებაში... ჰოდა, ერთ მშვენიერ საღამოს... ჰო, ეს ბატონი ლეიტენანტები!
_ დიახ, ყოჩაღი ხალხია! _ შენიშნა ნაგელმა, _ უმეტესწილად, მზემოკიდებული, გულღია და მხიარული ახალგაზრდები არიან. ფორმაც ლამაზი აქვთ და შნოიანადაც ატარებენ. მეზღვაური ოფიცრებით ყოველთვის აღტაცებული ვარ ხოლმე.
უცებ ფრეკენ ჰელანი ეიენისკენ შემობრუნდა და ღიმილით უთხრა:
_ დიახ, ამას ბატონი ნაგელი ბრძანებს ახლა, მაგრამ რას ლაპარაკობდა კრისტიანიაში?
ყველამ გაიცინა. ვექილმა ჰანსენმა, გადაკრულში რომ იყო, წამოიძახა:
_ დიახ, დიახ, რა ილაპარაკა ბატონმა ნაგელმა კრისტიანიაში? რა თქვა ბატონმა ნაგელმა იქ? ხა-ხა-ხა-ხა! ღმერთო დიდებულო! თქვენი სადღეგრძელო იყოს!
ნაგელმა ჭიქა მიუჭახუნა და გადაკრა.
_ არა, საზღვაო ოფიცრებს მართლა აღტაცებაში მოვყავარ. უფრო მეტსაც გეტყვით: ახალგაზრდა ქალიშვილი რომ ვიყო, მხოლოდ საზღვაო ოფიცერზე გავთხოვდებოდი, ან სულ გაუთხოვარი დავრჩებოდი.
ამ სიტყვებზე ყველამ გაიცინა. ვექილი აღტაცებით უჭახუნებდა ჭიქას ყველა ჭიქას, რომელიც კი სუფრაზე იდგა და სვამდა. მაგრამ დაგნიმ უეცრად თქვა:
_ ამბობენ, ლეიტენანტები ნაკლებგანვითარებული ხალხიაო. მაშ, ეს თქვენ არა გჯერათ?
_ სისულელეა, _ მიუგო ნაგელმა, _ თანაც, ეს ეგრეც რომ იყოს და მე ქალიშვილი ვიყო, მაინც ლამაზ მამაკაცს ვარჩევდი, ვინემ ჭკვიანს. უეჭველად ასე მოვიქცეოდი, განსაკუთრებით მაშინ, ახალგაზრდა ქალიშვილი რომ ვყოფილიყავ. აბა, რად გვინდა ტვინი უსხეულოდ? ამაზე, ცხადია, შეიძლება შემოგვედავონ, უტვინო სხეული რაღად გვინდაო? დალახვროს ეშმაკმა, ეს ერთი და იგივე როდია. შექსპირის მშობლებმა წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ და თვითონ შექსპირსაც არცთუ ხეირიანად შეეძლო კითხვა. მიუხედავად ამისა, ისტორიულ პიროვნებად იქცა. რაც უნდა იყოს, ახალგაზრდა ქალიშვილს ნასწავლი და უშნო მამაკაცი უფრო მალე მოსწყინდება, ვინემ _ ლამაზი და სულელი. არა, ახალგაზრდა გოგონა რომ ვიყო და ჩემ წინ არჩევანის შესაძლებლობა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ლამაზ მამაკაცს ამოვირჩევდი. ასეთი მამაკაცის აზრი კი ნორვეგიის პოლიტიკაზე, ნიცშეს ფილოსოფიასა და ღმერთის სამსახოვნებაზე სულ არ დამაინტერესებდა.
_ აი, ნახეთ ფრეკენ ჰელანის ლეიტენანტი, _ თქვა ფრუ სტენერსენმა და ალბომთან მივიდა.
დაგნი წამოხტა.
_ აჰ, არა! _ აღმოხდა უნებლიეთ, მაგრამ ცოტა ხნის მერე ისევ დაჯდა, _ ცუდი ფოტოა, _ თქვა მან შემდეგ, _ სინამდვილეში გაცილებით უკეთესია.
ნაგელმა დახედა მრგვალწვერიან ახალგაზრდა ლამაზ მამაკაცს. ბუნებრივ, მშვენიერ პოზაში იჯდა მაგიდასთან და ხელი ხმლის ვადაზე ჰქონდა წავლებული. ოდნავ თხელი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი. გარეგნულად ცოტათი ინგლისელს წააგავდა.
_ დიახ, ეს მართალია, სინამდვილეში გაცილებით ლამაზია, _ დაადასტურა ფრუ სტენერსენმაც, _ ოდესღაც, ახალგაზრდობაში, თვითონაც მიყვარდა. ახლა ამ სურათს დახედეთ, მის გვერდით. ეს ახალგაზრდა თეოლოგი იყო, ამას წინათ გარდაიცვალა, კარლსენი ერქვა. ორი კვირის წინ დავკრძალეთ. ძალზე სამწუხარო იყო ეს ამბავი. რაო? დიახ, მესამე დღეს დავმარხეთ.
ეს იყო ავადმყოფური სახის არსება, ჩაცვივნული ღაწვებითა და მჭიდროდ მოკუმული ისეთი ვიწრო ბაგეებით, რომ ხაზივით მოჩანდა სახეზე. თვალები დიდრონი და შავი ჰქონდა, შუბლი კი უჩვეულოდ მაღალი და ნათელი, მაგრამ მკერდი ჩავარდნილი ჰქონდა, მხრები კი ქალის მხრებივით ვიწრო.
ეს იყო კარლსენი. აი, როგორი ყოფილა თურმე! ნაგელმა თავისთვის გაიფიქრა, რომ სწორედ ამ სახეს შეშვენის თეოლოგობა და ლურჯძარღვიანი ხელები. უნდოდა შეენიშნა, რა ულამაზო სახეაო, მაგრამ უცებ დაინახა, რომ რწმუნებულმა სკამი მისწია დაგნის სკამისაკენ და დაელაპარაკა. მაშინ ნაგელმა ჩუმად დაუწყო ალბომს ფურცვლა, რომ ხელი არ შეეშალა მათთვის.
_ რაკი დღევანდელ ჩემს დუმილზე ჩიოდით, _ თქვა რწმუნებულმა, _ მაშინ იქნება ნება მიბოძოთ, მოგიყვეთ ერთი ამბავი, ნამდვილი ამბავი იმპერატორის ჩამობრძანებასთან დაკავშირებით. ახლაღა გამახსენდა.

დაგნიმ სიტყვა შეაწყვეტინა და ხმადაბლა უთხრა:
_ რა გაბუტული იჯექით იქ, კუთხეში, მთელი საღამო? სჯობია, ჯერ ამაზე მიპასუხოთ. მე მინდოდა უბრალოდ გამეფრთხილებინეთ, შემენიშნა, რომ ხმას არ იღებდით. იჯექით და ბრაზობდით მხოლოდ. კარგი არაა, ყველას გამოაჯავროთ, ყველას დასცინოთ. მართალია, ცოტა არ იყოს, თავი მოაქვს თავისი ნეკზე წამოცმული რკინის ბეჭდით, ზევით სწევს, ზედ დაჰყურებს, ასუფთავებს, მაგრამ შეიძლება ფიქრში წასული აკეთებს ამას. ყოველ შემთხვევაში, არც ისე იპრანჭება, როგორც თქვენ გგონიათ. თუმც ისე ზვიადია და დიდგული, რომ ამას იმსახურებს. შენ კი, გურლუნ, ყველას შესამჩნევად იცინოდი. შეგამჩნია, რომ მასზე იცინოდი.
გურლუნი მივიდა დაგნისთან, დაიწყო თავის მართლება, არწმუნებდა, ყველაფერში რწმუნებული ტყუის, ისე ხუმრობდა, რომ სიცილისგან თავს ვერ შეიკავებდა კაციო. თუნდაც მარტო ის, როგორი მანერით თქვა: გლადსტონის დიდებას არასოდეს პატივს არა ვცემდიო.
_ სს! ისევ ხმამაღლა ლაპარაკობ, გურლუნ. გაიგონა შენი ნათქვამი, დიახ, დიახ, თავიც კი მოიბრუნა აქეთ, მაგრამ მომისმინე, მიაქციე თუ არა ყურადღება იმას, რომ როცა აწყვეტინებდნენ, სულ არ მოსდიოდა გული, _ ხომ მართალია? თითქოს ნაღვლიანად გვიყურებდა ყველას. წარმოგიდგენია, უკვე სინდისი მქეჯნის, რომ ვსხედვართ და მასზე ვჭორაობთ. აჰ, დიახ, მომიყევით ეს ამბავი, იმპერატორის უკანასკნელ ჩამობრძანებასთან რომ არის დაკავშირებული.
რწმუნებულმა დაიწყო მოყოლა. რაკი ეს საიდუმლო სულაც არ იყო, არამედ მხოლოდ ერთი თაიგულიანი ქალის ამბავი, რწმუნებულმა თანდათან ხმამაღლა განაგრძო თხრობა და ბოლოს საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ძალიან დალაგებულად ჰყვებოდა, რაც რამდენიმე წუთს გაგრძელდა. როცა რწმუნებულმა თხრობა დაამთავრა, ფრეკენ ანდერსენმა თქვა:
_ ბატონო ნაგელ, გახსოვთ გუშინდელი მოთხრობა ხმელთაშუა ზღვაში მომღერალი გუნდის შესახებ?.. ნაგელმა სასწრაფოდ დახურა ალბომი და მიმოიხედა; სახეზე რაღაც შეშინებული გამომეტყველება გაუჩნდა. `გულწრფელი ვიყავი თუ კომედიას ვთამაშობდი~, _ გაიფიქრა. ხმადაბლა უპასუხა, _ შეიძლება ზოგიერთ წვრილმანში შევცდი, მაგრამ ეს განგებ არ გამიკეთებია, არც მოთხრობაა მოგონილი, ნამდვილი ამბავიო.
_ აჰ, რას ბრძანებთ, მე იმის თქმა სულაც არ მინდოდა, რომ მოიგონეთ, _ ღიმილით თქვა ფრეკენ ანდერსენმა, _ მაგრამ შეიძლება ისიც გახსოვთ, რა მიპასუხეთ, როცა შევნიშნე, რომ მოთხრობა მშვენიერი იყო? მაშინ თქვით, რომ მხოლოდ ერთხელ მოისმინეთ უფრო მშვენიერი რაღაც, მაგრამ ისიც სიზმარში.
_ დიახ, მახსოვს, _ მიუგო ნაგელმა და თავი დაუქნია.
_ მაშ, ეგ სიზმარიც მოგვიყევით, გეთაყვა! თქვენ ხომ ძალზე გასაოცრად ჰყვებით. ყველანი გთხოვთ. მაგრამ ამჯერად ნაგელმა უარი განაცხადა, _ დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ უმნიშვნელო ამბავია, რაღაც უთავბოლო წუთიერი სიზმარიაო. არა, სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია, ხომ იცით, რა მსწრაფლწარმავალია შეგრძნებები, ისინი ჩვენს სულში მზის შუქივით იჭრება, შემდეგ კი თითქმის უკვალოდ ქრება. ყველა მიხვდა, რა სულელური იყო ეს ყველაფერი, რაკი სიზმარი თეთრ, ვერცხლის ტყეში ხდებოდაო.
_ აბა, აბა, ვერცხლის ტყეში... შემდეგ, შემდეგ?
_ არა, _ გააქნია თავი ნაგელმა, _ სიამოვნებით აღვასრულებ ყველაფერს, რასაც კი ინებებთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ამ სიზმრის მოყოლა არ შემიძლია.
_ კარგი, მაშინ სხვა რამე მოგვიყევით. ყველანი გთხოვთ.
_ არა, არაფერი გამომივა. მომიტევეთ.
_ თქვენ ყველაფერს აღასრულებთ, რასაც ფრეკენ ანდერსენი ინებებს, მაგრამ, მაგალითად, რისი გაკეთება შეგიძლიათ.
ამ ნათქვამმა ყველა გააცინა. თვითონ დაგნიც იცინოდა. ნაგელმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა:
_ მე შემიძლია საზიზღარი რამ მოვიმოქმედო თქვენი გულისათვის.
_ საზიზღარი რამ ჩემი გულისათვის? სახელდობრ რა? იქნებ, მკვლელობა?
_ ო, დიახ, მოვკლავდი ესკიმოსს, გავატყავებდი, რომ თქვენთვის ბიუვარი გამეკეთებინა.
_ ოჰო! ფრეკენ ანდერსენისთვის კი რა შეგეძლოთ გაგეკეთებინათ? ალბათ, რაიმე მშვენიერი?
_ დიახ, ცხადია, თუმცა კარგად არც ვიცი. ეს ესკიმოსის ამბავიც სადღაც წამიკითხავს, ნუ იფიქრებთ, გეთაყვა, რომ ჩემი მოგონილია.
დუმილი ჩამოვარდა.
_ თქვენ, ყველანი, საოცრად საყვარელი ადამიანები ბრძანდებით, _ თქვა შემდეგ ნაგელმა, _ თქვენ გინდათ, რომ ყოველთვის მე გამოვირჩეოდე სხვებისაგან და ყველას ჩემი ყბედობით გართობდეთ. ეს კი იმის გამო ხდება, რომ აქ უცხო ვარ.
ადიუნქტმა ჩუმად შეხედა საათს.

_ გაფრთხილებთ, _ თქვა დიასახლისმა, _ რომ არ გაგიშვებთ მანამდე, სანამ ჩემი ქმარი არ დაბრუნდება. ამას სასტიკად გიკრძალავთ. შეგიძლიათ ყველაფერი გააკეთოთ, რაც გნებავთ, მაგრამ წასვლა არ შეიძლება.
ყავა მოართვეს და საზოგადოება მაშინვე გამოცოცხლდა. ექიმი, სულ რომ ახალგაზრდა სტუდენტს გვერდით იჯდა და რაღაცაზე ედავებოდა, უეცრად ბუმბულივით მსუბუქად წამოხტა ადგილიდან და აღტაცების ნიშნად ტაში დაჰკრა. სტუდენტმა ხელები მოიფშვნიტა, მივიდა როიალთან და რამდენიმე აკორდი აიღო.
_ აჰ, დიახ, _ წამოიძახა დიასახლისმა, _ როგორ დაგვავიწყდა, რომ თქვენ უკრავთ! ჰოდა, განაგრძეთ, განაგრძეთ, დაუკარით!
_ სიამოვნებით. მრავალფეროვანი რეპერტუარი არ მაქვს, მაგრამ საზოგადოება თუ შოპენის ან ლანერსის ვალსის წინააღმდეგი არ იქნება...
ნაგელმა გულდაგულ დაუკრა ტაში მუსიკას და დაგნის
უთხრა:
_ ხომ მართალია, როცა ასეთ მუსიკას ისმენ, გინდა იჯდე მისგან ოდნავ მოცილებით, სადმე მეზობელ ოთახში, ხელში გეჭიროს საყვარელი ადამიანის ხელი და იჯდე ასე, არ წარმოთქვა არც ერთი სიტყვა. მართალი გითხრათ, არც ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, ეს ძალზე მომხიბლავი უნდა იყოს-მეთქი.
დაგნიმ დაჟინებით შეხედა ნაგელს. რაო, ხუმრობს? მაგრამ მის სახეს ოდნავი ირონიაც არ ემჩნეოდა. შემდეგ კი ასეთივე გაცვეთილი კილოთი განაგრძო:
_ დიახ. მაგრამ ამ დროს მკვეთრი შუქი საჭირო არაა, ხომ მართალია? ისიც კარგი იქნებოდა, სავარძლები დაბალი და რბილი რომ იყოს. გარეთ კი წვიმა მოდიოდეს და იქაც ბნელოდეს.
დაგნი უჩვეულოდ კარგი იყო ამ საღამოს. შავი თვალები ნათელი სახის ფონზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. თუმცა მისი სითეთრით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ძალზე კისკისებდა ყოველგვარ წვრილმანზე. ბაგეები სავსე და ალისფერი ჰქონდა და მაშინვე იტაცებდნენ მზერას. ყველაზე შესანიშნავი ის იყო, რომ ყოველთვის, როცა ლაპარაკს დაიწყებდა, ღაწვებზე აუცილებლად ნაზი ვარდისფერი გადაეკვრებოდა, შემდეგ კი უეცრად ქრებოდა.
_ არა, ერთი უყურეთ, როგორია! ადიუნქტი ისევ გაქრა! _ წამოიძახა ექიმის მეუღლემ, _ ეჰ, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მაგ კაცზე დანდობა არ შეიძლება, მხოლოდ საკუთარი თავის ერთგულია. იმედი მაქვს, თქვენ მაინც, ბატონო რაინერტ, ისე ხომ არ წაბრძანდებით, რომ არ გამომეთხოვოთ?
ადიუნქტი სამზარეულოში გავიდა, იქიდან კი შეუმჩნევლად გაძვრა, ღვინის ორთქლით დაჭრილი, ფერმკრთალი და გატანჯული უძილობისაგან და აღარ გამოჩენილა. ამის გაგებაზე ნაგელს უცებ შეეცვალა სახე. თავში მაშინვე გაუელვა აზრმა, რომ ახლა შეუძლია ეცადოს დაგნის სთხოვოს, ტყეზე გავლით სახლამდე მიგაცილებ ადიუნქტის ნაცვლადო. ნაგელმა აღარ გადასდო თავის განზრახვა და მაშინვე სთხოვა დაგნის ამაზე, თან ევედრებოდა ქალიშვილს თვალებით, თავის დაკვრით და ბოლოს დასძინა:
_ ძალზე კარგად მოვიქცევი!
დაგნიმ გაიცინა და უპასუხა:
_ გმადლობთ, თანახმა ვარ, რაკი მპირდებით.
ახლა ნაგელს ისღა რჩებოდა, ექიმის დაბრუნებას დალოდებოდა, რომ წასულიყვნენ. ამ გასეირნების მოლოდინში ის უფრო გამოცოცხლდა, ყბედობდა ყველაფერზე, აცინებდა ყველას და, საერთოდ, უჩვეულოდ თავაზიანი იყო. ნაგელი ისე აღტაცებული და აღსავსე იყო ბედნიერებით, რომ ფრუ სტენერსენს შეჰპირდა, მისულიყო და დაეთვალიერებინა მათი ბაღი, როგორც სპეციალისტს, გამოეკვლია ბაღის ქვემო ნაწილის ნიადაგი, სადაც წითელი მოცხარის ბუჩქები იზრდებოდა, ბოლო მოეღო ბალახის ბუგრისათვის, თუნდაც მათი შელოცვა და მონუსხვა დასჭირვებოდა.
განა მას ჯადოქრობაც შეეძლო?
ცოტა-ცოტა ყველაფერში ერკვეოდა. აი, მაგალითად, როგორც ხედავთ, თითზე ეკეთა ბეჭედი, რკინის უშნო ბეჭედი, მაგრამ ის ჯადოსნური ძალის მატარებელი იყო. აბა, ვინ დაიჯერებდა, ვინც ამ ბეჭედს შეხედავდა? მაგრამ თუ ეს ბეჭედი დაეკარგებოდა, ვთქვათ, საღამოს ათ საათზე, მაშინ შუაღამემდე აუცილებლად უნდა ეპოვა ის, თორემ თავს დიდი უბედურება დაატყდებოდა. ეს ბეჭედი მას ერთმა ბერძენმა ბერიკაცმა, პირველმა ვაჭარმა მისცა. თავის მხრივ, ნაგელმაც გაუწია მას გარკვეული სამსახური, თანაც ამ ბეჭედში მას ერთი ბარდანა თუთუნი მისცა.
სწამდა კი მას ნამდვილად თავისი ბეჭდისა?
დიახ, ცოტ-ცოტა. ნამდვილად! ბეჭედმა ერთხელ განკურნა კიდევაც იგი.

ზღვის მხრიდან ძაღლის ყეფა მოისმა. დიასახლისმა საათს დახედა, _ დიახ, ეს ექიმია, მან იცნო ძაღლის ხმა. აჰ, რა კარგია! ჯერ ისევ შუაღამეა და ის უკვე შინ ბრუნდება! დიასახლისმა დარეკა და უბრძანა კიდევ მოეტანათ ყავა.
_ ოჰო, ასე შესანიშნავი ბეჭედი გაქვთ, ბატონო ნაგელ? მართლა გჯერათ ამ ბეჭდისა?
_ დიახ, ცოტად თუ ბევრად. სხვაგვარად რომ ვთქვა, მაქვს გარკვეული საფუძველი, მთლად არ ვეჭვიანობდე მასზე. არსებითად, განა სულერთი არაა, რა გწამს, თუკი სულის სიღრმეში ერთიც ისევე კარგად მიგაჩნია, როგორც
მეორე? ბეჭედმა განმკურნა ნერვიულობისაგან, გამხადა ძლიერი და ჯანმრთელი.
ფრუ სტენერსენმა ჯერ ოდნავ გაიღიმა, შემდეგ კი გაცხარებით შეედავა:
_ არა, ასეთ ყბედობას ვერ ავიტან, მომიტევეთ, ამას უაზრო ყბედობა რომ ვუწოდე, დარწმუნებული ვარ, თვითონ ბატონ ნაგელს არ სჯერა თავისი ნათქვამი. როცა ამისთანა სისულელეს მოისმენ განათლებული ადამიანებისაგან, მაშინ უბირი ხალხისაგან რაღას უნდა ელოდე? ასე სადამდე მივალთ? გამოდის, ექიმებმაც გუდა-ნაბადი უნდა აიკრან?
ნაგელმა თავის დაცვა დაიწყო.
_ არსებითად, ყველაფერს ერთსა და იმავესთან მივყავართ, _ ავადმყოფის ნებისყოფასთან, რწმენასა და განწყობილებასთან. მაგრამ ექიმებს გუდა-ნაბადის აკვრა სულაც არ მოუხდებათ, მათ ყოველთვის ეყოლებათ თავიანთი მიმდევრები, განათლებული ადამიანები; განათლებული ადამიანები კი წამლებით მკურნალობენ, მაშინ როცა ერეტიკოსები, უბრალო ადამიანები, წამლავენ რკინის ბეჭდებით, დამწვარი კაცის ძვლებით დასამარხი მიწით. განა არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ავადმყოფები ცარიელი წყლის დალევით განკურნებულან, როცა მათ ჩაუნერგეს რწმენა, რომ ეს შესანიშნავი სამკურნალო საშუალებაა? ან ამასვე არ ადასტურებს, სხვათა შორის მორფინისტების გამოცდილებაც? ასეთი აშკარა ფაქტების წინაშე სრულიად ბუნებრივია, რომ არასპეციალისტები თამამად აცხადებენ, მედიცინა არა გვწამსო. სხვათა შორის, სულაც არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება მოვახდინო, თითქოს რაღაც მესმის, მე სპეციალისტი არ გახლავართ და ინჩიბინჩი არ გამეგება მედიცინისა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ახლა ისეთ კარგ ხასიათზე ვდგავარ, რომ არანაირად არ მსურს სხვებს გავუფუჭო გუნება. დიასახლისმა უნდა მომიტევოს, ყველამ უნდა მომიტევოს.
ყოველ წუთს საათზე იცქირებოდა, ზოგმა სერთუკის ღილების შეკვრაც კი დაიწყო.
ამ საუბრის დროს ოთახში შემოიჭრა ექიმი. ძალზე განერვიულებული და გულდამძიმებული ჩანდა, მაგრამ მკვირცხლად მიესალმა სტუმრებს და მადლობა გადაუხადა, რომ არ წასულან. ადიუნქტთან კი ვერაფერს გააწყობს კაცი, რაც არი, არი! სამაგიეროდ, დანარჩენები, მთელი საზოგადოება, აქ ბრძანდებითო. დიახ, დიახ, ამქვეყნად ცხოვრება ძნელიაო!
და მან თავისი ჩვეულების მიხედვით დაიწყო ავადმყოფთაან გამგზავრების ამბის მოყოლა. უკმაყოფილო იმით იყო, რომ პაციენტებმა გაუცრუეს იმედი. სულელებივით იქცეოდნენ თურმე და კინაღამ ციხეში დააჭერინა. არა, მაგრამ როგორი ოჯახია, სადაც ახლა იყო? დიასახლისი ავადაა, ავადაა მისი მამაც. ამიტომაც ყარს, ყარს მთელი სახლი! მაგრამ ოჯახის დანარჩენი წევრები ჯანმრთელები არიან, ყველას გაღაჟღაჟებული ლოყები აქვს, პატარა ბავშვები კი პირდაპირ ჯან-ღონით სავსენი არიან. ეს პირდაპირ გაუგებარია, დაუჯერებელი. არა, ეს მისთვის მიუწვდომელია. წევს ბერიკაცი, დიასახლისის მამა, უშველებელი ჭრილობით. დიასახლისს მკითხავი მოუყვანია და რაც მართალია, მართალია, მას შეუჩერებია სისხლი. მაგრამ არ იკითხავთ, რით შეაჩერა? ეს პირდაპირ აღმაშფოთებელია, დანაშაულია! შეუძლებელია სიტყვებით გადმოგცეთ, რა მყრალი სუნი იფრქვეოდა ამ საშუალებისგან, _ შეიძლებოდა პირდაპირ დამხრჩვალიყავი! თანაც განგრენა იყო მოსალოდნელი! დიახ, დღეს თავის დროზე რომ არ გამოცხადებულიყო ექიმი იქ, ღმერთმა იცის, ყოველივე ეს რითი გათავდებოდა. არა, აუცილებლად უნდა განვავრცოთ კანონის მოქმედება ექიმბაშობის წინააღმდეგ, ბოლოს და ბოლოს, უნდა ავლაგმოთ ეს ხალხი... აი, სისხლი ასე შეეჩერებინათ: ახლა იქ მოზრდილი შვილი გამოჩნდა, აწოწილი ყმაწვილი, რომელსაც სახეზე მუწუკები გამოაყარა, ადრე მალამო მივეცი და გარკვეულად ვუთხარი: `აი, ეს ყვითელი მალამო დღე-ღამეში ერთხელ წაისვით ერთი საათით, ეს თეთრი, თუთიის მალამო კი დანარჩენ დროს იხმარე~. მერედა, რა ქნა? მან მალამოები ერთმანეთში აურია, თეთრი მალამო ერთი საათით წაისვა დღე-ღამეში, ყვითელი მალამო კი, რომელიც ისე წვავს, რომ პირდაპირ ხორცსა გლეჯს, დღე და ღამე უხმარია. გასაოცარი ის არის, რომ ეს ჩერჩეტი მაინც განიკურნა, მიუხედავად ასეთი სისულელისა. იგი განიკურნა! გამოჯანმრთელდა ეს ხარი, ეს კამეჩი, მიუხედავად ყველაფრისა. დღეს გამომეცხადა თავისი ცხვირ-პირით, რომელზეც მუწუკები აღარ ეყარა. ბედნიერებაა, უსირცხვილო ბედნიერება! ამ რეგვენს შეიძლებოდა კარგა ხნით დამახინჯებოდა სახე, მან კი წარბიც არ შეიხარა. ახლა კიდევ ამ ყმაწვილის დედას, თვითონ დიასახლისს, აღარ იტყვით რა დაემართა? ავად იყო, მთლად ძალ-ღონე გამოცლილი, დაუძლურებული,
თავბრუ ეხვეოდა, ნერვიულობა დასჩემებოდა, უმადობა,

ყურებში შუილი გაუდიოდა. `აბაზანებია საჭირო, _ ვუთხარი მე, _ და ტანის დაბანა, დაიბანეთ, წყალი არ დაზოგოთ, დალახვროს ეშმაკმა! მოხარშეთ ხბოს ხორცი და ჭამეთ, გააღეთ ფანჯრები და ოთახში რაც შეიძლება მეტი სუფთა ჰაერი შემოუშვით, ისეირნეთ ხშირად, მაგრამ ფეხები არ დაისველოთ, ეგ იოჰან არენდტის წიგნი კი ღუმელში შეუძახეთ... მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აბაზანებია საჭირო, მასაჟი და კვლავ აბაზანები, თორემ ჩემი წამლები ვერაფერს გიშველის~. ხბოს ხორცის ყიდვის სახსარი არ გააჩნდა, აბაზანებს კი იღებდა, ცოტა-ცოტა ჭუჭყი ჩამოიბანა, მაგრამ გაცივდა და ციება დააწყებინა, კბილს კბილზე აცემინებდა ამ სისუსფთავის წყალობით, მერე კი წყლით მკურნალობა მთლიანად მიატოვა. გამოირკვა, რომ სისუფთავეს ისე გადაჩვეულიყო, რომ ახლა მას ვეღარ იტანდა. რაღა უნდა ექნა? იშოვა ძეწკვი, ნამსხვრევების ძეწკვი, ანდამატიანი ჯვრითა თუ რაღაც ამის მსგავსით და დაიდო ყელზე. ვთხოვე ეჩვენებინა: თუთიის ფირფიტა, რაღაც დასტამალი, ორი დუგმა და კიდევ რამდენიმე უფრო პატარა დუგმა, _ აი, ეს იყო ყველაფერი. `რა ეშმაკად გინდათ, _ ვუთხარი მე, _ ეს ხარახურა?~ ხომ ხედავდთ, ამ ძეწკვის ტარებით შეღავათი მომეცა, ტკივილი შემიმცირდა, თავის ტკივილი სულ შემიწყდა და სხეულიც გამითბაო, _ მომიგო მან, _ ჰოდა, ამ დუგმებმა და თუთიის ფირფიტებმა მიშველესო! რას იზამ? შემეძლო ჯოხზე დამეფურთხებინა და მიმეცა, _ გარწმუნებთ, ესეც ასეთივე სარგებლობას მოუტანდა ამ ქალს, მაგრამ ერთი სცადე და უთხარი ეს! `მომისმინეთ, _ ვეუბნები, _ გადაყარე ეს ხარახურა, თორემ აღარაფერს გაგიკეთებთ, თითსაც არ გავანძრევ თქვენი გულისათვის~. მერედა, რა გგონიათ, როგორ მოიქცა? დაიტოვა თუთიის ფირფიტა, მე კი ოთხივე მხარეს გზა დამილოცა! ხა-ხა-ხა! ოთხივე მხარეს გზა დამილოცა! ოჰ, ღმერთო ჩემო! არა, ექიმობა არა ღირს, ექიმბაშობა უნდა დაიწყოს კაცმა!..
მეტისმეტად გულმოსული ექიმი ყავის დასალევად დაჯდა. მისმა მეუღლემ ნაგელს შეხედა, გაუცინა და თქვა:
_ ბატონი ნაგელიც ზუსტად მაგ ქალივით მოიქცეოდა. ჩვენ სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით შენს მოსვლამდე. ბატონ ნაგელს არ სწამს შენი მეცნიერება.
_ ოჰო, ნამდვილად? _ მოკლედ შენიშნა ექიმმა, _ რა თქმა უნდა, ბატონ ნაგელს შეუძლია ისე მოიქცეს, როგორცა ნებავს.
ექიმი აღშფოთებული და განრისხებული იყო, შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რომ პაციენტები მის დანიშნულებას არ ასრულებდნენ. იჯდა და ჩუმად სვამდა ყავას. ახლა მას ის უფრო აბრაზებდა, რომ ყველანი ისხდნენ და მას შესცქეროდნენ.
_ გააკეთეთ რაიმე, გაინძერით, _ თქვა მან.
მაგრამ ყავა რომ დალია, ცოტა გამოცოცხლდა, დაგნისთან წაიბაასა, იცინოდა იმ მენავეზე, ავადმყოფთაან ვინც მიიყვანა. მაგრამ ისევ იმ უსიამოვნო ამბებზე გადავიდა, რომელთა გადატანა ექიმებს უწევს, და ისევ აენთო. ვერაფრით დაევიწყებინა ეს მალამოების აღრევა, ყველგან მხოლოდ ცრურწმენა და ვირული გონებასიჩლუნგეა გამეფებულიო.
_ მაგრამ ის კაცი ხომ გამოჯანმრთელდა მაინც?
ექიმი მზად იყო კბილებით დაეფლითა დაგნი ამ სიტყვის წარმოთქმისთვის. იგი წელში გასწორდა.
_ დიახ, მართალია, გამოჯანმრთელდა, მაგრამ რა მერე? სრულებითაც არ გამოვრიცხავ იმას, რომ ხალხის გონებასიჩლუნგე და უმეცრება პირდაპირ სიგიჟემდე მიდის. კაცი განიკურნა, ეს მართალია, მაგრამ ხომ შეიძლება დაეწვა მთელი სახე? განა აზრი აქვს, დაიცვა ამ ხალხის მტკნარი გონებასიჩლუნგე?
ეს დამამცირებელი შეჯახება სოფლელ ბრიყვთან, სასტიკად რომ აღუდგა წინ მის დანიშნულებას და მაინც განიკურნა, ყველაზე მეტად აღშფოთებდა ექიმს და მრისხანე იერს აძლევდა, სხვა დროს მეტისმეტად ნაზს, სათვალეთი შეიარაღებულ მის მზერას. იგი გაასულელა სოფლელმა ბიჭმა, ასევე სულელური შემთხვევის წყალობით, უკან დაახევინა რაღაც თუთიის ფირფიტამ და ექიმს ვეღარ დაევიწყებინა ეს ამბავი, ვიდრე ყავას მაგარი ტოდი არ დააყოლა. მაშინ კი ექიმმა უცებ თქვა:
_ მომისმინე, იეტა, ჩემს წასაყვანად მოსულ კაცს ხუთი კრონი ვაჩუქე, არ დაივიწყო... ხა-ხა-ხა! ჩემს დღეში ასეთი ყოჩაღი კაცი არ მინახავს. გამოგლეჯილი შარვლიდან მთელი უკანალი მოუჩანდა, მაგრამ საოცრად ღონიერი იყო და უდარდელი. წმინდა წყლის ეშმაკი იყო! სულ მღეროდა. გულდაგულ სჯეროდა, ჩემი ანკესით ზეცას მივწვდები, ეტიეფელის მწვერვალზე რომ ავიდეო. `მაგრამ ამისთვის ფეხისწვერებზე მოგიწევს დგომა~, _ ვუთხარი მე. ჩემს ნათქვამს ვერ მიხვდა და მეფიცებოდა, მეც შემიძლია ფეხის წვერებზე დგომა, როგორც ყველა სხვასო. ჰა-ჰა-ჰა! როგორ მოგწონთ? მაგრამ ძალიან კი გამართო.
ბოლოს ფრეკენ ანდერსენი წამოდგა შინ წასასვლელად, მერე დანარჩენებიც წამოიშალნენ. გამომშვიდობებისას, ნაგელმა ისე გულწრფელი, ისე მხურვალე მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, რომ ფარ-ხმალი დააყრევინა ექიმს, ბოლო წუთებში მის მიმართ რომ ოდნავ გულგრილობას იჩენდა.

_ ნუ დაგვივიწყებთ, რაც შეიძლება მალე მობრძანდით? მოითმინეთ, თქვენ გაქვთ სიგარა? აჰა, გააბოლეთ!
ექიმმა აიძულა, კარიდან შემობრუნებულიყო და ახალი სიგარა აეღო.
ამ დროს დაგნი უკვე კიბეზე იდგა ჩაცმული და ნაგელს ელოდებოდა.

VIII
თეთრი ღამეები
დიდებული ღამე იყო.
ქუჩებში კანტიკუნტად შემორჩენილი ადამიანები მხიარული სახეებით ხვდებოდნენ ერთმანეთს. სასაფლაოზე ერთი კაცი რაღაცას ეზიდებოდა ურიკით და ხმადაბლა მღეროდა. ისე კი ყველგან სრული სიწყნარე სუფევდა, ამ სიმღერის გარდა არაფერი ისმოდა. ექიმის სახლიდან ქალაქი პირქვე გართხმულ ზღაპრულ ურჩხულს წააგავდა, თათები, რქები და საცეცები ყველა მხრისაკენ რომ გაეწვდინა. მხოლოდ იშვიათად თუ შეარხევდა ოდნავ ამა თუ იმ სახსარს, _ აი, ახლაც წინ დასძრა ზღვისკენ გაწვდილი თათი: ეს პატარა ორთქლის კატარღა, უხმაუროდ რომ მიცურავდა წყალზე და მოციმციმე კვალს ტოვებდა ყურის შავ ზედაპირზე.
ნაგელის სიგარის ბოლი პატარა ლურჯი ღრუბელივით მიიწევდა ზევით. ნაგელი ტკბებოდა ტყისა და ბალახის სურნელებით და ნეტარების გრძნობა უვლიდა მთელ სხეულში, როგორც რაღაც განსაკუთრებული და დიდი სიხარული, რომელიც თვალებს ცრემლით უნამავდა და სუნთქვას უკრავდა. დაგნის გვერდით მიდიოდა. ქალიშვილს ჯერ ერთი სიტყვაც არ ეთქვა. სასაფლაოს რომ ჩაუარეს, ნაგელმა რამდენიმე სიტყვა თქვა, შეაქო ექიმი და მისი მეუღლე, მაგრამ დაგნიმ არაფერი უპასუხა. ამასობაში კი ღამის სილამაზე და მდუმარება თანდათან ათრობდა ნაგელს, ავსებდა ვნებით, სუნთქვა უწყდებოდა, მზერა ებინდებოდა. ეჰ, რა ლამაზი იყო ეს თეთრი ღამეები! მან ხმამაღლა შესძახა:
_ ერთი იმ მთებს შეხედეთ, რა მკაფიოდ მოჩანან. დღეს ისე გახარებული ვარ, ფრეკენ, რომ გთხოვთ მოწყალე მექმნეთ. თუკი ამდენ სიკეთეს გამოიჩენთ. მე დღეს ისე ბედნიერი ვარ, რომ ყოველგვარი სისულელის ჩადენა შემიძლია. შეხედეთ ამ ფიჭვებს, მაგ ლოდებს, კოლბოხებსა და ღვიის ბუჩქებს, ღამის შუქზე ჩამომსხდარ ადამიანებს რომ ჰგვანან. ღამეც ასე გრილი და ნათელია. კაცს არ უწუხებს სულს უცნაური წინათგრძნობით და იდუმალ შიშს არ ჰგვრის, ხომ მართალია? უკმაყოფილო არ უნდა დარჩეთ ჩემით, ეს საჭირო არ არის? ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემს გულში ანგელოზები გალობდნენ. შეგაშინეთ?
დაგნი შეჩერდა, ამიტომაც ჰკითხა ნაგელმა, ხომ არ შეგაშინეთო. ქალმა გაიღიმა და შეხედა თავისი ლურჯი თვალებით, შემდეგ კი სერიოზული კილოთი უთხრა:
_ თქვენზე ვფიქრობ, რა ადამიანია-მეთქი?
ეს წარმოთქვა, ჯერ კიდევ იმავე ადგილას იდგა და შესცქეროდა ნაგელს. მთელი გზის მანძილზე დაგნი ლაპარაკობდა მთრთოლარე, მკაფიო ხმით, თითქოს ოდნავ ეშინია რაღაცის და თან უხარიაო. ჰოდა, მათ შორის გაიბა საუბრის ძაფი, რომელიც სულ გრძელდებოდა, სანამ ტყეზე მიდიოდნენ, მიდიოდნენ კი ნელა, აუჩქარებლად. ბაასი ერთი საგნიდან თუ განწყობილებიდან მეორე საგანსა და განწყობილებაზე გადადიოდა და ამ ბაასში გამოხატულებას პოულობდა ის თრთოლა, მღელვარება, რომელსაც ორივე შეეპყრო.
_ თქვენ ფიქრობდით ჩემზე? ნუთუ? მაგრამ მე უფრო მეტს, გაცილებით უფრო მეტს ვფიქრობ თქვენზე. მე ხომ მანამდევე გიცნობდით, ვიდრე აქ მოვიდოდი, თქვენი სახელი გემზე გავიგონე, შემთხვევით მოვისმინე, ლაპარაკს ვუგდებდი ყურს. მე აქ თორმეტ ივნისს ჩამოვედი. თორმეტ ივნისს!
_ მართლა? სწორედ თორმეტ ივნისს?
_ დიახ. ქალაქი ალმებით იყო მორთული. ამ პატარა ქალაქმა ისე მომხიბლა, რომ გემიდან გადმოვედი. მაშინვე გავიგონე თქვენი სახელი...
დაგნიმ გაიღიმა და თქვა:
_ ცხადია, მინუტმა გიამბოთ ჩემზე.
_ არა, ამბობდნენ, რომ ყველას უყვარხართ, ყველა, ყველა აღტაცებულია თქვენით.
და ნაგელმა უცებ თეოლოგი კარლსენი გაიხსენა, რომელმაც დაგნის გულისთვის მოიკლა თავი.
_ მითხარით, _ თქვა დაგნიმ, _ თქვენ მართლა იმას ფიქრობთ საზღვაო ოფიცრებზე, რაც წეღან ბრძანეთ?
_ დიახ, მართლა. რატომ მეკითხებით?
_ მაშინ ჩვენ ერთნაირი აზრისანი ვყოფილვართ ამ საკითხზე.

_ მაინც რატომ არ უნდა ვფიქრობდე ასე? მე მათი ცქერით მუდამ ვტკბებოდი, აღტაცებული ვარ მათი თავისუფალი ცხოვრებით, ფორმით, ჯანმრთელობითა და გამბედაობით. თანაც მათ შორის ბევრი სიმპათიური ადამიანია.
_ ახლა კი თქვენზე მინდა გკითხოთ. რა შეგემთხვათ რწმუნებულ რაინერტთან?
_ არაფერი. რწმუნებულ რაინერტთანო, ამბობთ?
_ გუშინ საღამოს ბოდიში მოუხადეთ რაღაცისთვის, დღეს კი თითქმის მთელი საღამო ხმა არ გაგიციათ მისთვის. გამოდის, ჩვეულებად გაქვთ, ჯერ შეურაცხყოთ ადამიანები, მერე კი ბოდიში მოუხადოთ?
ნაგელმა გაიღიმა და თვალები ძირს დახარა.
_ საქმე ისაა, _ მიუგო მან, _ რომ მე მართალი არ ვიყავი, როცა რწმუნებული შეურაცხვყავი, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება, როცა მასთან მოლაპარაკებას მოვახერხებ. ცოტა ფიცხი და უკმეხი ვარ. ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ გარეთ გამოსვლისას დამეჯახა. როგორც ხედავთ, ეს უმნიშვნელო რამაა, უყურადღებობა მისი მხრიდან. მე კი მაშინვე ცოფიანივით წამოვხტი და ერთი მაგრა შევუკურთხე, მუქარით ცხვირწინ ლუდის ტოლჩა წავუტტურტურე და შლაპა მუშტით ჩავუმტვრიე. მას კი ხმა არ ამოუღია და გავიდა, როგორც ზრდილობიან კაცს შეშვენის, ან კი სხვა რა უნდა გაეკეთებინა. მერე კი ვინანე, ასე რად ვქენი-მეთქი და გადავწყვიტე, დანაშაული გამომესყიდა. რა თქმა უნდა, მეც მქონდა დანაშაულის შემამსუბუქებელი ზოგი რამ მიზეზი. მეტისმეტად განერვიულებული ვიყავი იმ დღეს, მეც შემემთხვა უსიამოვნო ამბავი, მაგრამ ეს ხომ არავინ იცოდა, ამაზე არ ლაპარაკობენ ხოლმე, და ისევ ვარჩიე მთელი დანაშაული მე მეკისრა.
ყოველივე ამას დაუფიქრებლად ლაპარაკობდა, თანაც ისე გულწრფელი კილოთი, თითქოს სურს ორივე მხარეს სამართლიანად მიუზღოსო. სახის გამომეტყველებაზეც არაფერი ემჩნეოდა ისეთი, რომ კაცს არ დაეჯერებინა. მაგრამ დაგნი უცებ შედგა, გაოცებულმა პირდაპირ თვალებში შეხედა და თქვა:
_ მაგრამ ეგ ხომ სულ სხვაგვარად მოხდა! მე სულ სხვა რამ მითხრეს.
_ მინუტი ტყუის! _ წამოიძახა ნაგელმა და ღაწვები აენთო.
_ მინუტი? მე მინუტისგან არ გამიგონია. სულ სხვამ მითხრა. ეგ ამბავი ერთმა კაცმა მიამბო, თაბაშირის ქანდაკებებით რომ ვაჭრობს ბაზრის მოედანზე. ყველაფერი თავიდან ბოლომდე უნახავს და მოუსმენია.
ნაგელმა ხმა ვეღარ ამოიღო.
_ რატომ ცრუობთ საკუთარ თავზე? აი, ამას ვერ მივხვდი, _ განაგრძო დაგნიმ და თან ნაგელს თვალს არ აცილებდა, _ მე ეს დღეს გავიგე და ვთქვი, რომ თქვენ ძალზე კარგად, საოცრად ლამაზად მოიქეცით, რაც მეტისმეტად შეგშვენით. ეს ამბავი დღეს დილით რომ არ გამეგო, საეჭვოა, გადავწყვეტდი თუ არა ახლა თქვენ გვერდით ვყოფილიყავ, გეუბნებით ამას სრულიად გულწრფელად.
ნაგელს ჯერ ხმა ვერ ამოეღო, ცოტა ხნის შემდეგ კი ჰკითხა:
_ და ახლაც აღტაცებული ხართ ამის გამო ჩემით?
_ არ ვიცი, _ მიუგო დაგნიმ.
_ დიახ, ცხადია, ახლაც აღტაცებული ხართ ჩემით... მისმინეთ, _ განაგრძო მან, _ ყოველივე ეს კომედიაა მხოლოდ. თქვენ პატიოსანი ადამიანი ბრძანდებით და არ მინდა მოგატყუოთ, ამიტომაც დაწვრილებით მსურს მოგიყვეთ ყველაფერი.
ნაგელმა თამამად შეხედა თვალებში დაგნის და იმაზე ლაპარაკი დაიწყო, რა განზრახვა, რა მოსაზრება ჰქონდა.
_ თუკი მე ჩემებურად მოგიყევით რწმუნებულ რაინერტთან შეჯახება, ცოტა დავამახინჯე ფაქტები და ცოტაოდენიც ჩემს თავზე ვიცრუე, ეს ჩავიდინე არსებითად... არსებითად... უბრალო განზრახვის გამო. მე ვცდილობ ამ ამბიდან რაც შეიძლება მეტი ვისარგებლო. თქვენ ხედავთ, რომ სრულიად გულახდილი ვარ თქვენ წინაშე. მე ვფიქრობდი, რომ უეჭველად მოგიყვებოდათ ვინმე ამ ამბის ნამდვილ მიზეზზე და თუ მე თავის დროზე პირშავად გამოვიყვანე საკუთარი თავი, მერე დიდად მოგებული დავრჩებოდი. ამის გამო მე დიდების, უმაგალითო დიდსულოვნების შუქი მეფინება, ხომ მართალია? მაგრამ ესაა შედეგი განსაკუთრებით ერთი სიცრუისა, ყველაზე უხეში, ყველაზე სულმდაბალი სიცრუისა, რომელიც დიდად აღგაშფოთებთ, როცა მთელ სიმართლეს შეიტყობთ. მე საჭიროდ ჩავთვალე ყველაფერში გულახდილად გამოგტყდომოდით, რადგანაც ჩემგან გულწრფელ დამოკიდებულებას იმსახურებთ. სამწუხაროდ, ამით, რა თქმა უნდა, მივაღწევ მხოლოდ იმას, რომ ათასი მილის მანძილზე დამშორდებით.
დაგნი გაშტერებით უცქერდა, სურდა, გამოეცნო ეს კაცი და მისი სიტყვები, ფიქრობდა, წონიდა ყველაფერ ამას და ცდილობდა გარკვეული აზრი შეექმნა მასზე. რა შეიძლება ირწმუნოს მისი ნათქვამიდან? რა სურს მიაღწიოს თავისი გულახდილობით? დაგნი შეჩერდა უეცრად, ტაში შემოჰკრა და გულიანად გადაიკისკისა.

_ არა, ჩემს დღეში თქვენსავით მოურიდებელი კაცი არ მინახავს! დავუფიქრდეთ მხოლოდ, მოდიხართ და ყოვლად საეჭვო და სათაკილო ამბებს მიყვებით თქვენს თავზე მხოლოდ იმისათვის, რომ ცუდად მომაჩვენოთ თავი. მაგრამ ამით სულაც ვერაფერს მიაღწევთ! არასდროს მომისმენია ასეთი მიჩმახულ-მოჩმახული ამბები. რატომ გჯერათ, რომ ოდესმე მოვისურვებ გავიგო, ყველაფერი ეს ნამდვილად როგორ მოხდა? არა, თქვენ მითხარით! თუმცა, სხვათა შორის, გაჩუმდით, გირჩევნიათ, არაფერი თქვათ, თორემ იცრუებთ ისევ. ფუი! რა ცუდია ეს თქვენი მხრიდან, ხა-ხა-ხა! მაგრამ მომისმინეთ, თუ გგონიათ, რომ ყველაფერი მოხდება ამა და ამ სახით, რომ თქვენ ყველაფერს გამოარკვევთ და მიაღწევთ იმას, რაც გსურთ, მაშინ რატომღა აფუჭებთ ყოველივეს ისევ იმით, რომ აღიარებთ თავის... როგორ უწოდებთ ამას... ტყუილს? გუშინაც ასე მოიქეცით. თქვენი არაფერი მესმის და არც მინდა მესმოდეს რამე, მაგრამ რატომ ითვალისწინებთ ყველაფერს წინასწარ და ამავე დროს ივიწყებთ, რომ თვითონვე ამხელთ თქვენს თავს?
ნაგელი მაინც არ ნებდებოდა, ერთი წუთით ჩაფიქრდა და მიუგო.
_ მე იმასაც ვითვალისწინებ და ამასაც. თქვენ თვითონ დარწმუნდებით ამაში. მე თუ ჩემს თავს ვამხელ, ამით მაინცდამაინც რისკს არ ვეწევი, ყოველ შემთხვევაში, _ ძალიან ცოტას. ჯერ ერთი, არ შეიძლება დარწმუნებული ვიყო, რომ ის, ვის წინაშეც თავს ვამხელ, ამას დამიჯერებს. აი, მაგალითად, თქვენ ახლა არ მიჯერებთ. მერედა, რა შედეგი მოჰყვება ყოველივე ამას? ის შედეგი, რომ მე ორმაგად ვიგებ, ვრჩები საოცრად მოგებული, ჩემი მოგება იზრდება და იზრდება, როგორც ზვავი, ჩემი სიდიადე კი არხანულ საზღვრებს აღწევს. მეორეც, _ მე მოგებული დავრჩები იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ დამიჯერებთ. თქვენ ამაოდ აქნევთ თავს. გარწმუნებთ, ხშირად ვსარგებლობდი ამ მეთოდით და მოგებულიც გამოვდიოდი ხოლმე. თუ თქვენ ჩემი სიტყვების სიმართლეს ნამდვილად ერწმუნებით, ყოველ შემთხვევაში, გაოცებული მაინც დარჩებით ჩემი გულწრფელობით. თქვენ ასე იტყვით მაშინ: `ცხადია, მან მომატყუა, მაგრამ თვითონვე, სრული ნებაყოფლობით, გამოტყდა ამაში: მის თავხედობაში არის რაღაც საიდუმლოებით მოცული, აბსოლუტურად არაფრისა არ ეშინია, გულახდილი აღიარებით პირდაპირ განმაიარაღა!~ ერთი სიტყვით, მე იმას ვაღწევ, რომ აი, ახლა უკვე მაცქერდებით, ცნობისმოყვარეობა გაგიღვიძეთ და უკვე ჩემით ხართ დაკავებული, განცვიფრებთ. თქვენ თვითონვე არ მითხარით, არ მინდა რაიმე მესმოდეს თქვენიო?! აი, ხომ ხედავთ, თქვენ ეს იმიტომ ბრძანეთ, რომ ცდილობდით გაგეცანით, ეს კი არათუ მეამება, როგორც თავმოყვარე კაცს, მეტიც, ჭეშმარიტ სიამოვნებასაც მომანიჭებს. მაშასადამე, მე მოგებული ვრჩები ყველა შემთხვევაში, _ სულერთია, მერწმუნებით თუ არა.
დუმილი ჩამოვარდა.
_ ხომ არ გსურთ დამარწმუნოთ, _ უთხრა დაგნით, _ რომ ეს ეშმაკური საქციელი თქვენ წინასწარ ჩაიფიქრეთ? წინასწარვე გამოიცანით ყველა შემთხვევა და საჭირო ზომები მიიღეთ? ხა-ხა-ხა! ახლა კი, რაც უნდა მითხრათ, ვერაფრით ვეღარ გამაკვირვებთ, არა, ახლა თქვენგან ყველაფერს მოველი. მაგრამ გვეყო ამაზე ლაპარაკი, შეგეძლოთ გაცილებით ცუდად გეცრუათ, თქვენ ხომ მეტისმეტად მარჯვე ბრძანდებით.
ნაგელი მტკიცედ იდგა თავის აზრზე, მან დაგნის შენიშნა, რომ თქვენი ასეთი დასკვნის შემდეგ უსაზღვრო ქედმაღლობამ შემიპყროო და გულწრფელი მადლობა გადაუხადა ქალიშვილს.
_ მე ხომ ყველაფერს მივაღწიე, რისკენაც ვისწრაფოდი, მაგრამ თქვენ ძალზე თავაზიანი ბრძანდებით, ძალზე დიდსულოვანი.
_ კარგი, კარგი, _ შეაწყვეტინა დაგნიმ, _ დავანებოთ ამას თავი.
მაგრამ ახლა ნაგელი შეჩერდა.
_ ერთხელ კიდევ გეუბნებით, რომ არ მომიტყუებიხართ! _ უთხრა მან და დაგნის დაჟინებით მიაჩერდა.
ერთ წუთს ასე უცქერდნენ ერთმანეთს. ჰელანს გულმა უფრო მძაფრად დაუწყო ძგერა და ოდნავ გაფითრდა კიდეც. ნეტავი რისთვის ცდილობს, რომ მასზე რაც შეიძლება ცუდს ვფიქრობდე? რაც უნდა დამთმობი იყოს სხვა ვითარებაში, ამ შემთხვევაში მას ადგილიდან ფეხს ვერ მოაცვლევინებ. რა აკვიატებული იდეაა, რა სიგიჟე!
_ არ მესმის, რისთვის იტეხთ თავს ჩემ წინაშე! თქვენ ხომ შემპირდით, კარგად მოვიქცევიო? _ წამოიძახა გულმოსულმა დაგნიმ.
დაგნი ნამდვილად იყო გულმოსული. მოთმინება დააკარგვინა ნაგელის ჯიუტობამ, რომელიც ისე ურყევი იყო, რომ სულ თავგზა აუბნია ჰელანს. ძალზე შეურაცხყოფილად იგრძნო ქალმა თავი, ასე რომ ატყუებდნენ. გულმოსული ქოლგასღა იცემდა ხელზე.
ნაგელი კი უბედური იყო და სხვა გზა აღარ ჰქონდა და მაღალფარდოვანი და უბადრუკი სიტყვების რახარუხი დააყენა. ბოლოს და ბოლოს, დაგნიმ გაიცინა და ამით ნაგელს მიახვედრა, თქვენზე გული აღარ მომდისო. ნაგელი აუტანელი ყოფილა, ახლაც აუტანელია და აუტანელი იქნება მომავალშიც. მას

კი, ცხადია, ეს ყოველივე ძალზე სასაცილოდ მიაჩნია. რა ვქნათ! მაგრამ ერთი სიტყვაც აღარ დაძრას ამ აკვიატებულ იდეაზე, ერთი სიტყვაც...
დუმილი ჩამოვარდა.
_ გახსოვთ, _ თქვა ნაგელმა, _ აი, აქ შეგხვდით პირველად. არასოდეს დამავიწყდება, რა საოცრად წააგავდით ფერიას, როცა გამირბოდით. თქვენ ტყის ფერიის მოჩვენება იყავით... ახლა კი ერთი ამბავი მინდა მოგიყვეთ, რომელიც მე შემემთხვა. თუმცა განსაკუთრებული რამ არ მომხდარა და ამის თქმა ორიოდე სიტყვითაც შეიძლებოდა.
ერთხელ ჩემს ოთახში ვიჯექ, _ ეს მოხდა ერთ პატარა ქალაქში, მაგრამ ნორვეგიაში არა, ან კი სულერთი არაა, სად? მოკლედ რომ ვთქვათ, ერთ წყნარ შემოდგომის საღამოს, _ ეს იყო რვა წლის წინ, 1883 წელს, _ კარისაკენ ზურგშექცევით ვიჯექ და წიგნს ვკითხულობდი.
_ ლამპა გენთოთ?
_ დიახ. გარეთ ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. უცებ გარედან ფეხის ხმა შემომესმა, გარკვევით მესმოდა, რომ ვიღაც კიბეზე ამოდიოდა, შემდეგ კი კარზეც დამიკაკუნეს. შემობრძანდით-მეთქი, _ გავძახე, მაგრამ არავინ შემოვიდა. კარი გავაღე. არავინ არ იყო, სულ არავინ! მოახლეს დავურეკე, _ კიბეზე ვინმე ამოდიოდა-მეთქი, ვკითხე. _ არავინო, _ მიპასუხა, _ კეთილი, ღამე ნებისა-მეთქი, _ ვუთხარი და უკან გავისტუმრე.
ისევ წიგნის კითხვა დავიწყე. უცებ მსუბუქი სუნთქვა ვიგრძენი და შემომესმა: `მოდი!~ მიმოვიხედე, ოთახში არავინ იყო. ისევ წიგნის კითხვა განვაგრძე და გულმოსულმა ჩემთვის ჩავიბურტყუნე `ეშმაკი!~ ჩემ გვერდით მაშინვე ფერმკრთალი, ქერაწვერიანი და თმაგაფშეკილი კაცუნა შევნიშნე. კაცი ჩემს მარცხნივ იდგა და ცალ თვალს მიპაჭუნებდა. მეც ასევე ვეპასუხებოდი. წინათ ჩვენ ერთმანეთი არ გვენახა, მაგრამ ერთიმეორეს მაინც თვალს ვუკრავდით. მე მარჯვენა ხელით წიგნი დავხურე, კაცი კი კარისაკენ გაემართა და თვალს მიეფარა. მეც ავდექი და კარისაკენ გავეშურე. უცებ ჩურჩული შემომესმა: `მოდი!~ კეთილი, პალტო და კალოშები ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. `სიგარა უნდა გავაბოლო~, _ გავიფიქრე, ისევ შევბრუნდი ჩემს ოთახში და მოვუკიდე. თანაც რამდენიმე ცალი ჯიბეში ჩავიდე. ღმერთმა უწყის, ასე რატომ ვქენი, მაგრამ ასე ვქენი და ისევ გარეთ გამოვედი. საოცრად ბნელოდა და ვერაფერს ვერ ვხედავდი, მაგრამ სულ ვგრძნობდი, რომ კაცუნა ჩემ გვერდით მოდიოდა. ირგვლივ ხელებს ვაფათურებდი, რომ შემეპყრო. ფეხაკრეფით მივდიოდი, თან გულში გავიფიქრე, შევჩერებულიყავი, თუ პასუხს არ გამცემდა, მაგრამ ვერაფრით მოვიხელთე. თვალიც კი ჩავუკარი ამ სიბნელეში სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ ამან ვერაფერი მიშველა. `კეთილი, _ ვთქვი მე, _ შენი გულისათვის კი არ მოვდივარ, მხოლოდ ჩემი სიამოვნებისათვის მოვსეირნობ. ყურადღება მიაქციე იმას, გეთაყვა, რომ მე მხოლოდ სასეირნოდ გამოვედი~. ამას ხმამაღლა ვამბობდი, რომ გაეგონა ჩემი ნათქვამი. ასე მივდიოდი რამდენიმე საათს. გავედი ქალაქგარეთ, შევედი ტყეში და ვგრძნობდი, როგორ მცემდა სახეში სველფოთლებიანი ხის ტოტები. _ დიდებულია, _ წამოვიძახე ბოლოს და ჯიბიდან საათი ამოვიღე, რომ მენახა, რომელი საათი იყო, _ დიდებულია, მაგრამ ახლა შინ დავბრუნდები, _ მაგრამ შინ არ წავსულვარ, არ შემეძლო დაბრუნება, რაღაც ძალა სულ წინ მეწეოდა. _ თუმცა, _ ვთქვი მე მაშინ, _ ისეთი შესანიშნავი ამინდია, რომ ასე შეიძლება ვისეირნო ერთი ან ორი ღამე, დრო საკმაო მაქვს, _ ეს ვთქვი, თუმცა დაღლილი ვიყავი და ნამისაგან მთლად სველი. ახალი სიგარა გავაბოლე. კაცუნა კი ისევ ჩემ გვერდით მოაბიჯებდა და მის სუნთქვასაც კი ვგრძნობდი. მივდიოდი შეუჩერებლად, მივდიოდი ყოველგვარი მიმართულებით, მაგრამ შინისაკენ, ქალაქისაკენ კი არა. ფეხებმა ტეხა დამიწყო და მუხლებამდე დამისველდა, სველი ტოტების ცემისაგან კი სულ მეწვოდა სახე. _ შეიძლება ცოტა უცნაურად მოგეჩვენოს, რომ ასეთ დროს აქ დავსეირნობ, მაგრამ ასე ვარ მიჩვეული. ბავშვობიდანვე მიყვარდა, უღრანი ტყე მომეძებნა, რომ ღამღამობით იქ მესეირნა, _ კბილი კბილს დავაჭირე და კვლავ წინ გავწიე. და აი, კოშკის საათმა დარეკა შუაღამისას: ერთი, ორი, სამი, ოთხი... თორმეტი, ვითვლიდი თითოეულ დარტყმას. ამ ნაცნობმა ბგერებმა დიდად გამამხნევა, თუმცა გულიც მომივიდა, რომ ამდენი სიარულის შემდეგ, ქალაქიდან მაინც შორს ვერ წავსულიყავით. კეთილი, მაგრამ სწორედ იმ წუთს, როცა საათმა მეთორმეტედ დაჰკრა, ჩემ წინ ისევ კაცუნა დავინახე, იდგა, მიცქერდა და იცინოდა. ჩემს დღეში რა დამავიწყებს ამას, ნათლად ვხედავდი კაცს, იმასაც კი ორი წინა კბილი რომ აკლდა, დიახ, ჩემ წინ იდგა ახლა ზურგზე ხელებდაწყობილი...
_ კი, მაგრამ როგორ ხედავდით სიბნელეში?
_ თვით მისგანვე იფრქვეოდა ნათლის შარავანდი. თითქოს მისვე ზურგს უკნიდან მომდინარე უცნაურ შუქს გაენათებინა და მთლად გამჭვირვალე გაეხადა. სამოსელიც კი დღესავით ნათელი ეცვა. შარვალი ძალზე მოკლე ჰქონდა და ეტყობოდა, დიდი ხნის ნაცვამიც იყო. ყოველივე ეს ერთი თვალის დახამხამებაში შევამჩნიე. ამის ხილვით ისე განვცვიფრდი, რომ უნებლიეთ თვალები დავხუჭე და ნახევარი ნაბიჯით უკან დავიხიე. თვალები რომ ხელახლა ავახილე, კაცი აღარსად ჩანდა...
_ აჰ!..

_ მაგრამ მომისმინეთ, რა მოხდა შემდეგ. ერთ კოშკს მივადექი. შავი, რვაკუთხოვანი კოშკი იყო, ათენის `ქარის კოშკების~ მსგავსი _ იქნებ გინახავთ ეს კოშკი სურათებში? არასოდეს გამიგონია, ამ ტყეში რომ რაიმე კოშკი იყო, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, იქ კოშკი ყოფილა. კოშკთან შევდექი თუ არა, მაშინვე მომესმა: `მოდი!~ და მეც შევედი. ჩემ უკან კარი ღია დარჩა, რამაც ცოტათი დამამშვიდა.
თაღებქვეშ კაცუნას ისევ შევეჩეხე; ერთ კედელთან ლამპა ენთო და კარგად შემეძლო ამ პატარა კაცის შეთვალიერება. ჩემკენ შინაურივით გამოემართა, თითქოს სულ აქ, ამ კოშკში იმყოფებოდა, ჩემ წინ შეჩერდა და ჩუმად ჩაიცინა, იდგა ასე და ჩუმად იცინოდა, თან ჩემთვის თვალი არ მოუცილებია. მე თვალი თვალში გავუყარე და ისე მომეჩვენა, რომ ეს თვალები საშინელი ამბების მნახველი იყო. კაცმა ისევ ჩამიკრა თვალი, მაგრამ მე ამითვე არ ვუპასუხე, თანაც იმდენივე მანძილით ვიხევდი უკან, რამდენითაც იგი მიახლოვდებოდა. უეცრად მსუბუქი ნაბიჯის ხმა შემომესმა, თავი მოვიბრუნე და კოშკში შემოსული ახალგაზრდა ქალი დავინახე. ჰოდა, შევცქეროდი ასულს და გულში სიხარულის გრძნობა მეღვრებოდა. ქერა თმა ჰქონდა და შავი თვალები, მაგრამ ღარიბულად ეცვა და ფეხშიშველა მოდიოდა ქვის იატაკზე, ხელებიც შიშველი ჰქონდა.
ერთ წუთს ორივე შეგვათვალიერა, შემდეგ მდაბლად დამიკრა თავი და პატარა კაცისაკენ გაემართა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე დაუწყო ტანსაცმლის ღილების შეხსნა და ხელებით სინჯვა, თითქოს რაღაცას ეძებსო. ცოტა ხნის შემდეგ მისი მოსასხამის სარჩულიდან ანთებული ფარანი ამოაძრო, პატარა, მოციმციმე ფარანი, რომელიც თითზე ჩამოიკიდა. ფარანი ისე მკვეთრად ანათებდა, რომ მთლად ჩრდილავდა კედლის ლამპას. კაცი კი ისევ მშვიდად იდგა და ჩუმად იცინოდა, სანამ გაჩხრეკდნენ. `ღამე ნებისა!~ _ უთხრა ქალმა და კარზე მიუთითა, და ეს საოცარი კაცი საზარელ მხეცს რომ მიაგავდა, მაშინვე გავიდა.
ქალი მოვიდა ჩემთან, ისევ მდაბლად დამიკრა თავი, ზევით არ აუხედავს და არც გაუღიმია, ისე მკითხა:
_ საიდან მოხვედი?
_ ქალაქიდან, მშვენიერო ქალიშვილო, _ მივუგე მე, _ პირდაპირ ქალაქიდან მოვედი.
_ მიუტევე, უცნობო, ჩემს მამას! _ თქვა მან უცებ, _ ავს ნუ შეგვამთხვევ; ავადაა, შეშლილია, შენ ხომ ნახე მისი თვალები?
_ დიახ, ვნახე, _ მივუგე მე, _ სწორედ იმ თვალებით მომნუსხა და გამომიყოლია აქეთ.
_ სად შეხვდი? _ მკითხა მან.
_ ჩემს სახლში, ჩემს ოთახში. ვიჯექი, წიგნს ვკითხულობდი, როცა მოვიდა, _ მივუგე მე.
მაშინ მან თავი გააქნია და თვალები ძირს დახარა.
_ მაგრამ ნუ იწყენ ამას, მშვენიერო ასულო, _ ვუთხარი მე, _ სიამოვნებით მოვსეირნობდი, ამის გამო არაფერი დამიკარგავს და არცა ვნანობ, რომ შეგხვდი. შემომხედე ერთი, რა ბედნიერი ვარ და კმაყოფილი, მაშ, შენც გაიღიმე.
მას არ გაუღიმია, ისე თქვა:
_ ფეხსაცმელები გაიძრე. ასე ბნელ ღამეში არსად გაგიშვებ, ტანისამოსსაც გაგიშრობ.
ტანისამოსზე დავიხედე, თავით ფეხამდე გავწუწულიყავი, ფეხსაცმელებიც მთლად წყლით გამჟღენთოდა. ისე ვქენი, როგორც მან მითხრა, ფეხსაცმელები გავიძრე და მივეცი. ქალმა მაშინვე ლამპა ჩააქრო და მითხრა:
_ წამოდი!
_ ცოტა ხანს მოიცა, _ ვუთხარი მე და შევაჩერე, _ თუ აქ ღამეს არ გავათევდი, ფეხსაცმელების გახდა რად მიბრძანე?
_ ეგ შენ არ უნდა გაიგო, _ მომიგო მან.
და ვერც გავიგე.
მან კარი გააღო და ერთ ბნელ ოთახზე გამატარა. ისეთი ბგერები შემომესმა, თითქოს ვიღაც გვყნოსავდა და მაშინვე ვიგრძენი რბილი ხელი ჩემს ბაგეებზე, გოგონამ წარმოთქვა:
_ მე ვარ, მამა. უცხო კაცი წავიდა, წავიდა.
მაგრამ მე მესმოდა, როგორ ფშუტუნებდა ეს გადარეული მახინჯი, თითქოს ისევ გვყნოსავდა. კიბეს ავუყევით, ქალიშვილს ხელჩაკიდებული მივყავდი, არც ერთი ხმას არ ვიღებდით. შევედით ახალ თაღებიან შენობაში, სადაც სინათლის ერთი სხივიც კი არ აღწევდა, ყველგან ღამის წყვდიადი გამეფებულიყო.
_ წყნარად! _ წამჩურჩულა მან, _ აი, ჩემი საწოლი.
მისი საწოლი ხელით მოვსინჯე.
_ ახლა გაიხადე დანარჩენი ტანსაცმელიც, _ წამჩურჩულა მან ისევ.
ყველაფერი გავიხადე და მივეცი.
მე შევაჩერე და ვთხოვე, დარჩენილიყო:

_ ნუ წახვალ, ცოტა ხანს შეიცადე. ახლა ვიცი, რად გამახდევინე ფეხსაცმელები ძირს: წყნარად ვიწვები, მამაშენმა ვერ გაიგო, აქ როგორ ამოვედი, მოდი ჩემთან!
მაგრამ იგი არ მოვიდა.
_ ღამე ნებისა, _ გაიმეორა მან და წავიდა...
ნაგელი გაჩუმდა.
დაგნი საოცრად გაწითლდა, მისი მკერდი მძაფრად იწევდა და ეშვებოდა, ნესტოები უთრთოდა. სწრაფად იკითხა:
_ წავიდა?
ისევ დუმილი ჩამოვარდა.
_ მაგრამ ჩემი ღამე მაშინვე რაღაც ჯადოსნურ ზღაპრად იქცა, მოგონებად, ვარდისფერ ნისლად. წარმოიდგინეთ ნათელი, საოცრად ნათელი ღამე... მე მარტოდმარტო ვიყავი. გარშემო მუქი, ხავერდივით მძიმე წყვდიადი მეკრა. ძალზე დაღლილად ვგრძნობდი თავს, მუხლები მიკანკალებდა და თანაც ოდნავ შემკრთალი გახლდით. იმ შეშლილმა თაღლითმა რამდენიმე საათი მატარა განუწყვეტლივ სველ ბალახზე, მაიძულა, უკან მედევნა მისთვის საქონელივით, ეს კი მხოლოდ თავისი თვალებითა და `მოდი, მოდით~ შეძლო. შემდეგში ხელიდან გამოვტაცებ ფარანს და იმით ცხვირ-პირს ჩავუნაყავ! საოცრად გაბოროტებული ვიყავი, გულმოსულმა მოვუკიდე სიგარას და ლოგინში დავწექი. რამდენიმე ხანს ვიწექი ასე და სიგარის საბოლოოდ ჩაფერფლვას ვუცქეროდი, _ შემდეგ კი შემომესმა, როგორ ჩაიკეტა ძირს შემოსასვლელი ჭიშკარი და რარიგ მიწყნარდა ყველაფერი.
განვლო ათმა წუთმა. ვიწექი ლოგინში თვალმოუხუჭავად და სიგარას ვეწეოდი. უცებ კამაროვანი ოთახი რაღაც ხმაურით აივსო, თითქოს ჭერზე ყველა მხრიდან ვენტილატორები ამუშავდა. იდაყვებზე წამოვიწიე, იმასაც კი არ მივაქციე ყურადღება, სიგარა რომ იფერფლებოდა. დაძაბული დავაჩერდი სიბნელეს, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე. ისევ დავწექი და მივაყურადე, მომეჩვენა, თითქოს შორეული მუსიკის ხმა მესმოდა, საოცარი ათასხმოვანი მუსიკისა, სადღაც მაღლა, შეიძლება, ცაში რომ გაისმოდა, მაგრამ ათასხმოვანი და ნაზი. ეს ხმა არ წყდებოდა, სულ ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა. ბოლოს კი თითქოს ტალღასავით გადმოიღვარა ჩემს თავზე კოშკის სახურავიდან. ისევ იდაყვებზე წამოვიწიე. ჰოდა, ისეთი რამ განვიცადე, დღემდე გაბრუებული ვარ. ახლაც რაღაც განსაკუთრებულ, ზებუნებრივ ნეტარებასა ვგრძნობ მისი გახსენებისას. უეცრად ჩემს თავზე პაწაწინა თვალისმომჭრელი არსებების ნიაღვარი დაეშვა, ისინი მთლად თეთრები იყვნენ, ეს ანგელოზები, გუნდი აურაცხელი პატარა ანგელოზებისა, რომელნიც ნიაღვარივით მაღლიდან ძირს სინათლის შვეული კედელივით ჩამოეშვნენ. მათ მთელი სივრცე გაავსეს კამარის ქვეშ, ბევრნი იყვნენ, შეიძლება მილიონიც, ტალღებივით მოძრაობდნენ იატაკიდან ჭერამდე და გალობდნენ, გალობდნენ სრულიად შიშვლები. გული მეკუმშებოდა, ყველგან ანგელოზები დასრიალებდნენ, ყურს ვუგდებდი და მესმოდა მათი გალობა, ქუთუთოებზე მეხებოდნენ, თავზე მასხდებოდნენ და კამარის ქვეშ მთელი სივრცე სავსე იყო მათი პატარა ბაგეებიდან გადმოფრქვეული ნელსურნელებით.
ვიწექი იდაყვებზე დაყრდნობილი და ხელს ვიწვდიდი მათკენ, ზოგიერთი მათგანი ხელზე მაჯდებოდა. ჩემს ხელზე ისინი მოციმციმე შვიდ ვარსკვლავედს მაგონებდნენ. წინ გადავიხარე მათკენ. დავაცქერდი თვალებში და შევნიშნე, რომ უსინათლო იყო ეს თვალები. ხელიდან გავუშვი შვიდი ბრმა ანგელოზი და სხვა შვიდი ანგელოზი შევიპყარი, მაგრამ ისინიც უსინათლოები აღმოჩნდნენ, მთელი კოშკი უსინათლო ანგელოზებით გავსებულიყო, მაგრამ მაინც გალობდნენ!
არ გავნძრეულვარ, თითქმის მთლად შევწყვიტე სუნთქვა ამ უცნაური სანახაობის გამო, ბრმა ანგელოზების ხილვამ დამისევდიანა სული.
განვლო ერთმა წუთმა. ვიწექი და ყურს ვუგდებდი. უეცრად მკვეთრი დარტყმის ხმა შემომესმა სადღაც შორიდან, მესმოდა საოცრად გარკვევით და დიდხანს, დიდხანს გუგუნებდა ჰაერში: ეს ხომ საათმა დარეკა ისევ ქალაქის კოშკზე. პირველი საათია.
უეცრად ანგელოზთა გალობა შეწყდა. დავინახე, როგორ ერთად შეიკრიბნენ, სახურავისკენ გაეშურნენ და გაფრინდნენ. ისინი ერთად გროვდებოდნენ, რომ წმინდა სინათლის შვეული კედელივით აჭრილიყვნენ ცაში. ყველანი მე მიცქეროდნენ გაფრენისას. უკანასკნელი ანგელოზი ერთხელ კიდევ შემობრუნდა, სანამ გაფრინდებოდა, და თავისი უსინათლო თვალებით დამაცქერდა.
ეს ჩემი უკანასკნელი მოგონება, ეს ანგელოზი, ჩემკენ რომ შემობრუნდა და დამაცქერდა, ბრმა იყო. შემდეგ ირგვლივ მთლად ჩამობნელდა. ბალიშზე დავემხე და დავიძინე...
როცა გამომეღვიძა, კარგა გათენებულიყო, ისევ მარტოკა ვიყავი კოშკის კამარების ქვეშ. ჩემი ტანსაცმელი იქვე იატაკზე ეყარა. ხელი მოვუთათუნე, ისევ ნესტიანი იყო, მაგრამ მაინც ჩავიცვი. უცებ კარი გაიღო და ის ქალიშვილი, წინა დღეს რომ ვნახე, ჩემთან შემოვიდა.
მთლად ახლოს მოვიდა და მე ვუთხარი:
_ საიდან მოხვედი? სად იყავი წუხელ?

_ აქ, მაღლა, _ მიპასუხა მან და სახურავზე მიმითითა.
_ ნუთუ არ გეძინა?
_ დიახ, არ მეძინა, ვუკრავდი და ვმღეროდი.
_ ეს შენ მღეროდი? მითხარი, ჩემო კარგო, ეს მართლა შენ იყავი?
_ დიახ, მე ვიყავი.
მან ხელი გამომიწოდა და მითხრა:
_ ახლა კი წავიდეთ, მე გაგიყვან გზაზე.
კოშკიდან გამოვედით და ხელიხელჩაჭიდებულნი ტყისკენ გავემართეთ. მზეზე უციმციმებდა ოქროსფერი თმა და მშვენიერი შავი თვალები ჰქონდა. გადავეხვიე და ორჯერ ვაკოცე შუბლზე, შემდეგ კი მის წინ მუხლები მოვიყარე. ათრთოლებული ხელით მოიხსნა შავი ლენტი და ხელზე შემაბნია. ამას რომ აკეთებდა, ტიროდა და მეტისმეტად იყო აღელვებული. ვკითხე:
_ რატომ ტირი? თავი გამანებე, თუკი რაიმე დავაშავე შენ წინაშე.
მაგრამ მან მხოლოდ ეს მიპასუხა:
_ ქალაქს ხედავ?
_ ვერა, _ მივუგე მე, _ ქალაქს ვერ ვხედავ. შენ?
_ ადექი და გზა განვაგრძოთ, _ მითხრა მან.
კვლავ წინ გამიძღვა.
მე კვლავ შევჩერდი, მკერდში ჩავიკონე და ვუთხარი:
_ როგორ მიყვარხარ! რა ნეტარებით ავსებ ჩემს გულს!
ისიც თრთოდა ჩემს მკლავებში, მაგრამ მაინც მითხრა:
_ ახლა კი უნდა დავბრუნდე. ალბათ, ქალაქს ხედავ უკვე.
_ დიახ, _ მივუგე, _ შენც, ცხადია, ხედავ მას?
_ ვერა, _ მომიგო მან.
_ რატომ? _ ვკითხე.
მან ოდნავ უკან დაიხია და თავისი დიდრონი, მშვენიერი თვალებით შემომხედა, წასვლისას კი მდაბლად დამიკრა თავი დამშვიდობების ნიშნად. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, ისევ შემობრუნდა და შემომხედა.
ახლაღა შევამჩნიე, რომ ისიც უსინათლო იყო...
ამის შემდეგ თორმეტმა საათმა განვლო, რომლის დროსაც ჩემი თავისთვის ანგარიში ვერ ჩამიბარებია, ეს დრო მთლად ამომეშალა მეხსიერებიდან. ვერ გავიგე, სად დაიკარგა ეს დრო. თავში ხელს ვიცემდი და ვამბობდი: ეს თორმეტი საათი აქ სადმე უნდა იყოს, ისინი დაიკარგნენ და უნდა ვიპოვო.
მაგრამ მე მაინც ვერ ვიპოვე ისინი.
ისევ საღამო დადგა, შემოდგომის ნაზი საღამო. ჩემს ოთახში ვიჯექი და წიგნი მეჭირა ხელში. ფეხებზე დავიხედე, ისევ ცოტა სველი მქონდა. ხელზეც დავიხედე და დავინახე, რომ შავი ლენტის ნაწყვეტი მქონდა შებნეული. ყველაფერი სინამდვილეს შეეფერებოდა.
მოახლეს ზარი დავურეკე, გამოვუძახე და ვკითხე: `არის აქ სადმე, ტყეში, კოშკი, შავი, რვაკუთხიანი კოშკი?~ მოახლემ თავი დამიქნია და მითხრა: `დიახ, ტყეში კოშკი არის~. `შიგ ხალხი თუ ცხოვრობს?~ `დიახ, იქ ერთი კაცი ცხოვრობს, მაგრამ ავადმყოფია, გიჟი~. `ფარნიან კაცს~ ეძახიან. `ფარნიან კაცს~ ჰყავს ქალიშვილი, ისიც კოშკში ცხოვრობს. მათ გარდა, კოშკში არავინ ცხოვრობს~. `კეთილი, ღამე ნებისა~.
შემდეგ დასაძინებლად დავწექი.
მეორე დღეს კი დილაადრიან ტყეში გავემგზავრე. წავედი იმავე ბილიკით და ვხედავდი ისეთივე ხეებს, ვიპოვე კოშკიც. მივუახლოვდი კარს და ისეთი სანახაობა ვიხილე, რომ მთლად შემიწყდა გულისცემა: მიწაზე მკვდარი ესვენა უსინათლო ქალიშვილი, დამსხვრეული, მთლად დასახიჩრებული. იგი პირგაღებული ესვენა და მზე მკვეთრად აციმციმებდა მის ქერა თმას. მაღლა კი, სახურავის კიდეზე, ისევ ფრიალებდა კაბის ნაფლეთი, რომლითაც იგი რაღაცას წამოსდებოდა გადმოვარდნისას. კენჭებით მოფენილ ბილიკზე კი დადიოდა პატარა კაცი, ქალიშვილის მამა, და მის ცხედარს დასცქეროდა. გულის კრუნჩხვა მოსდიოდა და ხმამაღლა ღრიალებდა, სხვა ვერაფრით გამოეხატა თავისი მწუხარება, მხოლოდ ცხედრის გარშემო დადიოდა, დასცქეროდა მას და ღრიალებდა. როცა თვალი მომკრა, ავკანკალდი ამ საშინელი მზერისაგან და შეშინებულმა ქალაქისკენ მოვკურცხლე. მას მერე ის კაცი აღარ მინახავს.
აი, მთელი ჩემი თავგადასავალი.
დიდხანს არც ერთი აღარ იღებდა ხმას. ბოლოს კი დაგნიმ თქვა:
_ ღმერთო ჩემო, რა საოცარი თავგადასავალია.

შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ორჯერ სცადა ნაგელმა დუმილი დაერღვია, რათა ტყის უდიდეს სიჩუმეზე შენიშვნა გამოეთქვა.
_ გრძნობთ, რა სურნელება იფრქვევა სახელდობრ ამ ადგილას? ცოტა ხანს აქ ჩამოვსხდეთ, გეთაყვა.
დაგნი დაჯდა, ისევ დადუმებული და ჩაფიქრებული. ნაგელი მის პირდაპირ ჩამოჯდა.
ნაგელს თავის მოვალეობად მიაჩნდა, გაერთო იგი.
_ არსებითად, ეს არც ისე სამწუხარო ამბავი იყო, უფრო გასართობი თავგადასავალი, მტკნარი სისულელე გახლდათ! აი, ინდოეთი კი სულ სხვა საქმეა, იქ ისეთ ხიფათს გადაეყრებით, პირდაპირ სუნთქვა შეგეკვრებათ და შიშით ძარღვებში სისხლი გაგეყინებათ. ორგვარი ჯურისაა ინდური ზღაპრები, ერთნი იმქვეყნიურნი, მომაჯადოებელნი _ ალმასის მღვიმეებზე, მთის უფლისწულებზე, ზღვის მაცდუნებელ მზეთუნახავებზე, მიწისა და ზეცის სულებზე, მარგალიტის სასახლეებზე, ფრთოსან რაშებზე, ვერცხლისა და ოქროს ტყეებზე. მეორენი კი განსაკუთრებული სიყვარულით აგვიწერენ ყველაფერს, რაც საიდუმლოებითაა მოცული, _ ყველაზე დიადს, უჩვეულოსა და საოცარს. საერთოდ, აღმოსავლეთის ხალხებს ვერავინ შეედრება გასაოცარი აბდაუბდის მოგონებასა და თავშეუკავებელ ფანტაზიაში. მთელი მათი ცხოვრება ხომ პირველი დღეებიდანვე ზღაპრულ ქვეყანაში მიმდინარეობს და ისინი იოლად ლაპარაკობენ უდაბურ, ცხრა მთას იქით მდებარე მიუდგომელ ადგილებზე, სადაც ფერიები ცხოვრობენ, როგორც ღრუბლებში დასახლებულ მდუმარე მბრძანებელზე, იდუმალ ძალაზე, რომელიც იქ, მაღლა, ყველაფერს განაგებს და ვარსკვლავთა მბრძანებელია. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ იმ ქვეყნის ადამიანები სულ სხვა მზის ქვეშ ცხოვრობენ და როსტბივით კი არა, ხის ნაყოფით იკვებებიან.
დაგნიმ ჰკითხა:
_ მაგრამ განა ჩვენ არ გაგვაჩნია მშვენიერი ზღაპრები?
_ ჩვენც გვაქვს საკვირველი ზღაპრები, მაგრამ სხვა ჯურისა. ჩვენ ხომ არაფერი გაგვეგება ისეთი მზისა, რომელიც ანათებს და წვავს ყველაფერს. ჩვენი ზღაპრები ტყის ფერიებზეა, უმეტესწილად მიწაზე რომ დაფარფატებენ და მიწაშივე მიძვრებიან, _ ეს ტყავის შარვლიანთა კუდმოკვეცილი ფანტაზიის ნაყოფია, ზამთრის გრძელ ღამეებში ძელის შუაცეცხლიან ქოხებში გამოჩეკილი. წაგიკითხავთ როდისმე `ათას ერთი ღამე~? გუდბრონდის ველებზე შექმნილი ჩვენი ზღაპრები გლეხური პოეზიაა კუდმოკვეცილი ფანტაზიით. ეს ჩვენი მშობლიურია და ამიტომაც შეშვენის ჩვენს სულს. ჩვენ არა ვკანკალებთ აქაური ზღაპრების მოსმენისას, ისინი მშვიდია და გონებამახვილური, ამიტომაც ვიცინით მათი წაკითხვისას. ჩვენი ზღაპრების გმირი, თვალწარმტაცი პრინცი კი არა, ეშმაკი მნათეა... რა ბრძანეთ? ნურლანური ზღაპრები? მაგრამ ეგ ზღაპრებიც ასეთი არ არის? აბა, მაგალითად, რაში გამოვიყენეთ ზღვის მისტიკური და ველური სილამაზე? მარტო ჩრდილოეთის გემი გადაიქცეოდა აღმოსავლეთის ხალხებისთვის რაღაც ზღაპრულ ხომალდად სულების სამსახურისათვის. გინახავთ ასეთი გემი? არა? ისეთი შესახედაობა აქვს, თითქოს სქესი გააჩნდეს, თითქოს გოჭებით მუცელგამობერილი უზარმაზარი ნეზვი იყოს. კიჩო ისე ბრტყელი აქვს, რომ გემს თითქოს შეუძლია, კიდეც დაჯდესო. ცხვირი ჰაერში, მაღლა, რქასავით გაუშვერია და მზადაა ოთხივე ქართან შესაბრძოლებლად... არა, ჩვენ ძალიან შორეულ ჩრდილოეთში ვცხოვრობთ... თუმცა, ეს მხოლოდ აგრონომის მოკრძალებული აზრია გეოგრაფიულ მოვლენებზე.
ეტყობა, დაგნი დაიღალა ნაგელის ლაყბობისაგან, მის ზღვისფერ თვალებში ისეთმა გამომეტყველებამ გაიელვა, თითქოს ნაგელზე იცინისო. იკითხა:
_ რომელი საათია?
_ რომელი საათი? _ მიუგო ნაგელმა დაბნეულად, _ მე მგონი, დაახლოებით პირველი საათი უნდა იყოს. ჯერ გვიან არ არის, ან კი სულერთი არაა, რომელი საათია?
_ რას ფიქრობთ ტოლსტოიზე? _ ჰკითხა დაგნიმ.
_ არ მომწონს, _ მაშინვე მიუგო ნაგელმა და ახალ თემაზე გადავიდა: მე მომწონს `ანა კარენინა~, `ომი და მშვიდობა~ და...
დაგნიმ ღიმილით შეაწყვეტინა:
_ მარადიულ მშვიდობაზე რაღა აზრისა ბრძანდებით?
ეს პირდაპირ მიზანს მოხვდა. სახე შეეცვალა ნაგელს, დაიბნა.
_ რა ბრძანეთ?.. აჰ, დიახ, საშინლად მოგაბეზრეთ თავი.
_ არა, გარწმუნებთ, ეს სრულიად შემთხვევით გკითხეთ, _ სწრაფად წამოიძახა დაგნიმ და სახე წამოენთო, _ ნუ გეწყინებათ, გეთაყვა. საქმე ისაა, რომ ჩვენ გვინდა, ბაზრობა მოვაწყოთ საღამოს, სახელმწიფო თავდაცვის სახსრების გასაძლიერებლად.
დუმილი ჩამოვარდა. უცებ ნაგელმა თავი მაღლა ასწია და დაგნის შეხედა, თვალები ნეტარებით უბრწყინავდა.

_ დღეს მეტისმეტად მიხარია, იცოდეთ ეს, და, ალბათ, ამიტომაც დავიქოქე. ყველაფერი მახარებს: უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ აქ თქვენთან ერთად დავსეირნობ, გარდა ამისა, ისიც მიხარია, რომ ეს ღამე უმშვენიერესია ყველა ღამეთა შორის, რომელიც კი მე მინახავს. თვითონაც არ მესმის, რა მემართება, ასე მგონია, ამ ტყის, ამ მიწის შემადგენელი ნაწილი ვარ-მეთქი, თითქოს ფიჭვის რტო ვიყო ან ქვა, დიახ, თუნდაც ქვა, მაგრამ მთლიანად გაჟღენთილი ამ დიდებული ნელსურნელებითა და სიმშვიდით, გარს რომ გვარტყამს. აი, გაიხედეთ იქით, უკვე ნათდება, _ ცაზე ვერცხლისფერი ზოლი გამოჩნდა.
ორივე თეთრ ზოლს მიაჩერდა.
_ მეც ძალიან კარგ გუნებაზე ვარ დღეს, _ თქვა დაგნიმ.
ეს სიტყვები მან სრულიად უბრალოდ, თავისუფლად, უშუალოდ წარმოთქვა, თითქოს ამისი თქმა სიხარულს ანიჭებდა.
ნაგელმა გამომცდელად შეხედა სახეში ქალს და მისმა წისქვილმა ისევ დაიწყო ბრუნვა. ნერვიულად, მიზეზიანად ალაპარაკდა ივანობის ღამეზე, იმაზე, თუ ხეები როგორ აშრიალებენ ფოთლებს და როგორ ხმაურობს ტყე, რომ იქ, ჰორიზონტზე, მომდგარმა დღემ უკვე გამოაცოცხლა იგი და ახალი ძალების მეუფება იგრძნო. გრუნტვიგი მღერის: `დასრულდა ღამე და წყვდიადი გაჰფანტა დღემ~. იქნებ, სხვათა შორის, მართლა დაღალა დაგნი ყბედობით? მაშინ შეუძლია რაღაც-რაღაც ოინები უჩვენოს მას, მაგალითად, ტოტისა და ჩალის ღეროს ოინი. გიჩვენებთ, რომ ჩალის ღერო ტოტზე მაგარია. მზადაა, რასაც კი ისურვებს, ყველაფერი მოიმოქმედოს მისი გულისათვის...
_ არა, ნახეთ, ნება მიბოძეთ, მხოლოდ გიჩვენოთ უმნიშვნელო საგანი, რომელიც შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, აი, ეს განმარტოებით მდგარი ღვიის ბუჩქი. ის ხომ თავს გვიკრავს თითქოს და მერე რაოდენი თანაგრძნობა გამოსჭვივის მისი ფოთლებიდან... ფიჭვიდან ფიჭვამდე გაუბამს ობობას ქსელი: მისი ქსოვილი დიდებულ ჩინურ ნამუშევარს მაგონებს, წყლის წვეთებით მოქსოვილ მზეს რომ წააგავს... ხომ არ გცივათ? დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ირგვლივ ახლა გაცეცხლებული გოგონები ცეკვავენ, მაგრამ მე მაინც გავაჩაღებ კოცონს, თუ გცივათ... მართლა, ახლა მომაგონდა, მგონი, აქ სადღაც იპოვეს კარლსენი, არა?
სამაგიეროს ხომ არ უხდიდა იმისათვის, დაგნიმ რომ დასცინა?
მისგან მოსალოდნელია ყველაფერი.
დაგნი წამოხტა უკმაყოფილო გამომეტყველებით და მიუგო:
_ მოასვენეთ იგი, გთხოვთ. რას ჰგავს ეს!
_ მომიტევეთ! _ თქვა მაშინვე ნაგელმა და თავი დაუკრა, _ მაგრამ ამბობენ, ძალიან უყვარდით თურმე, და ამის გამო არ შემიძლია ვუსაყვედურო...
_ ვუყვარდი? იმასაც ხომ არ ამბობენ, რომ თავი მოიკლა ჩემი გულისათვის ჩემივე ჯიბის დანით? ახლა კი წავიდეთ.
დაგნი წამოდგა. იგი ოდნავ სევდიანად ლაპარაკობდა, შეუმკრთალად და უთვალთმაქცოდ. ნაგელი საოცრად განცვიფრდა. დაგნიმ ხომ კარგად იცოდა, რომ თვითმკვლელობამდე მიიყვანა ერთ-ერთი თავისი თაყვანისმცემელი, მაგრამ ამას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, არ ხუმრობდა მასზე, არც ცდილა, ეს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, ლაპარაკობდა ამაზე მხოლოდ როგორც სამწუხარო შემთხვევაზე, ეს იყო და ეს. გრძელი, ოქროსფერი ნაწნავები კაბის საყელოზე გადმოეყარა, ღაწვები ღამის ნესტიანი ჰაერით ოდნავ ფერშეცვლილი წითელი ვარდივით უღაჟღაჟებდა, სიარულისას კი მაღალ თეძოებზე ოდნავ მიირწეოდა მისი ლამაზი ტანი.
ტყიდან გამოვიდნენ, მათ წინ ფართო მინდორი გადაიშალა, საიდანღაც ძაღლის ყეფა მოისმოდა; ნაგელმა თქვა:
_ აი, პასტორის ეზოც. რა მყუდრო იერი აქვს ამ თეთრშენობიან დიდ კარ-მიდამოებს, თავიანთი ბაღებით, საძაღლეებითა და შუაგულ ტყეში ალმისათვის აღმართული ლატნებით. არ ფიქრობთ, ფრეკენ, რომ მაინც იდარდებთ ამ სახლზე, როცა გაემგზავრებით აქედან... მინდა გითხრათ, როცა გათხოვდებით! თუმცა ეს იმაზეც იქნება დამოკიდებული, სად იცხოვრებთ.
_ ამაზე ჯერ კიდევ არ მიფიქრია, _ მიუგო დაგნიმ, შემდეგ კი დასძინა, _ ვინ იცის, ვის რა მოგველის!
_ თქვენ მოგელით ბედნიერება! _ უთხრა ნაგელმა.
დუმილი ჩამოვარდა. იგი მიდიოდა და, ეტყობა, ფიქრობდა ამ სიტყვებზე.
_ მომისმინეთ, _ თქვა მან, _ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ ასე გვიან ღამით ვსეირნობ თქვენთან. ეს აქ ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენ ხომ უბრალო გლეხები ვართ. ბუნების შვილნი. ხშირად ვსეირნობ ამ გზაზე ადიუნქტთან ერთად გათენებამდე და ვლაყბობთ ხოლმე.
_ ადიუნქტთან? მე მგონი, ის დიდი ვერაფერი შვილი მოლაპარაკეა.
_ დიახ, რა თქმა უნდა, უმთავრესად მე ვლაპარაკობ, ესე იგი ვეკითხები, ის კი მიპასუხებს ხოლმე... რას გააკეთებთ, შინ რომ მიხვალთ?

_ ახლა? _ იკითხა ნაგელმა, _ შინ რომ მივალ? დავწვები და დავიძინებ. დამეძინება გაუნძრევლად, როგორც ქვას, მკვდრული ძილით, უსიზმროდ, გამოუღვიძებლად. თქვენ რაღას იქმთ?
_ მაგრამ განა არ ფიქრობთ ხოლმე? ნუთუ დიდხანს არ წევხართ თვალებგახელილი და არ ფიქრობთ ათას რამეზე? ნუთუ მაშინვე დაგეძინებათ?
_ მაშინვე. თქვენ?
_ მომისმინეთ, აი, რომელიღაც ჩიტი აჟღურტულდა უკვე. არა, ალბათ, გაცილებით გვიანია, ვიდრე თქვენ ამბობთ. მაჩვენეთ საათი. ღმერთო ჩემო, მეოთხე საათია, მალე ოთხი შესრულდება! რატომ მითხარით წეღან, რომ მეორე საათი ახლაღა დაიწყო?
_ მომიტევეთ, _ მიუგო ნაგელმა.
დაგნიმ შეხედა მას, სახეზე არავითარი წყენა არ გამოხატვია, ისე უთხრა:
_ სულაც არ გჭირდებოდათ ჩემი მოტყუება. ყოველ შემთხვევაში, მე არ ავჩქარებულვარ, ტყიდან რომ წავსულიყავი, სრულ სიმართლეს გეუბნებით. იმედი მაქვს, ჩემს ნათქვამს იმაზე მეტ მნიშვნელობას არ მისცემთ, ვიდრე ეს საჭიროა. ძალიან ცოტას ვერთობი ხოლმე და ამ ცოტასაც ორივე ხელით ვებღაუჭები, რაც კი ჩემს წილად მოდის. ასე შევეჩვიე ცხოვრებას მას მერე, რაც აქ ჩამოვედით, და არც ვფიქრობ, ამას ვინმე გაებრაზებინოს. თუმცა არ ვიცი, მაგრამ ეს სულერთია ჩემთვის. ყოველ შემთხვევაში, მამაჩემს არაფერი აქვს ამის საწინააღმდეგო და მე მხოლოდ მის აზრს ვუწევ ანგარიშს. წავიდეთ, ცოტა კიდევ გავისეირნოთ.
მათ მღვდლის კარ-მიდამოს მახლობლად გაიარეს და ისევ ტყეში შევიდნენ მეორე მხარეს. ჩიტები ჟღურტულებდნენ, აღმოსავლეთით თეთრი ზოლი უფრო და უფრო ფართოვდებოდა. საუბარი თანდათან მოდუნებული გახდა და უხალისო საგნების გარშემო ტრიალებდა. შემდეგ ისევ გამობრუნდნენ და მღვდლის სახლის ჭიშკარს მიადგნენ.
_ აბა, ახლა მე მოვდივარ, ბისკ, _ შეეხმიანა დაბმულ ძაღლს, ასაშვებად რომ იზიდებოდა, _ გმადლობთ, რომ გამომაცილეთ, ბატონო ნაგელ, _ მშვენიერი საღამო გავატარე. ახლა კი მეც შემიძლია რაიმე მოვუყვე ჩემს საქმროს, როცა წერილს გავუგზავნი. ვეტყვი, რომ თქვენ სრულიად განსაკუთრებული ადამიანი ბრძანდებით, რომელიც არავის არასოდეს არაფერზე ეთანხმებით, _ მას ეს ძალზე გაუკვირდება. ახლავე ვხედავ მას, ზის, ფიქრობს წერილზე და ამ წერილისა არაფერი ესმის. ის ხომ ძალზე საყვარელი, ძალზე კეთილია! არავის არ შეედავება. სამწუხაროა, რომ თქვენ ვერ შეხვდებით მას აქ. ღამე მშვიდობისა!
_ ღამე მშვიდობისა! ღამე მშვიდობისა! _ მიუგო ნაგელმა და გაჰყურებდა დაგნის, ვიდრე სახლში არ შევიდა იგი.
ნაგელმა ქუდი მოიხადა და ხელით მიჰქონდა, ვიდრე ტყეზე მიდიოდა. უჩვეულოდ ჩაფიქრებული ჩანდა; რამდენჯერმე შეჩერდე, აიხედა, იცქირებოდა პირდაპირ წინ და მიდიოდა ნელი, მოკლე ნაბიჯით. რა ხმა აქვს, რა ხმა აქვს დაგნის! მოუსმენია ვინმეს ასეთი რამ _ ხმა, რომელიც გალობას მოჰგავს?

IX

ერთი დღის შემდეგ, დაახლოებით შუადღის ჟამსღა წამოდგა ნაგელი ლოგინიდან და არც უსაუზმია, სასტუმროდან ისე გამოვიდა. კარგი მანძილი გაიარა ქალაქში, მშვენიერი ამინდითა და ნავმისადგომზე გამოცოცხლებული მოძრაობით მოხიბლულმა. უეცრად რომელიღაც კაცს ჰკითხა, საოლქო სასამართლოს კანცელარია სად არისო. პასუხი რომ მიიღო, მაშინვე გაემართა კანცელარიისკენ.
ნაგელმა დააკაკუნა და შევიდა, გასცილდა ორ ბატონს, იქვე რომ ისხდნენ და სიგარეტს აბოლებდნენ. მერე რწმუნებულ რაინერტისაკენ გაემართა, სთხოვა, რამდენიმე სიტყვა უნდა გითხრათ მარტო, ბევრ დროს არ დაგაკარგვინებთო. რწმუნებული უხალისოდ წამოდგა და ნაგელი მეზობელ ოთახში გაიყვანა.
ნაგელმა უთხრა:
_ მომიტევეთ, გეთაყვა, რომ ისევ ვუბრუნდები ამ საკითხს, ესე იგი, მინუტთან რომ შეგვემთხვა, იმ ამბავს. სულით და გულით გთხოვთ, მომიტევოთ.
_ მაგ ინციდენტს მე სავსებით დამთავრებულად ვთვლი მას შემდეგ, რაც ივანობა ღამეს ბოდიში მომიხადეთ მთელი საზოგადოების თანდასწრებით.
_ ეგ, რა თქმა უნდა, ნამდვილი დიდსულოვნებაა თქვენი მხრიდან, _ უთხრა ნაგელმა, _ მაგრამ საქმე ის კი არაა, რომ სავსებით კმაყოფილი ვარ თუ არა საქმის ამგვარი ვითარებით, ბატონო რწმუნებულო. ესე იგი, პირადად მე სრულიად დაკმაყოფილებული გახლავართ, მაგრამ მინუტს შეეხება საქმე. ვისურვებდი იმაზე დაგვთანხმებოდით, რომ მინუტიც დაკმაყოფილებულიყო. დაკმაყოფილებით კი იგი სწორედ თქვენ უნდა დააკმაყოფილოთ.

_ ალბათ, ის გინდათ მითხრათ, რომ უნდა წავიდე და პატიება ვთხოვო იმ მახინჯს რამდენიმე პატარა ხუმრობის გამო, ასე არ არის? არ გერჩივნათ თქვენს საქმეებზე გეზრუნათ და არა...
_ დიახ, დიახ, დიახ, ეგ ჭეშმარიტები ყველასათვის ცნობილია, მაგრამ საქმეს დავუბრუნდეთ. თქვენ ხომ სერთუკი დაუხიეთ მინუტს და დაჰპირდით, რომ ახალს უყიდიდით, _ გახსოვთ?
_ აი, რა უნდა გითხრათ. თქვენ სამსჯავროს დარბაზში იმყოფებით და ისევ პირად საქმეზე ლაქლაქებთ, რომელიც თქვენ არც კი გეხებათ. აქ მე ვარ ბატონ-პატრონი. კანცელარიაზე გავლა აღარ დაგჭირდებათ, შეგიძლიათ ამ კარიდან გაბრძანდეთ.
და რწმუნებულმა პატარა კარი გამოაღო.
_ გმადლობთ, მაგრამ სერიოზულად გეუბნებით, რომ აუცილებლად უნდა გაუგზავნოთ მინუტს დაპირებული სერთუკი. როგორც იცით, მას სერთუკი ესაჭიროება და ენდობა თქვენს სიტყვას.
რწმუნებულმა გამოაღო კარი და უთხრა.
_ მიბრძანდით!
_ მინუტი დარწმუნებულია, რომ წესიერი კაცი ბრძანდებით, _ განაგრძო ნაგელმა, _ და არ შეგშვენით, მოატყუოთ.
ახლა კი რწმუნებულმა კანცელარიაში გამავალი კარი გამოაღო და თავისთან მოიხმო იქ მომუშავე ბატონები. მაშინ ნაგელმა ქუდი წინ წამოიწია და ხმის ამოუღებლად, დაუყოვნებლივ გარეთ გამოვიდა. როგორი მარცხით დამთავრდა ეს ყველაფერი. გაცილებით სჯობდა, სულაც არ ეცადა. ნაგელი შინ წავიდა, ისაუზმა, გაზეთები გადაათვალიერა და ცოტა ხანს ლევ იაკობსონსაც ეთამაშა.
დღის ბოლოს ფანჯრიდან თვალი მოჰკრა მინუტს, იგი მძიმე ტომარამოკიდებული აღმართზე მიაბიჯებდა, სანაპიროდან მიმავალ ღორღით მოფენილ გზაზე. ნახშირიანი ტომარა მიჰქონდა. მინუტი მთლად წელში მოკაკული მიდიოდა, წინ ვერც იხედებოდა, რადგან ტვირთს თითქმის მიწისათვის მიეკრა იგი. ფეხები ცუდ სამსახურს უწევდა, ისე ეხლართებოდა, რომ შარვლის ბოლოები შიგნითა მხრიდან კონკებად ქცეულიყო. ნაგელი წავიდა მის შესაგებებლად და ფოსტასთან შეხვდა, სადაც მინუტმა ერთი წუთით მოიხსნა ტომარა.
ერთმანეთს მოკრძალებით დაუკრეს თავი, როცა მინუტი წელში გასწორდა, მისი მარცხენა მხარი დაბლა დაეშვა. უცებ ნაგელმა სიტყვის უთქმელად ხელი სტაცა ამ მხარზე მინუტს და ძალზე აღელვებულმა უთხრა:
_ ილაქლაქეთ ვინმესთან იმ ფულზე, მე რომ მოგეცით? უთხარით რაიმე ამაზე თუნდაც ერთ ადამიანს?
_ არა, არავისთვის არაფერი მითქვამს, არც ერთი სულიერისათვის.
_ მისმინეთ, სასტიკად გაფრთხილებთ, _ განაგრძო მღელვარებისაგან გაფითრებულმა ნაგელმა, _ თუ კრინტი დაგიძრავთ ვინმესთან ამ საცოდავ გროშებზე, იცოდეთ, მიგამკვდარებთ... ნამდვილად მიგამკვდარებთ! ღმერთს გეფიცებით! მიმიხვდით? დაე ბიძათქვენმაც ენას კბილი დააჭიროს.
მინუტი პირდაღებული იდგა და მხოლოდ აბნეულად ბუტბუტებდა:
_ ერთ სიტყვასაც არავის ვეტყვი, გპირდებით, ღმერთს გეფიცებით.
თითქოს, თავისი გაცხარების გამო, ბოდიში უნდა მოიხადოსო, ნაგელმა მაშინვე დასძინა:
_ ნამდვილად ჯურღმულია ეს თქვენი ქალაქი, რაღაც მიყრუებული ადგილი, დათვის ბუნაგი. ყველანი მე მიჭვრიტინებენ, ყოველ ჩემს ნაბიჯს უთვალთვალებენ. განძრევა აღარ შემიძლია. მე კი არ მინდა, რომ ყველგან ჯაშუშები დამდევდნენ, ეშმაკსაც წაუღია ისინი. აი, ახლა თქვენც გაგაფრთხილეთ. ერთს გეტყვით მხოლოდ: საკმაო საფუძველი მაქვს ვიფიქრო, მაგალითად, რომ ეგ ფრეკენ ჰელანი, მღვდლის ქალიშვილი, ძალზე მოქნილი პიროვნებაა. შეგიჩნდება, გადაგაცდენს და რაც სურს, იმას გათქმევინებს. მე კი არ მინდა, რომ დააკმაყოფილოთ მისი ცნობისმოყვარეობა. სწორედ მასთან გავატარე გუშინდელი საღამო. დიდი კეკლუცი ვინმეა. თუმცა ეს საქმე სულაც არ ეხება. ერთხელ კიდევ მინდა გთხოვოთ, ხმა არ ამოიღოთ იმ უბრალო რაღაცებზე, რაც ჩვენ შორის მოხდა. სხვათა შორის, დიდებულად გამოვიდა, დღეს რომ შემხვდით, _ განაგრძობდა ნაგელი, _ სხვა რამეზე მინდა მოგელაპარაკოთ. მესამე დღეა, რაც ჩვენ ერთი საფლავის ქვაზე ვისხედით.
_ დიახ.
_ იმ ქვაზე მე დავწერე ლექსი, გამოგიტყდებით, საძაგელი, შეუფერებელი ლექსი, მაგრამ არც ეს ეხება საქმეს... ჰოდა, მე დავწერე ლექსი. როცა სასაფლაოდან გამოვდიოდი, ლექსი ისევ ეწერა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ რომ დავბრუნდი სასაფლაოზე, უკვე წაშლილი დამხვდა, ეს თქვენ ქენით?
მინუტმა თავი ჩაღუნა და მიუგო:
_ დიახ.
დუმილი ჩამოვარდა, მაგრამ საშინლად აღელვებულმა მინუტმა იმის გამო, რომ ამხილეს ამ კადნიერ საქციელში, რომელიც მან საკუთარი რისკით მოიმოქმედა, სცადა ენის ბორძიკით გაემართლებინა თავი.

_ მინდოდა, თავიდან აგვეცილებინა... თქვენ ხომ არ იცნობდით მინა მეეკს, ესაა საქმე, თორემ ეგრე არ მოიქცეოდით, არ დააწერდით ასეთ ლექსს. ჰოდა, მაშინვე ვთქვი ჩემს გულში: ნაგელი დამნაშავე არაა, იგი უცხოა ამ ქალაქში, მე კი აქ შინაური კაცი ვარ და შემიძლია ეს გამოვასწორო-მეთქი. განა ეს არ უნდა გამეკეთებინა? მე წავშალე ლექსი. ვერავინ ვერ მოასწრო მისი წაკითხვა.
_ საიდან იცით, რომ ვერავინ მოასწრო მისი წაკითხვა?
_ ერთ სულიერსაც არ წაუკითხავს. გამოვაცილე თუ არა ექიმი სტენერსენი სასაფლაოს ჭიშკრამდე, მაშინვე გავბრუნდი და წავშალე ლექსი. სასაფლაოს ქვას ორი-სამი წუთით მოვცილდი მხოლოდ. ნაგელმა შეხედა მინუტს და ხმის ამოუღებლად მხურვალედ ჩამოართვა ხელი. მინუტმაც შეხედა, ნაგელს ოდნავ უთრთოდა ბაგეები.
_ ნახვამდის, _ უთხრა მან, _ აჰ, ჰო, მიიღეთ სერთუკი?
_ ჰმ... არა, მაგრამ მივიღებ იმ დღეს, როცა დამჭირდება. სამი კვირის მერე.
ამ დროს მათ ახლოს კვერცხების გამყიდველმა ჭაღარა ქალმა მართა გუდემ გაიარა. კალთით კვერცხიანი კალათა მიჰქონდა, თავჩაღუნული მიდიოდა, შავი თვალები ძირს დაეხარა. მინუტმა თავი დაუკრა. ნაგელიც მიესალმა. მათ მისალმებაზე მართამაც ოდნავ დაუკრა თავი და ჩქარა ჩაუარა ორივეს, ბაზარს მიაშურა, სადაც სასწრაფოდ გაყიდა კვერცხები და რამდენიმე გროშით ხელში უკანვე გამობრუნდა. მწვანე კაბა ეცვა. ნაგელს თვალი აღარ მოუცილებია ამ მწვანე კაბისათვის. მინუტს უთხრა:
_ მაშ, სამი კვირის შემდეგ დაგჭირდება სერთუკი. მაინც რა უნდა მოხდეს ამ სამ კვირაში?
_ აქ ბაზრობა გაიმართება, დიდი საღამო, განა არაფერი უთქვამთ ამაზე? მეც მივიღებ მონაწილეობას ცოცხალ სურათებში. ფრეკენ დაგნიმ უკვე დამინიშნა როლი.
_ ოჰო! _ თქვა ნაგელმა ჩაფიქრებით, _ აბა, მაშ, ცხადია, თავის დროზე მიიღებთ სერთუკს, ახალ სერთუკს, _ ძველის ნაცვლად. დღეს რწმუნებული მელაპარაკა ამაზე. ის, არსებითად, არც ისე ცუდი კაცია... მაგრამ ერთი რამ დაიხსომეთ: თქვენ მადლობა არ უნდა გადაუხადოთ მას ამისათვის, არასოდეს. არავითარ შემთხვევაში მისი თანდასწრებით არ უნდა ახსენოთ სერთუკი, მას არ სურს რაიმე მადლობა მიიღოს თქვენგან. მიხვდით? ეს არ ესიამოვნება მას, _ თქვა ნაგელმა, _ და თქვენც ხომ მეთანხმებით, რომ დიდი უტაქტობა იქნება მოაგონოთ მას ის შემთხვევა, როცა ასე გამომთვრალი იყო და დაჭმუჭნილი შლაპით გავიდა სასტუმროდან.
_ დიახ.
_ ჰოდა, სჯობია, არც ბიძათქვენმა თქვას, საიდან იშოვეთ სერთუკი. დაე, არავინ იცოდეს ეს, თვით რწმუნებულმა მოითხოვა დაბეჯითებით. თქვენ გესმით, ცხადია, რომ მისთვის ძალზე არასასიამოვნო იქნება, ქალაქში რომ ხმა გავრცელდეს, ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებს, მერე კი დანაშაულის გამოსყიდვას სერთუკების ყიდვით ცდილობსო.
_ დიახ, რა თქმა უნდა, მესმის.
_ მისმინეთ, ერთი აზრი დამებადა, რატომ ურიკას არ იყენებთ ნახშირის დასატარებლად?
_ ურიკის გამოყენებას ვერ ვახერხებ იმ უბედური შემთხვევის გამო. მე შემიძლია საკმაოდ მძიმე ტვირთი წავიღო, თუ ფრთხილად წამოვიკიდებ, მაგრამ ურიკაში გაბმა და მისი თრევა არ შემიძლია, წელში ვწყდები, ჩქარა ვიღლები, აუტანელ ტკივილს ვგრძნობ და პირქვე ვემხობი ხოლმე. ტომრის ზურგით ტარება კი უფრო მეადვილება.
_ კეთილი და პატიოსანი. შემოიარეთ ჩემთან როდისმე. დაიხსომეთ შვიდი ნომერი. შემოდით მოურიდებლად.
ამ სიტყვების თქმისთანავე მან ხელში ჩაუდო მინუტს საბანკო ბილეთი და აჩქარებით დაეშვა თავქვე სანაპიროსაკენ. ნაგელს ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუცილებია მწვანე კაბისათვის და ახლაც მას მიჰყვებოდა.
მართა გუდეს პატარა სახლამდე რომ მივიდა, ნაგელი შეჩერდა და ერთი წუთით აქეთ-იქით მიმოიხედა. მას არავინ უთვალთვალებდა. კარზე დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. წინათაც ორჯერ მოვიდა და დააკაკუნა, მაგრამ არავინ უპასუხა. ახლა კი სრულიად ნათლად დაინახა, რომ ქალი ახლაღა დაბრუნდა ბაზრიდან და ნაგელს უნდოდა მის უნახავად აღარ გაბრუნებულიყო. გაბედულად შეაღო კარი და ოთახში შევიდა.
მართა ოთახის შუაგულში იდგა და მას უცქერდა. სახე შეეცვალა, მთლად და გაფითრდა, ისე დაიბნა, რომ რამდენიმე ხანს ხელები თავის წინ გაშვერილი ეჭირა, აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა მათთვის.
_ მომიტევეთ, ასე რომ გადაგეკიდეთ, ფრეკენ, გთხოვთ, _ უთხრა ნაგელმა და უჩვეულო მოკრძალებით დაუკრა თავი, _ დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ნებას მომცემთ რამდენიმე წუთს გესაუბროთ. ნუ გეშინიათ, დიდხანს არ გაგაცდენთ. ამას წინათ ორჯერ უკვე ვიყავი თქვენთან და ვერ გნახეთ, ახლა კი ბედნიერება მხვდა წილად და სახლში მოგისწარით. ჩემი სახელი ნაგელია, ჩამოსული ვარ და რამდენიმე ხნით ცენტრალურ სასტუმროში დავსახლდი.

მართა ისევ დუმდა, მაგრამ სკამი შესთავაზა ნაგელს, თვითონ კი სამზარეულოს კარისაკენ მიდგა. მეტისმეტად შემკრთალი ჩანდა და თავისი ფეშტამლის კალთებსღა ჭმუჭნიდა ხელში.
ოთახი სწორედ ისეთი იყო, როგორიც ნაგელს წარმოედგინა: მაგიდა, ორი სკამი, საწოლი _ აი, ყველაფერი, რაც იქ იყო. ფანჯრის რაფებზე რამდენიმე ყვავილების ქოთანი იდგა, მაგრამ ფარდები არ ეკიდა ფანჯრებზე, იატაკი ჭუჭყიანი იყო. ნაგელმა საწოლის გვერდით ერთი მაღალზურგიანი საცოდავი სავარძელი დაინახა. ორი ფეხიღა შერჩენოდა და ნახევრად მონგრეულ კედელზე იყო მიყუდებული. საჯდომზე წითელი პლუში ჰქონდა გადაკრული.
_ ნეტა როგორმე შევძლო თქვენი დამშვიდება, ფრეკენ! _ უთხრა ნაგელმა ისევ, _ ყოველთვის ასე შიშს კი არ ვგვრი ხალხს, სახლში რომ შევდივარ. ისე კი ყველგან დავიარები ხოლმე, იქნებ კიდევაც გაგიგიათ ჩემი ამბავი. არა? მაგრამ ეს სწორედ ასეა. ჩემი პროფესია მოითხოვს ამას, კოლექციონერი გახლავართ და ძველ ნივთებს ვაგროვებ, _ ვყიდულობ მათ და ვაძლევ იმდენს, რამდენიც ნამდვილად ღირს. არ შეგეშინდეთ, გეთაყვა, არაფერს არ მოგპარავთ წასვლისას, საერთოდ, ეგეთი ჩვეულება არა მაქვს. შეგიძლიათ, სრულიად დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. თუ რაიმეს ყიდვას მოვახერხებ თქვენთან შეთანხმებით, რას იზამთ, ეს სულ სხვა საქმეა.
_ მაგრამ მე ძველი ნივთები არ მაქვს, _ თქვა მართამ ბოლოს და სახეზე სასოწარკვეთა გამოეხატა.
_ ყოველთვის ეგრე ამბობენ ხოლმე, _ მიუგო ნაგელმა, _ მე კი მგონია, რომ არის ისეთი ნივთები, რომელიც შენთვის ძვირფასია და რომელსაც ვერაფრისდიდებით ვერ მოიცილებ, მამა-პაპიდან მემკვიდრეობით გადმოგცემია და ამ ნივთებს შეჩვეულხარ ბავშვობიდანვე. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ძველისძველი ნივთები ახლა სახლში დგას უსარგებლოდ. ტყუილუბრალოდ რატომ უნდა იდგეს და იკავებდეს ადგილს, როგორც მკვდარი კაპიტალი? ეს უსარგებლო საგვარეულო ნივთები ზოგჯერ დიდ თანხას შეადგენს, ამასობაში კი ისინი მთლად ინჯღრევა და მათ სხვენზე შეუძახებენ ხოლმე. მაშ, რატომ არ უნდა გავყიდოთ ეს ნივთები, ვიდრე გვიან არაა? ზოგიერთებს გული მოსდით, როცა მათთან მივდივარ და მპასუხობენ, არავითარი ძველი ნივთი არა გვაქვსო, _ კეთილი და პატიოსანი, გიჟი მიუშვი ნებასო, ნათქვამია, მეც თავს დავუკრავ და მივდივარ. ამ ამბავთან ვერაფერს გახდები. სხვები კიდევ სირცხვილით წითლდებიან და არ სურთ გიჩვენონ ძირგამომწვარი ტაფა ან სხვა რამე. მათ ამის არაფერი ესმით, მაგრამ ეს ახასიათებს უფრო მეტად გულუბრყვილო ადამიანებს, რომელთაც იმის წარმოდგენაც კი არ აქვს, როგორაა გავრცელებული დღეს კოლექციის შეგროვების მანია. რა თქმა უნდა, მანია, გამოგიტყდებით, რომ მხოლოდ მანია მამოძრავებს, სხვა არაფერი, და ამიტომაც ნივთებს თავიანთ სახელებს ვარქმევ. მაგრამ, სხვათა შორის, ეს მხოლოდ მე მეხება, ჩემი საქმეა. თუმცა, რა მინდოდა მეთქვა. ამ ადამიანების მხრივ მხოლოდ სასაცილოა და სისულელე, რცხვენოდეთ რომელიმე ძველი ნივთის ჩვენება. რას ჰგავს სამარხებიდან ამოთხრილი იარაღი ან ბეჭედი? მაგრამ ეს ნივთები განა ფასს კარგავს ამის გამო? მართალს არ ვამბობ, ფრეკენ? თქვენ რომ განახვათ ჩემი ძროხის ზანზალაკების კოლექცია! ერთი ზანზალაკი მაქვს _ უბრალო თუნუქისაა, მაგრამ მასზე, როგორც ღვთაებაზე, ლოცულობდა ინდოელების რომელიღაც ტომი. წარმოგიდგენიათ, ეს ზანზალაკი მრავალი წლის განმავლობაში ეკიდა ველურების კარავში აღმართულ ლატანზე, ამ ზანზალაკზე ლოცულობდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ მას. დიახ, წარმოგიდგენიათ, მაგრამ მე ცოტა დავშორდი ჩემი აქ მოსვლის მიზანს. საკმარისია ზანზალაკებზე დავიწყო ლაპარაკი, რომ ისე დავიქოქები, ვეღარავინ შემაჩერებს.
_ კი, მაგრამ მე არავითარი ძველი ნივთი არ გამაჩნია, _ თქვა მართამ ისევ.
_ ნებას ხომ არ მიბოძებდით, _ დინჯად თქვა ნაგელმა, როგორც ამ საქმის დიდმა მცოდნემ, _ ნებას ხომ არ მომცემდით, დამეთვალიერებინა, მაგალითად, ეს სავარძელი? მე მხოლოდ გეკითხებით და ადგილიდან ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ თქვენს ნებართვას არ მივიღებ. სხვათა შორის, სულ მაგ სავარძელს მივჩერებივარ, რაც აქ შემოვედი.
_ ეს... აჰ, რას ბრძანებთ... ფეხები მომტვრეული აქვს.
_ ფეხები მართლა მომტვრეული აქვს, მაგრამ რა უჭირს ამის გამო? რა მნიშვნელობა აქვს ამას? სწორედ მაგიტომაც შეიძლება, სწორედ მაგიტომაც... ნება მიბოძეთ, გკითხოთ, საიდან გაქვთ ჩამოტანილი ეს ნივთი?
ნაგელმა ხელში აიღო სავარძელი, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და ყოველმხრივ გასინჯა. მოოქრული არ იყო, ერთადერთი სამკაული, რაც მას ზურგზე ჰქონდა, იყო წითელი ხისგან გამოჩარხული გვირგვინი. ზურგის უკანა ნაწილი დანით დაესერათ, საჯდომის ჩარჩოზე ბევრ ადგილას იმის ნიშნები ემჩნეოდა, რომ ზედ თამბაქო ეკაფათ.
_ ეს სავარძელი რომელიღაც უცხო ქვეყნიდანაა ჩამოტანილი, არ ვიცი, საიდან. ოდესღაც პაპაჩემს ჩამოუტანია რამდენიმე ასეთი სავარძელი, მაგრამ ეს ერთიღა შემოგვრჩა. პაპაჩემი მეზღვაური იყო.
_ ოჰო! მამათქვენიც მეზღვაური იყო?
_ დიახ.

_ შეიძლება თქვენც თან დაჰყვებოდით, მაპატიეთ, რომ გეკითხებით.
_ დიახ, დავყვებოდი მრავალი წლის განმავლობაში.
_ მართლა, რა საინტერესოა? მაშ, გინახავთ მრავალი ქვეყანა, გისერიათ მარილიანი ტალღები, როგორც ამბობენ ხოლმე. მაგრამ ყველაფერს მაინც სამშობლოში სჯობია ყოფნა... მაშ, ოდნავი წარმოდგენაც არ გაქვთ, პაპათქვენმა რად შეიძინა ეს სავარძელი? უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანია ვიცოდე ნივთების წარმოშობის ისტორია, ესე იგი გაცნობა მათ ბიოგრაფიასთან.
_ არა, არ ვიცი, სადა აქვს შეძენილი. ეს ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. შეიძლება, ჰოლანდიიდანაც ჩამოიტანა. არა, მართალი რომ გითხრათ, არ ვიცი.
ნაგელმა შენიშნა, რომ მართა თანდათან გამოცოცხლდა, იგი მოსცილდა სამზარეულოს კარს და ახლა თითქმის ნაგელის გვერდით იდგა, სანამ ნაგელი სავარძელს ათვალიერებდა და ისეთი სახე მიეღო, თითქოს მისი თვალიერებით ვერ ვიჯერე გულიო. შეუჩერებლად ლაპარაკობდა, ნამუშევარზე მრავალ რასმეს შენიშნავდა და აღტაცებული დარჩა, როცა ზურგის უკანა მხარეზე პატარა ინკუსტრირებული რგოლი დაინახა, რომელშიც კიდევ მეორე რგოლი იყო ჩასმული, _ უბრალო, უგემოვნო და ბავშვური ნამუშევარი იყო, რომელიც კეთილხარისხოვნად არ შეესრულებინათ. სავარძელი მთლად დაძველებული იყო და ნაგელი მეტისმეტად ფრთხილად ეპყრობოდა.
_ დიახ, _ თქვა მართამ, _ თუ თქვენ ნამდვილად... მინდა გითხრათ, თუ ამ სავარძლის მიღება ნამდვილ სიამოვნებას მოგანიჭებთ, მაშინ წაიღეთ, გეთაყვა, თუ გნებავთ, მე თვითონ მოგიტანთ სასტუმროში. ეგ სავარძელი სულაც არ მჭირდება, _ და მან უეცრად გაიცინა ნაგელის თავგამოდებულ სურვილზე, შეეძინა ეს ჭიებით გამოხრული სავარძელი, _ თანაც მას ერთი მთელი ფეხიღა აქვს შერჩენილი, _ თქვა მან.
ნაგელმა შეხედა მართას. თმა შევერცხლილი ჰქონდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალიშვილივით ლამაზად და გამომწვევად იღიმებოდა. კბილებიც მშვენიერი ჰქონდა. როცა იცინოდა, თვალები უწყლიანდებოდა. ოჰ, რა შავთვალა შინაბერაა! მაგრამ ნაგელის სახეზე ეს, რა თქმა უნდა, არ გამოხატულა.
_ დიდად მოხარული ვარ, _ თქვა ნაგელმა გულგრილი კილოთი, _ სავარძლის დათმობა რომ გადაწყვიტეთ. ახლა კი ფასზე გადავიდეთ. არა, მომიტევეთ, ცოტა მოიცადეთ, დავამთავრო ლაპარაკი, არ მინდა, რომ თქვენ შეაფასოთ, ფასს თვითონ მე განვსაზღვრავ ხოლმე. მე შევაფასებ ნივთს, შეგთავაზებთ მასში ამდენსა და ამდენს, _ მორჩა და გათავდა. თქვენ შეიძლება სრულიად გაუგონარი თანხა დააფასოთ, აუწიოთ ფასი, ან კი რატომაც არა? ამჯერად თქვენ შეგიძლიათ შემედავოთ, რომ არ ახდენთ ხარბი ადამიანის შთაბეჭდილებას, კეთილი და პატიოსანი, სიამოვნებით გეთანხმებით, მაგრამ მე მაინც ათასნაირ ადამიანთან მაქვს საქმე და მუდამ მირჩევნია, მე თვითონ შევაფასო, რადგან ვიცი, რასაც ვაკეთებ. ეს ჩემი პრინციპია. ვინ დაგიშლით, მაგალითად, სამასი კრონი მომთხოვოთ ამ სავარძელში, თუ თვითონ თქვენ განსაზღვრეთ ფასი? მით უფრო, ადვილად მოიქცევით ასე, რადგანაც ნამდვილად ძალზე იშვიათ და ძვირფას ნივთს ეხება საქმე, მაგრამ ამდენი ფულის გადახდა მე არ შემიძლია. გეუბნებით ამას პირდაპირ, გულახდილად, რომ არავითარი ქარის ციხეები არ ააგოთ ამაზე. არავითარი სურვილი არა მაქვს გავკოტრდე, ეს ხომ უგუნურება იქნებოდა ჩემი მხრიდან, ამ სავარძელში სამასი კრონი რომ გადამეხადა. ერთი სიტყვით, ამ სავარძელში ორას კრონს გთავაზობთ, დიახ, არც ერთ გროშს არ მოვუმატებ. მზად ვარ იმდენი გადავიხადო, რამდენიც ნივთი ღირს, მაგრამ მეტი არასდიდებით არა.
მართას ერთი სიტყვაც არ უთქვამს და თვალდაჭყეტილი შესცქეროდა ნაგელს. ბოლოს, თავში გაუელვა აზრმა, ნაგელი ხუმრობსო, და ჩუმად, დაბნეულად იღიმებოდა.
ნაგელმა მშვიდად ამოიღო ჯიბიდან წითელი ქაღალდები და ორჯერ გააფრიალა ჰაერში. თანაც, თვალს არ აცილებდა სავარძელს. მან თქვა.
_ არ უარვყოფ, რომ შეიძლება ვინმე სხვისგან მეტიც მიგეღოთ, პატიოსნად და გულახდილად ვაღიარებ ამას, ცოტა მეტი, რა თქმა უნდა, შეგეძლოთ მიგეღოთ. მაგრამ მე ორას კრონად დავამრგვალე მისი ფასი და, ჩანს, მეტის მოცემა არ შემიძლია. სხვათა შორის, თქვენ თავისუფალი ბრძანდებით, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით, მაგრამ ჯერ კარგად აწონ-დაწონეთ ჩემი წინადადება. ორასი კრონიც ხომ ფულია.
_ არა, _ მიუგო მართამ შემკრთალი ღიმილით,_ თქვენი ფული თქვენთვისვე დაიტოვეთ!
_ ფული ჩემთვისვე დავიტოვო? რას ნიშნავს ეს? მინდა ვიცოდე, რატომ არის ეს ფული ცუდი? ხომ არ ფიქრობთ, თვითონ ვჭრი, ან იქნებ გეეჭვებათ, რომ ეს ფული მოვიპარე?
მართამ სიცილი შეწყვიტა. ეს კაცი, ეტყობა, სერიოზულად ლაპარაკობსო და ჩაფიქრდა ამაზე. რა სურს მისგან ამ გადარეულს? ისეთი თვალები აქვს, რომ მასზე შეიძლება ყველაფერი იფიქროს კაცმა. ღმერთმა უწყის! ხომ არაფერი განუზრახავს? მახეს ხომ არ უგებს? მაინცდამაინც მასთან რატომ მოვიდა ამ ფულით? ბოლოს, თითქოს გადაწყვეტილება მიიღოო, თქვა:

_ თუ აუცილებლად გნებავთ ამ სავარძლის ყიდვა, შეგიძლიათ გადამიხადოთ ერთი ან ორი კრონი. ამაზე მეტს კი არ ავიღებ.
ნაგელმა საოცრად განცვიფრებული გამომეტყველება მიიღო, მიუახლოვდა მართას და დააცქერდა, შემდეგ კი გადაიხარხარა.
_ მაგრამ... იფიქრეთ კი ამაზე?.. არა, ეს პირველი შემთხვევაა მას აქეთ, რაც კოლექციას ვაგროვებ. თუმცა თქვენ, ცხადია, ხუმრობთ, მესმის...
_ არ ვხუმრობ. გაგონილა _ ასეთი საქმე! მე არ მინდა მეტი მივიღო და, საერთოდ, არაფერიც არ მინდა. წაიღეთ სავარძელი, თუ გნებავთ.
ნაგელმა გულიანად გადაიხარხარა.
_ მესმის თქვენი ხუმრობა და შესაფერისადაც ვაფასებ მას. არა, აღტაცებული ვარ, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, აღტაცებული ვარ მაგ ხუმრობით, მაგრამ დროა რაიმეზე შევთანხმდეთ. ხომ მართალია? როგორ ფიქრობთ, არ გავათავოთ ეს საქმე, სანამ ისევ ცუდ გუნებაზე დავდგებოდეთ? ცოტა ხნის მერე სავარძელს კუთხეში მიდგამთ, ალბათ, და უკვე ხუთას კრონს მოითხოვთ.
_ წაიღეთ სავარძელი... მე... მაინც რა გსურთ?
ისინი გაშტერებით მიაჩერდნენ ერთმანეთს.
_ თუ ფიქრობთ, რომ სულ სხვა აზრი მამოქმედებს და არა ამ სავარძლის შეძენა განსაზღვრულ ფასად, მაშინ ძალზე ცდებით, _ თქვა ნაგელმა.
მართამ წამოიძახა:
_ ოჰ, ღმერთო ჩემო! წაიღეთ ეგ სავარძელი, წაიღეთ!
_ რა თქმა უნდა, დიდი მადლობელი ვიქნებოდი თქვენი იშვიათი თავაზიანობისათვის, მაგრამ ჩვენც, კოლექციონერებსაც, გვაქვს სინდისი, თუმცა, მართალი რომ გითხრათ, იშვიათად და ისიც განსაზღვრული ზომით, და ეს სინდისი მაკავებს ახლა, როგორც იტყვიან, ყალყზე შევდგე, თუ ვგრძნობ, რომ ძვირფასი ნივთის ყიდვის დროს ვყალთაბანდობ. მაშინ მთელი ჩემი კოლექცია ფასს დაკარგავდა ჩემი... მათი მფლობელის თვალში, _ თუ სხვა ნივთებს შორის მოვათავსებდი ასეთ კონტრაბანდისტულ ნივთს, ის მიიღებდა რაღაც ყალბ იერს, რომელიც ყოველ ნივთს შეეტყობოდა. ხე-ხე-ხე! ბოლოს და ბოლოს, სასაცილოა, გამოდის სრულიად პირიქით, რომ ჩემი საკუთარი კი არა, თქვენი ინტერესები უნდა დავიცვა. მაგრამ რა ვქნა, რაკი ეგრე მაიძულებთ ამას?
მაგრამ მართა არ ეთანხმებოდა. ნაგელი ვერაფერს გახდა. ქალი მტკიცედ მოითხოვდა, რომ ნაგელს წაეღო სავარძელი სულ უმნიშვნელო თანხად, ერთ ან ორ კრონად, ანდა ადგილზევე დაეტოვებინა. რაკი ყოველი ცდა, დაეძლია ეს სიჯიუტე, ამაო შეიქნა, მდგომარეობიდან რომ როგორმე გამოსულიყო, ნაგელმა თქვა:
_ კეთილი, დაე, ეს საკითხი ასე დარჩეს, მაგრამ შემპირდით, რომ ჩემს შეუტყობინებლად არავის არ მიჰყიდით ამ სავარძელს, თანახმა ხართ? მე არაფრისდიდებით ხელიდან არ გავუშვებ ამ სავარძელს, ასე იცოდეთ, თუნდაც ცოტა უფრო ძვირი გადავიხადო მასში. ყოველ შემთხვევაში, მზადა ვარ, გადავიხადო იმდენივე, რამდენსაც სხვა ვინმე მოგცემს. თანაც, მე ხომ პირველი გამოვცხადდი. ქუჩაში რომ გამოვიდა, ნაგელი ჩქარი, ფართო ნაბიჯით გაემართა. `რა ჯიუტია ეს ქალიშვილი! რარიგ ღარიბია და რა მიუნდობელი! მიაქციე ყურადღება მის საწოლს? _ ჩაილაპარაკა თავისთვის, _ საწოლზე ჩალაც არ უყრია, ზეწარიც კი არ აქვს გადაფარებული, ზედ მხოლოდ ორი ჩიხორა გადაუდია, რომელთაც, მართა, ალბათ, დღისით იცვამს, როცა ცივა. ამავე დროს კი ეშინია გაეხვიოს უცნობ რაიმეში და გადაჭრით უარს ამბობს ნამდვილად ხელსაყრელ წინადადებაზე!~ მაგრამ რა ეშმაკი ესაქმება ნაგელს ამასთან. დიახ, მას მართლა არაფერი ესაქმება, ეგ ხომ ქალიშვილი კი არა, ნამდვილი სატანაა, განა ასე არ არის? ნაგელმა ვინმე რომ მიუგზავნოს სავარძლის საყიდლად, ფასი აუწიოს, ეს, რა თქმა უნდა, ისევ საეჭვოდ მოეჩვენება. რა სულელია, რა სულელი! ნაგელს მაინცდამაინც იქ უნდა ჩაეჩარა ცხვირი, რომ ასეთი სამარცხვინო უარი მიეღო!
აღელვებული ნაგელი სასტუმროს ისე მიადგა, რომ არც კი შეუნიშნავს. შეჩერდა, შემდეგ ოდნავ ნაწყენი უკან შემობრუნდა და კვლავ ქვევით დაეშვა ქუჩაზე ი. ჰანსენის სამკერვალოს მიმართულებით, სადაც შევიდა კიდეც. გამოუძახა სამკერვალოს პატრონს და, მასთან პირისპირ რომ დარჩა, სთხოვა, ასეთი და ასეთი სერთუკი შემიკერე, თანაც საიდუმლოდ. როცა სერთუკი მზად იქნება, მაშინვე მინუტს, გრიგორს, გაუგზავნეთ, იმ გვერდელა ნახშირის დამტარებელს, რომელიც...
_ მაშ, სერთუკს მინუტისთვის უკვეთავთ?
_ მერედა, რა? ცნობისმოყვარეობას ნუ გაუტაცნიხართ, გეთაყვა! ეს რა გამოკითხვა მომიწყვეთ?
_ მაგრამ ეს აუცილებელია ზომისათვის.
_ ოჰო! დიახ, სერთუკს მინუტისთვის გიკვეთავთ. კეთილი, მინუტს თვითონ შეუძლია მოვიდეს, ზომა რომ აუღოთ, რატომაც არა? მაგრამ ერთ ზედმეტ სიტყვასაც ნუ ეტყვით, სხვანაირ სახესაც კი ნუ უჩვენებთ. მაგრამ როდის იქნება მზად? ორი დღის მერე? მშვენიერია.

ნაგელმა უკვე მიუთვალა ფული, გამოეთხოვა და გარეთ გამოვიდა. წყენამ გაუარა, ხელები მოიფშვნიტა და დაბალ ხმაზე წაიღიღინა. დიახ, დიახ, იგი მაინც, მაინც გაიტანს თავისას. მოიცადეთ! შინ რომ დაბრუნდა, თავის ოთახში ავარდა და დარეკა. ხელები უკანკალებდა მოუთმენლობისგან და კარი კარგად არც კი იყო შემოღებული, რომ მიაძახა:
_ დეპეშის ბლანკები მომიტანეთ, სარა!
ნაგელს ის-ის იყო ვიოლინოს ბუდე გაეხსნა, როცა სარა შემოვიდა და დაინახა, რომ ამ ყუთში, რომელსაც ნაგელი ესოდენ ფრთხილად ეპყრობოდა, მხოლოდ ჭუჭყიანი თეთრეული ეყარა, ძირს კი ქაღალდი და საწერი მოწყობილობა, მაგრამ შიგ არავითარი ვიოლინო არ იდო. მოახლე დიდად განცვიფრდა, მაშინვე კი არ გამოვიდა ოთახიდან, არამედ შეჩერდა და ვიოლინოს ბუდეს უცქერდა.
_ დეპეშის ბლანკები მომიტანეთ! _ გაიმეორა ნაგელმა ხმამაღლა, _ დეპეშის ბლანკები გთხოვეთ.
ბოლოს კი, როცა ბლანკები მიიღო, ერთზე რამდენიმე სიტყვა მისწერა თავის ნაცნობს კრისტიანიაში, რომ ანონიმურად გამოეგზავნა ორასი კრონი ამ ქალაქში მცხოვრებ ვინმე ფრეკენ მართა გუდესთვის _ ორასი კრონი, ქვეშ კი ერთი სიტყვაც არ მიეწერა. `მოვითხოვ საიდუმლოების სასტიკად დაცვას. იოჰან ნაგელი~.
მაგრამ არა, ეს არ გამოდგება, არა. როცა ნაგელმა კარგად მოიფიქრა, მიხვდა, რომ ეს გეგმა უნდა უკუეგდო. არ სჯობდა, დაწვრილებით აუხსნას საქმის ვითარება და მაშინვე გადაუგზავნოს ფული და დარწმუნებული იყოს, რომ მის დავალებას შეასრულებენ? მან ნაფლეთებად აქცია დეპეშა, მაშინვე ცეცხლში შეყარა ქაღალდის ნაფლეთები და აჩქარებით დაწერა ბარათი. დიახ, ასე სჯობია, ყველაზე პატარა ბარათიც კი დეპეშაზე ნამდვილია, ასე უკეთესია... დიახ, ნაგელი უჩვენებს მართას, გააგებინებს...
მაგრამ ჩადო თუ არა კონვერტში ფული და დააწება, ხელახლა ჩაფიქრდა. `ხომ შეიძლება ამაზეც დაეჭვდეს, _ თქვა ნაგელმა თავისთვის, _ ორასი კრონი დიდი თანხაა და ამასთან, სწორედ ის თანხა, რომელიც, აი, ახლაღა აფრიალა მის ცხვირთან. არა, არც ეს ვარგა!~ მან ჯიბიდან ამოიღო ერთი ათკრონიანი, კიდევ გახსნა კონვერტი და თანხა ორას ათ კრონად შეცვალა. შემდეგ დაბეჭდა წერილი და გაგზავნა.
ამის შემდეგ ნაგელი მთელ საათს ფიქრობდა თავის გამოგონებაზე და მშვენივრად მიაჩნდა. მართა გუდეს ეს წერილი საიდანღაც მაღლიდან, უცნობი ხელებიდან პირდაპირ ზეცის წყალობასავით ჩამოუვარდება. რას იტყვის, როცა მიიღებს ამ ფულს? მაგრამ, როცა თავის თავს კიდევ დაუსვა კითხვა, რას იტყვის მართა ამაზე, როგორ მოეპყრობა ის, საერთოდ, ყოველივე ამასო, _ ნაგელი ისევ სასოწარკვეთილებამ შეიპყრო: სახიფათო განზრახვა იყო, ძალზე გაბედული, მთელი ეს გამოგონება იყო სისულელე და არაფრად ვარგოდა. უბედურება ის არის, რომ მართა გონივრულს რამეს კი არ იტყვის, არამედ ისე მოიქცევა, როგორც იდიოტი. მიიღებს ამ წერილს, ვერაფერს ვერ მიხვდება და სხვებს უჩვენებს, რომ ამ საქმეში გაერკვიონ. იგი ფოსტის კანტორაში გადაშლილს დაუდებს წერილს მთელ ქალაქს, იქვე ყველაფერს ფოსტის მოხელეს აცნობებს, თავპატიჟს გამოიდებს და ეტყვის: `არა, დაიტოვეთ თქვენი ფული თქვენთვის!~ ფოსტის მოხელე კი თითს ცხვირზე მიიდებს და წამოიყვირებს: `ცოტა მოიცადეთ, არ წახვიდეთ, რაღაც მომივიდა თავში!~ და იგი გადაშლის წიგნს, ქექვას დაიწყებს შიგ და აღმოაჩენს, რომ ორი დღის წინ აქედან გაგზავნეს სწორედ ამდენი თანხა _ რომ არ ვთქვათ იგივე ასიგნაციები _ ორას ათი კრონი ამა და ამ მისამართით კრისტინიაში. გამგზავნელი აღმოჩნდება ვინმე იოჰან ნაგელი, ჩამოსული, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ცენტრალურ სასტუმროში დასახლდა...
დიახ, ამ ფოსტის მოხელეებს გრძელი ცხვირები აქვთ და ყველაფერს იყნოსავენ ხოლმე.
ნაგელმა ისევ დარეკა და შიკრიკს უბრძანა ახლავე უკან წამოეღო წერილი სასტუმროდან.
ამ ნერვიულმა მღელვარებამ, რომელშიც ნაგელი მთელ დღეს იმყოფებოდა, იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მოჰბეზრდა ყველაფერი. არსებითად, ეშმაკსაც წაუღია ეს ყოველივე! რა ესაქმება ნაგელს იმასთან, რომ უფალმა სადღაც ამერიკის შუაგულში მატარებლები ერთმანეთს შეაჯახა და ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა ამას! არა, რა თქმა უნდა, მას ამასთან არა ესაქმება რა, მაგრამ სწორედ ასევე არა ესაქმება რა დიდად პატივცემულ ქალიშვილ მართა გუდესთანაც, რომელიც ამ ქალაქში ცხოვრობს.
ორ დღეს ნაგელი აღარ გამოსულა სასტუმროდან.

X

შაბათ საღამოს ნაგელის ოთახში მინუტი შემოვიდა. ახალი სერთუკი ეცვა და ბედნიერებისაგან სახე გაბრწყინებოდა.
_ რწმუნებულს შევხვდი, _ თქვა მან, _ და წარბიც არ შეურხევია, ისიც კი მკითხა, საიდან მივიღე სერთუკი. ხედავთ, რა ეშმაკია, ჩემი გამოცდა ეწადა.
_ თქვენ რაღა უპასუხეთ?

_ გავიცინე და მივუგე, რომ ამას არავის ვეტყვი, არავის ვეტყვი, მშვიდობით, მომიტევეთ-მეთქი!.. დიახ, აი, ასე ვუთხარი იმას!.. იცით, უკვე ოცდაათი წელი გავიდა მას აქეთ, რაც მე ახალი სერთუკი მქონდა, _ გამოვითვალე უკვე... ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ იმ ფულისათვის, ბოლო დროს რომ მომეცით. ეგ ფული ძალზე ბევრია ისეთი ხეიბრისთვის, როგორიც მე ვარ. რა ვუყო მას? სულ გამოვსულელდი თქვენი ქველმოქმედებისგან და ვეღარაფერი მომიფიქრებია: მთელი ჩემი არსება შეშფოთებულია, აღარ შემიძლია დავმშვიდდე! ხა-ხა-ხა-ხა! ღმერთო ჩემო, ნამდვილ ბავშვად გადავიქეცი. არა, მე კარგად ვიცოდი, რომ როდისმე მივიღებდი ამ სერთუკს, _ განა არ გეუბნებოდით ამას? მართალია, ხშირად საკმაოდ დიდხანს მიხდება ლოდინი, მაგრამ ამაოდ არასოდეს ვიცდი. ლეიტენანტი ჰანსენი დამპირდა ორ პერანგს, რომელიც მას აღარ სჭირდებოდა. მას აქეთ ორი წელი გავიდა, მაგრამ ისე დარწმუნებული ვარ, რომ უსათუოდ მივიღებ მათ, თითქოს უკვე მეცვას. ყოველთვის ასეა, ადამიანებს გაახსენდებათ თავიანთი დაპირება და როცა დრო დადგება, მაძლევენ იმას, რასაც ვსაჭიროებ. თქვენ კი როგორ ფიქრობთ, ახალ ტანსაცმელში სულ სხვა ადამიანივით არ გამოვიყურები?

_ დიდი ხანია, რაც ჩემთან აღარ ყოფილხართ.

_ საქმე ისაა, რომ სერთუკს ვუცდიდი, გადავწყვიტე, ძველი სერთუკით აღარ მოვსულიყავი. უცნაური ხასიათი მაქვს. ძალიან მიმძიმს საზოგადოებაში დახეული სერთუკით გამოჩენა; ღმერთმა უწყის, რად ხდება ასე, მაგრამ ჩემსავე თვალში ვმცირდები ხოლმე. მაპატიეთ, საკუთარი ღირსების გრძნობაზე რომ ჩამოვაგდე თქვენთან სიტყვა, თითქოს ეს ისეთი რამ იყოს, რომელზეც, საერთოდ, ღირდეს ლაპარაკი. თუმცა ეს ასე არაა, ეს თითქმის სულაც არ მიტაცებს, მაგრამ დროდადრო მებადება ამგვარი გრძნობა.

_ ღვინოს ხომ არ დალევდით? არა? იქნებ სიგარა მაინც გააბოლოთ?

ნაგელმა დარეკა და უბრძანა ღვინო და სიგარები მოეტანათ. თვითონ კი მაშინვე დაიწყო სმა და სვამდა ბევრს, მინუტი კი მხოლოდ სიგარას ეწეოდა და შესცქეროდა ნაგელს. მინუტი შეუჩერებლად ლაპარაკობდა, თითქოს საუბრით ვეღარ იჯერა გულიო.

_ მომისმინეთ, _ უთხრა უცებ ნაგელმა, _ შეიძლება მთლად კარგად არ გაქვთ პერანგების საქმე? მომიტევეთ, რომ გეკითხებით.

_ ნუ იფიქრებთ, რომ იმ ორ პერანგზე რაიმე განზრახვით ჩამოვაგდე სიტყვა. გეფიცებით, ამას ისევე მართალს მოგახსენებთ, როგორც მე აქა ვზივარ.

_ არა, რა თქმა უნდა, მაგას არა ვფიქრობ! რატომ ღელავთ? თუ საწინააღმდეგო არა გაქვთ რა, მაჩვენეთ სერთუკის შიგნით რა გაცვიათ?

_ აჰა, გეთაყვა! აი, ნახეთ ეს მხარე, მეორე მხარეც არაა უარესი.

_ არა, ცოტა ხანს მოიცათ, სწორედ მეორე მხარეზეა უარესი, როგორცა ვხედავ.

_ მაგრამ განა ამაზე უკეთესის მოთხოვნა შეიძლება? _ წამოიძახა მინუტმა, _ არა, ახლა პერანგები სულაც არ მჭირდება, გარწმუნებთ. უფრო მეტსაც გეტყვით, _ ისეთი პერანგი, როგორიც ესაა, ძალზე კარგიც კია ჩემთვის. იცით, ვისგან მივიღე ეს პერანგი? ექიმ სტენერსენისგან, დიახ, თვით ექიმ სტერენსენისგან. მე მგონი, მისმა ცოლმა დღესაც არ იცის, ექიმმა პერანგები რომ მომცა, თუმცა თვითონაც გულკეთილობის განსახიერებაა. ეს პერანგი საშობაოდ მივიღე.

_ საშობაოდ?

_ თქვენ გგონიათ, ეს დიდი ხნის წინ იყო? ასეთ პერანგს რომელიმე ცხოველივით კი არ ვარღვევ, არ ვცდილობ განგებ ნახვრეტები გავუკეთო, ღამით კი ვიხდი და შიშველი ვწვები, რომ ძილის დროს ტყუილუბრალოდ არ გავცვითო. ამგვარად, პერანგი დიდხანს მიძლებს და გაცილებით მეტ ხანს შემიძლია ვიტრიალო საზოგადოებაში და არ შემრცხვეს იმისა, რომ შესაფერისი პერანგი არ მაცვია. ჰოდა, აი, ამის წყალობით მე მონაწილეობას მივიღებ ცოცხალ სურათებში, რადგან კიდევ მაქვს ისეთი პერანგი, რომელშიც გამოჩენა შემიძლია. ფრეკენ დაგნი ჩამჩიჩინებს, ცოცხალ სურათებში მივიღო მონაწილეობა. გუშინ შევხვდი ეკლესიასთან. თქვენზეც მესაუბრა...

_ მე კი შარვალს გიშოვით. ღირს ფული გადავიხადო იმ სიამოვნებისათვის, რასაც საჯარო გამოსვლით მომაყენებთ. რაკი რაინერტმა სერთუკი გაჩუქათ, მე შარვალს გაჩუქებთ, _ ეს სამართლიანობა იქნება მხოლოდ, მაგრამ ამასაც გაგიკეთებთ ერთი პირობით: არსად დაძრათ კრინტი.

_ რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

_ მე მგონი, არ გაწყენდათ, ცოტა გადაგეკრათ. თუმცა, როგორც გნებავთ, ისე ქენით. მე კი დღეს დალევა მსურს, ნერვიულ და, ცოტა არ იყოს, სევდიან გუნებაზე ვარ. ნებას მომცემთ, ერთი კადნიერი კითხვა მოგცეთ? იცით თუ არა, მეტსახელი რომ გქვიათ? თქვენ ხომ მინუტს გეძახიან, _ იცით ეს განა?

_ რა თქმა უნდა, ვიცი. პირველად ძალიან მემძიმებოდა მაგის ატანა, ღმერთს შეწევნას ვევედრებოდი. ერთხელ მთელ კვირადღეს ტყეში ვიხეტიალე და სამჯერ სხვადასხვა ადგილას დავემხე მუხლებზე, სადაც შედარებით მშრალი იყო, _ ეს გაზაფხულზე მოხდა, როცა თოვლი დნობას იწყებდა, მაგრამ მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, _ და მე სხვა სახელს აღარავინ მეძახის, უკვე

შევურიგდი ამას. რატომ მკითხეთ, ვიცი ეს თუ არა? განა იმ ამბავმა, რომ ვიცი, შეუძლია რამდენადმე მაინც შეცვალოს საქმის ვითარება?
_ ისიც იცით, რად დაგარქვეს ეს უაზრო მეტსახელი?
_ დიახ, ვიცი. ესე იგი, ეს მოხდა დიდი ხნის წინ, იმ დრომდე, ვიდრე მე დავხეიბრდებოდი, მაგრამ კარგად მახსოვს ყველაფერი. დიახ, ეს მოხდა ერთ საღამოს, უფრო სწორად, ღამით, უქალო ქეიფის დროს. შეიძლება, თქვენ შეამჩნიეთ ყვითელი სახლი საბაჟოსთან, მარჯვენა მხარეს, თუ ქვევით ჩავუყვებით ქუჩას. სხვათა შორის, ეს სახლი მაშინ თეთრი იყო და შიგ ბურგომისტრი ცხოვრობდა. ბურგომისტრი უცოლო კაცი იყო და სერენსენს ეძახდნენ, _ მხიარული ჭაბუკი გახლდათ. იდგა შემოდგომის ღამე, მე სანაპიროდან ვბრუნდებოდი, სადაც ბოლთას ვცემდი და გემებს ვათვალიერებდი. ყვითელ სახლამდე რომ მივედი, მივხვდი, რომ სახლში სტუმრები იყვნენ, რადგანაც ისე ხმამაღლა საუბრობდნენ და იცინოდნენ, რომ მათი ხმა ქუჩაშიც მოისმოდა. ახლოს რომ ჩავუარე, ფანჯრიდან დამინახეს და დამიძახეს. შევედი სახლში და იქ თავს წავადექი ექიმ კოლბიუეს, კაპიტან უილიამ პრანტეს, საბაჟოს მოხელე ფოლკედალის და კიდევ მრავალს. დიახ, იმათგან აქ აღარავინ არა ცხოვრობს, ზოგი მოკვდა, ზოგიც ამ ქალაქიდან სხვაგან გადავიდა. სულ შვიდი-რვა კაცი იქნებოდა და ყველანი მთვრალები იყვნენ. მათ სკამები დაამტვრიეს, _ მხოლოდ გართობის გულისათვის, ასე სურდა ბურგომისტრს, ჭიქები ნამსხვრევებად აქციეს, ასე რომ, ბოთლებითღა ვსვამდით. მას შემდეგ, რაც მათ საზოგადოებას შევუერთდი, მეც გვარიანად გამოვთვერი. ატყდა ერთი წარმოუდგენელი ხმაური და გუგუნი. სტუმრები ერთიანად დაშიშვლდნენ და მთლად შიშვლებმა ოთახებში დაიწყეს სირბილი, თუმცა ფანჯრებს ფარდები არ ჰქონდა ჩამოფარებული. რაკი უარი ვთქვი ამაში მონაწილეობაზე, ხელი მტაცეს და ძალით გამაშიშვლეს. მთელი ძალით ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ სხვა ვერაფერი გავაწყვე, პატიება ვთხოვე, თითოეულ მათგანს ხელს ვართმევდი და შენდობას ვევედრებოდი.
_ რაზე სთხოვდით შენდობას?
_ იქნებ ისეთი რამე ვთქვი-მეთქი, რომ ეწყინათ და თავს დამესხნენ. ხელს ვართმევდი და შენდობასა ვთხოვდი, რომ ნაკლები ზიანი მოეყენებინათ. მაგრამ ამან ვერაფრით ვერ მიშველა და მაინც გამაშიშვლეს. ამ დროს ექიმმა ჩემს ჯიბეში წერილი იპოვა, რომელიც დანარჩენებს ხმამაღლა წაუკითხა. ამ დროს მე ცოტა გამოვფხიზლდი, რადგან ეს დედაჩემის მიერ გამოგზავნილი ბარათი იყო, ზღვაზე გამგზავრების წინ რომ მომწერა. ერთი სიტყვით, ექიმს ვუთხარი, ლუდის კასრი ხართ-მეთქი, რადგან ყველამ იცოდა, ბევრს რომ სვამდა. `აი, თქვე ლუდის კასრო, თქვენა!~ _ შევძახე მას. მაშინ ის საშინლად გაცოფდა, დააპირა მტაკებოდა, მაგრამ სხვებმა დაიჭირეს. `მოდი, ერთი ლაზათიანად გამოვათროთ!~ _ თქვა ბურგომისტრმა, თითქოს უამისოდაც მთვრალი არ ვიყავი და სხვადასხვა ბოთლიდან დამიწყეს ღვინის სხმა პირში. შემდეგ კი კომპანიის ორმა წევრმა, აღარ მახსოვს, სახელდობრ ვინ, შემოიტანა წყლიანი როფი, დადგეს შუაგულ ოთახში და ჩემზე თქვეს, უნდა მოვნათლოთო. ახლა კი ატყდა ერთი საშინელი ხორხოცი, ყველას სურდა ჩემი მონათვლა და ერთი ალიაქოთი ატეხეს, გაუხარდათ, ეს რომ მოიგონეს. ახლა ის მოაფიქრდათ, წყლისთვის ათასი რამ შეერიათ, ოღონდაც კი დაეჭუჭყიანებინათ: შიგ აფურთხებდნენ, ასხამდნენ არაყს, საძინებელ ოთახშიც კი გავიდნენ და იქიდან მოიტანეს ყველაზე საზიზღარი რამ, რაც კი შეეძლოთ მოეფიქრებინათ, და ისიც წყალში ჩაასხეს, ბოლოს კი ღუმლიდან ორი ნიჩაბის პირი ნაცარი გამოიღეს და შიგ ჩაყარეს, რომ რაც შეიძლება ძლიერ აემღვრიათ წყალი ჩემთვის.
_ რატომ მაინცდამაინც მე უნდა მოვინათლო და არა სხვა ვინმე? _ ვკითხე ბურგომისტრს და მუხლებზე მოვეხვიე.
_ ჩვენ უკვე მონათლულები ვართ ყველანი, _ მომიგო მან, _ ჩვენც სწორედ ამნაირად მოგვნათლეს, _ დასძინა მან და მე მგონი, მართალს ამბობდა, რადგან ნამდვილად მოითხოვდა ყველასაგან, რომ მონათლულიყვნენ, _ მოდი აქ და დადექი ჩემ წინ! _ დამიძახა ბურგომისტრმა მერე, მაგრამ მე ჩემი ნებით არ წავედი და კარის სახელურს მაგრად ჩავებღაუჭე. _ ახლავე მოდი აქ, ამ მინუტს! _ თქვა მან. მან `ამ მინუტს~ კი არა თქვა, არამედ `ემ მინუტს~, გუდბრანდსდილიდან იყო წარმოშობით და ამ სიტყვას ასე გამოთქვამდა. მაგრამ მე მაინც არ დავემორჩილე. მაშინ კაპიტანი პრანტე აღრიალდა, _ მინუტი, მინუტი, აი, ყველაზე შესაფერისი სახელი! მინუტი უნდა დავარქვათ, აუცილებლად მინუტი! _ და ყველამ დაასკვნა, რომ მინუტი დაერქმიათ ჩემთვის, რადგანაც ტანით პატარა ვიყავი. მაშინვე ხელი მტაცეს, მიმათრიეს ბურგომისტრთან და რაკი პატარა ვიყავი, ბურგომისტრმა ამოიღო და როფში ჩამაყურყუმელავა. შემდეგ დამახტა თავზე და ცხვირი როფის ფსკერზე მიტაკა, მურსა და მინის ნამსხვრევებში, მერე ისევ ამომაწევინა თავი და ლოცვა წაიკითხა. ამის შემდეგ ნათლიები შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის აღსრულებას, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ყოველი მათგანი ჰაერში ამიტაცებდა და იატაკზე მანარცხებდა. როცა ესეც მოსწყინდათ, ორ ჯგუფად გაიყვნენ და ერთმანეთისკენ ბურთივით დამიწყეს სროლა. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ გავემშრალებინე და ამ თამაშით გაერთნენ, სანამ არ მოსწყინდათ. მაშინ ბურგომისტრმა შესძახა: `შესდექ!~ _ და ყველამ

გამანება თავი და ამის შემდეგ მინუტი დამარქვეს, ხელს მართმევდნენ და მინუტს მეძახდნენ, ჩემი მონათვლა რომ დაედასტურებინათ. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ ჩამიძახეს როფში, _ ექიმმა კოლბიუემ ჩამაგდო შიგ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე, რომ საშინლად მეტკინა მხარი, _ ვერ დაევიწყებინა, ლუდის კასრი რომ დავუძახე... იმ ღამის შემდეგ სამუდამოდ შემრჩა ეს მეტსახელი. მეორე დღეს კი მთელმა ქალაქმა უკვე იცოდა, ბურგომისტრთან სტუმრად რომ ვიყავი და მომნათლეს.
_ მაშ, მხრით დაეცით? თავიც ხომ არ დაგზიანებიათ, მინდოდა მეთქვა, თვითონ თავიც-მეთქი. მინუტი გაჩუმდა.
_ აი, უკვე მეორეჯერ მეკითხებით, თავი დაზიანებული ხომ არა მაქვს და, შეიძლება, არც უმიზეზოდ. მაგრამ მაშინ თავით არ დავცემულვარ და ტვინი არ შემრყევია, თუ ამის გეშინიათ. თუმცა ისე ძლიერ დავეცი, რომ ერთი ნეკნი ჩამემტვრა, მაგრამ დიდი ხანია უკვე რაც ყველაფერი მომირჩა, ექიმი კოლბიუე მმკურნალობდა უსასყიდლოდ ამ მოტეხილ ნეკნს და მოტეხილობის კვალიც კი აღარ დამრჩა.
მინუტის ლაპარაკის დროს ნაგელი განუწყვეტლად სვამდა. დარეკა, კიდევ რომ მოეტანათ ღვინო, და კვლავ სმა გააგრძელა. უცებ მინუტს უთხრა:
_ თავში აზრი დამებადა, გკითხოთ: როგორ ფიქრობთ, ვიცნობ თუ არა ადამიანებს? ეგრე გაოცებული თვალებით ნუ შემომცქერით, გეკითხებით ამას უბრალოდ, ამხანაგურად. არ ფიქრობთ, რომ შემიძლია შევიჭრე მის სულში, ვისაც ვესაუბრები?
მინუტმა მორიდებით შეხედა ნაგელს და არ იცოდა, რა ეპასუხა.
ნაგელი კვლავ ალაპარაკდა.
_ თუმცა, პატიებას ვითხოვ. ამას წინათაც, როცა თქვენი სტუმრობით დიდად მასიამოვნეთ, ცოტა არ იყოს, შეგაკრთეთ რამდენიმე უაღრესად სულელური შეკითხვით. ალბათ, გახსოვთ, სხვათა შორის, ამდენი და ამდენი თანხა შემოგთავაზეთ იმისათვის, უცხო ბავშვის მამობა რომ გეკისრათ. მაშინ შეცდომა მომივიდა, რადგან არ გიცნობდით. ახლა კი ისევ გაგაკვირვეთ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად გიცნობთ და დიდადაც გაფასებთ. მაგრამ დღეს ასე მხოლოდ იმიტომ ვიქცევი, რომ მეტისმეტად აღელვებული ვარ, თანაც გვარიანად გამოვთვერი. აი, მთელი ჩემი ახსნა-განმარტება. თქვენ, ცხადია, მშვენივრად შენიშნეთ, რომ უგონოდ მთვრალი ვარ? რა თქმა უნდა, ამას კარგად ხედავთ, _ თვალთმაქცობა რისთვის გჭირდებათ. მაგრამ რა უნდა მეთქვა? აჰ, დიახ, ნამდვილად მინდა ვიცოდე, რამდენად შემწევს უნარი, რომ ადამიანის სულში ჩავიხედო? ხე-ხე-ხე, იმის თქმა მსურს, რომ მე, მაგალითად, შემიძლია ძალზე ადვილად გამოვიცნო იმ კაცის ხმის ფარული კილო, ვინც მელაპარაკება, დიახ, ნამდვილად კარგად მესმის. როცა ვინმეს ვესაუბრები, სულ არ მჭირდება თანამოსაუბრეს ვუცქერდე, რათა გულმოდგინედ ყური ვადევნო იმას, რასაც მელაპარაკება. მე მაშინვე მესმის, როცა სურს თავისი აზრი თავს მომახვიოს ან როცა რაიმე სიყალბეს მეუბნება. ხმა საშიში აპარატია. გამიგეთ: მე ხმის მატერიალურ ბგერას კი არ ვგულისხმობ, ის შეიძლება მაღალი იყოს ან დაბალი, მჟღერი ან ყრუ, _ მე ვგულისხმობ არა ხმის მატერიალურობას, რომელიმე ტონის არსებობას, არა, მე მომხრე ვარ იმ საიდუმლოსი, რომელიც ამას იქით იმალება, იმ სამყაროსი, საიდანაც ის მოდის... თუმცა ეშმაკსაც წაუღია ის სამყარო, უკან რომ მიმალულა! აქ ყოველთვის შეიძლება რომელიმე სამყარო იმალებოდეს! ან კი რა ჯანდაბა მესაქმება ყოველივე ამასთან.
ნაგელმა ისევ გადაკრა ღვინო და ლაპარაკი განაგრძო:
_ რატომღაც გაჩუმდით, მაგრამ ჭკუას ნუ დაკარგავთ, გეთაყვა, ხე-ხე-ხე, ეს ძალიან ლამაზი იქნებოდა... მაგრამ დამავიწყდა უკვე, რა მინდოდა მეთქვა. კარგი, რაკი ასეა, სხვა რაიმეს გეტყვით, რის თქმაც მსურდა გულით, მაგრამ მაინც გეტყვით, ვიდრე იმას არ გავიხსენებ, რაც დამავიწყდა. ღმერთო ჩემო, რა სისულელეს ვჩმახავ!.. რას ფიქრობთ ფრეკენ ჰელანზე? მინდა თქვენი აზრი მოვისმინო მაგ ქალიშვილზე. ჩემი კი ეს გახლავთ: ფრეკენ ჰელანი ისეთი კეკლუცია, რომ ნამდვილად დიდ სიამოვნებას მიანიჭებს, რომ სხვები, რაც მეტი, მით უკეთესი, ჩემი თავის ჩათვლით, მისი გულისათვის სიცოცხლეს გამოესალმონ. ასეთია ჩემი მოსაზრება. იგი მომხიბვლელია, დიახ, მეტისმეტად მომხიბვლელი და ის, ვისაც თავისი ფეხებით გაჰქელავს, სასიამოვნო ტკივილს იგრძნობს. შეიძლება ამიტომაც მეც ოდესმე ვთხოვო ეს, ჩემს თავს თავდებად ვერ დავუდგები. თუმცა, ვიდრე ამის საჭიროება არაა, დრო კიდევ ითმენს. მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ გაფრთხობთ დღეს ჩემი ყბედობით. თქვენ ხომ არ გაწყენინეთ რაიმე, _ პირადად თქვენ?
_ რომ იცოდეთ, რა კარგად მელაპარაკა ფრეკენ ჰელანი თქვენზე! გუშინ საღამოს შემხვდა და დიდხანს მესაუბრა...
_ ერთი მითხარით, _ მომიტევეთ, რომ სულ გაწყვეტინებთ, _ მაგრამ შეიძლება თქვენც გესმით ის, რაც ფრეკენ ჰელანის ხმაში თრთის, მისივე ხმის მატერიალური ბგერის მიღმა? ახლა კი, ალბათ, დარწმუნდით, რომ დაუჯერებელ სისულელეს ვჩმახავ! ხომ მართალია? აი, ხედავთ... მაგრამ დიდად მასიამოვნებდა, რომ თქვენც ცოტა რამ გაიგოთ ადამიანებისა. მაშინ მოგილოცავდით ამას და

გეტყოდით: ჩვენ ორნი ვართ, ორივენი შესაფერის სიმაღლეზე ვდგავართ, რადგან ეს გვესმის, _ მაშ გავერთიანდეთ საზოგადოებაში, პატარა კავშირი შევკრათ და დავთქვათ, რომ ჩვენი ცოდნა ერთმანეთის წინააღმდეგ არასდროს არ გამოვიყენოთ>. ერთმანეთის წინააღმდეგ, გესმით? მაშასადამე, მე, მაგალითად, არასოდეს არ გამოვიყენებ ჩემს ცოდნას თქვენს წინააღმდეგ, გინდაც თქვენ სულს მთლიანად ვხედავდე. აი, თქვენ ისევ შეკრთით და შეძრწუნდით! დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს ბაქიბუქს, მე ხომ მთვრალი ვარ, მაგრამ ახლა გამახსენდა შემთხვევით ის, რის თქმასაც წეღან ვაპირებდი, როცა ფრეკენ ჰელანზე წამოვიწყე საუბარი, რაც სრულებითაც არ მაინტერესებდა. რა უფლების ძალით გადმოგიყაჭეთ ჩემი აზრი მასზე, როცა თქვენ არც გიკითხავთ! თანაც, საბოლოოდ გაგიფუჭეთ გუნება, _ თქვენ კი რა მხიარული ბრძანდებოდით, როცა შემოხვედით, გახსოვთ? ეს სულელური ყბედობა კი მხოლოდ ღვინის ბრალია... მაგრამ როგორ უნდა დამავიწყდეს ისევ, რის თქმაც მინდოდა! როცა ბურგომისტრთან მოწყობილ უქალო ქეიფზე მიყვებოდით, გახსოვთ, რომლის დროსაც თქვენ მოგნათლეს, მაშინ, რა უცნაურიც უნდა იყოს, აზრად მომივიდა, მეც მოვაწყო ასეთი ქეიფი რამდენიმე სტუმრისათვის. ეგ აზრი ისე ჩამიჯდა თავში, რომ აუცილებლად განვახორციელებ. თქვენც უნდა მობრძანდეთ ჩემთან, ნამდვილად უნდა მობრძანდეთ. სრულიად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ აღარ მოგნათლავენ. მე თვითონ ვიზრუნებ, რომ უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით მოგეპყრან. საერთოდ, არც სკამებს და არც მაგიდებს ჩვენ მტვრევას არ დავუწყებთ. გულით მინდა ჩემთან საღამოზე მოვიპატიჟო ორი-სამი მეგობარი, და ეს მით უკეთესი იქნება, რაც მალე მოხდება, _ ვთქვათ, ამ კვირის ბოლოს. თქვენ რას იტყვით?
ნაგელი ისევ მიუტრიალდა ღვინოს და ორი დიდი ჭიქა გამოცალა. მინუტმა არც ამაზე უპასუხა რამე. ბავშვურმა სიხარულმა მთლიანად გაუარა და ახლა, ჩანდა, მასპინძლის ყბედობას მხოლოდ თავაზიანობის გამოღა ისმენდა. ღვინის დალევაზე კი უარს აცხადებდა.
_ რა უცებ შეიქენით ეგრე საოცრად ხმაამოუღებელი, _ უთხრა ნაგელმა, _ ეს მეტისმეტად სასაცილოა, მაგრამ, იცოდეთ, ამ წუთს ისეთი იერი გაქვთ, თითქოს გაწყენინათ რაიმემ, შეურაცხგყოთ რომელიმე სიტყვამ ან ნართაულმა ნათქვამმა. დიახ, დიახ, ნამდვილად გეწყინათ რაღაც! ისიც კი მომეჩვენა, რომ ოდნავ შეკრთით ამ წუთს, არა? აბა, მაშ, შევმცდარვარ. როდისმე არ დაფიქრებულხართ იმაზე, რა უნდა იგრძნოს ყალბი ფულის მომჭრელმა, როცა ერთ მშვენიერ დღეს მაძებარი ხელს მხარზე დაჰკრავს და უსიტყვოდ ჩახედავს თვალებში? მაინც რა უნდა გიყოთ? თანდათან მწუხარე და მდუმარე ხდებით. დღეს აღელვებულ გუნებაზე ვარ და საშინლად გაგაწამეთ, მაგრამ უნდა ვილაპარაკო, ეგრე ვიცი, როცა მთვრალი ვარ. არ წახვიდეთ ჩემგან, თორემ ჩემს მოახლესთან, სარასთან, მომიწევს ლაქლაქი, ეს კი მაინცდამაინც არაა ლამაზი, რომ არ ვთქვა, მოსაწყენია-მეთქი. ნებას მომცემთ თუ არა, ერთი პატარა თავგადასავალი გიამბოთ? ჩემს მოთხრობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მან შეიძლება გაგართოთ და თან გიჩვენოთ ჩემი უნარი, როგორ ვერკვევი ადამიანებში. ხა-ხა-ხა, თქვენ გაიგებთ, რომ თუკი ამქვეყნად არის ისეთი ადამიანი, რომელსაც კაცთა სულში ჩაწვდომა არ შეუძლია, მაშინ ეს მე ვარ, _ თუკი ეს განმარტება რამით გასიამოვნებთ.
მაშ ასე, ჩავედი ერთხელ ლონდონში, _ ეს სამი წლის წინ მოხდა, _ და იქ ნაცნობობა გავაბი ერთ ახალგაზრდა მომხიბვლელ ქალიშვილთან, იმ კაცის ასულთან, ვისთანაც რაღაც-რაღაცა საქმეები მქონდა მოსაგვარებელი. საკმაოდ კარგად გავიცანი იგი, სამი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და დავმეგობრდით. ერთ მშვენიერ დღეს მან სურვილი გამოთქვა, ლონდონი ეჩვენებინა ჩემთვის და ჩვენ მთელი დღე დავეხეტებოდით მუზეუმებში, სამხატვრო გალერეებში, ვათვალიერებდით შენობებსა და პარკებს და უკვე მოსაღამოვდა, როცა, როგორც იქნა, შინ დაბრუნება მოგვაგონდა. ამასობაში ბუნებამ თავისი მოთხოვნილებები წამომიყენა და მე, ასე ვთქვათ, ჩავვარდი ფრიად უსიამოვნო მდგომარეობაში, რომელშიაც შეიძლება აღმოჩნდეს ქალაქში მთელ დღეს ნახეტიალები კაცი. რა უნდა მექნა? სადმე გაძვრომა ვერ მოვახერხე, ნებართვა რომ მეთხოვა, გვერდზე მივმდგარიყავი, არ ვისურვე. ერთი სიტყვით, დავნებდი ბუნების მოთხოვნას და იქვე, დიდხანს აღარ მიფიქრია, უბრალოდ შევწყვიტე თავის შეკავება, ყველაფერზე ჩავიქნიე ხელი და, ცხადია, ფეხებამდე ჩავსველდი. სხვა რა უნდა მექნა, დალახვროს ეშმაკმა? აბა, მითხარით! საბედნიეროდ, მეტისმეტად გრძელი პალტო მეცვა და ამნაირად ვფიქრობდი დამემალა ჩემი მდგომარეობა. ჩემდა საუბედუროდ, ამ დროს შემთხვევით გავიარეთ საშაქარლამოს მახლობლად, მკვეთრად განათებულ ქუჩაზე, და აი, ჩემმა ქალბატონმა შემაჩერა და მთხოვა, რაიმე გვეჭამა. ამგვარ თხოვნაში, ცხადია, გასაოცარი არაფერი იყო, ჩვენ ხომ თითქმის მთელ დღეს ვიხეტიალეთ და ძალიან დავიღალეთ, მაგრამ იძულებული ვიყავი, უარი მეთქვა. ქალმა შემომხედა, დაასკვნა, რომ ეს ჩემი მხრიდან ძალზე ულამაზოდ გამოდიოდა და მიზეზი მკითხა. `მიზეზი, _ ვუთხარი მე, _ ის არის, რომ ფული არა მაქვს წამოღებული, ერთი პენიც კი არ მიგდია ჯიბეში!~ რაღა იქნებოდა, მიზეზი ფრიად საპატიო იყო, ამის უარყოფა არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ თვითონ ქალბატონსაც არ გააჩნდა არც ერთი პენი. და აი, ვდგავართ ასე, შევცქერით ერთმანეთს და ვიცინით ჩვენს მდგომარეობაზე. მაგრამ

უეცრად ქალმა გამონახა რაღაც გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, შეხედა წინ მდგარ შენობას და თქვა: `მომიცადეთ, იდექით აქ ერთ წუთს, აი, იმ სახლში ჩემი დობილი ცხოვრობს მეორე სართულზე, ფულს იმას გამოვართმევ~, _ და ამ სიტყვების თქმისთანავე ქალი გაიქცა. იგი რამდენიმე წუთს აღარ გამოჩენილა, ამ ხნის მანძილზე კი საშინელი წამება გადავიტანე. როგორ მოვიქცე, ერთი მითხარით, მაშინ, როცა იგი ფულიანად დაბრუნდება? მე ხომ არაფრისდიდებით არ შემეძლო საშაქარლამოში შესვლა, რომელიც ასე გაჭახჭახებული იყო და სადაც უამრავი ქალი და კაცი იჯდა, _ მე ხომ კინწისკვრით გამომაგდებდნენ იქიდან და არც ეს იყო დიდად დამამშვიდებელი. კბილები გავაღრჭიალე და გადავწყვიტე, მეთხოვა ჩემი ქალბატონისათვის მარტო შესულიყო საშაქარლამოში, ჩემთვის კი ნება მოეცა ქუჩაში დამეცადა. გავიდა ორი წუთი კიდევ და დაბრუნდა ჩემი ქალბატონი, ძალზე კმაყოფილი, ბედნიერი სახით და მითხრა, სახლში არ იყო ჩემი დობილი, მართალი რომ გითხრათ, ეს ჩემთვის უკვე სულერთია, შემიძლია კიდევ რამდენიმე წუთი მოვითმინო, ბევრი-ბევრი ნახევარი საათი და შინ ვივახშმებო. ბოდიშიც მომიხადა, რომ გაცდევინეო. მაგრამ საქმის ასე დაბოლოება უფრო მე მიხაროდა, თუმცა, მართალი რომ გითხრათ, სულ სველი მოვდიოდი და ძალზე ვეწამებოდი ამ გასეირნებით. მაგრამ ყველაზე საინტერესო წინაა, _ სხვათა შორის, თქვენ იქნებ მიხვდით კიდეც, რაშიც იყო საქმე? დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ დანარჩენი უკვე გამოიცანით, მაგრამ მაინც ბოლომდე გიამბობთ. მხოლოდ ახლა, 1891 წელსღა მივხვდი, რა იდიოტი ვიყავი თურმე მაშინ. ხელახლა დავფიქრდი ყველაფერზე, რაც მაშინ მოხდა, და ყოველ წვრილმანში უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამბავს მივაგენი: ჩემი ქალბატონი არც ფიქრობდა კიბეზე ფეხის შედგმას, სრულებითაც არ ასულა ის რომელიმე მეორე სართულზე და, საერთოდ, არსადაც არ ასულა იგი. ახლაღა ვხვდები, რომ უკანა ეზოში გამავალი კარი შეაღო და იქ გაძვრა, მე ვფიქრობ, უკანაც ამავე კარით დაბრუნდა ჩუმად, შეუმჩნევლად. ეს რას ამტკიცებს? რა თქმა უნდა არაფერს, მაგრამ განა უცნაური არ არის ის ვითარება, რომ იგი მეორე სართულზე კი არ ავიდა, არამედ მხოლოდ უკანა ეზოში შევიდა? ხა-ხა-ხა, თქვენ მშვენივრად გესმით ყველაფერი, ვხედავ, მაგრამ მე თვალები მხოლოდ ახლა, 1891 წელს, სამი წლის შემდეგღა ამეხილა. თქვენ, რა თქმა უნდა, არ შეგიძლიათ ეჭვი შეიტანოთ ჩემში, თითქოს განზრახ მოვაწყვე, გასეირნება რომ გამეჭიანურებინა და უკიდურეს გასაჭირში ჩამეგდო ქალი, განგებ აღარ ვცილდებოდი რომელიმე ქვის აფთარს მუზეუმში და სამჯერ ვუტრიალდებოდი უკან, ამ დროს კი თვალს არ ვაცილებდი ახალგაზრდა ქალიშვილს, რომ არაფრისდიდებით სადმე ჩუმად არ გამძვრალიყო რომელიმე უკანა კარიდან. რა თქმა უნდა, თქვენ ეს არ გეეჭვებათ. არ უარვყოფ, რომ შეიძლება იყოს ისეთი მზაკვარი ადამიანი, რომელიც მზადაა თვითონ იტანჯოს, თვითონ ჩაისველოს ყველაფერი, ოღონდაც კი ხელიდან არ გაუშვას იმის ნახვის იშვიათი სიამოვნება, თუ როგორ იტანჯება მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალიშვილი. მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, თვალი წელსღა ამეხილა ამაზე, იმ ამბიდან სამი წლის გასვლის შემდეგ. ხე-ხე-ხე, როგორ მოგწონთ ეს ამბავი?

მინუტს ხმა არ ამოუღია. ნაგელმა ღვინო გადაკრა და განაგრძო.

_ ახლა შეგიძლიათ მკითხოთ: რა საერთო აქვს ამ ამბავს თქვენთან, ჩემთან და უქალო ქეიფთან? დიახ, ძვირფასო მეგობარო, არავითარი საერთო არა აქვს ამასთან. მაგრამ თავში მომივიდა აზრი, მაინც მომეთხრო ეს ამბავი თქვენთვის იმის დასამტკიცებლად, თუ რა გონებაჩლუნგი ვარ ადამიანის სულის შეცნობაში. აჰ, ეს ადამიანური სული! როგორ მოგეწონებათ, თუ რამდენიმე დღის წინათ საკუთარი თავი დავიჭირე იმაზე, _ საკუთარი თავი დავიჭირე მე, იოჰან ნაგელმა, იმაზე, რომ ერთ სისხამ დილით, როცა იქ, მთაზე, მდგარ კონსულ ანდერსენის სახლის მახლობლად მივდიოდი, გამოანგარიშება დავიწყე, დაახლოებით რა სიმაღლისაა მისი სასტუმრო? როგორ მოგწონთ ეს ამბავი? მაგრამ ესეც, თუ გავბედავ და ვიტყვი, ადამიანური სულია. ერთი წვრილმანიც კი არ გაუსხლტება, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს მისთვის. მაგალითად, რა შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზე, ვთქვათ, რომელიმე კრებიდან ან სეირნობიდან გვიან ბრუნდებოდეთ შინ და უცებ წააწყდეთ ადამიანს, ქუჩის კუთხეში რომ დგას და თვალს არ გაცილებთ? არა მარტო გიცქერით, არამედ თავსაც კი მოიბრუნებს იმ მიმართულებით, საითაც თქვენ მიდიხართ და ხმას არ იღებს, მხოლოდ გიცქერით და დუმს. იმასაც დავძენ, რომ ეს კაცი მთლად შავითაა შემოსილი და თქვენ მხოლოდ მის სახესა და თვალებს ხედავთ. მაშინ? აჰ, ბევრი რამ ხდება ადამიანის სულში!.. ერთ მშვენიერ საღამოს თქვენ იმყოფებით, ვთქვათ, თორმეტი კაცისაგან შემდგარ საზოგადოებაში, მეცამეტე კი შეიძლება ტელეგრაფისტია, ან რომელიღაც უბედური კანდიდატი იურიდიულ მეცნიერებათა, კანტორის მოხელე თუ გემის კაპიტანი, ერთი სიტყვით, ყველაზე ჩვეულებრივი პიროვნება, ზის კუთხეში და არ ერევა დანარჩენთა საუბარში. ერთი სიტყვით, ზის ჩუმად და არაფრით არ ნებავს გამოიჩინოს თავი, მაგრამ მაგ მეცამეტესაც მაინც თავისი ფასი აქვს არა მარტო თავისთავად, არამედ როგორც ამ საზოგადოებაში მოქმედ ფაქტორსაც. ამიტომაა, რომ მას ასეთი ან ისეთი ტანსაცმელი აცვია, რომ დუმს, რომ დანარჩენ სტუმრებს მისჩერებია უაზრო და არაფრის გამომხატველი მზერით და რომ თუმცა მისი როლი

ყოველივე ამაში ასე უმნიშვნელოა, იგი მაინც განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს მთელ საზოგადოებას. სწორედ იმიტომ, რომ იგი არაფერს არ ამბობს, უარყოფითად მოქმედებს ყველაფერზე და ოთახში, ცოტა არ იყოს, ნაღვლიან ატმოსფეროს ქმნის, რაც დანარჩენ სტუმრებს აიძულებს სწორედ ამის გამო მაინცდამაინც ხმამაღლა არ ილაპარაკონ. მართალს არ ვამბობ? ჰოდა, ამგვარად ეს პიროვნება ზუსტად ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება საზოგადოებაში. როგორც უკვე გითხარით, ადამიანების არაფერი მესმის, მაგრამ მაინც ხშირად მანიჭებს სიამოვნებას, კარგად ვადევნო თვალი იმას, თუ რა საშინელი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ წვრილმანებს. მაგალითად, ერთხელ მოწმე შევიქენი ისეთი ვითარებისა, როცა სრულიად უცნობი, საცოდავი ინჟინერი აღარ აჩერებდა ენას... სხვათა შორის, ეს სულ სხვა ამბავია და არავითარი კავშირი არა აქვს პირველთან, თუმცა ორივემ ჩემს ტვინში გაიციმციმა და დატოვა იქ თავისი კვალი. მაგრამ პარალელი რომ გავავლოთ, ვინ იცის, ამ საღამოს თქვენი დუმილი გარკვეულ ჩრდილს არ აყენებს ჩემს სიტყვებს და განზე ტოვებს ჩემს უგონო სიმთვრალეს, _ არ მოქმედებს ჩემზე სახის ეგ გამომეტყველება, ეგ მორიდებული თუ გულუბრყვილო გამოხედვა, მუდმივი თვალთვალით რომ მაიძულებთ ისე ვილაპარაკო, როგორც ვლაპარაკობ! ეს სავსებით ბუნებრივია. გესმით, რას ვამბობ, _ რას ამბობს ნამდვილად მთვრალი ადამიანი, _ თქვენ ახლა, ასე თუ ისე, ცოტა შეურაცხყოფილად გრძნობთ თავს, თუკი იმავე სიტყვას ვიხმართ, რაც უკვე ვახსენეთ, _ შეურაცხყოფილად, ეს კი მაცდუნებს, უფრო შორს წავიდე და პირში მოგახალოთ კიდევ ოციოდე სიტყვა, ყველაფერ ამას გეუბნებით მხოლოდ როგორც იმის მაგალითს, თუ რა მნიშვნელობა აქვს წვრილმანებს. ნუ უგულებელყოფთ წვრილმანებს, ჩემო მეგობარო! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! წვრილმანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შემობრძანდით!
ეს სარა იყო, დააკაკუნა და შემოვიდა იმის მოსახსენებლად, ვახშამი მოგართვითო. მინუტი მაშინვე წამოდგა. ნაგელი ისე მთვრალი ჩანდა, რომ ძლივს ლაპარაკობდა. თანაც წინაუკბო საუბარი გამოუდიოდა და ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო ცრუობდა. ნაგელის ჩაფიქრებული გამომეტყველება და საფეთქლებზე შებერილი ძარღვები იმას ადასტურებდა, რომ მისი ტვინი გაძლიერებულად მუშაობდა.
_ დიახ, _ თქვა მან, _ მე სულაც არ მიკვირს, ხელსაყრელი შემთხვევით რომ ისარგებლოთ და წაბრძანდეთ, მთელი ამ ლაყბობის შემდეგ, რომლის მოსმენაც ახლა მოგიხდათ. მე კი ძალიან მინდოდა შემეტყო, რა აზრისა ბრძანდებოდით ბევრ რაიმეზე... მაგალითად, თქვენ არ მიპასუხეთ, ფრეკენ ჰელანზე რომ გკითხეთ: მაინც ნამდვილად რას ფიქრობთ მასზე? მე კი ის მესახება უიშვიათეს და ყველაზე მიუწვდომელ არსებად, რომელიც სავსეა მშვენიერებითა და სისპეტაკით, თეთრია, როგორც თოვლი. წარმოიდგინეთ ქათქათა, ღრმა, ფუმფულა თოვლი. სწორედ ასეთი დგას იგი ჩემი წარმოსახვის წინაშე, თუ სხვაგვარი შთაბეჭდილება შეგექმნათ მასზე იმისაგან, რაც ადრე გითხარით, ეს შეცდომაა... ახლა კი ნება მიბოძეთ დავლიო უკანასკნელი ჭიქა თქვენი თანდასწრებით, _ თქვენი სადღეგრძელო იყოს! ეს-ესაა თავში ერთი აზრი დამებადა. თქვენ რომ ორი წუთი კიდევ გეყოთ მოთმინება, ნამდვილად დიდი მადლობელი დაგრჩებით. საქმე ისაა, _ ცოტა მომიახლოვდით, ამ სახლში ხომ თხელი კედლებია, _ რომ უიმედოდ მიყვარს ფრეკენ ჰელანი. აი, ესეც გითხარით უკვე! ყველაფერი ითქვა ორიოდე საცოდავი, მშრალი სიტყვით, მაგრამ ღმერთმა ხომ უწყის, რა გაგიჟებით მიყვარს იგი და მის გამო როგორ ვიტანჯები. აი, ეს კი განსაკუთრებული რამაა: მიყვარს და ვიტანჯები, _ კეთილი, ეს საქმეს არ ეხება. მაგრამ იმედი მაქვს, ჩემს გულახდილობას საჭირო პატივისცემით მოეპყრობით, _ აღმითქვამთ ამას? გმადლობთ, ძვირფასო მეგობარო! მაგრამ, აბა, მითხარით, რანაირად შეიძლება მიყვარდეს, როცა წეღან საშინელი კეკლუცი ვუწოდე? ჯერ ერთი, მშვენივრად შეიძლება კეკლუციც რომ შევიყვაროთ, ეს არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის. ამის გამო თავს არ შევიკავებთ, მაგრამ აქ თავს იჩენს რაღაც სხვაც... რაზე შევჩერდით? აღიარეთ თუ არა, რომ ადამიანებისა გესმით? თუ გესმით, მაშ ისიც გაიგეთ, რასაც ახლა გეტყვით: ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიჩნევ ფრეკენ ჰელანს ნამდვილ კეკლუცად. წეღან მხოლოდ გაგეხუმრეთ. პირიქით, იგი საოცრად ბუნებრივია: რას იტყვით, მაგალითად, მის ძალდაუტანებელ სიცილზე, თუმცა კბილები მთლად თეთრი არა აქვს? მაგრამ მე მაინც ხმა გავავრცელე, რომ ფრეკენ ჰელანი კეკლუცია, ეს ხომ არაფრად არ მიღირს. და ეგ იმიტომ კი არ ვქენი, რომ რაიმე მევნო დაგნისათვის ან შური მეძია მასზე, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემს თავსვე გამოვსარჩლებოდი, მხოლოდ თავმოყვარეობა მალაპარაკებდა ამას, რადგანაც იგი მიუღწეველია ჩემთვის, რადგანაც იგი იცინის ჩემს ყოველგვარ ცდაზე, თავი შევაყვარო, რადგანაც იგი დანიშნულია, პირობა აქვს სხვისთვის მიცემული, და სამუდამოდ დაკარგულია ჩემთვის. აი, ხომ ხედავთ, ეს ადამიანის სულის სრულიად ახალი და ჩრდილოვანი მხარეა. მე შემიძლია მივიდე ქუჩაში მიმავალ ფრეკენ ჰელანთან და ვუთხრა მას სრულიად სერიოზულად, ყველამ რომ გაიგონოს, უამრავი ხალხის თანდასწრებით, როგორც ჩანს, მხოლოდ იმისათვის, რომ დავამცირო იგი ან რაიმე ვავნო, _ დიახ, მე შემიძლია შევხედო მას, დავამცირო ან რაიმე ვავნო, _ დიახ, მე შემიძლია შევხედო მას და ვუთხრა: `გამარჯობათ, ფრეკენ, მომილოცავს სუფთა პერანგი!~ როგორ მოგწონთ ეს ამბავი? მაგრამ მე

შემიძლია ეს ვუთხრა. შემდეგ რაღას ვიქმ? _ გავიქცევი შინ, დავემხობი საწოლზე და ავქვითინდები, ანდა ორიოდე წვეთს გადავკრავ იმ პატარა ბუშტულიდან, რომელიც ამ ჟილეტის ჯიბით დამაქვს, _ ამაზე აღარაფერს ვიტყვი... ასევე შემიძლია რომელიმე კვირა დღეს შევიდე ეკლესიაში, როცა ფრეკენის მამა, პასტორი ჰელანი, ღვთისმეტყველებას ქადაგებს, წყნარად გავიარო მთელი ეკლესია, გავჩერდე ფრეკენ ჰელანის წინ და ხმამაღლა ვუთხრა: `ნებას არ მომცემთ, ხელი მოგითათუნოთ დამრგვალებულ ადგილზე?~ დიახ, როგორ მოგწონთ ეს ამბავი? `დამრგვალებულ ადგილზე~. რაიმე განსაკუთრებულს კი არ ვგულისხმობ, არამედ მხოლოდ იმიტომ ვეტყვი, რომ გავაწითლო. დიახ, სწორედ ასე ვეტყვი. `ნება მიბოძეთ, დამრგვალებული ადგილი მოგისინჯოთ~. შემდეგ კი დავემხობი მის ფერხთით და შევევედრები, რომ მომაფურთხოს, რითაც უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებს... ახლა კი მთლად შეგაძრწუნეთ: დიახ, მართლაც, სათაკილო რაღაცას ვამბობ, მით უფრო სათაკილოა, რომ ამას მღვდლის ქალიშვილზე მღვდლის შვილს ველაპარაკები. მომიტევეთ, ჩემო მეგობარო, ამას ბრაზი კი არ მალაპარაკებს, არა, მხოლოდ ის, რომ უგონოდ მთვრალი ვარ... აბა, მომისმინეთ, მე ვიცნობდი ერთ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ქუჩის გზის ფარანი მოიპარა, მიჰყიდა ერთ მეძველმანეს, ფული კი შეჭამა, დაამღერა. გეფიცებით, სრული სინამდვილეა. თანაც ის ჩემი ნაცნობი იყო, განსვენებული მღვდლის ჰერემის ნათესავი. მაგრამ ამას რა კავშირი აქვს ჩემს გრძნობებთან ფრეკენ ჰელანის მიმართ? დიახ, `ახლაც მთვრალი ბრძანდებით!~ _ თქვენ არაფერს ამბობთ, მაგრამ ვხედავ, ეს სიტყვები გაქვთ ენის წვერზე მომდგარი და სრულიად სამართლიანი შენიშვნაცაა თქვენი მხრიდან. ფრეკენ ჰელანი კი სამუდამოდ დაკარგულია ჩემთვის, სულაც არ მეცოდება ამის გამო, მაგრამ ჩემი თავი მეცოდება. აი, თქვენ ზიხართ აქ სრულიად ფხიზელი, თანაც უნარი შეგწევთ, კარგად განჭვრიტოთ ადამიანი და ამიტომაც, რა თქმა უნდა, მიმიხვდებით, თუ ერთ მშვენიერ დღეს სრულიად უბრალოდ და უმიზეზოდ ქალაქში ხმა გავავრცელო, ფრეკენ ჰელანი მუხლებზე მეჯდა, სამ ღამეს ზედიზედ მოდიოდა ჩემთან წინასწარ დათქმულ პაემანზე ტყეში და შემდეგ საჩუქრებს იღებდაო. მართლაც, ხომ მიმიხვდებით ამას? საქმე ისაა, რომ თქვენ საოცრად გესმით ადამიანებისა, ჩემო მეგობარო, ღმერთმანი, გესმით, ნუ თავმდაბლობთ.

განა არასდროს შეგმთხვევიათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მიდიხართ ქუჩაში, უანგარო ფიქრებში ჩაძირული მიდიხართ ქუჩაში და სრულიად არ გეეჭვებათ და ვერც ხედავთ, რომ ყველანი თქვენ გიცქერიან, თავით ფეხებამდე გათვალიერებენ? ეს უაღრესად მტანჯველი მდგომარეობაა, რომელშიც კი შეიძლება ჩავარდეს კაცი. თქვენ მორიდებით დაიწყებთ ტანსაცმლის გასუფთავებას წინიდან თუ უკნიდან და ქურდულად იცქირებით ძირს, შარვლის ღილები ხომ არ შეგეხსნათ და ყველაფრის შიში იმ ზომამდე გეუფლებათ, რომ შლაპასაც კი იხდით, გინდა დაათვალიეროთ, იარლიყი ხომ არ დაგრჩათ მოსახსნელი, თუმცა მშვენივრად იცით, რომ ძველი შლაპა გაქვთ, მაგრამ ყველაფერი ამაოა, უწესრიგობა ვერ შენიშნეთ თავს და ისღა დაგრჩენიათ, შეურიგდეთ მდგომარეობას, რომ ყოველმა ქარგალმა და ოფიცერმა იმდენ ხანს გიცქიროთ, რამდენ ხანსაც ნებავთ... მაგრამ, ჩემო მეგობარო, თუ ეს ასე სატანჯველი რამაა, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ, როცა დაკითხვაზე გიძახებენ... აი, ისევ შეკრთით... არა? მე კი გარკვევით მომეჩვენა, რომ შეკრთით... დიახ, აი, დაგიწყეს დაკითხვაც, ეშმაკი და საშინლად გაქნილი პოლიციელის პირისპირ დგახართ, საჯაროდ გიწყობენ ჯვარედინ დაკითხვას, თორმეტჯერ უბრუნდებიან სხვადასხვა მიხვეულ-მოხვეული გზით ერთსა და იმავე ამოსავალ წერტილს. რა ენით გამოუთქმელ ნეტარებას ანიჭებს ეს, ალბათ, იმას, ვინც მხოლოდ თავისთვის ზის და უსმენს! მართალს არ ვამბობ, ამაზეც ხომ მეთანხმებით?.. ვნახოთ, ერთი ჭიქა ღვინო გამოგვივა თუ არა კიდევ, ბოთლი რომ კარგად გამოვწუროთ...

ნაგელმა დაისხა დარჩენილი ღვინო და ისევ განაგრძო:

_ სხვათა შორის, პატიება უნდა გთხოვოთ, ასე რომ ვხტუნავ ერთი საგნიდან მეორეზე. ეს მრავალი და მოულოდნელი გადახტომა ჩემი აზრებისა, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, ახლა რომ ასე მთვრალი ვარ, ნაწილობრივ კი იმითაც, რომ ეს ჩემი ნაკლია. ერთი საწყალი აგრონომი გახლავართ, ძროხის ფუნის აკადემიის აღზრდილი, მოაზროვნე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მასწავლეს აზროვნება. თუმცა, ნუ ვილაპარაკებთ ასე სპეციალურ საგნებზე, ისინი თქვენ არ გაინტერესებთ, მე კი, რომელმაც უამისოდაც ვიცი ჩემი ძველი მდგომარეობა, ისინი პირდაპირ მეზიზღება. იცით რა? ხშირად საქმე იქამდე მიდის, რომ როცა აქ მარტოკა ვზივარ, ათას წვრილმანზე ვფიქრობ და ყოველი მხრიდან ხელს მოვისვამ, სხეულს მოვისინჯავ ხოლმე, თავში აზრი მომდის, ჩემს თავს ხმამაღლა როშფორი დავუძახო. მკერდში მჯიღს ვიცემ და საკუთარ თავს როშფორს ვეძახი. რას იტყვით, თუ გაგიმხელთ, რომ ერთხელ ზღარბისგამოსახულებიანი ბეჭედი შევუკვეთე... სწორედ ახლა მომაგონდა ერთი კაცი, მას ყოველთვის ვიცნობდი, როგორც წესიერს, ყველაზე ჩვეულებრივსა და პატივისცემის ღირს სტუდენტ-ფილოლოგს გერმანიის უნივერსიტეტისას. იგი წესიერ გზას ასცდა და ორ წელიწადში ლოთად და რომანების მთხზველად გადაიქცა. როცა უცნობები ეკითხებოდნენ, ვინ ბრძანდებითო, იგი ეუბნებოდა მხოლოდ, ფაქტი ვარო. `მე ფაქტი ვარ!~ _ იტყოდა და მოპრუწავდა ტუჩებს... მხოლოდ

ქედმაღლობის გამო. აჰ, არც ეს გაინტერესებთ... თქვენ ლაპარაკობდით ერთ ადამიანზე, მოაზროვნეზე, რომელმაც ვერ ისწავლა აზროვნება... თუ ეს მე თვითონ გითხარით? მაპატიეთ, გალეშილი ვარ უკვე, მაგრამ ეს არაფერია, ნუ მიაქცევთ ყურადღებას. სხვათა შორის, ძალიან მინდოდა ამეხსნა თქვენთვის იმ მოაზროვნის ამბავი, ვისაც აზროვნება არ შეეძლო. რამდენადაც მიგიხვდით, ამ კაცის მიმართ მტრულად ხართ განწყობილი. დიახ, დიახ, ნამდვილად შეგექმნათ ასეთი სრულიად გარკვეული შთაბეჭდილება, თქვენ დაცინვით ლაპარაკობდით მაგ კაცზე; მაგრამ კაცი, ვინც თქვენ ახსენეთ, უფრო მეტი ყურადღებით მოპყრობას იმსახურებს. ჯერ ერთი, ის დიდი სულელი იყო. დიახ, დიახ, დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ სულელი იყო. ყოველთვის გრძელ წითელ ჰალსტუხს ატარებდა და სულელივით იღიმებოდა. დიახ, ისე სულელი იყო, რომ ხშირად წიგნში თავჩარგული იჯდა, როცა მასთან მიდიოდნენ, თუმცა არასდროს არ კითხულობდა. უწინდებოდ დადიოდა, მხოლოდ შიშველ ფეხებს წადგამდა წაღებში, დაზოგილი ფულით თავისთვის ვარდი რომ ეყიდა მკერდზე მისაბნევად. აი, როგორი იყო. მაგრამ ყველაზე კარგი რამ ის იყო, რომ მას ჰქონდა რამდენიმე სურათი ხელოსნების საწყალი სანდომიანი ქალიშვილებისა. და ამ სურათებზე იგი აწერდა სახელოვან გვარებს მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანებს შეჰქმნოდათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მას სულ ასეთი მნიშვნელოვანი ნაცნობობა ჰქონდა გაბმული. ერთ სურათზე მან დააწერა, დიდის მონდომებით გამოიყვანა ასოები: `ფრეკენ სტანგი~, რომ ეფიქრათ, ეს ქალიშვილი პრემიერ-მინისტრის ნათესავიაო, თუმცა უკეთეს შემთხვევაში იმ ქალიშვილს შეიძლება რქმეოდა ლი ან ჰაუგი. ხა-ხა-ხა, რას იტყვით ამ ბაქიაობაზე! ისე წარმოედგინა, თითქოს ყველანი სულ მასზე ლაპარაკობდნენ, ძვირს ამბობდნენ მასზე. `ხალხი ჩემზე ძვირს ლაპარაკობს!~ _ იტყოდა ხოლმე. ხა-ხა-ხა, ნუთუ ნამდვილად გჯერათ, რომ მასზე ძვირის თქმა ვინმეს მოსდიოდა თავში? სხვათა შორის, ერთ მშვენიერ დღეს საჯავაირჩოში ორი სიგარის წევით გამოცხადდა. ორი სიგარისა! ერთი ხელში ეჭირა, მეორე კი პირში გაეჩარა, მაგრამ ორივეს ეკიდა ცეცხლი. შეიძლება ვერც კი გრძნობდა, რომ ერთბაშად ორ სიგარას ეწეოდა და როგორც მოაზროვნეს, რომელმაც აზროვნება ვერ ისწავლა, არც უკითხავს...

_ უნდა წავიდე, _ თქვა ბოლოს მინუტმა ხმადაბლა. ნაგელი მაშინვე წამოდგა.

_ უნდა წახვიდეთ? _ იკითხა მან, _ თქვენ ნამდვილად გსურთ მიმატოვოთ ახლა? დიახ, მართალი რომ ვთქვა, ეს ამბავი მეტისმეტად გრძელია, თუ ადამიანს ფართო აზრით განვიხილავთ. ჰოდა, შემდეგისთვის გადავდოთ ეს ამბავი. მაშ, აუცილებლად გნებავთ წასვლა? _ მომისმინეთ, _ სულით და გულით გმადლობთ დღევანდელი საღამოსთვის! გესმით, რას გეუბნებით? დიახ, დიახ, მაგრად გამოვთვერი! საინტერესოა, როგორი გამომეტყველება მაქვს? აიღეთ ცერი, დადეთ ლუპის ქვეშ და დატკბით ამ სანახაობით, რაო?.. მესმის თქვენი სახის გამომეტყველება, _ თქვენ საოცრად გონიერი კაცი ბრძანდებით, ბატონო გრიგორ, და ჩემთვის პირდაპირ სასიამოვნოა, თვალებში რომ გიცქერით. ისე გულუბრყვილო გამოხედვა გაქვთ. წასვლის წინ ახალი სიგარა გააბოლეთ მაინც. როდისღა მობრძანდებით კიდევ? ეშმაკმა დასწყევლოს, კინაღამ დამავიწყდა, თქვენ ჩემს უქალო ქეიფზე უნდა მობრძანდეთ, გესმით? თმასაც ვერავინ შეგირხევთ... მისმინეთ, რა გითხრათ, ჩემთან პატარა, სასიამოვნო საზოგადოება შეიკრიბება, რომ ვიყბედოთ, სიგარა გავაბოლოთ, თითო ჭიქა ღვინო გადავკრათ და ცხრა-ცხრაჯერ შევძახოთ სამშობლოს ცხრაგზის `ვაშა~, რათა ვასიამოვნოთ ექიმ სტენერსენს, ხომ მართალია? კეთილი! შარვალს კი, რომელზეც გითხარით, აუცილებლად მიიღებთ, ღმერთმა არ იცის ჩემი თავი! მაგრამ ჩვეულებრივი პირობით. გმადლობთ დღევანდელი მოთმინებისათვის. ნება მიბოძეთ, ხელი ჩამოგართვათ! დიახ, ახალი სიგარა გააბოლეთ, ჩემო ძვირფასო... ერთი სიტყვა კიდევ მომისმინეთ: ხომ არ გსურთ რაიმე მთხოვოთ? თუ რაიმე გესაჭიროებათ, მაშინ... თქვენი ნებაა. ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა.

XI

აი, დადგა ოცდაცხრა ივნისიც. ორშაბათი დღე იყო. იმ დღეს რამდენიმე უჩვეულო ამბავი მოხდა; ქალაქში გამოჩნდა ვიღაც უცნობი პიროვნება, პირბადიანი მანდილოსანი, ვიღაცას ეწვია სასტუმროში და ორი საათის შემდეგ ისევ გაუჩინარდა...

სისხამ დილიდანვე იოჰან ნაგელი თავის ოთახში უსტვენდა და ღიღინებდა. გაიღვიძა თუ არა, ჩაცმა დაიწყო, დაიწყო რომელიღაც მხიარული მელოდიის სტვენაც, ჩანდა, მშვენიერ გუნებაზე იყო და რაღაც უხაროდა. გუშინ კი, ესე იგი, იმ მაგარი ქეიფის შემდეგ, შაბათ საღამოს მინუტთან ერთად რომ მოაწყო, მთელი დღე დუმდა. ფართო ნაბიჯებით სცემდა ბოლთას ოთახში და ბევრ წყალს სვამდა. ორშაბათ დილით კი, სასტუმროდან რომ გამოდიოდა, ისევ განაგრძობდა ღიღინს და ჩანდა, მართლაც მშვენიერ გუნებაზე იყო. უმიზეზო სიხარულით აღტაცებული კიბესთან მდგარ ვიღაც ქალსაც კი გამოესაუბრა და რამდენიმე მონეტა აჩუქა.

_ ვერ მეტყვით, სად შეიძლება ვიოლინო იქირაოს კაცმა? _ ჰკითხა მან, _ ხომ არ იცით, არავინ უკრავს ვიოლინოს ამ ქალაქში?

_ არა, არ ვიცი, _ მიუგო განცვიფრებულმა ქალმა.
ქალმა ეს არ იცოდა, მაგრამ სიხარულით შეპყრობილმა ნაგელმა მაინც მისცა მას ცოტაოდენი ფული და სწრაფად განაგრძო გზა. შორიდან წითელქოლგიან დაგნი ჰელანს მოჰკრა თვალი. მარტოკა მიდიოდა. ნაგელმა მდაბლად დაუკრა თავი და გამოელაპარაკა კიდეც. ჰელანი, ჩვეულებისამებრ, სახეზე მთლად წამოენთო და ეს რომ დაემალა, ქოლგით ოდნავ დაიფარა სახე.
მათ ჯერ ტყეში თავიანთ უკანასკნელ გასეირნებაზე ჩამოაგდეს სიტყვა. აღმოჩნდა, რომ მაშინ დაგნი ფრთხილად არ მოიქცა და ამიტომ ოდნავ გაცივდა. თუმცა თბილი ამინდი იდგა; ახლაც კი მთლად ვერ იყო გამოჯანმრთელებული. დაგნიმ ეს ისე უბრალოდ და გულახდილად თქვა, თითქოს ძველისძველ ნაცნობს ესაუბრებაო.
_ მაგრამ თქვენ არ უნდა ნანობდეთ ამის გამო, მართლა ხომ არ ნანობთ? _ ჰკითხა ნაგელმა პირდაპირ, უქარაგმოდ.
_ არა, _ მიუგო მან, _ არ ვნანობ, _ და დაგნიმ გაოცებულმა შეხედა ნაგელს, _ საიდან მოიგონეთ? არა, მე მგონი, ეს იყო მშვენიერი ღამე, თუმცა, ღმერთო ჩემო, სულ მეშინოდა იმ ფარნიანი კაცისა. მერე ძილშიც კი მესიზმრა. საშინელი სიზმარი ვნახე.
ცოტა ხანს მათ ფარნიან კაცზე ისაუბრეს. ნაგელი იმ დღეს ლაპარაკის გუნებაზე იყო, გამოტყდა, შიშის უცნაურ გრძნობას ამა თუ იმ შემთხვევებში მეც განვიცდიო. მაგალითად, ხშირად ისე ვერ ავალ კიბეზე, თუ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უკან არ მოვიხედე, რომ არავინ მომდევსო. რა უნდა იყოს ეს? დიახ, რა უნდა იყოს? ეს რაღაც საიდუმლო, რაღაც უჩვეულო რამაა, რომელსაც ვერ მიხვდება საცოდავი `ყოვლისშემძლე~ მეცნიერება, ის ძალზე უხეში და მოუქნელია ამისათვის. ეს რაღაც უცნობი ქროლაა უხილავი ძალისა, ბრმა სასიცოცხლო ძალების მოქმედება.
_ იცით, _ თქვა ნაგელმა, _ რომ ამ წუთს ძალზე მინდა შევუხვიო ამ ქუჩიდან რომელიმე სხვა ქუჩაზე, რადგან ეს სახლები, ეს მარცხნივ დაყრილი ქვის გროვები, ეს სამი მსხლის ხე საოლქო მოსამართლის ბაღში, _ ყოველივე ეს ჩემზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს და რაღაც ბუნდოვანი ტანჯვით მივსებს სულს. მარტოკა როცა მივდივარ ხოლმე, ყოველთვის ვერიდები ამ ქუჩას, გვერდს ვუვლი, თუნდაც ამისათვის შორი გზით შემოვლა დამჭირდეს. რა უნდა იყოს ეს?
დაგნის გაეცინა.
_ მართალი გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ ექიმი სტენერსენი ამას, ალბათ, ნერვიულობას და ცრუმორწმუნეობას დაარქმევდა.
_ სავსებით მართალს ბრძანებთ, ის ასე უწოდებდა ამას. აჰ, ეს რა ქედმაღლური სისულელეა! ერთ მშვენიერ საღამოს თქვენ ჩამოდიხართ უცხო ქალაქში, ვთქვათ, თუნდაც ამ ქალაქში, რატომაც არა? მეორე დღეს გადაწყვიტეთ გაისეირნოთ ქუჩებში, რომ პირველად გაეცნოთ ქალაქს. ჰოდა, ამ სეირნობის დროს გიჩნდებათ შეუცნობელი, მაგრამ სრულიად გარკვეული მტრული გრძნობა ზოგიერთი ქუჩისა და სახლის მიმართ, მაშინ როცა სხვა ქუჩები და სახლები თქვენს გულში მეგობრულ გრძნობასა და მხიარულ განწყობილებას იწვევს. ეს ნერვიულობაა? მაგრამ, ვთქვათ, რკინის ნერვები გაქვთ და ვერც წარმოგიდგენიათ, რა არის ნერვიულობა. ჰოდა, განვაგრძოთ. თქვენ მისეირნობთ ქუჩებში, ხვდებით ასობით ადამიანს და გულგრილად უვლით გვერდს, მაგრამ უეცრად, როცა დაეშვებით სანაპიროსაკენ და ჩერდებით რომელიღაც საცოდავი, პატარა ერთსართულიანი უფარდებო სახლის წინ, ფანჯრებში რომ თეთრყვავილებიანი რამდენიმე ქოთანი დგას, ხედავთ ადამიანს, რომელიც უეცრად რაღაცით იპყრობს თქვენს ყურაღდებას. შეჰყურებთ ამ კაცს და ისიც თქვენ გიყურებთ. მასში უჩვეულო არაფერია, გარდა იმისა, რომ ღარიბულადაა ჩაცმული და წელში ოდნავ მოხრილი დადის. თქვენს სიცოცხლეში პირველად ხედავთ ამ კაცს, მაგრამ თავში მოგდით უცნაური აზრი, რომ მას იოჰანესი ჰქვია. სწორედ იოჰანესი. რატომ მოგეჩვენათ, რომ ამ კაცს სწორედ იოჰანესი ჰქვია? ეს ვერ აგიხსნიათ, მაგრამ ამას ხედავთ მისი თვალების მიხედვით, ამჩნევთ ხელების მოძრაობაზე, ისმენთ მისი ნაბიჯების ხმაზე. ეს კი სულაც არ ხდება იმიტომ, რომ ოდესმე შეხვედრიხართ სხვა კაცს, რომელიც ამას წააგავდა და რომელსაც იოჰანესი ერქვა. არა, ეს სულაც არ ხდება ამიტომ. თქვენ სრულებითაც არ შეხვედრიხართ ისეთ ვინმეს, რომელიც თქვენთვის ახლახან შეხვედრილ კაცს გაეხსენებინა. ჰოდა, დგახართ გაკვირვებული, რაღაც მისტიკური გრძნობით შეპყრობილი და ვერაფერს მიმხვდარხართ.
_ თქვენ შეხვდით ასეთ კაცს ამ ქალაქში?
_ არა, არა, _ მიუგო ნაგელმა აჩქარებით, _ მე ეს ქალაქი, ერთსართულიანი სახლი და კაცი მხოლოდ მაგალითისათვის ვახსენე. ყველაფერი პირობითადაა ნათქვამი, მაგრამ მაინც ხომ საოცარია? სხვა უცნაური ამბებიც ხდება. თქვენ ჩამოდიხართ რომელიღაც უცხო ქალაქში, შედიხართ უცხო სახლში, ვთქვათ, სასტუმროში, რომელშიც წინათ არასდროს ყოფილხართ. ჰოდა, უცებ გიჩნდებათ საოცრად ძლიერი შეგრძნება, რომ აქ, ამ სახლში, ოდესღაც, შეიძლება მრავალი წლის წინ, აფთიაქი იყო. რატომ დაგებადათ ეს აზრი? არაფერი გაგონებთ ამას, არც არავის უთქვამს რაიმე ამის შესახებ, არა, წამლის

სუნის ოდნავი ნიშანიც კი არაა, თაროების არავითარი კვალი არ არის დარჩენილი კედლებზე და იატაკსაც არაფერი ემჩნევა, რომ მასზე რაიმე წამალი იყო დაღვრილი. მიუხედავად ამისა, მაინც ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ ამ სახლში დიდი ხნის წინ აფთიაქი იყო და არც ცდებით, ერთი წუთით მთელი თქვენი არსება რაღაც სრული საიდუმლოებით მოცული ცოდნითაა გამსჭვალული, რაც ფარდას ახდის დაფარულ ჭეშმარიტებას. თქვენც ხომ არ შეგმთხვევიათ ასეთი რამ?
_ ამაზე დღემდე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა, როცა ეს ამბავი მომითხრეთ, ეგეთი რამ, მგონი, მეც შემმთხვევია. ყოველ შემთხვევაში, ძალზე მეშინია სიბნელისა, ზოგჯერ უცნობი შიში შემიპყრობს, მაგრამ იქნებ ეს სხვა რაღაცაა.
_ ღმერთმა უწყის, ან ის რა არის და ან _ სხვა! რაღა არ ხდება ამ ტიალ ქვეყანაზე, _ ერთი მხრივ, უცნაური, მშვენიერი, უბადლო ამბები, მეორე მხრივ კი _ გამოუცნობი წინათგრძნობები, ჩუმი საშინელებანი, ზიზღისაგან რომ აგაკანკალებთ. წარმოიდგინეთ, რომ გესმით, როგორ დადის ვიღაც კედლის გასწვრივ ღამის წყვდიადში, თქვენ არ გძინავთ, მაგიდას უზიხართ, ყალიონს ეწევით და ყოველივეზე ნათელი წარმოდგენა გაქვთ. თავი ათასგვარი გეგმებით გაქვთ გამოტენილი, რომელზეც ფიქრობთ და მათზე გამალებით მუშაობს თქვენი ტვინი. უცებ სრულიად გარკვევით გესმით, რომ ვიღაც მოიწევს თქვენი კედლის გასწვრივ, გარედან, კედლის პანელებს იქით, ან იქვე, თქვენსავე ოთახში, აი, იმ კუთხეში, ღუმელთან, სადაც მის ჩრდილსაც კი ხედავთ კედელზე. ხსნით ლამპას აბაჟურს, რომ უფრო მეტად განათდეს ოთახი და ღუმელთან მიდიხართ. ჩერდებით ჩრდილის წინ და ხედავთ უცნობ ადამიანს, საშუალო სიმაღლის მამაკაცს, ყელზე შალის შავ და თეთრზოლებიანი შარფი რომ ახვევია, _ ბაგეები მთლად ლილისფერი აქვს. ნორვეგიული ბანქოს ჯვრის ვალეტს წააგავს. ახლა, ვთქვათ, თქვენმა ცნობისმოყვარეობამ თქვენსავე შიშს სძლია, მედგრად მიეჭერით დაუპატიჟებელ სტუმარს, რომ თვალების ერთი დაბრიალებით გააქროთ, მაგრამ ის ადგილიდან ფეხსაც არ იცვლის, თუმცა ისე მიუახლოვდით, ხედავთ, თვალებს როგორ ახამხამებს, რითაც რწმუნდებით, რომ ისიც თქვენსავით ცოცხალი ადამიანია, მაშინ გადაწყვეტთ, გულკეთილი სიმშვიდით მოექცეთ და თუმცა აქამდე არასოდეს გინახავთ, მაინც ეკითხებით: _ შემთხვევით ჰუმანი ხომ არ გქვიათ, ბერნტ ჰუმანი? რაკი პასუხს არ გაძლევთ, თქვენც გადაწყვეტთ, ჰუმანი უწოდოთ და ეუბნებით: _ რატომაც არ უნდა იყოთ, დალახვროს ეშმაკმა, ბერნტ ჰუმანი? _ თან ათვალიერებთ ამ დროს და ხითხითებთ. ის კვლავ გაუნძრევლად დგას და აღარ იცით, რა მოუხერხოთ. მაშინ ერთი ნაბიჯით უკან დაიწევთ. ჩიბუხის ტარს წაჰკრავთ და ეტყვით: `ბე-ე-ე!~ მის სახეზე კი ოდნავი ღიმილის ნიშანიც არ გამოჩნდება. აჰ, მაშ, ასეა! ბოლოს და ბოლოს, მოთმინებას დაკარგავთ და უცნობს ერთ კაი მაგარ მუშტს უთავაზებთ. მაგრამ მას ისეთი სახე აქვს, თითქოს ნამდვილად თქვენს გვერდით დგას და თქვენი მუშტის დარტყმა სულაც არ უგრძნია. ძირს არ ეცემა, ორივე ხელს ჯიბეებში ჩაიწყობს, დიახ, ღრმად ჩაიწყობს ხელებს ჯიბეებში, მხრებს აიჩეჩავს და ისეთ გამომეტყველებას მიიღებს, თითქოს სურს გკითხოთ: `მერე რა?~ ჩანს, იმან სულაც არ ააღელვა, მუშტი რომ უთავაზეთ. _ მერე რა? _ უპასუხებთ რისხვით ანთებული და მუშტს ახლა ზედ გულის კოვზთან უთაქებთ. შემდეგ ასეთი ამბავი დატრიალდება: უკანასკნელი დარტყმის მერე კაცი აორთქლებას დაიწყებს, საკუთარი თვალით ხედავთ, როგორ ნელ-ნელა ქრება, თანდათან როგორ ისპობა, ბოლოს მისგან მუცელიღა დარჩება და შემდეგ ისიც გაქრება, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე კაცს ხელები ჯიბეებში ეწყო და მოგჩერებოდათ ჯიუტი გამომეტყველებით, რომელიც ამბობდა: `მერე რა?~
დაგნიმ გადაიკისკისა.
_ რა უცნაური ამბები გემართებათ! მერე რაღა მოხდა? რით დამთავრდა ყველაფერი?
_ ჰოდა, როცა ისევ მიუჯდებით მაგიდას და თქვენს გეგმებს დაუბრუნდებით, შენიშნავთ, რომ ხელი გიტკენიათ კედელზე დარტყმით და სისხლი მოგდით... მაგრამ, აი, რა მინდოდა მეთქვა: აბა, ერთი მოუყევით ეს ამბავი მეორე დღეს თქვენს ნაცნობებს და თქვენივე ყურით მოისმენთ, რასაც გეტყვიან. `გძინებიათ, _ მოგიგებენ ისინი, _ ხა-ხა-ხა, რა თქმა უნდა, გძინებიათ!~ მაგრამ ღმერთმა და ანგელოზებმა ხომ უწყიან, რომ არ გეძინათ. ეს ხომ წმინდა სემინარული სიბრძნე და უხეშობა იქნება, სიზმარი უწოდოთ იმას, ღუმელთან რომ იდექით სრულ გონებაზე მყოფი, ჩიბუხს ეწეოდით და ლაპარაკობდით კაცთან! აი, მოდის ექიმიც. საუცხოო ექიმია, თავისი მეცნიერების წარმომადგენელი, მოცემული ბაგეებითა და საკუთარი უპირატესობის შეგრძნებით. `ეს, _ ამბობს იგი, _ მხოლოდ ნერვიულობაა~, დიახ, ასე იტყვის. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა კომედიაა! კეთილი, მაშ, ეს ნერვიულობაა, როგორც ის ამბობს. ექიმის ტვინისათვის ეს რაღაც ისეთია, რომელსაც ასეთი და ასეთი ზომები გააჩნია, _ ამდენი და ამდენი დიუმი სიმაღლე, ამდენი სიგანე, რაღაც ისეთი, რომელიც შეიძლება ჩამჯიღო, ასეთი კარგი, სოლიდური ნერვიულობა. ჰოდა, ქაღალდის ნაფლეთზე გამოგიწერთ რკინასა და ქინაქინს და ადგილზე გაგკურნავთ. აი, ეს რა უბრალოდ ხდება! მაგრამ, აბა, ერთი დაუფიქრდით, რა გონებასიჩლუნგეა, რა გაგრიული ლოგიკა, ცხვირი ჩაყოთ თქვენი განზომილებებითა და ქინაქინით

იმ სფეროში, რომელშიაც გარკვევას ყველაზე გულისხმიერი და დიდად გონიერი ადამიანებიც კი ვერ შეძლებენ.
_ ღილი დაგეკარგებათ, _ უთხრა დაგნიმ.
_ ღილი?
დაგნიმ ღიმილით მიუთითა პიჯაკის ღილზე, ცალ ძაფზეღა რომ კონწიალებდა.
_ სჯობია, მთლად აიწყვიტოთ, თორემ მალე დაგეკარგებათ.
ნაგელმა დაუჯერა, ამოიღო ჯიბიდან დანა და ღილი შეიჭრა. დანის ამოღებისას ჯიბიდან ამოუვარდა რამდენიმე პატარა მონეტა და საშინლად გაცვეთილ ლენტზე დამაგრებული რაღაც მედალი. ნაგელი სწრაფად დაიხარა და აკრეფა დაუწყო მათ. დაგნი იდგა და უცქერდა. ბოლოს თქვა:
_ ეგ მედალია? მერედა, რანაირად ეპყრობით? დახედეთ ლენტს! რა მედალია?
_ მედალი წყალწაღებულთა გადარჩენისათვის... მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ იგი რაიმე დამსახურებისათვის მომცეს, ეს მხოლოდ თაღლითობაა.
დაგნიმ შეხედა ნაგელს. სრულიად დამშვიდებული სახე ჰქონდა, თვალები ფართოდ გახელილი, თითქოს ტყუილის თქმას არცა ფიქრობსო. მედალი ისევ ხელში ეჭირა.
_ ისევ იწყებთ! _ თქვა დაგნიმ. _ თუ არ დაგიმსახურებიათ ეს მედალი, მაშ რისთვის ინახავთ, რატომ დაგაქვთ თან?
_ ვიყიდე, _ წამოიძახა ნაგელმა სიცილით, _ ეს ხომ ჩემია, ჩემი საკუთრება, მე მეკუთვნის, როგორც ჯიბის დანა ან ეს პიჯაკის ღილი. რატომ უნდა გადავაგდო?
_ რამ მოგაფიქრათ მედლის ყიდვა? _ ჰკითხა დაგნიმ.
_ დიახ, ეს თაღლითობაა, არ უარვყოფ, მაგრამ რაღას არ მოიმოქმედებს კაცი. მთელ დღეს მკერდითაც კი ვატარებდი, თავი მომწონდა, ვამაყობდი ამ მედლით, ჩემი სადღეგრძელოც კი წარმოთქვეს ამ მედლის გამო, ხა-ხა-ხა-ხა! სულერთი არაა, რაში ვლინდება თაღლითობა?
_ მასზე სახელია ამოკვეთილი, _ თქვა დაგნიმ ისევ.
_ სახელია ამოკვეთილი? ეს შეუძლებელია! მომეცით, ვნახო. მედალი ჯიბეში გდებით გაიხეხა, სხვა წვრილმანებთან ერთად რომ ვატარებდი, ეს არის და ეს.
დაგნიმ უნდობლად შეხედა მას, ნაგელმა კი უცებ თითები გაატკაცუნა და წამოიძახა:
_ ოჰ, რარიგ გულმავიწყი, დაბნეული ვარ! სახელი, რა თქმა უნდა, ამოკვეთილია, თქვენ მართალი ბრძანდებით, როგორ შემეძლო ამის დავიწყება. ხე-ხე-ხე! მე თვითონ ამოვაკვეთინე სახელი, სრული სიმართლეა. მასზე კი არა, ამ მედლის მფლობელის, მხსნელის სახელი იყო ამოკვეთილი. ჩემი სახელი მაშინვე ამოვაკვეთინე, როგორც კი მედალი ვიყიდე. მომიტევეთ, გეთაყვა, რომ ეს წეღანვე არ გითხარით, მაგრამ სრულებითაც არ მსურდა მეცრუა. მოვდიოდი და სულ სხვა რაიმეზე ვფიქრობდი, რატომ აღელდით ასე რომელიღაც ღილის გამო, ძაფზე რომ კონწიალებდა? რა იქნებოდა, თუნდაც დაკარგულიყო? ეს იმის პასუხი ხომ არ იყო, რაც ნერვიულობასა და მეცნიერებაზე მოგიყევით?
ისევ დუმილი ჩამოვარდა.
_ რა საოცარ გულახდილობას იჩენთ ყოველთვის ჩემთან, _ თქვა დაგნიმ ისე, რომ ნაგელის კითხვას არ უპასუხა, _ არ მესმის, რას გინდათ მიაღწიოთ? თავში რაღაც საოცარი აზრები გებადებათ. აი, ახლაც იმის თქმა გინდოდათ ჩემთვის, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ თაღლითობაა და მეტი არაფერი, _ არ არსებობს არც კეთილშობილება, არც უმანკოება, არც სიდიადე. ესაა თქვენი აზრი? ნუთუ გგონიათ, რომ სავსებით ერთი და იგივეა _ მედალს გარკვეული რაოდენობის თანხით იყიდი თუ გმირობის წყალობით მოიპოვებ?
ნაგელმა ხმა არ ამოიღო. მაშინ დაგნიმ განაგრძო დინჯად და სერიოზულად.
_ არ მესმის თქვენი, ხანდახან, თქვენ რომ გისმენთ, ჩემს თავს ვეკითხები, სრულ ჭკუაზე ბრძანდებით თუ არა? მომიტევეთ, ამას რომ გეუბნებით. თანდათან უფრო მაღელვებთ და მაგულისებთ კიდეც. თავში სულ ამირიეთ ცნებები ყველაფერზე, სულერთია, რაზეც უნდა ლაპარაკობდეთ, ყოველთვის დამახინჯებული სახით წარმომიდგებით ხოლმე. რატომ იქცევით ასე? არასოდეს ჯერ არ შევხვედრივარ ისეთ ვინმეს, ასე თავის საწინააღმდეგოს რომ ლაპარაკობდეს. ერთი მითხარით, თქვენ თვითონვე გჯერათ თუ არა, რასაც ამბობთ, როგორია თქვენი ჭეშმარიტი, ღრმა მრწამსი?
დაგნიმ ეს ისე სერიოზულად, ისე გულწრფელად ჰკითხა, რომ ნაგელი განცვიფრდა.
_ ღმერთი რომ მწამდეს, _ თქვა მან შემდეგ, _ დიდ თაყვანს ვცემდე და წმინდანად მიმაჩნდეს იგი, მაშინ დავიფიცებდი, რომ გულწრფელად დარწმუნებული ვარ ყველაფერ იმაში, რაც გითხარით, აბსოლუტურად ყველაფერში, და რომ მაშინაც კი ცუდი ზრახვები არ მამოძრავებს, როცა თავგზას გიბნევთ. ამას წინათ, როცა ვბაასობდით, თქვენ მითხარით, რომ სრულიად საწინააღმდეგო განსახიერება ვარ ყოველივე იმასთან, რასაც სხვები ლაპარაკობენ. ეს მართალია, გამოგიტყდებით, რომ სრული წინაუკმობა მახასიათებს და ამის თვითონაც ვერა გამიგია რა, მაგრამ ვერაფრით მივმხვდარვარ, სხვებიც რატომ იმასვე არ ფიქრობენ საგნებსა და მოვლენებზე, რასაც _ მე, ისე ნათელი

და გამჭვირვალე მეჩვენება საკითხები და გარკვევით ვხედავთ მათ შორის არსებულ კავშირს. აი, ჩემი ყველაზე გულწრფელი ღრმა რწმენა, ფრეკენ. ო, ნეტავი დამიჯერებდეთ ახლაც და სამუდამოდაც!
_ ახლაც და სამუდამოდაც? არა, ამას ვერ შეგპირდებით.
_ ჩემთვის კი ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, _ უთხრა ნაგელმა.
ისინი ტყეში შევიდნენ და ისე ახლო-ახლო მიდიოდნენ, რომ ერთმანეთს იდაყვებით ეხებოდნენ, ირგვლივ ისეთი დუმილი გამეფებულიყო, ჩურჩულითაც შეიძლებოდა საუბარი. დროდადრო კი ჩიტების ჟღურტული გაისმოდა.
უცებ ნაგელი შედგა და დაგნიც შეაჩერა.
_ როგორ ვწუხდი თქვენზე მთელი ეს დღეები, _ თქვა მან, _ არა, არა, ნუ შეგეშინდათ ასე! მე ხომ ჯერ არაფერი მითქვამს, მე ხომ სრულებით ვერაფერს მივაღწევ. არა, ოცნების კოშკებს არ ვიშენებ. სხვათა შორის, შეიძლება ვერ მიგებთ, მე სულ სხვა ლაპარაკი წამოვიწყე, იმას ვამბობ, რისი თქმაც არ მინდოდა...
როცა ნაგელი გაჩუმდა, დაგნიმ თქვა:
_ დღეს რა უცნაური ბრძანდებით!
და სურდა გზა განეგრძო, მაგრამ ნაგელმა ისევ შეაჩერა:
_ ძვირფასო ფრეკენ, პატარა ხანს კიდევ შეიცადეთ! ცოტა მოწყალე მექმენით. ლაპარაკისა მეშინია, მეშინია, რომ შემაწყვეტინებთ და მეტყვით, მიბრძანდითო. ისე კი მრავალი უძილო საათი დამჭირდა ყოველივე ამის მოსაფიქრებლად.
დაგნი კი უფრო და უფრო დიდი განცვიფრებით უცქერდა ნაგელს და ბოლოს ჰკითხა:
_ რას ნიშნავს ეს?
_ რას ნიშნავს ეს? ნება მიბოძეთ მაგ კითხვაზე პირდაპირ, უქარაგმოდ გიპასუხოთ. ეს ნიშნავს... ეს იმას ნიშნავს, რომ მიყვარხართ, ფრეკენ ჰელან. სრულებითაც არ მესმის, ასე რატომ უნდა განგაცვიფროთ ამან? მეც ადამიანი ვარ, შეგხვდით და მოვიხიბლე, ამაში ხომ, მგონი, არაფერია უცნაური? სულ სხვა საქმეა, რომ შესაძლოა, ამაში არ უნდა გამოგტყდომოდით.
_ დიახ, არ უნდა გამომტყდომოდით.
_ მაგრამ სადამდე არ მივა კაცი! სიყვარულის გამო მე ცილსაც კი გწამებდით, კეკლუცს გიწოდებდით და ვცდილობდი დამემდაბლებინეთ მხოლოდ იმისათვის, რომ თავი მენუგეშებინა იმით, რომ თქვენ მიუღწეველი ბრძანდებით ჩემთვის. ეს ხომ ვიცოდი. დღეს მეხუთედ გხვდებით და აქამდე თავი არ გამიცია, თუმცა ეს პირველივე შეხვედრის დროს შეიძლებოდა მომხდარიყო. ამასთან, დღეს ჩემი დაბადების დღეა, ოცდაცხრა წელი შემისრულდა, ჰოდა, ვუსტვენდი, ვღიღინებდი, მიხაროდა დილიდანვე, როგორც კი თვალი გავახილე. ვფიქრობდი, _ რა თქმა უნდა, სასაცილოა, რომ ასეთი სულელური აზრები მოგივა თავში, _ მაგრამ ჩემთვის ჩუმად ვფიქრობდი მაინც: `დღეს თუ შეხვდები მას და ყველაფერში გამოუტყდები სწორედ შენი დაბადების დღეს... შეგიძლია გაუმხილო ეს და იმანაც ასეთ დღეს სიამოვნებით მოგიტევოს~. გეღიმებათ? დიახ, ეს რარიგ სასაცილოა, მშვენივრად მესმის, მაგრამ ამას ვეღარაფერს მოუხერხებ. მეც ისევე გწირავთ ხარკს, როგორც სხვები.
_ რაკი ეგრეა, სამწუხაროა, რომ ეს დღეს დაგემართათ, _ თქვა დაგნიმ, _ წელს ბედმა არ გაგიღიმათ თქვენი დაბადების დღეს. მეტს ვეღარაფერს გეტყვით ამაზე.
_ რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ძალას ფლობთ! მესმის, თქვენი გულისათვის, შეიძლება, ყველაფერი მოიმოქმედოს კაცმა. ახლაც კი, როცა ეს უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვით, რომელიც არცთუ ისე სასიხარულო იყო ჩემთვის, ამ წუთსაც კი თქვენი ხმა გალობას წააგავდა. ზუსტად ისე ვიგრძენი თავი, თითქოს გული ამიყვავილდა. რა უცნაურია! იცით თუ არა, ღამღამობით თქვენი სახლის ირგვლივ რომ დავხეტიალობდი, ვცდილობდი, ფანჯრიდან თქვენი ჩრდილი მაინც დამენახა, აქ კი, ტყეში, მუხლმოყრილი ვიდექი და ღმერთს ვევედრებოდი მე, მე, რომელსაც არა მწამს ღმერთი. თქვენ ხედავთ ამ ვერხვს? მე აქ სწორედ იმიტომ შევჩერდი, რომ ამ ვერხვის მახლობლად მუხლმოყრილი ვიდექი რამდენიმე ღამე უსაზღვრო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, დადუმებული და თავგზადაკარგული მხოლოდ იმიტომ, რომ არ შემეძლო თავიდან მომეცილებინა თქვენზე ფიქრები. ამ ადგილიდან ყოველ საღამოს გისურვებდით მშვიდობის ღამეს, ვიდექ მუხლმოყრილი და შევთხოვდი ქარს და ვარსკვლავებს თქვენთვის გადმოეცათ ჩემი სალამი. ვფიქრობ, ეს თქვენც უნდა გეგრძნოთ ძილში.
_ რისთვის მეუბნებით ყველაფერ ამას? განა არ იცით, რომ მე...
_ დიახ, დიახ, _ შეაწყვეტინა მღელვარებისგან თავგზადაკარგულმა ნაგელმა, _ ვიცი, რაც უნდა მითხრათ: რომ დიდი ხანია ეკუთვნით სხვას და მე არაკეთილშობილურად ვიქცევი, უკან გდევთ ახლა, როცა უკვე გვიანაა. განა მე არ ვიცი ეს? რისთვის გითხარით ეს ყველაფერი? მაშ იცოდეთ, იმისათვის, რომ გავლენა მოვახდინო თქვენზე, გარკვეული შთაბეჭდილება შეგიქმნათ და გაიძულოთ, ჩემზე იფიქროთ! გეფიცებით, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, მე არ ძალმიძს თქმა სიცრუისა. ვიცი,

რომ დანიშნული ბრძანდებით, გყავთ საქმრო, რომელიც გიყვართ, მე კი ვერაფერს მივაღწევ. დიახ, მაგრამ მაინც მსურდა მეცადა ცოტაოდენი გავლენა მომეხდინა თქვენზე, არ მინდოდა იმედზე სულ ამეღო ხელი. აბა, ჩაუკვირდით ამ აზრს: `იმედზე სულ აიღო ხელი~, _ მაშინ შეიძლება უკეთ გამიგოთ. წეღან რომ გითხარით, არაფრის მიღწევის იმედი არა მაქვს-მეთქი, ცხადია, ვიცრუე. ეს იმიტომ გითხარით, რომ ჯერ დამემშვიდებინეთ, დრო მომეგო, რომ უცებ მეტისმეტად არ შემეშინებინეთ. გამიგეთ, ძვირფასო? უთავბოლოდ ვლაპარაკობ. სულაც არ მსურს გკითხოთ, ოდესმე ნებას მომცემთ თუ არა თუნდაც ოდნავი იმედი ვიქონიო რაიმეზე და, მერწმუნეთ, არც იმისი იმედი მქონია, რომ ვინმეს შევიწროება შევძლო. ვაი, რომ ეს არასდროს მომსვლია თავში, მაგრამ უნუგეშო სასოწარკვეთილების წუთებში ჩემთვის ვფიქრობდი: `დიახ, ის დანიშნულია და მალე წავა, დაემშვიდობე, მაგრამ ჯერ მთლად დაკარგული არაა იგი ჩემთვის, ჯერ კიდევ არ წასულა, არ გათხოვილა, ჯერ კიდევ არ მომკვდარა. როგორ გითხრათ?.. და თუ ყველაფერს ვცდი, იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს გვიანი!~ თქვენ მთლიანად დაეუფლეთ ჩემს აზრებს, გახდით ჩემი აკვიატებული იდეა, მე თქვენ ყველაფერში გხედავთ და ყველა ცისფერ ელფს დაგნის ვუწოდებ. ვფიქრობ, ამ რამდენიმე კვირის მანძილზე ერთი დღეც არ გასულა ისე, რომ თქვენზე არ მეფიქრა, რა დროსაც უნდა გამოვსულიყავი სასტუმროდან, კარს გამოვაღებდი თუ არა და კიბეზე დავეშვებოდი, გული იმედით მემსჭვალებოდა: შეიძლება ამ წუთს შემხვდეს-მეთქი! ჰოდა, ყველგან გეძებდით. არა, ახლა არაფერი მესმის და თავის შეკავებაც არ შემიძლია. მერწმუნეთ, მე თუ თავი გავეცი ახლა, უბრძოლველად მაინც არ გამიცია. არც ისე სასიამოვნოა მიხვდე, რომ ყოველგვარი ძალ-ღონის დაძაბვამ ამაოდ ჩაგიარა, და მაინც უკანასკნელ ძალ-ღონეს ძაბავ და განაგრძობ ბრძოლას, _ გესმის, რომ ყველაფერი ამაოა და მაინც იბრძვი. მაგრამ თუ ყველაფერი სავსებით უსარგებლოა?! რაღას არ იფიქრებ და გადაიფიქრებ, როცა ზიხარ ფანჯარასთან ოთახში მთელი ღამე და არ გეძინება. ხელში წიგნი გიჭირავს, მაგრამ ვერ კითხულობ; კბილს კბილზე აჭერ და თავს ძალას ატან წაიკითხო ორი-სამი სტრიქონი მაინც, მაგრამ ძალა აღარ შეგწევს და ისევ ხურავ წიგნს თავჩაქინდრული. გულს ბაგაბუგი გააქვს, ბაგეები ყრუდ ჩურჩულებენ იდუმალებით აღსავსე საამო სიტყვებს, წარმოთქვამენ სახელს და შორიდან ეამბორებიან მას. საათი კი რეკავს: ორი, სამი, ექვსი. ბოლოს კი გსურს ამ ტანჯვას ბოლო მოუღო და გადაწყვეტ, რომ შემდეგში, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მოგეცემა, გაბედო და გამოუტყდე ყველაფერში... მე თუ რაიმეს თხოვნას გაგიბედავდით, ახლა, გთხოვდით, რომ გაჩუმებულიყავით. მე თქვენ მიყვარხართ, მაგრამ გაჩუმდით, გაჩუმდით!.. სამიოდე წუთი მოიცადეთ.

დაგნი უსმენდა მეტისმეტად განცვიფრებული და ხმას ვეღარ იღებდა პასუხის გასაცემად. ისინი კიდევ ერთად იდგნენ.

_ არა, თქვენ მართლა ჭკუიდან შეიშალეთ! _ თქვა მან თავის ქნევით და ისე გაოგნებულმა და გაფითრებულმა, რომ თვალებიც კი ყინულივით ლურჯი მოუჩანდა, დასძინა, _ იცით, რომ დაწინდული ვარ, ეს კარგად გახსოვთ, მაგრამ მაინც.

_ დიახ, დიახ, ვიცი! განა შემიძლია დავივიწყო მისი სახე, მისი მუნდირი? ის ლამაზი მამაკაცია და მე ვერც ერთ ნაკლს ვერ გამოვუძებნი, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის ვისურვო მისი სიკვდილი, ან კი რას ვაქნევ, ასჯერ, ათასჯერ რომ გავიმეორო ჩემთვის, ვერაფერს მივაღწევ-მეთქი. სულ ვფიქრობ ამ შეუძლებელ რამეზე და ჩემს თავს ვარწმუნებ: არა, ჯერ კიდევ შეიძლება გამიღიმოს ბედმა, განა ცოტა რამ ხდება ქვეყანაზე, ჯერ კიდევ იქონიე იმედი... დიახ, ხომ მართალია? არის კიდევ რაიმე იმედი?

_ არა, არა, სრულ სასოწარკვეთილებამდე ნუ მიმიყვანთ, _ წამოიძახა დაგნიმ, _ რა გნებავთ ჩემგან? რაზე ფიქრობთ? იქნებ იმაზე, რომ მე უნდა... ღმერთო ჩემო, ნუღარაფერს ვილაპარაკებთ ამაზე, გთხოვთ, ჰოდა, წაბრძანდით! ახლა რამდენიმე სულელური სიტყვით ყველაფერი წაახდინეთ. ჩვენს საუბრებს მოეღო ბოლო! ახლა აღარ შეიძლება შევხვდეთ ერთმანეთს, რატომ ჩაიდინეთ ეს? წინასწარ მაინც მივმხვდარიყავი ამ სისულელეს. აბა, ახლა კი კრინტი აღარ დაძრათ ამაზე, გთხოვთ, როგორც ჩემი, ისე თვით თქვენივე გულისათვის... ხომ მშვენივრად გესმით, რომ არაფერი არ შემიძლია ვიყო თქვენთვის. არ მესმის, როგორ წარმოიდგინეთ ასეთი რამ. ახლა კი კმარა. შინ დაბრუნდით და ეცადეთ, ამ ამბავს შეურიგდეთ. ოჰ, ღმერთო, ნამდვილად გული მტკივა თქვენ გამოც, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოვიქცევი.

_ მაშ, დღეს სამუდამოდ უნდა გამოგეთხოვოთ? ნუთუ უკანასკნელად გხედავთ? არა, არა, მომისმინეთ! გპირდებით დავმშვიდდე, გესაუბროთ რაზეც გნებავთ, ამაზე კი არა, _ მაშინ ხომ შეიძლება შევხვდეთ ისევ, თუ სრულიად დავმშვიდდი? ჩვენ შეიძლება მაშინ შევხვდეთ კიდევ, როცა ყველა დანარჩენი თავს მოგაბეზრებთ. ოღონდაც დღევანდელი შეხვედრა უკანასკნელი არ იყოს ჩემთვის. თქვენ კი ისევ თავს აქნევთ _ თქვენს ლამაზ თავს... მაგრამ მაინც აქნევთ... ნუთუ ყველაფერი, ყველაფერი შეუძლებელია? ო, თუნდაც არ დაგერთოთ ამის ნება, მაგრამ მაინც გეპასუხათ `დიახ~, გეცრუათ, რომ სიხარული მოგენიჭებინათ ჩემთვის... თორემ დღევანდელი დღე ძალზე მძიმე, მეტისმეტად მძიმე იქნება ჩემთვის, _ თუმც დილით ვმღეროდი... ოღონდ ერთხელ კიდევ შევხვდეთ!

_ ეგ არ უნდა მთხოვოთ. მე ხომ არ შემიძლია შეგპირდეთ. თანაც, ვინ იცის, რას მოგვიტანს ეს შეხვედრა? ახლა კი წაბრძანდით, გთხოვთ, იქნებ კიდევ შეხვდეთ ერთმანეთს, არ ვიცი, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს. ახლა კი წაბრძანდით, გესმით! _ წამოიძახა დაგნიმ მოუთმენლად, _ ამით ნამდვილ სიკეთეს გამიწევთ, _ დასძინა მან.
დუმილი ჩამოვარდა. ნაგელი იდგა, თვალს არ აცილებდა დაგნის, ღრმად სუნთქავდა, ბოლოს გონს მოეგო და თავი დაუკრა. ნაგელმა უეცრად ქუდი მიწაზე დააგდო და დაგნის ხელი სტაცა, რომელიც მისთვის არ გამოუწვდია, და მაგრად ჩამოართვა ორივე ხელი. ქალმა ოდნავ შეჰკივლა. ნაგელმა მაშინვე გაათავისუფლა, სასოწარკვეთილმა და დარცხვენილმა, ხელი რომ ატკინა. იდგა და გაჰყურებდა მიმავალ დაგნის. რამდენიმე ნაბიჯიც და თვალს მიეფარებოდა. სახეზე წამოენთო, ბაგეებს იკვნეტდა. დააპირა ზურგი შეექცია დაგნისთვის და წასულიყო მეტისმეტად განრისხებული. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მაინც მამაკაცია. კარგი, კარგი, მშვიდობით!..
დაგნი უცებ მობრუნდა და უთხრა:
_ ნუღარ ივლით ჩვენი კარ-მიდამოს ირგვლივ ღამღამობით! გთხოვთ, ნუღარ იქმთ ამას! მაშ, თქვენ გიყეფთ ასე გააფთრებით ბისკი ეს რამდენიმე ღამე? ერთხელ ღამით მამაჩემი კინაღამ ეზოში გამოვიდა. არ შეიძლება ეს, გესმით? იმედი მაქვს, არ მოისურვებთ, რომ უსიამოვნება დაგვატყდეს ჩვენ, ორივეს.
დაგნიმ მხოლოდ ეს თქვა, მაგრამ მისი ხმის გაგონებაზე რისხვამ გაუარა ნაგელს და თავი გააქნია.
_ და მაინც დღეს ჩემი დაბადების დღეა! _ თქვა მან.
ამის თქმისთანავე ნაგელმა ხელი მიიფარა სახეზე და წავიდა.
დაგნიმ თვალი გააყოლა მიმავალ ნაგელს, ერთი წამით ჩაფიქრდა, უცებ სირბილით გამოეკიდა და ხელი წაავლო მკლავზე.
_ მომიტევეთ, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია, არაფერი არ შემიძლია ვიყო თქვენთვის. თუმცა, ხომ შეიძლება კიდევ შევხვდეთ? თქვენ არ ფიქრობთ ასე? ახლა კი უნდა წავიდე.
დაგნი შემოტრიალდა და სწრაფად გაეცალა ნაგელს.

XII

პირბადიანი მანდილოსანი მიუყვებოდა სანაპიროს, სადაც გემიდან ჩამოვიდა და პირდაპირ ცენტრალური სასტუმროსკენ გაემართა.
ნაგელი შემთხვევით იდგა თავისი ოთახის ფანჯარასთან და გასცქეროდა ქუჩას. ნასადილევს დაუღალავად სცემდა ბოლთას ოთახში და მხოლოდ ხანდახან შეჩერდებოდა ერთი ჭიქა წყლის დასალევად. ღაწვები წითლად უღვიოდა, საოცრად წითლად, ციებ-ცხელებით შეპყრობილი ადამიანივით, თვალები ანთებოდა. მთელი დღე ერთსა და იმავეზე ფიქრობდა, _ დაგნისთან თავის უკანასკნელ შეხვედრაზე.
ერთი წუთით თავი დაარწმუნა, რომ შეუძლია გაემგზავროს და დაივიწყოს ყველაფერი. ჩემოდანი გახსნა, ამოიღო რაღაც ქაღალდები, სპილენძის ინსტრუმენტები, ფლეიტა, რამდენიმე სანოტო ფურცელი, ტანისამოსი, მათ შორის ახალი ყვითელი კოსტიუმიც, ზუსტად ისეთივე, როგორც ახლა ეცვა და სხვადასხვა ნივთი, რომელთაც იატაკზე ყრიდა. დიახ, გაემგზავრება, ამ ქალაქში აღარაფერი ესაქმება, მას ალმებით აღარ ამკობენ, ქუჩები კი თითქოს მთლად ჩაკვდა. რატომ არ უნდა გაემგზავროს? ან კი, საერთოდ, რა ეშმაკმა მოაფიქრა შემოეყო აქ ცხვირი? ეს ქალაქი კი არა, ყვავ-ყორანთა ბუდეა, ყეყეჩი ადამიანებით დასახლებული მიყრუებული ადგილი...
მაგრამ მას მშვენივრად ესმოდა, რომ ვერსად გაემგზავრებოდა და რომ ამით მხოლოდ თავს იმხნევებდა და იტყუებდა. უხალისოდ ჩააწყო ისევ თავისი ნივთები და ჩემოდანი სადაც იდგა, იმავე ადგილას დადგა. შემდეგ სწრაფად დაიწყო წინ და უკან სირბილი, კარიდან ფანჯრამდე, ისე, რომ ერთი ნათელი აზრიც არ მოსვლია თავში. ძირს კი საათი რეკავდა ერთიმეორეზე მიყოლებით და დრო გადიოდა. აი, ექვსმა საათმაც დაჰკრა...
ბოლოს, როცა ნაგელი ფანჯარასთან შეჩერდა, მისი მზერა მოხვდა პირბადიან მანდილოსანს, რომელიც სწორედ იმ წუთს სასტუმროს კიბეზე ამოდიოდა: ნაგელს სახის გამომეტყველება მაშინვე შეეცვალა და თავზე იტაცა ხელი. თუმცა, რა არის აქ განსაკუთრებული? მასაც ისეთივე უფლება აქვს ესტუმროს ამ ქალაქს, როგორც ნაგელს. მას ეს სულ არ ეკითხება, ახლა სხვა რამეზე სჭირდება დაფიქრება, თუმცა მათ შორის ყველაფერი დამთავრებულია.
მაშინვე სცადა დამშვიდებულიყო, სკამზე დაჯდა, იატაკიდან გაზეთი აიღო და თვალიერება დაუწყო, თან ისეთი სახე მიიღო, თითქოს კითხულობსო, მაგრამ ერთი-ორი წუთიც არ გასულა, რომ სარამ კარი შემოაღო და გადასცა ბარათი, რომელზეც ფანქრით ეწერა `კამა~, მხოლოდ `კამა~. იგი ადგა და ძირს ჩავიდა.
მანდილოსანი დერეფანში იდგა, პირბადე არ მოეხსნა, ნაგელმა ხმაამოუღებლად დაუკრა თავი.

_ გამარჯობა, სიმონსენ! _ თქვა ქალმა მაღალი, მღელვარე ხმით, _ სიმონსენ, _ თქვა მან.
ნაგელი შეკრთა, მაგრამ მაშინვე მოეგო გონს და სარას უხმო:
_ სად შეიძლება შევიდეთ ერთი წუთით?
ისინი სასადილო დარბაზის გვერდით მდებარე ოთახში შეიყვანეს. ძლივს მოიკეტა მათ ზურგს უკან კარი, რომ მანდილოსანი მაშინვე ჩაეშვა სავარძელში. ძალზე აღელვებული ჩანდა.
მათი ბაასი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და გაუგებარი იყო, ნახევარსიტყვებიანი, რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ თვითონ იცოდნენ, გადაკრული სიტყვებიც ბევრი ერია, მათ წარსულს რომ შეეხებოდა. ისინი წინათაც ხვდებოდნენ და კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. პაემანი ერთ საათზე მეტხანს არ გაგრძელებულა, მანდილოსანი უფრო დანიურად ლაპარაკობდა, ვიდრე ნორვეგიულად.
_ მაპატიე, რომ ძველებურად სიმონსენი დაგიძახე, _ თქვა მან, _ ძველი, საყვარელი სახელია! მერე რა ძველი და საყვარელია! ყოველთვის, როცა კი ჩემთვის წარმოვთქვამ ამ სახელს, ცოცხალივით წარმომიდგები ხოლმე.
_ როდის ჩამოხვედით? _ ჰკითხა ნაგელმა.
_ სულ ახლახან, სულ რამდენიმე წუთის წინ, გემით ჩამოვედი... და ახლავე გავბრუნდები.
_ ახლავე?
_ გამიგონეთ, _ თქვა მან, _ თქვენ ხომ გიხარიათ, რომ ახლავე მივემგზავრები. ნუთუ ფიქრობთ, რომ ვერ ვამჩნევ ამას?.. მაგრამ რა ვუშველო ჩემს ძუძუს, მითხარით? აბა, შემახეთ ხელი... არა, ცოტა ზემოთ! რას ფიქრობთ ამაზე? თითქოს ცოტა უფრო ცუდად ვგრძნობ თავს, რამდენიმე ხანია, რაც მნიშვნელოვნად გამიუარესდა, ხომ მართალია? მაგრამ ეს სულერთია. რაო, ფეთხუმივით ხომ არ გამოვიყურები? თმა გაწეწილი ხომ არა მაქვს? შეიძლება ჭუჭყიანიცა ვარ, დიახ, ჭუჭყიანი, მე ხომ რამდენიმე დღეა გზაში ვარ... თქვენ კი არ შეცვლილხართ, ისევ ისეთი გულგრილი ხართ, ისევ ისეთი გულგრილი... სავარცხელი ხომ არ გაქვთ?
_ არა... რამ მოგაფიქრათ აქ ჩამოსვლა? რომ თქვენ...
_ იგივე, ზუსტად იგივე შემიძლია მეც შეგეკითხოთ, რამ მოგაფიქრათ ასეთ ადგილას შემოძრომა? ხომ არ ფიქრობთ, რომ ვერ გიპოვიდით?.. მომისმინე, შენ ხომ აგრონომად გიცნობენ, არა? ხა-ხა-ხა, სანაპიროზე შევხვდი რამდენიმე კაცს, რომელთაც მითხრეს, რომ აგრონომი ხარ და რომ რაღაც გაუკეთე ვინმე ფრუ სტენერსენს ბაღში. ალბათ, მოაწესრიგე წითელი მოცხარის ბუჩქები, ჟილეტიანი დაიარებოდი ბაღში და ზედიზედ ორი დღე წაიმუშავე. რა მშვენიერი იდეაა!.. ყინულივით ცივი ხელები გაქვს. ყოველთვის ასე მემართება, როცა ვღელავ, ახლა კი მართლაც აღელვებული ვარ. მაგრამ ცოტათი გებრალები კიდეც, თუმცა სიმონსენს გეძახი, როგორც ძველ დროს, თანაც მხიარული და კმაყოფილი ვარ. ჯერ კიდევ ამ დილით კაიუტაში ვიჯექი და ვფიქრობდი: როგორ შემხვდება იგი? დამიწყებს თუ არა `შენობით~ საუბარს მაინც და ნიკაპზე ხელს მომკიდებს თუ არა? თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე მოიქცეოდი, მაგრამ შევცდი. დაიმახსოვრეთ, გეთაყვა: მე სულაც არ ვითხოვ ეს ახლა გააკეთოთ. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამას. ძალზე გვიანაა, მე ეს აღარ მესაჭიროება. მითხარით, რატომ ზიხართ და შეუწყვეტლად ახამხამებთ თვალებს? იქნებ იმიტომ, რომ სულ სხვა რამეზე ფიქრობთ, როცა ლაპარაკობთ?
ნაგელმა მხოლოდ ეს უპასუხა:
_ დღეს მე ნამდვილად ცუდად ვარ, კამა. არ შეგიძლიათ უცებ მითხრათ, რისთვის მომინახულეთ? ამით დიდ სიკეთეს აღმომიჩენდით.
_ რისთვის მოგინახულეთ? _ წამოიძახა კამამ, _ ღმერთო ჩემო, რა საშინლად შეგიძლიათ შეურაცხყოთ ადამიანი! ხომ არ გეშინიათ, რომ ფულის თხოვნას დაგიწყებთ, მხოლოდ იმისათვის ჩამოვედი, რომ გაგძარცვოთ? სჯობია, გულახდილად მითხრათ, მართლა ასე ბნელი აზრები დაგებადათ თავში?.. რისთვის მოგინახულეთ? აბა, გამოიცანით! ნუთუ სულ დაგავიწყდათ დღეს რა დღეა, რომელი რიცხვი? იქნებ თქვენი დაბადების დღეც აღარ გახსოვთ?
კამა ქვითინით დაემხო მუხლებზე, ხელი სტაცა ორივე ხელზე და მკერდსა და სახეზე მიიკრა. ნაგელს საშინლად აუჩუყა გული ამ წარმტაცი სინაზის გამოხატულებამ, რომელსაც აღარ ელოდა: მან მკერდზე მიიკრა კამა და მუხლებზე დაისვა.
_ მე არ დამვიწყებია შენი დაბადების დღე, _ თქვა მან, _ ყოველთვის მახსოვს. შენ არც კი შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ ვტირი შენზე ღამღამობით! ვერ ვიძინებ, რადგან ფიქრები არ მაძლევს მოსვენებას... ისევ ისეთი ლალისფერი ბაგეები გაქვს, ჩემო ბიჭო! რაღა არ ვიფიქრე გემზე. შერჩა თუ არა ისევ ისეთი წითელი ბაგეები-მეთქი, ვფიქრობდი. რა მოუსვენრად მიგირბის თვალები აქეთ-იქით! თავი ხომ არ მოგაბეზრე? მაგრამ, საერთოდ, ისევ ის ნაგელი ხარ, თუმცა ისე შეშფოთებული იცქირები, თითქოს ზიხარ და მხოლოდ იმას ფიქრობ, რაც შეიძლება მალე მომიცილო თავიდან. გამიშვი, სჯობია, სკამზე დავჯდე შენ გვერდით, ასე, ალბათ, უფრო გესიამოვნება, ხომ მართალია? ბევრზე, ბევრ რამეზე უნდა გელაპარაკო, თანაც მეჩქარება, რადგან გემი მალე გავა. მაგრამ შენი გულგრილი სახე

მაძრწუნებს. რა უნდა გითხრა ისეთი, რომ გაიძულო უფრო ყურადღებით მომისმინო? ნამდვილად ერთი ბეწოთიც არა ხარ მადლობელი იმისათვის, რომ ეს დღე გავიხსენე და ჩამოვედი... ბევრი ყვავილი მიიღე საჩუქრად? რაღა თქმა უნდა, მიიღებდი! ფრუ სტენერსენმაც, ალბათ, გაგიხსენა. მითხარი, რანაირი გარეგნობისაა ეგ შენი ფრუ სტენერსენი, რომლისთვისაც აგრონომის როლს თამაშობ? ხა-ხა-ხა, რა ტყუილია!.. ყვავილებს მეც ჩამოგიტანდი, ფული რომ მქონოდა, მაგრამ სწორედ ახლა არა მაბადია რა. ოჰ, ღმერთო ჩემო, ცოტა ხანს, სულ რაღაც რამდენიმე წუთს კიდევ მომისმინე! როგორ შეიცვალა ახლა ყველაფერი. გახსოვს? თუმცა ეს, რაღა თქმა უნდა, აღარ გახსოვს და ტყუილადღა გაგახსენებ, მაგრამ იყო დრო, როცა შორიდანვე მიცნობდი ხოლმე შლაპის ფრთაზე და თვალს მოჰკრავდი თუ არა, მაშინვე ჩემს შესახვედრად გამოიქცეოდი. შენ თვითონვე მშვენივრად იცი, რომ ეს ასე იყო, ხომ მართალია? ეს ხომ ციხის მიწაყრილზე მოხდა. მაგრამ აღარ მახსოვს, რატომ წამოვიწყე შლაპის ფრთაზე ლაპარაკი? ოჰ, ღმერთო, მართლა დამავიწყდა, რად დავიწყე ამაზე საუბარი, მაგრამ მინდოდა ეს მომეტანა, როგორც მშვენიერი საბუთი შენს წინააღმდეგ... რა მოხდა? რატომ წამოხტით? ნაგელი წამოდგა, თითის წვერებზე გაიარა მთელი ოთახი და სწრაფად გამოაღო კარი.
_ სასადილოში გიხმობენ, სარა! _ უთხრა მან და გარეთ გაიხედა.
უკან რომ დაბრუნდა და ისევ დაჯდა სკამზე, კამას თავი დაუკრა და წასჩურჩულა:
_ მშვენივრად ვიცოდი, რომ გარეთ იდგა და კლიტის ჭუჭრუტანიდან გვითვალთვალებდა.
კამას მოუთმენლობა დაეტყო.
_ მერე რა, თუნდაც გვითვალთვალებდეს? _ თქვა მან, _ ვერ მეტყვით, გეთაყვა, რატომ მაინცდამაინც ახლა გაინტერესებთ ათასი სხვა რაიმე? აი, თხუთმეტი წუთია, რაც აქ ვზივარ, თქვენ კი ისიც არ გითხოვიათ, პირბადე ავიხადო. ახლა არ გაბედოთ, გეთაყვა, მაგის თხოვნა. თქვენ, ცხადია, ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა ძნელია საზამთრო პირბადეჩამოფარებული იჯდე ასეთ სიცხეში. ახია ჩემზე! აქ რატომ ჩამოვედი! მე ხომ გავიგონე, როგორ სთხოვეთ მოახლეს, რომ ერთი წუთით აქ შემოსვლის ნება მოეცა. მხოლოდ ერთი წუთით, უთხარით თქვენ. ეს, ცხადია, იმას ნიშნავდა, რომ ფიქრობდით თავიდან მოგეცილებინეთ ერთი-ორი წუთის შემდეგ. დიახ, დიახ, მე არ გსაყვედურობთ ამის გამო, ამით მხოლოდ საოცრად გულნატკენი ვარ. მაგრამ რა ვქნა?.. ან რატომ არ შემიძლია მოგასვენო? ვიცი, რომ შენს ჭკუაზე არა ხარ, რომ გიჟივით იცქირები... წარმოგიდგენია, ასე ლაპარაკობენ შენზე და ეს მართლა მჯერა. მაინც არ შემიძლია მოგასვენო. ექიმმა ნისენმა თქვა, რომ გიჟი ხარ და ღმერთიც ხედავს, რომ მთლად ჭკუაზე შეიშალე, რაკი ასეთ ალაგას დასახლდი და თანაც აგრონომად თავს ასაღებ. გაგონილა ასეთი ამბავი? თითზე ახლაც რკინის ბეჭედს ატარებ? უწინდებურად აღარ ეშვები ამ ჭყეტელა ყვითელ სამოსელს, რომელსაც სხვა, შენ მეტი, აღარავინ იცვამს...
_ მაშ, ექიმმა ნისენმა თქვა, რომ გიჟი ვარ? _ ჰკითხა ნაგელმა.
_ ექიმმა ნისენმა ეს პირდაპირ, დაუფარავად თქვა! გინდა იცოდე, ვის უთხრა?
ისევ დუმილი ჩამოვარდა. ერთი წამით ნაგელი დადუმდა. შემდეგ ისევ თავი ასწია და ჰკითხა:
_ გულახდილად მითხარით, კამა, შემიძლია თუ არა მცირეოდენი ფულადი დახმარება აღმოგიჩინოთ? თქვენ ხომ იცით, რომ შემიძლია ამის გაკეთება.
_ არასოდეს! _ წამოიძახა კამამ, _ არასოდეს, გესმით? რა უფლება გაქვთ, რომ ეგრე წარამარა შეურაცხმყოფთ?
ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.
_ არ ვიცი, _ უთხრა ნაგელმა, _ აქ რისთვის ვსხედვართ და მხოლოდ უსიამოვნებას ვაყენებთ ერთიმეორეს...
მაგრამ კამამ შეაწყვეტინა მას და ქვითინით დაიწყო ლაპარაკი, თანაც თავის სიტყვებს ვეღარ სწონიდა უკვე.
_ ვინ გაყენებს უსიამოვნებას? იქნებ მე? ღმერთო ჩემო, რა საოცრად შეიცვალე ამ რამდენიმე თვეში! მე აქ იმ მიზნით ჩამოვედი, რომ... სულაც აღარ მოველი ჩემი გრძნობების პასუხს, მშვენივრად იცი, მე არა ვარ ის ქალი, სიყვარულს რომ იხვეწება, მაგრამ ვიმედოვნებდი, ცოტა თავაზიანად მაინც მომექცევა-მეთქი. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა გაუხარელი და მწუხარეა ჩემი ცხოვრება! გულიდან უნდა ამომეგდე, მაგრამ არ შემიძლია, ისევ უკან დაგდევ და შენს ფეხთით ვემხობი. გახსოვს, ერთხელ დრამენსკეიზე მივსეირნობდით და ძაღლს ცხვირ-პირში ჩასცხე იმისათვის, რომ მე შემომხედა. ჩემი ბრალი იყო, შევკივლე. მეგონა, მიკბენს-მეთქი, მაგრამ ძაღლს კბენა კი არ უნდოდა, მხოლოდ თამაში სურდა თურმე და როცა დაარტყი, კი არ გაიქცა, მუცელზე გამოხოხდა და ჩვენს ფეხთით დაწვა. მაშინ შენ ისე შეგეცოდა ძაღლი, რომ იტირე, თავზე ხელს უსვამდი და ჩუმად ტიროდი, _ მე ეს მშვენივრად დავინახე. ახლა კი შენ არ ტირი, თუმცა... მაგრამ შედარებისთვის სულაც არ გამხსენებია ეს ამბავი. შენ, ცხადია, ვერც კი წარმოიდგენ, რომ ჩემი თავი ძაღლს შევადარო? მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა საოცრად ქედმაღალი ხარ. როცა ასეთ გამომეტყველებას მიიღებ, მაშინვე გიცნობ ხოლმე. გამჩნევ, იღიმები, დიახ, დიახ, იღიმები. თვალდათვალ დამცინი. ნება მიბოძე, გულახდილად გითხრა... ეჰ, არა,

არა, მომიტევე! მომიტევე! ისევ ისე სასოწარკვეთილი ვარ! შენს წინაშე დგას ქალი, რომლის ცხოვრება დამსხვრეულია უკვე, _ მთლად განადგურებული ვარ... მაშ, გამომიწოდე ხელი! ოჰ, რატომ არ შეგიძლია დაივიწყო ის პატარა დანაშაული. კარგად რომ ჩაუკვირდე, მაშინვე მიხვდები, რომ ეს მხოლოდ უმნიშვნელო შეცოდება იყო ჩემი. რა თქმა უნდა, ცუდად მოვიქეცი, შენთან რომ არ ჩამოვედი იმ საღამოს. ნიშანს ნიშანზე იძლეოდი, მე კი არ ჩამოვდიოდი, _ მაგრამ ღმერთია მოწმე, რომ დიდად ვინანიებ ამას! მაგრამ ის ჩემთან არ ყოფილა, როგორც შენ გეგონა: ის იქ ადრე იყო, მაგრამ იმწუთას კი იქ არ ყოფილა, იგი წავიდა. გულახდილად ვინანიებ ამას და გთხოვ, მომიტევო. მაგრამ მე უნდა გამეგდო იგი, დიახ, უნდა გამეგდო, ახლა ვაღიარებ ამას, სიამოვნებით ვაღიარებ ყველაფერს და არ უნდა... არა, არ მესმის... აღარაფერი მესმის!
დუმილი ჩამოვარდა. სიჩუმეში მხოლოდ კამას ქვითინი და დანა-ჩანგლის წკრიალი ისმოდა. კამა ისევ ტიროდა და ხელსახოცით ცრემლებს იწმენდდა პირბადის შიგნით.
_ აბა დაფიქრდი, რარიგ საცოდავი და უმწეოა, _ განაგრძო კამამ, _ ისიც კი არ შეუძლია, გარტყმაზე გარტყმითვე გიპასუხოს. ხანდახან მუშტებს მირტყამს მაგიდაზე და ჯანდაბაში მგზავნის, მლანძღავს და მეუბნება, რომ ვღუპავ მას. ამ დროს მეტისმეტად უხეშად მექცევა, მაგრამ ამის მერე ისე უბედური და საცოდავია, რომ ჩემი გაშვებაც კი ვერ გადაუწყვეტია. რა უნდა ვქნა, როცა ვხედავ, რომ ასე უძლურია? მეც თანდათან გადავდებ ჩემს გამგზავრებას შემდეგისთვის, თუმცა დალხინებული ცხოვრება როდი მაქვს... მაგრამ არ შემიცოდოთ: თქვენ იმასაც კი ბედავთ, რომ უსირცხვილო თანაგრძნობა გამომიცხადოთ. ის, ყოველ შემთხვევაში, ბევრს სჯობია და უფრო მეტ სიხარულს მანიჭებს, ვიდრე სხვა ვინმე, ვიდრე თუნდაც თქვენ. გულწრფელად მიყვარს იგი, ეს იცოდეთ. აქ იმისათვის კი არ ჩამოვედი, რომ მასზე ძვირი ვილაპარაკო. როგორც კი შინ დავბრუნდები და შევხვდები მას, მუხლად დაცემული გამოვთხოვ პატიებას იმის გამო, რომ აქ მასზე ვილაპარაკე. დიახ, ეს ასე იქნება!
_ ძვირფასო კამა, _ უთხრა ნაგელმა, _ ცოტა კეთილგონივრულად მაინც მოიქეცით, ნება მომეცით დაგეხმაროთ! მე მგონი, თქვენ ამას საჭიროებთ. არ გინდათ ნება დამრთოთ? რარიგ ცუდია, თუ უარს იტყვით, როცა ეს ასე ადვილად, ასე სიამოვნებით შემიძლია გავაკეთო.
ამ სიტყვების თქმისთანავე ნაგელმა ჯიბიდან საფულე ამოიღო.
კამამ გაცოფებით შესძახა:
_ განა ვერ გაიგონეთ, რომ გითხარით `არა~. ნუთუ დაყრუვდით!
_ მაშ, რა გნებავთ? _ ჰკითხა ნაგელმა გაკვირვებით.
კამა სკამზე დაჯდა და ტირილი შეწყვიტა. ჩანდა ინანიებდა თავის გაცხარებას.
_ მომისმინეთ, სიმონსენ. ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ გიწოდოთ სიმონსენი... თუ არ გაგულისდებით, მინდოდა თქვენთვის რაღაც მეთქვა... აბა, რას ჰგავს, ასეთ მიყრუებულ ადგილას რომ დასახლებულხართ? ყველა წმინდანის გულისათვის, ერთი მითხარით, რისთვის აკეთებთ ამას? ამის შემდეგ რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ შეშლილს გეძახიან? ისიც კი დამავიწყდა, რა ჰქვია ამ ქალაქს, უნდა დავფიქრდე, რომ მოვიგონო, ისე პატარაა. თქვენ კი ცხოვრობთ აქ, თამაშობთ კომედიას და ობივატელებს აცვიფრებთ თქვენი უცნაური საქციელით! ნუთუ არ შეგიძლიათ სხვა რაიმე უკეთეს გზას დაადგეთ?.. თუმცა ეს სულაც არაა ჩემი საქმე, ამას გეუბნებით მხოლოდ ძველი... არა, მირჩიეთ, რა ვუყო ამ ძუძუს? ლამისაა გამისკდეს! ხომ არ თვლით საჭიროდ, რომ ისევ ექიმს მივმართო? მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, როგორ მივმართო ექიმს, როცა ჯიბეში ერთი ერეც არ მიგდია?
_ ჰოდა, მთელი გულით მინდა დაგეხმაროთ, გესმით? შემდეგ როგორმე შეძლებთ დამიბრუნოთ.
_ ეჰ, არსებითად ერთი და იგივეა, ექიმს მივმართავ თუ არა, _ ჯიუტი ბავშვივით განაგრძობდა კამა, _ ვინ დამინანებს, როცა მოვკვდები?
მაგრამ უცებ შეიცვალა საუბრის კილო, სახის გამომეტყველება და თითქოს ახლაღა გამოერკვაო, თქვა:
_ თუ კარგად ავწონ-დავწონით საქმეს, რატომ არ უნდა მივიღო თქვენი ფული? რატომ არ უნდა მივიღო ის ახლა, ადრე თუ ვიღებდი? მე სულაც არა ვარ ისე მდიდარი, რომ ამის გამო... დიახ, მაგრამ საქმე ისაა, რომ რამდენჯერმე შემირჩიეთ ისეთი მომენტი, როცა გულმოსული ვიყავი, ასე რომ, წინასწარ იცოდით, უარს ვიტყოდი მასზე. დიახ, დიახ, იცოდით! თქვენ ეს ზუსტად გაითვალისწინეთ, რომ ფული დაგეზოგათ, თუმცა ის ახლა ასე ბლომად გაქვთ: გგონიათ, ვერ შეგნიშნეთ? და თუ ახლა ერთხელ კიდევ შემომთავაზებთ მას, ამასაც იმიტომ გააკეთებთ, რომ დამამციროთ და გაიხაროთ, ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქნა აიღოო. მაგრამ რას ვიზამ, მე მაინც გამოგართმევთ ფულს და მადლობელი დაგრჩებით ამის გამო. ღმერთმა ხომ უწყის, არ მინდოდა დახმარება მეთხოვა შენთვის! გაიგეთ, რომ დღეს ამის გამო სულაც არ ჩამოვსულვარ აქ, ფულისათვის როდი ჩამოვედი, _ გინდ დამიჯერეთ და გინდა _ არა, არ შემიძლია ვირწმუნო, თითქოს ისე დაეცით, რომ ეს გაიფიქრეთ... მაგრამ რამდენი შეგიძლიათ მასესხოთ, სიმონსენ?
_ რამდენი გჭირდებათ?

_ რამდენი მჭირდება!.. აჰ, ღმერთო ჩემო. გემი ხომ უჩემოდ არ წავა?.. მე, ცხადია, ბევრი მჭირდება, მაგრამ... ვთქვათ, რამდენიმე ასი კრონი, თუმცა...
_ მომისმინეთ, თქვენ სულაც არ იგრძნობთ თავს დამცირებულად, ეს ფული რომ მიიღოთ. თუ გსურთ, ამ ფულს გამოიმუშავებთ ჩემთან. შეგიძლიათ არაჩვეულებრივი დიდი სამსახური გამიწიოთ, თუკი გავბედავ და გთხოვთ...
_ თუკი გაბედავ და მთხოვ? _ წამოიძახა სიხარულით გადარეულმა კამამ, რაკი ასეთი გამოსავალი ნახა,
_ ღმერთო, როგორ შეგიძლია ამის თქმა! რა სამსახური? რა სამსახური, სიმონსენ? ყველაფრისთვის მზადა ვარ! ო, ჩემო ძვირფასო ბიჭო!
_ ორმოცდახუთი წუთი კიდევ დაგრჩათ გემის გასვლამდე...
_ დიახ, დიახ. მერედა, რა უნდა გავაკეთო?
_ უნდა წაბრძანდეთ ერთ მანდილოსანთან და აღასრულოთ ჩემი დავალება. იგი ცხოვრობს სანაპიროზე, ერთსართულიან პაწია სახლში. ფანჯრებზე ფარდები არა აქვს ჩამოკიდებული, მაგრამ რაფებზე, ჩვეულებისამებრ, თეთრი ყვავილებიანი ქოთნები დგას. ამ მანდილოსანს ჰქვია მართა გუდე, ფრეკენ გუდე.
_ მაშ, ეს ისაა... მაგრამ, ჩანს, ეს არაა ფრუ სტენერსენი?
_ მომისმინეთ, თქვენ ცდებით. ფრეკენ გუდე, ალბათ, ორმოციოდე წლის იქნება, მაგრამ მას აქვს სკამი, ძველი სავარძელი, რომელიც მსურს აუცილებლად შევიძინო და თქვენ უნდა დამეხმაროთ ამაში. შეინახეთ ახლა ეს თქვენი ფული და მე ამასობაში ყველაფერს აგიხსნით.
ირიჟრაჟა. სასტუმროს მცხოვრებნი ხმაურით გამოდიოდნენ სასადილო დარბაზიდან, ნაგელი კი ისევ იჯდა და დაწვრილებით უხსნიდა კამას ყველაფერს, საჭიროა ცოტა ფრთხილად მოქმედება, განსაკუთრებული აფექტაციის გარეშეო. კამა თანდათან გამოცოცხლდა. ამ საეჭვო დავალებას აღტაცებაში მოჰყავდა და მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, უნდოდა, რაც შეიძლება მალე მოეკიდა ხელი საქმისათვის. ხმამაღლა კისკისებდა და სულ კითხულობდა, გადაცმა ხომ არ დამჭირდება, ყოველ შემთხვევაში, სათვალეს გავიკეთებო. ოდესღაც წითელი შლაპა გქონდა და ახლა ხომ არ დავიხუროო.
_ არა, არაა საჭირო თვალთმაქცობა. თქვენ მხოლოდ უნდა მიბრძანდეთ და სავარძელში გარკვეული თანხა შესთავაზოთ, ფასი თანდათან აუწიოთ ორას კრონამდე, შეგიძლიათ ორას ოც კრონამდე ახვიდეთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ სავარძელი თქვენ არ დაგრჩებათ, თქვენ მას ვერ მიიღებთ.
_ ღმერთო ჩემო, რამდენი ფულია! რატომ არ მივიღებ ამ სავარძელს ორას ოც კრონად?
_ იმიტომ, რომ ადრე მე ვევაჭრე.
_ მაგრამ სიტყვაზე რომ დამიჭიროს?
_ ვერ დაგიჭერთ. მაშ, თანახმა ბრძანდებით?
უკანასკნელ წუთს კამამ ისევ სავარცხელი სთხოვა ნაგელს და სინანული გამოთქვა, კაბა დამეჭმუჭნაო.
_ მაგრამ იცოდეთ, რომ არ მსურს მაგ ფრუ სტენერსენთან ხშირად იმყოფებოდეთ, _ უთხრა მან განაზებით, _ ამას ვერ შევურიგდები, მეტისმეტად უნუგეშო დავრჩები მაშინ.
და კამამ ერთხელ კიდევ შეამოწმა, ფული კარგად შევინახე თუ არაო.
_ რა საყვარელი ხარ, ამდენი ფული რომ მომეცი! _ წამოიძახა მან.
სწრაფად აიწია პირბადე და აკოცა ნაგელს ტუჩებში, პირდაპირ ტუჩებში, მაგრამ კამა მაინც მთლად შთანთქმული იყო ამ დავალებით და ჰკითხა ნაგელს:
_ როგორ გაცნობო, ყველაფერი კარგად რომ დასრულდეს? კაპიტანს ვთხოვ, ოთხჯერ ან ხუთჯერ ააყვიროს გემი, როგორ ფიქრობ? ხედავ, არც ისე სულელი ვარ. შეგიძლია მენდო! დიახ, როგორ არ გავაკეთო ეს შენთვის, როცა შენ... მაგრამ მომისმინე, მერწმუნე, მე აქ დღეს ფულისთვის არ ჩამოვსულვარ! ახლა კი ნება მიბოძე ერთხელ კიდევ გადაგიხადო მადლობა! ნახვამდის, ნახვამდის! კამამ ერთხელ კიდევ მოსინჯა ფული.
ნახევარი საათის შემდეგ ნაგელს მართლაც შემოესმა გემის საყვირის ხმა, ხუთი მოკლე-მოკლე ნიშანი ერთიმეორეს მიყოლებით.

XIII

განვლო ორმა დღემ.
ნაგელი შინ იჯდა, ხან კი დამწუხრებული სცემდა ბოლთას ოთახში, სახე გაწამებული, ავადმყოფური ჰქონდა. თვალები მთლად ჩაუქრა ამ ორ დღეში. ხმას აღარავის სცემდა, სასტუმროს მოახლესაც კი აღარ ელაპარაკებოდა. ერთი ხელი შეხვეული ჰქონდა. ერთ ღამეს, ჩვეულებისამებრ, დიდხანს იხეტიალა და გათენებისასღა დაბრუნდა შინ ცხვირსახოცით შეხვეული ხელით. თქვა, ნავმისადგომში ფარცხზე დავეცი და ხელი ორ ადგილას დავიშავეო.

ხუთშაბათ დილას წვიმა წამოვიდა და საზიზღარმა ამინდმა კიდევ უფრო წაუხდინა გუნება ნაგელს, მაგრამ მან საწოლშივე წაიკითხა გაზეთები თუ არა და გაიცინა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გამართულ მშფოთვარე სცენაზე, უეცრად თითები გაატკაცუნა და წამოხტა ლოგინიდან. დალახვროს ეშმაკმა! ქვეყანა დიდია, მდიდარი და მხიარული, ქვეყანა მშვენიერია და გული განა ასე უნდა გაიტეხოს კაცმა.
ჩაცმა არც კი დაემთავრებინა, რომ ნაგელმა დარეკა და უთხრა სარას, მინდა საღამოზე რამდენიმე სტუმარი მოვიწვიო, _ ექვსი-შვიდი კაცი, რომელთაც შეუძლიათ იმხიარულონ ამ ჩვენს ცოდვილ მიწაზეო, _ გულგაუტეხელი, მხიარული ადამიანები: ექიმი სტენერსენი, ვექილი ჰანსენი, ადიუნქტი და სხვები. ნაგელმა მაშინვე დაგზავნა მოსაწვევი ბარათები. მინუტმა უპასუხა, მოვალო. რწმუნებული რაინერტიც მოიპატიჟა, მაგრამ არ მოვიდა. ხუთ საათზე ყველანი შეიკრიბნენ ნაგელის ოთახში. რახან წვიმა ისევ მოდიოდა და მოღუშული ამინდი იდგა, ფარდები ჩამოუშვეს და ლამპები აანთეს. ჰოდა, დაიწყო ბაკქანალია ხმაურითა და ღრიანცელით, გულისწამღები ჯოჯოხეთური ყვირილით. პატარა ქალაქი დიდი ხნის მერეც კიდევ ლაპარაკობდა ამ ქეიფზე...
როგორც კი მინუტი გამოჩნდა, ნაგელი მაშინვე წინ შეეგება და მოუბოდიშა, ბევრი სისულელე ვიყბედე უკანასკნელ შეხვედრაზეო. მან მხურვალედ ჩამოართვა ხელი და წარუდგინა ახალგაზრდა სტუდენტ ეიენს, ერთადერთ სტუმარს, რომელიც ჯერ კიდევ არ იცნობდა მას. მინუტმა მადლობა გადაუხადა ნაგელს ახალი შარვლისათვის. ის ახლა თავიდან ფეხებამდე ახალთახალ ტანსაცმელში გამოწყობილი იყო.
_ მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ ჟილეტი არ გაქვთ.
_ არა, არავითარ აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს. მე ხომ რომელიმე გრაფი არა ვარ, გარწმუნებთ, ჟილეტი სულაც არ მჭირდება.
ექიმ სტენერსენს სათვალე გასტეხოდა და ახლა უზონარო პენსნეს ატარებდა, რომელიც წამდაუწუმ უვარდებოდა ცხვირიდან.
_ არა, რაც გნებავთ, ბრძანეთ, _ თქვა მან, _ მაგრამ მაინც გათავისუფლების ეპოქაში ვცხოვრობთ: მარტო არჩევნების ნახვა რადა ღირს. მოდი და წინანდელ არჩევნებს შეადარე ეს არჩევნები.
ყველა მაგრად გადაკრულში იყო: ადიუნქტი უკვე ერთმარცვლიანი სიტყვებით ლაპარაკობდა, ეს კი უტყუარი ნიშანი გახლდათ, მაგრამ ვექილმა ჰანსენმა, რომელსაც აქ მოსვლამდე, ალბათ, რამდენიმე ჭიქა გადაეხუხა უკვე, ჩვეულებისამებრ, კამათი დაუწყო ექიმს და, საერთოდ, ათასგვარ სისულელეს ჩმახავდა.
_ მე, ჰანსენი, _ ამბობდა იგი, _ სოციალისტი გახლავართ, თუ შეიძლება ასე ითქვას, და ცოტა შორს ვიხედებიო. ამ არჩევნებით სულაც არა ვარ კმაყოფილი და რომელ გათავისუფლებაზეა ლაპარაკიო. მაგას ვინ მეტყვის, ეშმაკსაც წაუღია ეგ არჩევნებიო. დიახ, რაღა მეთქმის, კაი გათავისუფლების ეპოქაა, ღმერთმანი! განა ისეთი ადამიანიც კი, როგორიც გლადსტონია, საცოდავი თავგამოდებით არ ებრძვის პარნელს მორალური ხასიათის, უბრალო, სასაცილო მიზეზთა გამო, ჯანდაბამდე გზა გქონიათო!
_ რა სისულელეს ჩმახავთ! _ დაუყვირა მაშინვე ექიმმა, _ განა საგნებს მორალი არ უნდა გააჩნდეს. ხალხმა რომ გაიგოს, რომ მათ მორალი არ გააჩნიათ, რამდენი აღმოჩნდება ისეთი, რომელნიც გადაწყვეტდნენ შებღალონ იგი! საჭიროა შეაცდინო ადამიანები, მიიტყუო ისინი განვითარების გზაზე და ყოველთვის პატივი სცე მორალს, _ ექიმი მუდამ მაღლა აყენებდა პარნელს, მაგრამ რაკი ეს გლადსტონს შეუძლებლად მიაჩნია, მაშინ მართლაც არ შეიძლება არ დაეთანხმო, რადგან ეს კაცი რაღაცას გულისხმობს ამაშიო. სხვათა შორის, მე ამ გამონაკლისს ვუშვებ ბატონი ნაგელის გულისათვის, ჩემი პატივცემული ბატონის გულისათვის, რომელსაც არ შეუძლია მიუტევოს გლადსტონს უდიდესი გულწრფელობაო. ხა-ხა-ხა, ო, ღმერთო მოწყალეო... სიტყვამ მოიტანა, ბატონო ნაგელ და, მგონი, მაინცდამაინც არც ტოლსტოის სწყალობთ, არა? ფრეკენ ჰელანმა მითხრა, რომ თქვენც ოდნავი ეჭვი შეგაქვთ მის შეფასებაში.
ნაგელი ამ დროს სტუდენტ ეიენთან ლაპარაკობდა, იგი უცებ მობრუნდა და მიუგო:
_ აღარ მახსოვს, რა ვუთხარი ფრეკენ ჰელანს ტოლსტოიზე. მე ის უდიდეს მწერლად მიმაჩნია, მაგრამ როგორც ფილოსოფოსი, სულელია... _ რამდენიმე ხნის შემდეგ კი დასძინა, _ იმედი მაქვს, უფლება გვაქვს ამ საღამოს მაგარი გამოთქმები ვიხმაროთ, თუკი ამას საჭიროდ დავინახავთ. ჩვენ ხომ მამაკაცთა კამპანიაში ვიმყოფებით, უქალო ქეიფზე. ასე არაა? ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, რომ მზადა ვარ ყველაფერს თათი დავცხო და ვიღრიალო.
_ რა თქმა უნდა! _ მიუგო ექიმმა გაბედულად, _ ტოლსტოი სულელია.
_ დიახ, დიახ, გადმოვყაჭოთ ჩვენ-ჩვენი აზრი, _ უეცრად წამოიძახა ადიუნქტმა.
ადიუნქტმა უკვე მიაღწია სიმთვრალის გარკვეულ საზღვარს და ახლა ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

_ არავითარი შეზღუდვა, ექიმო, თორემ კინწისკვრით გაგიძახებთ აქედან. ყველას საკუთარი აზრი აქვს. აი, მაგალითად, სტეკერი აშკარა არამზადაა. მე დავამტკიცებ ამას... დავამტკიცებ!
ეს რომ თქვა, ყველამ გადაიხარხარა და რამდენიმე წუთი გავიდა, ვიდრე შეძლებდნენ სიტყვა ისევ ტოლსტოიზე ჩამოეგდოთ.
_ იგი დიდი მწერალია და დიდი მოაზროვნე.
ნაგელი უეცრად აენთო:
_ ტოლსტოი სულაც არაა დიდი მოაზროვნე! თავისი ხასიათითა და თვისებით ჩვეულებრივი ჭკუის პატრონია, მისი მოძღვრება კი სულის საცხონებელ ალილუიაზე უფრო ღრმა როდია. ვინმე უბრალო წარმოშობის რუსი რომ ყოფილიყო, არა ჰქონოდა ძველისძველი, ცნობილი გვარი და მილიონები, საეჭვოა ტოლსტოის სახელი გაეთქვა მხოლოდ იმის გამო, რომ რამდენიმე გლეხს ფეხსაცმელების დაკერება ასწავლა... თუმცა, სჯობია, ვიმხიარულოთ... თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო გრიგორ.
ხანგამოშვებით ნაგელი ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით სარგებლობდა, რომ მინუტისთვის ჭიქა მიეჭახუნებინა ჭიქაზე და, საერთოდ, მთელი საღამო მას დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. ნაგელმა ისევ გაიხსენა თავისი სულელური ყბედობა მათი უკანასკნელი შეხვედრის დროს და სთხოვა მინუტს, დაევიწყებინა.
_ ყოველ შემთხვევაში, სულაც არ მაფრთხობს მე თქვენი აზრები, _ უთხრა ექიმმა და არაბუნებრივი პოზა მიიღო ამის თქმაზე.
_ ხანდახან საწინააღმდეგოს თქმის სურვილი მეტისმეტად მომივლის ხოლმე, _ განაგრძო ნაგელმა, _ დღეს კი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ვგრძნობ ამისკენ. ეს ცალკერძ იმითაცაა გამოწვეული, რომ მესამე დღეა, რაც უსიამოვნო განცდები მაწამებს, რამაც საკმაოდ ძლიერ იმოქმედა ჩემზე, ნაწილობრივ ეს საზიზღარი ამინდიც ახდენს ჩემზე გავლენას... თქვენ, ბატონო ექიმო, ეს კარგად გესმით და გთხოვთ, მომიტევოთ... მაგრამ დავუბრუნდეთ ტოლსტოის. მე არაფრით არ შემიძლია იგი გენერალ ბუტზე დიდ მოაზროვნედ მივიჩნიო. ორივენი მოქადაგენი არიან, მოაზროვნენი კი არა, მოქადაგენი. ისინი ავრცელებენ მზა პროდუქციას, პოპულარიზაციას უწევენ რაიმე მზა აზრს, ხელმისაწვდომად მიაქვთ ის ხალხთან და კორიანტელს აყენებენ ქვეყანაზე, მაგრამ რაკი გავრცელებაა, ბარემ გამორჩენაც იყოს, ტოლსტოი კი საოცრად ზარალობს. იყო და არა იყო რა, იყო ორი მეგობარი, რომელნიც ერთხელ დანაძლევდნენ. ერთმა უთხრა, თორმეტ გროშს ნაძლევს ჩამოვდივარ, _ ოც ნაბიჯზე დადექი, ხელში კაკალი დაიჭირე, მე კი გესვრი და ისე გაგაგდებინებ, არაფერს დაგიშავებო. კარგიო, უთხრა მეორემ. ესროლა პირველმა და ტყვიით ხელი გაუხვრიტა, მაგრამ ეს ძალზე ლამაზად გამოუვიდა. უბედურმა კაცმა კი უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და შესძახა, ნაძლევი წააგე, მომეცი თორმეტი გროშიო, და მიიღო თორმეტი გროში. ხა-ხა-ხა! მომეცი თორმეტი გროშიო, _ უთხრა მან. აჰ, ეს ტოლსტოი. წელზე ფეხს იდგამს, რომ საბოლოოდ დააშროს ადამიანური ცხოვრების ყოველგვარი წყარო და უფლისა და მოყვასისადმი სიყვარულით გატენოს მთელი ქვეყანა. მე ვწითლდები ამის გამო. რომ ვთქვათ, რომელიმე აგრონომი წითლდება გრაფის მაგიერო, შეიძლება თავხედობადაც კი მოგეჩვენოს, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა... ამაზე ხმასაც არ ამოვიღებდი, ტოლსტოი ყრმა რომ იყოს, რომელსაც სურს დასძლიოს ცდუნება და იბრძოლოს, რათა ქვეყნად სიკეთე და წესიერი ცხოვრება იქადაგოს. მაგრამ ის ხომ ბერიკაცია, მისი ცხოვრების ყოველგვარი წყარო დამშრალა და ადამიანური ვნებების ნიშანწყალიც კი აღარ შერჩა. მაგრამ შემედავებიან, მის მოძღვრებასთან ამას არავითარი კავშირი არა აქვსო! არა, ამას პირდაპირი კავშირი აქვს მის მოძღვრებასთან! იმის შემდეგ, რაც კაცი გასუქდება და განცხრომას მიეცემა, როცა მოყირჭდება ამქვეყნიური სიამოვნებანი, მიდის ჭაბუკთან და ეუბნება: `უარყავი!~ ჭაბუკი ჩაფიქრდება ამაზე, თავს იმტვრევს და მიხვდება, რომ ეს მხოლოდ საღვთო წერილის სიტყვებსა ჰგავს, მაგრამ ჭაბუკი მაინც არ ამბობს უარს ცხოვრების სიხარულზე, იგი დიდებულად ხედავს ორმოცი წლის მანძილზე. ასეთია გზა ბუნებისა! მაგრამ როცა გავა ორმოცი წელი და ჭაბუკი თვითონაც მოხუცად იქცევა, მაშინ ისიც შეკაზმავს თავის ლურჯ ფაშატს, გაძვალტყავებული ხელით ჯვრის დროშას აღმართავს, გზას გაუდგება, ქვეყანას გააყრუებს ხმამაღალი სამოძღვრობო დარიგებით და ჭაბუკებს მოუწოდებს, განდგნენ ამ ცხოვრებისგან. ხა-ხა-ხა! ეს ხომ კომედიაა, რომელიც დაუსრულებლად მეორდება. ტოლსტოი დიდად მართობს, აღტაცებული ვარ, რომ ამ ბერიკაცს ასე ბევრი სიკეთის ჩადენა კიდევ შეუძლია; ბოლოს და ბოლოს ის, ცხადია, სამოთხის ნეტარების ღირსი შეიქმნება, მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ მაინც იმეორებს იმას, რასაც უკვე მანამდე ბევრი სხვა ბერიკაცი აკეთებდა და მის შემდეგაც ბევრი მოხუცი კიდევ გააკეთებს. აი, ესაა მთელი საქმე!
_ ნება მიბრძანეთ, მხოლოდ ერთი რამ შეგახსენოთ, _ ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ. სახელდობრ ის, რომ ტოლსტოიმ თავი გამოიჩინა, როგორც გაჭირვებულთა და ჩაგრულთა ჭეშმარიტმა მეგობარმა. ეს თქვენთვის არაფერს ნიშნავს? მიჩვენეთ თუნდაც ერთი ცნობილი პიროვნება, რომელსაც პატარა, უბრალო ადამიანი ისე აინტერესებდეს, როგორც მას. მგონი, ფრიად ქედმაღლური აზრია, ტოლსტოის მოძღვრება სულელურად მივიჩნიოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მიმდევრები არ გამოუჩნდნენ.

_ ყოჩაღ, ექიმო! _ წამოიყვირა ისევ ადიუნქტმა, სახე რომ მთლად ანთებოდა, _ ყოჩაღ! მაგრამ ილაპარაკეთ უფრო მკვახედ, უფრო უხეშად, ყველას უფლება აქვს გამოთქვას თავისი აზრი. ეს ქედმაღლური _ ჭეშმარიტად ქედმაღლური აზრია! მე დავამტკიცებ ამას...
_ თქვენი სადღეგრძელო იყოს, _ თქვა ნაგელმა, _ ნუ დავივიწყებთ, აქ რისთვის ვიმყოფებით. ნუთუ იმისი თქმა გნებავთ, ექიმო, რომ როცა ერთი მილიონი კაპიტალის მფლობელი კაცი ათკრონიანს იძლევა საჩუქრად, მისმა საქციელმა დიდი აღტაცება უნდა გამოიწვიოს? არ მესმის არც თქვენი და არც დანარჩენებისა, ალბათ, როგორღაც სხვაგვარად ვარ შექმნილი. მომკალით და ვერ დაგეთანხმებით, რომ ვინმე _ მით უმეტეს, მდიდარი კაცი _ აღტაცებას იწვევდეს წყალობის გაღებისთვის.
_ კარგადაა ნათქვამი! _ შენიშნა ვექილმა, თითქოს ნაგელს აგულიანებსო, _ სოციალისტი გახლავართ და მეც სწორედ ეგ აზრი მიტრიალებს თავში.
მაგრამ ექიმი ამან გააგულისა და შესძახა ნაგელს:
_ ნება მიბოძეთ, გკითხოთ, კარგად კი იცით, ტოლსტოი ყოველდღიურად რამდენს სწირავს ღატაკთა სასარგებლოდ? უქალო საზოგადოებაშიც კი საჭიროა დავიცვათ იმის საზღვრები, რის თქმაც შეიძლება.
_ ტოლსტოისთვის კი ეს ასეა: საჭიროა განსაზღვრული იყოს, რამდენი მომცეს! აი, რატომ დააკისრა თავის მეუღლეს თვალყური ედევნებინა იმისათვის, რომ ტოლსტოის საჭიროზე მეტი არ გაეცა. ხა-ხა-ხა, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე... მაგრამ მომისმინეთ: რა ამოძრავებს ადამიანს, როცა კრონს იძლევა, ამას გულკეთილობით სჩადის თუ სურს კეთილი და მორალური საქციელი აღასრულოს? რა გულუბრყვილოა ამგვარი მსჯელობა. არიან ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ, მოწყალება არ გაიღონ. რატომ? იმიტომ, რომ ამ დროს ისინი დიდ სულიერ ნეტარებას განიცდიან. მათი საქციელი ლოგიკური მსჯელობის შედეგი როდია, ამას ისინი ჩუმად სჩადიან ხოლმე, ეზიზღებათ ეს აშკარად მოიმოქმედონ, რადგან ამით გარკვეული კმაყოფილება დააკლდებათ. ისინი მოწყალებას იძლევიან ფარულად, აკანკალებული ხელით, ჩქარობენ და ამ დროს გული ისეთი ნეტარებით ევსებათ, რომლისაც თვითონაც არა გაეგებათ რა. მათ უეცრად მოუვლით სურვილი რაიმეს გაცემისა. ეს უცნაური გრძნობის სახით ებადებათ გულში და ეს მათთვის ისე საოცარი მოთხოვნილებაა, რომ ცრემლები ადგებათ თვალებზე. ისინი მოწყალებას იმიტომ კი არ იღებენ, რომ კეთილნი არიან, თავიანთ გულისწადილს მისდევენ, პირადი ნეტარებით რომ დატკბნენ. ასეთია ზოგიერთი ადამიანი. ხელგაშლილ ადამიანებზე აღტაცებით ლაპარაკობენ, მე კი, როგორც უკვე გითხარით, ალბათ, სულ სხვაგვარი შემქმნა ბუნებამ, _ არ მიკვირს მაგ ხელგაშლილთა გულუხვობა. არა, არ მიკვირს! აბა მითხარით, დალახვროს ეშმაკმა, ვინ არ ირჩევდა მოწყალება გაეღო და არ ემათხოვრა? ნება მიბოძეთ, გკითხოთ, იქნება კი დედამიწის ზურგზე ისეთი ადამიანი, რომელიც არ ირჩევდა დახმარება გაეწია გაჭირვებულთათვის იმის ნაცვლად, რომ თვითონ ყოფილიყო გაჭირვებული? აი, თუნდაც თქვენი მაგალითი ავიღოთ, ბატონო ექიმო: ამას წინათ მენავეს მდინარეზე გადაყვანისათვის მიეცით ხუთი კრონი. ეგ სულ შემთხვევით გავიგე. აბა მითხარით, რად მიეცით მას ეს ხუთი კრონი? ცხადია, იმისთვის არა, რომ ღვთის სასურველი საქციელი ჩაგედინათ, ალბათ, მაშინ ამგვარი აზრი სულაც არ მოგსვლიათ თავში, თანაც მენავე არცთუ ისე გაჭირვებული იყო, მაგრამ თქვენ მაინც მიეცით მას ხუთი კრონი. ალბათ, იმ წუთს მკვეთრად გამოხატული იმპულსით მოქმედებდით, სხვისთვის რაიმე მიგეცათ და გაგეხარებინათ. ენით გამოუთქმელ უბედურებად და უხამსობად მიმაჩნია, როცა ასე გატაცებულნი არიან ადამიანური ქველმოქმედებით. ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს მიბრძანდებით ქუჩაში და ხვდებით ვიღაც-ვიღაც ადამიანებს და ყოველივე ეს გარკვეულ გუნებაზე გაყენებთ. უეცრად თვალში შემოგეფეთებათ სახე _ სახე ბავშვისა, სახე _ მათხოვრისა _ ვთქვათ, მათხოვრისა, _ და შეგაძრწუნებთ. თქვენს სულს შეიპყრობს რაღაც უცნაური გრძნობა და გამწარებით დაჰკრავთ ფეხს მიწაზე, უეცრად შეჩერდებით. ამ სახემ თქვენს სულში რომელიღაც უჩვეულოდ გრძნობიერი სიმი ააჟღერა და აი თქვენ მიუტრიალდით მათხოვარს ჭიშკრის მახლობლად და ხელში ათი კრონი ჩასჩარეთ. `სადმე ლაპარაკი რომ დაიწყო ამაზე, ერთი სიტყვაც რომ წამოგცდეს ვინმესთან, იცოდე, მაშინვე გაგათავებ!~ _ ჩასჩურჩულებთ და ამ დროს ლამის კბილები დააღრჭიალოთ და ატირდეთ მეტისმეტი მღელვარებისაგან. ზოგიერთთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მათი საქციელი საიდუმლოდ დარჩეს. ამგვარი რამ შეიძლება დღითი დღე გამეორდეს, ხშირ შემთხვევაში თვითონვე აღმოჩნდეს უხერხულ მდგომარეობაში და ჯიბეში ერთი ერეც აღარ დარჩეს... ეს, რა თქმა უნდა, პირადად მე სულაც არ მახასიათებს, მაგრამ ვიცნობ ერთ კაცს, სულ სხვა კაცს, სიმართლე რომ ვთქვა, ორ ასეთ ადამიანსაც ვიცნობ, ასეთები რომ დაბადებულან... არა, ადამიანები წყალობას იძლევიან იმიტომ, რომ გაცემის მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ, მორჩა და გათავდა! მაგრამ ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენენ ხარბები. ხარბი და ქვაწვია ადამიანები ნამდვილად დიდ მსხვერპლს გაიღებენ, როცა იძლევიან რაიმეს, _ ამაში ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს. ამიტომაც ვიტყვი, რომ ისეთი ადამიანები, რომელთაც თავიანთ თავს დიდი ძალა უნდა დაატანონ, რომ ერთი ერე აჩუქონ ვინმეს,

უფრო დიდ პატივისცემას იმსახურებენ, ვიდრე თქვენ, მე ან სხვა ზოგიერთი, საკუთარი გულისწადილის ასასრულებლად თითო კრონობით ფულს აქეთ-იქით რომ ფანტავს ხოლმე. მოწიწებით მიესალმენით ტოლსტოის და უთხარით, რომ ერთ გახვრეტილ გროშსაც არ მივცემ მის მთელ მოჩვენებით გულკეთილობაში, ვიდრე ყველაფერს არ გასცემს, რაც გააჩნია, თუმცა შეიძლება მაშინაც... მაგრამ მომიტევეთ, თუ გაწყენინეთ ვინმეს. თითო სიგარა კიდევ გავაბოლოთ, ბატონო გრიგორ. თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო ექიმო!
დუმილი ჩამოვარდა.
_ როგორ გგონიათ, რამდენ ადამიანს მოაქცევთ თქვენს სარწმუნოებაზე მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე? _ ჰკითხა ექიმმა.
_ ყოჩაღ! _ წამოიყვირა ადიუნქტმა, _ ადიუნქტი ჰოლტანი იწონებს თქვენს ნათქვამს, ყოჩაღ!
_ რამდენს? _ იკითხა ნაგელმა, _ არავის, არც ერთ ადამიანს. მე რომ სხვა ადამიანებს ვუცვლიდე რწმენას, აქამდე შიმშილით გამძვრებოდა სული. ერთი რამ კი ვერ გამიგია, სხვა ადამიანებს ისეთივე შეხედულებები რატომ არ აქვთ საგნებსა და მოვლენებზე, როგორიც მე? მაშასადამე, ალბათ, მეტწილად თვითონ მე ვტყუი, მაგრამ მთლად არ ვტყუი, შეუძლებელია, მთლად ვტყუოდე.
_ მაგრამ ჯერ ერთხელაც არ მსმენია, რომ რაიმე ან თუნდაც ვინმე აღიაროთ, _ უთხრა ექიმმა, _ მთელ ქვეყანაზე თუ მოიძებნება თუნდაც ერთი ადამიანი, თქვენ რომ აღიაროთ?
_ ნება მიბოძეთ, განგიმარტოთ, ვეცდები ეს ორიოდე სიტყვით გითხრათ. თქვენ გსურდათ გეთქვათ: `ყურად იღეთ, მისთვის არ არსებობს ერთი ადამიანიც კი, რომელსაც ქვემოდან შესცქეროდეს. იგი ქედმაღლობის სრული განსახიერებაა, იგი არავის არ ცნობს!~ მაგრამ ეს შეცდომაა. ყოვლისმომცველი არაა ჩემი გონება, ბევრი რამ აკლია მას, მაგრამ მაინც შემიძლია ასობით დავითვალო ეს ჩვეულებრივი ყველასგან აღიარებული დიდი ადამიანები, რომელთა სახელებით არის გავსებული სამყარო. ყურები გამოჭედილი მაქვს. მე კი ვამჯობინებდი დამესახელებინა ორი: ოთხი-ექვსი ეს უდიდესი გმირი, ნახევარღმერთები, ბუმბერაზი შემოქმედნი სულიერ საგანძურთა, მერე კი მთლიანდ შევჩერებულიყავი უმაქნის პიროვნებებზე, თავისებურ, ლამაზ, დახვეწილ გენიოსებზე, რომლებზეც არასდროს არაფერს ლაპარაკობენ, რომლებიც ცოტა ხანს ცოცხლობენ და ახალგაზრდები და უცნობნი იხოცებიან. ისიც შესაძლებელია, რომ მათი შედარებით დიდი რიცხვი ჩამოვთვალო, მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ: დამავიწყდებოდა ტოლსტოის ხსენება.
_ მომისმინეთ, _ წყნარად თქვა ექიმმა, სურდა ბოლო მოეღო ამ დავისათვის და ამის თქმაზე მაინც ენერგიულად აიჩეჩა მხრები, _ ნუთუ ნამდვილად გგონიათ, რომ რომელიმე ადამიანს შეუძლია მიაღწიოს მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ სახელს, როგორსაც ტოლსტოიმ მიაღწია, უდიდესი და უპირველესი გონების პატრონი რომ არ ყოფილიყო? ფრიად თავშესაქცევია მოგისმინოთ კაცმა, მაგრამ თქვენი სიტყვები ხომ მტკნარი სისულელეა, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი, მაგრამ ისეთ სისულელესა როშავთ, რომ ყურები ამტკივდა.
ადიუნქტმა ჰოლტანმა კი შეჰღაღადა:
_ ყოჩაღ, ექიმო! დაე, ჩვენმა მასპინძელმა ცოტა ამოგვასუნთქოს... მოგვათქმევინოს სული.
_ ადიუნქტმა შემახსენა, რომ ნამდვილად თავაზიანი მასპინძელი არ გახლავართ, _ თქვა ნაგელმა და გაიღიმა, _ მაგრამ ახლა გამოვსწორდები. ბატონო ეიენ, თქვენ წინ ცარიელი ჭიქა დგას, ღვთის გულისათვის, რატომ არ სვამთ?
საქმე ის იყო, რომ სტუდენტი ეიენი მთელი ამ ხნის მანძილზე ქვის ქანდაკებასავით გაუნძრევლად იჯდა და ისმენდა დანარჩენთა ყბედობას, თვითონ კი ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მისი თვალები ცნობისმოყვარეობით გამსჭვალულიყო, ჭუტავდა მათ და საუბარს ყურებდაცქვეტილი ისმენდა. ძალზე დაინტერესებული იყო ახალგაზრდა კაცი. მასზე ამბობდნენ, ისე როგორც ბევრი სხვა სტუდენტი არდადეგების დროს, რომანს წერსო.
ოთახში შემოვიდა სარა და მოახსენა, ვახშამი მზად არისო. ვექილმა, თავის სკამს რომ ტკიპსავით მიჰკროდა, უცებ თვალი გაახილა და შეხედა მას. სარა კარს რომ მოეფარა, იგი სკამიდან წამოხტა, კიბეზე დაეწია ქალს და აღტაცებულმა უთხრა:
_ სარა, პირდაპირ გამოაცოცხლებ ხოლმე ადამიანს! ეს მინდოდა მეთქვა.
ამის მერე იგი ისევ დაბრუნდა ოთახში, კვლავ თავის სკამზე დაჯდა და უწინდებურად სერიოზული სახე მიიღო. გვარიანად შემთვრალიყო. როცა ექიმი სტენერსენი თავს დაესხა სოციალიზმის გამო, თავის დაცვაც კი აღარ შეეძლო. კაი სოციალისტი იყო, არაფერი გვეთქმის! ხალხს ტყავს აძრობდა! საცოდავი შუამავალი იყო ძლიერთა და უმწეოთა შორის, სხვების ჩხუბით ცხოვრობდა და ფულის გულისათვის ამყარებდა კანონიერებას. აი, ასეთი კაცი უწოდებდა თავის თავს სოციალისტს.
_ დიახ, მაგრამ პრინციპში, პრინციპში, _ შეედავა ვექილი.
_ პრინციპში! _ უდიდესი ზიზღით ალაპარაკდა ექიმი ვექილი ჰანსენის პრინციპებზე. ვიდრე სტუმრები სასადილო დარბაზში შევიდოდნენ, იგი თავს დაესხა მას, როგორც ვექილს, მერე კი თვით

სოციალიზმის არსს მიდგა. ვექილი მარტო სიტყვით კი არ იყო სოციალისტი, მემარცხენე იყო, _ ლიბერალური სულითა და ხორცით. რაშია სოციალიზმის პრინციპები? თვით ეშმაკიც კი ვერ გაერკვევა მათშიო. აქ კი ექიმმა მოხსნა გუდას პირი, _ სოციალიზმი, მოკლედ რომ ვთქვათ, დაბალი კლასების შურისძიების იდეაა. რა არის სოციალიზმი, როგორც მოძრაობა? ფარა ბრმა და ყრუ ცხოველებისა, ენაგადმოგდებულნი ჩორთით რომ მისდევენ თავიანთ ბელადს. ფიქრობენ და ხედავენ რაიმეს თავის ცხვირს იქით? არა, არაფერს არ ფიქრობენ. რომ ხედავდნენ, მაშინ ლიბერალების მხარეზე გადმოვიდოდნენ და პრაქტიკულსა და სასარგებლო რაიმეს გააკეთებდნენ, მთელი სიცოცხლე მხარ-თეძოზე წოლისა, რაიმეზე ოცნებისა და ნერწყვის ყლაპვის ნაცვლად. ფუი! აიღეთ სოციალისტების რომელიც გნებავთ ბელადი _ რა ხალხია? გაძვალტყავებული კონკიაჟღარუნები სხედან ხის ტაბურეტებზე თავიანთ მანსარდებში და წერენ მსოფლიოს გარდაქმნისა და სრულყოფის ტრაქტატს! ცხადია, ამათაც შეუძლიათ იყვნენ კარგი ადამიანები, _ კარლ მარქსზე ცუდს ვერაფერს ვიტყვით. მას ბევრი უფიქრია სიღატაკესა და გაჭირვებაზე, მისი ტვინი თავის თავში ათავსებს ადამიანთა ყოველნაირ ტანჯვას. ბოლოს კი მაინც აღმოჩნდება, რომ ეს ბუნებით უბრალო ადამიანები სრულიად ყალბ პრინციპებს ადგანან: ადამიანთა თანასწორობას! ფუი! აი, ჭეშმარიტად ყალბი პრინციპი, აი, ამას ფიქრობენ იმის ნაცვლად, რაიმე სასარგებლოს მოჰკიდონ ხელი და მხარი დაუჭირონ ლიბერალებს რეფორმატორულ მუშაობაში ჯანსაღი დემოკრატიის პროგრესისათვის...
ექიმის თავი ნელ-ნელა ამოძრავდა და იგი გაუჩერებლად ალაპარაკდა. ციტატებსა და საბუთებს ბლომად იმარჯვებდა. ვახშმის შემდეგ კი კიდევ უფრო შესტოპა. ბევრი შამპანური დალია და საოცრად აიწია განწყობილებამ. მინუტიც კი, აქამდე ნაგელის გვერდით რომ იჯდა და ხმას არ იღებდა, ახლა ლაპარაკში ერეოდა და ზოგიერთ შენიშვნასაც კი გამოთქვამდა, ადიუნქტი ერთ ადგილას იჯდა და სულ გაიძახოდა: კვერცხით ტანსაცმელი გავითხუპნე და ამიტომ განძრევა აღარ შემიძლიაო. მართლაც უმწეო და საცოდავი იყო, მაგრამ როცა სარა შემოვიდა და დააპირა გაეწმინდა მისი ტანსაცმელი, ექიმმა ამ ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა, ხელი სტაცა, მკერდზე მიიკრა და ერთი ყოფა დააწია. სუფრაზე ალიაქოთი ატყდა.
ამასობაში ნაგელმა მოითხოვა შამპანურის ბოთლებით სავსე კალათა მის ოთახში შეეტანათ. ამის შემდეგ ყველანი მალე აიშალნენ სუფრიდან. ადიუნქტი და ვექილი ხელიხელგაყრილნი მიდიოდნენ და ღიღინებდნენ მეტისმეტი სიხარულისგან, ექიმმა კი ისევ აღელვებით დაიწყო სოციალიზმის პრინციპებზე ლაპარაკი, მაგრამ კიბეზე რომ ჩადიოდა, პენსნე ძირს დაუვარდა. აი, უკვე, მგონი, ეს მეათედ დაუვარდა და ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, დაიმსხვრა კიდეც. ორივე მინა ნამსხვრევებად იქცა. მან ცარიელი ჩარჩოებიღა ჩაიდო ჯიბეში და ამნაირად მთელი საღამო ნახევრად ბრმა დარჩა. ამან უფრო გააგულისა და გააღიზიანა იგი: განრისხებული დაჯდა ნაგელის გვერდით და გესლიანად თქვა:
_ თუ არ ვცდები, მორწმუნე კაცი ბრძანდებით, ხომ მართალია?
ეს მან სერიოზული კილოთი წარმოთქვა და პასუხს დაელოდა. ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ დასძინა, რომ ნაგელთან პირველი გაცნობის შემდეგ... ეს კი კარლსენის დაკრძალვაზე მოხდა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს იგი... ნაგელი ნამდვილად მორწმუნე კაცი უნდა იყოსო.
_ მე სარწმუნოებრივ ცხოვრებას ვიცავდი ადამიანში, _ მიუგო ნაგელმა, _ კერძოდ, ქრისტიანობას კი არა, არამედ, საერთოდ, სარწმუნოებრივ ცხოვრებას. მაშინ თქვენ ბრძანეთ, ყველა ღვთისმეტყველი უნდა ჩამოახრჩოს კაცმაო. რატომ-მეთქი, გკითხეთ მე. `იმიტომ, რომ მათი როლი დამთავრდა~, _ მომიგეთ თქვენ. აი, სწორედ ამაზე არ გეთანხმებით. სარწმუნოებრივი ცხოვრება ეს ფაქტია. თურქი წამოიძახებს: `დიდ არს ალაჰი!~ _ და კვდება ამ რწმენისათვის. ნორვეგიელი მუხლს იყრის საკურთხევლის წინ და დღემდე, ვითარცა წმინდა ზიარებას, სვამს ქრისტეს სისხლს. ყოველ ხალხს თავისი ძროხის ზანზალაკი აქვს და ის სწამს. ამ რწმენით კვდება იგი და ელის სულიერ ნეტარებას. საქმე ის კი არაა, რომ გწამდეს, არამედ _ როგორ გწამს...
_ პირდაპირ განცვიფრებული ვარ, თქვენგან ასეთი სისულელე რომ მესმის, _ თქვა გულმოსულმა ექიმმა, _ და უნებლიეთ ერთხელ კიდევ ვეკითხები ჩემს თავს, გადაცმული კონსერვატორი ხომ არ ბრძანდებით. ერთიმეორეს მოსდევს მეცნიერული კრიტიკული სტატიები ღვთისმეტყველებასა და მათ წიგნებზე. მწერლებიც ერთიმეორეზე მიყოლებით გამოდიან და ილაშქრებენ ქადაგებათა კრებულებისა და თეოლოგიურ თხზულებათა წინააღმდეგ და მათგან ქვას ქვაზე აღარ ტოვებენ. თქვენ კი მაინც არ გვნებდებით, არ გნებავთ აღიაროთ, რომ, მაგალითად, ქრისტეს სისხლის კომედიას ჩვენს დროში აღარავითარი მნიშვნელობა აღარ გააჩნია. არ მესმის თქვენი აზრების მსვლელობა.
ნაგელი ერთი წუთით ჩაფიქრდა და თქვა:
_ ჩემი აზრის მსვლელობა მოკლედ შემდეგია: რა სარგებლობაა, არსებითად, იმაში, _ მომიტევეთ, შეიძლება ეს ადრეც ვიკითხე, _ რა სარგებლობაა, არსებითად, იმაში, თუკი ამ საკითხს წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით განვიხილავთ, რომ ცხოვრებას ჩვენ ვართმევთ მთელ პოეზიას, ყველა ოცნებას, მთელ მშვენიერ მისტიკასა და სიცრუეს. იცით კი, რა არის ჭეშმარიტება? ჩვენ ხომ

სიმბოლოების წყალობით მივიწევთ წინ, ამ სიმბოლოებს კი იმის მიხედვით ვცვლით, თუ როგორ მივაბიჯებთ წინ... ოღონდაც ჭიქები არ დაგვავიწყდეს.
ექიმი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. გულმოსული დააცქერდა კართან დაჭმუჭნილ ხალიჩას და დაიჩოქა კიდევაც, რომ გაესწორებინა.
_ მომისმინე, ჰანსენ, ნამდვილად შეგიძლია სათვალე მათხოვო, შენ ხომ მაინც ზიხარ მანდ და თვლემ,
_ უთხრა მოთმინებადაკარგულმა ექიმმა ბოლოს, მაგრამ ჰანსენმა არ ისურვა თავის სათვალეს განშორებოდა და ექიმმა ნაწყენმა შეაქცია ზურგი. იგი ისევ ნაგელის გვერდით დაჯდა.
_ დიახ, თქვენს თვალსაზრისზე რომ დადგეს კაცი, ეს ყველაფერი მტკნარი სისულელეა, _ თქვა მან, _ შეიძლება, ბევრ რამეში მართალიც კი ბრძანდებით. აი, შეხედეთ ჰანსენს! ხა-ხა-ხა, მომიტევე, გეთაყვა, ჰანსენ, რომ თავს ნებას ვაძლევ შენზე ვიცინო, როგორც ვექილსა და სოციალისტ ჰანსენზე. გამოტყდი, განა გულში არ გიხარია ყოველთვის, როცა ორი კეთილი მოქალაქე ერთმანეთს წაეკიდება და პროცესს იწყებენ? მაინც ეს როგორ ხდება? შენ უნდა დაგეყოლიებინა ორივე, მშვიდობით დაგესრულებინა საქმე და მათგან ამისათვის ერთი გროშიც არ აგეღო! მომდევნო კვირას წასულიყავი მუშათა კავშირში და ორი ხელოსნისა და ერთი ყასბის თანაშემწისათვის სოციალისტურ სახელმწიფოზე წარმოგეთქვა სიტყვა. `დიახ, _ იტყვი შენ, _ ყველას უნდა ჰქონდეს შემოსავალი თავისი მწარმოებლური უნარის მიხედვით, _ ყველა ისე დიდებულადაა მოწყობილი, რომ უსამართლობას არავინ მოითმენს~. მაგრამ მაშინვე წამოდგება ყასაბი, _ ყასაბი, რომელიც დანარჩენებთან შედარებით, ღმერთმანი, ნამდვილი გენიოსია, _ წამოდგება იგი და იკითხავს: `აი, მაგალითად მე, პირდაპირ სოვდაგრის სამომხმარებლო უნარი მაქვს, მწარმოებლური უნარის მიხედვით კი მხოლოდ ერთი საწყალი ყასაბი გახლავართ~. ჰოდა, განა არ გაცოფდებია ამის მოსმენაზე, შე შტერო შენა? დიახ, იხვრინე, იხვრინე, ყველაზე მარჯვედ შენ ეს შეგიძლია, იხვრინე! _ ექიმი მაგრად დათვრა, ენა ებმებოდა, თვალები კი ამღვრეოდა. ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე კი ისევ მიუბრუნდა ნაგელს და პირქუშად უთხრა, _ სხვათა შორის, იმის თქმა სულაც არ მინდოდა, რომ მხოლოდ ღვთისმეტყველებმა უნდა მოისწრაფონ სიცოცხლე. არა, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი, ჩვენ ყველანი ასე უნდა მოვიქცეთ, ამოვძირკვოთ მოდგმა ადამიანისა და კვლავ თავისთვის იტრიალოს ჩვენმა ტრიადამ.
ნაგელმა მინუტს მიუჭახუნა ჭიქა. ექიმმა პასუხს აღარ დაუცადა, გაგულისდა და ხმამაღლა შესძახა:
_ განა არ გესმით, რასაც ვამბობთ? ყველამ უნდა მოვიკლათ თავი, ვამბობ მე, და თქვენც, თქვენც, რა თქმა უნდა.
ამის წარმოთქმისას ექიმს ძალზე განრისხებული სახე ჰქონდა.
_ დიახ, _ მიუგო ნაგელმა, _ მეც მიფიქრია მაგაზე, მაგრამ პირადად ჩემზე თუ ვიტყვით, მხნეობა არ მყოფნის, _ დუმილი ჩამოვარდა, _ მაშასადამე, მე იმას სულაც არ ვამბობ, რომ მხნეობა მყოფნის, მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღეს მეყოფა მხნეობა, ამისთვის უკვე დამბაჩა მოვიმზადე, ყოველი შემთხვევისთვის მას ყოველთვის თან დავატარებ.
ნაგელმა ჟილეტის ჯიბიდან პატარა მინის ბოთლი ამოიღო, ეტიკეტზე ეწერა: `შხამი~, და მაღლა ასწია. ბოთლი სანახევროდ იყო გავსებული.
_ ნამდვილი წყალბადციანმჟავაა, _ თქვა მან, _ მაგრამ არასდროს არ მყოფნის მხნეობა, ეს მეტისმეტად ძნელია ჩემთვის... ბატონო ექიმო, თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მითხრათ, საკმაოა თუ არა ეს რაოდენობა? ნახევარი უკვე გამოვცადე ერთ ცხოველზე და შესანიშნავად იმოქმედა. ცოტა ხანს დაიკრუნჩხა, სასტიკად, კომიკურად გადააქნ-გადმოაქნია დრუნჩი, ორჯერ-სამჯერ ღრმად ამოისუნთქა და გათავდა ყველაფერი. ქიში სამ სვლაში.
ექიმმა აიღო ბოთლი, დახედა, რამდენჯერმე შეაჭანჭყარა და თქვა:
_ საკმარისია, საკმარისზე მეტიც... ჩვენ შორის რომ ვთქვათ, მოვალე ვარ ჩამოგართვათ, მაგრამ რაკი მხნეობა არა გყოფნით, მაშინ...
_ არა, მხნეობა არა მყოფნის.
გაჩუმდნენ. ნაგელმა კვლავ ჩაიდო ბოთლი ჟილეტის ჯიბეში. ექიმს თანდათან სახე დაუძმარდა, ღვინოს სვამდა, გაშტერებული იცქირებოდა აქეთ-იქით და აფურთხებდა იატაკზე. უეცრად ადიუნქტს დაუყვირა:
_ ეი, ჰოლტან, სადამდე მიხვედი? კიდევ შეგიძლია ამოიძახო: `იდეათა ასოციაცია~? მე კი ეგ აღარ შემიძლია. ღამე მშვიდობისა!
ადიუნქტმა თვალები გაახილა, ოდნავ გაიჭიმა წელში, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა. საუბარი რომ ისევ განახლდა, ისარგებლა შემთხვევით, რომ გაპარულიყო; შეუმჩნევლად მიაღწია კარს კედელ-კედელ გავლით, გააღო და გაძვრა, სანამ ვინმე შეამჩნევდა. ყოველთვის ასე იცოდა ადიუნქტმა ჰოლტანმა საზოგადოების მიტოვება.
მინუტიც წამოდგა და წასვლა დააპირა, მაგრამ სთხოვეს, ცოტა ხანს კიდევ დარჩითო, და ისიც კვლავ დაჯდა. ვექილ ჰანსენს დაეძინა. სამნიღა დარჩნენ ფხიზლები, _ სტუდენტი ეიენი, მინუტი და ნაგელი

და ახლა ლიტერატურაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ექიმი ნახევრად თვალგახელილი უსმენდა, მაგრამ ენას ვეღარ ძრავდა. მალე იმასაც დაეძინა.
სტუდენტი დიდად ნაკითხი გახლდათ, მოპასანი უყვარდა: უნდა ითქვას, რომ ამ მწერალმა ქალური სულის საიდუმლო კუნჭულებში შეაღწია და, როგორც სიყვარულის მგოსანი, მიუწვდომელია. რა გაბედულად აღწერს მათ ცხოვრებას. რა საოცარი მცოდნეა ადამიანის გულისა. მაგრამ ნაგელმა ეიენსაც დაუწყო დავა სასაცილო გაცხარებით, მაგიდაზე ურტყამდა მუშტებს. ყვიროდა, განურჩევლად თათხავდა და ლანძღავდა მწერლებს, იწუნებდა თითქმის ყველას და მხოლოდ რამდენიმე რჩეულს იწყნარებდა. ჩანდა, ნამდვილად აღელვებული იყო, ღრმად სუნთქავდა, ბაგეებზე კი დორბლი მოსდგომოდა.
_ ოჰ, ეს პოეტები! ხე-ხე-ხე, დიახ, შეიძლება ითქვას, რომ მათ ადამიანის გულის საიდუმლო კუნჭულებში შეაღწიეს. მაგრამ რას წარმოადგენენ ისინი, ეს ზვიადი ქმნილებები, რომელთაც ასეთი უფლება ჩაიგდეს ხელთ თანამედროვე ცხოვრებაში? რანი არიან ისინი? ეს არის წყლული, მუწუკი საზოგადოების სხეულზე, გაბერილი და მტკივნეული ძიძიბოები, რომელთაც დიდი სიფრთხილით, განსაკუთრებული სიფაქიზითა და მოწიწებით უნდა მოეპყრას კაცი, თორემ უფრო გაიბერებიან, რადგან უხეშ მოპყრობას ვერ აიტანენ! დიახ, დიახ, მწერლებთან აუცილებლად უნდა იჯახიროს კაცმა, განსაკუთრებით ყველაზე სულელებთან, ადამიანურად ნაკლებგანვითარებულებთან, როგორც ბებერ ფუძის ანგელოზებთან, თორემ საზღვარგარეთ გაიქცევიან. ხე-ხე-ხე, საზღვარგარეთ! ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საუცხოო კომედიაა! მაგრამ თუკი მოიძებნება ნამდვილად შთაგონებული მგოსანი, რომლის მკერდშიც დიდებული მუსიკა გუგუნებს, რაზედაც გინდათ დაგენაძლევებით, რომ მას გაცილებით უკან დააყენებენ ისეთ უხეშ პროფესიონალ მწერალზე, როგორიც მოპასანია. ესაა კაცი, რომელიც ბევრს წერდა სიყვარულზე და დაამტკიცა, რომ შეუძლია წიგნების თავიდან მოცილება და გასაღება. დიახ, ეს ასეა, რაც მართალია, მართალია! მაგრამ, აი, პატარა მოციმციმე ვარსკვლავი, ნამდვილი პოეტი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ალფრედ დე მიუსე, რომლისთვისაც სიყვარული ავხორცული რუტინა კი არაა, არამედ გაზაფხულის ნაზი, მგზნებარე მელოდია, მის სტროფებში სიტყვები ცეცხლივით გიზგიზებს: ამ პოეტს შეიძლება იმის ნახევარი მომხრენიც არა ჰყავს, რამდენიც პატარა მოპასანს, თეძოების უჩვეულოდ უხეში და უსულგულო პოეზიით...
ნაგელმა ყოველგვარი საზღვარი გადალახა. საბაბი იხელთა, თავს დასხმოდა ვიქტორ ჰიუგოსაც და ბოლოს და ბოლოს ჯანდაბაში გზა დაულოცა მსოფლიოს ყველაზე დიდ მწერლებს. `ო, შენი ფოლადიც რომ ისეთივე მსხვილი იყოს, როგორც შენი უკანასკნელი `არა!~ რაო, განა ეს არ მოახდენს ეფექტს? როგორ გგონიათ, ბატონო გრიგორ?
ამის თქმისას ნაგელმა მინუტს გადახედა გამსჭვალავი მზერით. მას თვალი არ მოუცილებია მინუტისთვის და ერთხელ კიდევ გაიმეორა ეს უაზრო სტრიქონები. მინუტმა არაფერი უპასუხა, მაგრამ ცისფერი თვალები დააჭყიტა თითქოს მეტისმეტად შეშინებულმა და ერთი ყლუპი ღვინო მოსვა.
_ თქვენ ახსენეთ იბსენი, _ განაგრძო ისევ ისე აღგზნებულმა ნაგელმა, თუმცა იბსენი არავის უხსენებია, _ მისი აზრით, ნორვეგიაში მხოლოდ ერთი მწერალია და ისიც არა იბსენი. არა, იბსენი არა. იბსენზე ლაპარაკობენ, როგორც მოაზროვნეზე, მაგრამ არ სჯობია, შევნიშნოთ ზოგიერთი განსხვავება პოპულარულ რეზონიორობასა და ჭეშმარიტ აზროვნებას შორის? ლაპარაკობენ იბსენის დიდებაზე, ყურები გამოგვიჭედეს მის სიმამაცეზე ლაპარაკით, მაგრამ არ სჯობია, განსხვავება აღმოვაჩინოთ თეორიულსა და პრაქტიკულ მამაცობათა შორის, უანგარო, თავდადებულ რევოლუციურ მგზნებარებასა და საშინაო ჯანყს შორის? პირველი მკვეთრი შუქით აცისკროვნებს ცხოვრებას, მეორე კი აბრმავებს ხალხს თეატრში. ნორვეგიელი მწერალი, რომელსაც შუბის ნაცვლად ქინძისთავი უჭირავს ხელში და შეუსვენებლად იბრძვის, სულაც არაა ნორვეგიელი მწერალი. მაგრამ რაიმეთი ხომ უნდა იწონებდეს თავს, თორემ მამაცის სახელს ვერ გაითქვამს. დიახ, ძალზე გასართობია ამ სანახაობისთვის გარკვეული მანძილიდან ცქერა! აქ საბრძოლო ხმაური და შემართება ნაკლები როდია, ვიდრე ნაპოლეონის რომელიმე ბრძოლაში, მაგრამ საფრთხე და რისკი იმდენივეა, რამდენიც ფრანგული დუელისთვისაა საჭირო. ხე-ხე-ხე... არა, კაცი, რომელსაც სურს ააჯანყოს ხალხი, არ უნდა იყოს პატარა სასაცილო ამბის აღმწერელი, არცთუ რაღაც განყენებული ლიტერატურული ცნებით უნდა მსჯელობდეს, რომელიც გერმანელებისთვისაა გასაგები, არამედ ცოცხალი, მოქმედი, უნდა იყოს, ცხოვრების, ბრძოლის შუაგულ მორევში რომ გადაეშვება. რევოლუციური მგზნებარება იბსენს არასდროს გაიტაცებს სახიფათო მდგომარეობისკენ: ეს ქაღალდის ფურცლებში ჩამალული ნაღმის ისტორიაა _ საცოდავი დეპარტამენტული თეორია ცოცხალ და მგზნებარე გმირობასთან შედარებით. არასდროს მოგისმენიათ, ბატონებო, როგორ არღვევენ ტილოს? ჰა-ჰა-ჰა, ფრიად შთამაგონებელი ბგერაა!.. მაგრამ, არსებითად, განა სულერთი არაა, ხმაური რისგანაა გამოწვეული, რაკი როცა პირქვე ვწევართ და ზურგი გვაქვს შექცეული ისეთი სადიაცო საქმისათვის, როგორიც ხალხისათვის წერაა.

მაგრამ ეს რაც უნდა უვარგისი იყოს, ყოველ შეთხვევაში, ლევ ტოლსტოის უსინდისო ფილოსოფიურ ლაყბობაზე უარესი მაინც არაა! ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი!
_ ყველაფერი? ყველაფერი ეშმაკს?
_ დიახ, თითქმის ყველაფერი, თუმცა, სხვათა შორის, ჩვენ გვყავს ერთი მწერალი, ეს ბიერნსონია, ისიც მხოლოდ თავის საუკეთესო წუთებში. რაც უნდა იყოს, იგი ჩვენთან ერთადერთია, დიახ, _ ერთადერთი. მაგრამ განა შეუძლებელია ბიერნსონსაც წავუყენოთ ტოლსტოის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებების უმეტესი ნაწილი? ბიერნსონიც მოქადაგეა, მორალის მოქადაგე, ჩვეულებრივი, მოსაწყენი ბერიკაცი, წიგნების პროფესიონალი მთხზველი თუ რაღაც ამის მსგავსი?..
_ არა! _ შესძახა ნაგელმა ხმამაღლა. იგი ხელს იქნევდა და გაცხარებული იცავდა ბიერნსონს.
_ არ შეიძლება ბიერნსონი ტოლსტოის შევადაროთ, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება უბრალო აგრონომიულ აზრს, ნაწილობრივ კი იმიტომაც, რომ ამისი წინააღმდეგია ადამიანური გრძნობა. ჯერ ერთი, ბიერნსონი ისეთივე გენიოსია, როგორიც ტოლსტოი, _ ნაგელი დიდად არ აფასებდა სავსებით ჩვეულებრივ და უბრალო გენიოსებს, ღმერთია მოწმე, რომ იგი მაღლა არ აყენებდა მათ, _ მაგრამ ტოლსტოი ამაღლდა მათ სიმაღლეზე, მაშინ როცა ბიერნსონმა შესამჩნევად გაუსწრო მათ. ეს, რა თქმა უნდა, ტოლსტოის ხელს არ უშლის ისეთი წიგნები წეროს, რომელიც ბიერნსონის ბევრ წიგნზე უკეთესია. მაგრამ ეს რას ამტკიცებს? კარგი წიგნების წერა შეუძლიათ დანიელ კაპიტნებს, ნორვეგიელ მხატვრებსა და ინგლისელ ქალებს. მეორეც, ბიერნსონი არის ყველაზე დიდი პიროვნება და არა განყენებული ცნება. ეს ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ბორგავს და ბობოქრობს ჩვენს ცოდვილ მიწაზე.
იგი სფინქსივით გაქვავებული როდი ზის ბრბოს წინაშე, არც დიდ და მისტიკურ კაცად მოაქვს თავი, როგორც ტოლსტოის თავის სტეპში ან იბსენს თავის კაფეში. ბიერნსონის სული ქარიშხალში მოგუგუნე ტყეა, იგი იბრძვის, იგი ყველგანაა და თვითონვე დიდებულად ვნებს საკუთარ ინტერესებს კაფე `გრანდებში~ მყოფი. იგი ჩაფიქრებულია, ეს ძლიერი სულია, მცირეთა შორის ერთ-ერთი მბრძანებელი. მას, ტრიბუნაზე მდგარს, ერთი ხელის მოძრაობით შეუძლია გააჩუმოს სტვენის ქარიშხალი. მის ტვინში ყოველთვის იბადებს და ფუთფუთებს ახალი აზრები, იგი დაუღალავად მუშაობს, მის გამარჯვებებში იგრძნობა ძალა, შეიძლება სასტიკადაც შეცდეს, მაგრამ ერთშიც და მეორეშიც მკვეთრადაა გამოხატული მისი ინდივიდუალობა, მისი სული. ბიერნსონი ჩვენი ერთადერთი შთაგონებული, ღვთივმირონცხებული პოეტია. შთაგონება იწყება მასში, როგორც ჭვავის თავთავების შრიალი ზაფხულის დღეში და თავდება იმით, რომ არ გესმის არაფერი ამის გარდა, აბსოლუტურად არაფერი სხვა ამის მეტი. ასეთია მისი სულის მოძრაობის ფორმათა მიმდინარეობა, გენიოსის მოძრაობის ფორმა. ბიერნსონის შემოქმედებასთან შედარებით, ვთქვათ, იბსენის შემოქმედება ეს წმინდა მექანიკური, კანტორული მუშაობაა. იბსენის ლექსთა წყობა სულ დიდი-დიდი იმაში გამოიხატება, რომ რითმა ტკაცუნით ერითმება მეორე რითმას, მისი დრამების უმრავლესობა დრამატიზებული ხის მასაა. მერედა, რა ეშმაკად გვინდა ეს ყველაფერი! თუმცა ღმერთმა უწყის! თქვენი სადღეგრძელო იყოს!..
ღამის ორი საათი შესრულდა. მინუტს მთქნარება დააწყებინა. მთელი დღე ჯაფისა და ჯახირის შემდეგ ძილი მოეკიდა და ნაგელის გაუთავებელმა ლაყბობამაც მოაბეზრა თავი. ისევ წამოდგა და წასვლა დააპირა. მას მერე, რაც ყველას გამოემშვიდობა და კარამდე მივიდა, მოხდა რაღაც, რამაც ის შეაჩერა. პატარა, უმნიშვნელო ამბავი, რომელსაც შემდგომში დიდი მნიშვნელობა ექნება. ექიმს გამოეღვიძა, ძილ-ღვინოში მყოფმა ხელი გაიქნია და რამდენიმე ჭიქა გადააყირავა. ექიმთან ყველაზე ახლოს ნაგელი იჯდა და ჭიქებში მდგარი შამპანური მთლად მას გადაესხა. იგი წამოხტა, სიცილით ჩამოიბერტყა სველი მკერდი და მხიარულად შესძახა `ვაშა~.
მინუტი მაშინვე მხსნელ ანგელოზად მოევლინა მას, მიირბინა ნაგელთან და ხელსახოცებით სურდა გაეწმინდა. ყველაზე მეტად ჟილეტი დაისვარა. მინუტმა სთხოვა ნაგელს, ერთი წუთით გაიხადეთ, ახლავე გავასუფთავებო, მაგრამ ნაგელმა ჟილეტის გახდა არ ისურვა. ახლა ვექილსაც გამოეღვიძა ამ ატეხილი ხმაურის გამო და იმანაც ყვირილი მორთო `ვაშა~, _ თუმცა არც იცოდა, რაში იყო საქმე. მინუტმა ისევ სთხოვა ნაგელს, ერთი წუთით ჟილეტი გაიხადეთო, ნაგელმა მხოლოდ გადააქნია თავი. უცებ მან შეხედა მინუტს, თავში რაღაც აზრმა გაუელვა, მაშინვე წამოდგა, ჟილეტი გაიხადა და სწრაფად გაუწოდა მინუტს.
_ ინებეთ, _ უთხრა მან, _ გაწმინდეთ და თქვენთვის დაიტოვეთ. დიახ, დიახ, თქვენთვის დაიტოვეთ, თქვენ ხომ ჟილეტი არა გაქვთ. ჩუმად, ხმა არ ამოიღოთ. სულით და გულით გჩუქნით, ძვირფასო მეგობარო, _ მაგრამ მინუტი ისევ წინააღმდეგობას უწევდა, მაშინ ნაგელმა იღლიის ქვეშ ამოუდო ჟილეტი, კარი გააღო და მეგობრულად კიბისაკენ გაუძახა.
მინუტი წავიდა.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ამას მხოლოდ კართან ყველაზე ახლოს მჯდარმა ეიენმა მიაქცია ყურადღება.
ამის შემდეგ ბობოქარ გუნებაზე დამდგარმა ვექილმა დანარჩენი ჭიქების მსხვრევა დაიწყო. ნაგელი არ გამოსდავებია და აი, ოთხი მოზრდილი ადამიანი იმით გაერთო, რომ კედელზე ამსხვრევდნენ ჭიქებს ერთიმეორეზე მიყოლებით. ბოლოს ბოთლებით დაიწყეს სმა, მატროსებივით ღრიალებდნენ და ცეკვავდნენ. მხოლოდ ოთხ საათზე შეწყდა ღრეობა. ექიმი ამ დროისთვის უაზროდ გამომთვრალი იყო. უკვე ზღურბლზე მდგარი სტუდენტი ეიენი ნაგელისკენ მობრუნდა და უთხრა:
_ მაგრამ ის, რაც ტოლსტოიზე თქვით, შეიძლებოდა ბიერნსონზეც გეთქვათ. თანმიმდევრული არ ბრძანდებოდით თქვენს აზრებში.
_ ხა-ხა-ხა! _ სულელივით გადაიხარხარა ექიმმა, _ თანმიმდევრულობას მოითხოვს... ისიც ამ გვიან ღამით! თუ შეგიძლიათ წარმოთქვათ `ენციკლოპედისტი~, ჩემო მეგობარო, ან `დედათა ასოციაცია?~ აბა, მაშ, წავიდეთ, შინ მიგაცილებთ როგორმე... ხა-ხა-ხა, ამ გვიან ღამით!..
წვიმა აღარ მოდიოდა. აღარც მზე ჩანდა, მაგრამ ამინდი წყნარი იდგა, მშვენიერი დღის მაუწყებელი.

XIV
მეორე დღეს, დილით ადრე, მინუტი ისევ სასტუმროში გამოცხადდა. ჩუმად შევიდა ნაგელის ოთახში და მაგიდაზე დააწყო მისი საათი, რამდენიმე ფურცელი, ფანქრის ნატეხი, პატარა შხამიანი ბოთლი და ამის შემდეგ წასვლა დააპირა, მაგრამ რაკი ნაგელს უცებ გამოეღვიძა, მინუტმა მოახსენა, რატომ მოვიდა.
_ ეს ნივთები ჟილეტის ჯიბეში ვიპოვე, _ უთხრა მან.
_ ჟილეტის ჯიბეში? აჰ, დიახ, მართლა! რომელი საათია ახლა?
_ რვა, მაგრამ თქვენი საათი გაჩერებულია. მე არ მომიმართავს.
_ წყალბადციანმჟავა, ცხადია, არ დაგილევიათ.
მინუტს გაეღიმა და თავი გააქნია.
_ არა, _ მიუგო მან.
_ არც გაგისინჯავთ? ბოთლი სანახევროდ იყო სავსე, მოიტა, ვნახო.
მინუტმა ბოთლი უჩვენა.
_ კარგი! მაშ, რვა საათია? თუ ასეა, ადგომის დროა. რომ არ დამავიწყდეს, გრიგორ, არ შეგიძლიათ ვიოლინო ვისგანმე მიქირაოთ? მინდა ვსინჯო, დაკვრას თუ ვისწავლი. თუმცა რა სისულელეს ვჩმახავ! საქმე ისაა, რომ ვიოლინო მინდა ვიყიდო, ერთ ნაცნობს ვაჩუქო. ის სულაც არ მჭირდება ჩემთვის. ჰოდა, აუცილებლად სადმე უნდა მიშოვოთ ვიოლინო.
მინუტმა აღუთქვა, ყოველგვარ ღონეს ვიხმარო.
_ დიდად გმადლობთ... მაშ, ისევ შემოიარეთ ჩემთან, როცა მოგესურვოთ, გზა უკვე იცით. ნახვამდის!
ერთი საათის შემდეგ ნაგელი უკვე ტყეში იყო, მღვდლის კარ-მიდამოს მახლობლად. მიწა ჯერ კიდევ არ გამშრალიყო იმ წვიმის შემდეგ, ამას წინათ რომ მოვიდა, და მზეც კარგად ვერ აცხუნებდა. ქვაზე ჩამოჯდა და გზას გაშტერებით დაუწყო ცქერა. სველ სილაზე ნაცნობი კვალი შეამჩნია. ნაგელი თითქმის დარწმუნდა, რომ ეს დაგნის ნაფეხურები იყო, ეტყობა, ქალაქში წავიდა. საკმაოდ დიდხანს იცდიდა სრულიად ამაოდ, შემდეგ გადაწყვიტა ქალაქისკენ წასულიყო, რომ იქიდან მომავალ დაგნის წინ შეჰყროდა და ქვიდან წამოდგა.
ნაგელი მართლაც არ შემცდარა, ტყის პირას შეხვდა მას. დაგნის ხელში წიგნი ეჭირა, ეს იყო ამალია სკრამის `ჰეტრუდა კოლბერნსენი~.
პირველად ცოტა ამ წიგნზე ილაპარაკეს, მერე კი დაგნიმ თქვა:
_ წარმოგიდგენიათ... ჩვენი ძაღლი მოკვდა.
_ ნუთუ? _ გაიკვირვა ნაგელმა.
_ რამდენიმე დღის წინ მკვდარი ვიპოვეთ. არ მესმის, რა დაემართა.
_ იცით, მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ის ძალზე საძაგელი ძაღლი იყო, ერთი იმ დოგთაგანი, ცხვირგასივებულნი რომ არიან და უსირცხვილო ადამიანური ფიზიონომია აქვთ. როცა ადამიანს უცქერდა, ტუჩის კუთხეები ძირს ეშვებოდა, თითქოს ეს ძაღლი მთელი ქვეყნის სევდას შეუპყრიაო. პირდაპირ მიხარია, რომ მოკვდა.
_ როგორ არა გრცხვენიათ!
მაგრამ ნაგელმა ნერვიულად შეაწყვეტინა, სურდა ამა თუ იმ საბაბით საუბარი ძაღლიდან სხვა საგანზე გადაეტანა როგორმე და გაეთავებინათ ეს ამბავი. სიტყვა ჩამოაგდო ერთ კაცზე, რომელსაც ოდესღაც შეხვედროდა და ძალზე სასაცილო ადამიანი გახლდათ. თურმე ეს კაცი ცოტა ენას უკიდებდა, მაგრამ არც ფარავდა, პირიქით, ცდილობდა, უფრო ბლუდ ელაპარაკა, ვიდრე ნამდვილად შეეძლო ლაპარაკი, თავისი ნაკლისთვის რომ უკეთ გაესვა ხაზი.

_ უცნაური წარმოდგენა ჰქონდა ქალზე. სხვათა შორის, ხშირად მიყვებოდა ერთ მექსიკურ ამბავს, რომელიც საოცრად ართობდა მსმენელს. სუსხიანი ზამთარი იდგა, თერმომეტრები სკდებოდა, ხალხი გარეთ ვეღარ გამოდიოდა. აი, ერთ მშვენიერ დღეს თავში აზრი მოუვიდა, მეზობელ ქალაქში წასულიყო. მიდიოდა უდაბურ ადგილებში, მხოლოდ აქა-იქ თუ იდგა თითო-ოროლა ქოხი. სუსხიანი ქარი საოცრად უწვავდა სახეს. უცებ ამ სასტიკ ყინვაში ერთი ქოხიდან, რომლის მახლობლადაც მან გაიარა, ნახევრად შიშველი ქალი გამოვარდა ყვირილით: `ცხვირი გაგითეთრდათ! გაფრთხილდით. მოგეყინებათ!~ ქალს ხელში ჩამჩა ეჭირა, მკლავები კი დაკაპიწებული ჰქონდა. რაკი ფანჯრიდან დაენახა, უცხო კაცს ცხვირი გასთეთრებოდა, მიეტოვებინა საქმე და დასდევნებოდა, რომ გაეფრთხილებინა, ცხვირი მოგეყინებაო. ხე-ხე-ხე, გაგონილა ასეთი რამე! აი, მიდის ის ყინვაში დაკაპიწებული მკლავებით და მარჯვენა ლოყა თანდათან უთეთრდება, ბოლოს უზარმაზარ თეთრ ლაქად გადაექცა! ხა-ხა-ხა, ეს პირდაპირ დაუჯერებელი რამ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა და ქალური თავგანწირვის უამრავი სხვა მაგალითებისა, რომლებიც ბლომად იცოდა ამ ბლუ კაცმა, ამ საკითხში ის საოცრად ჯიუტი გახლდათ. ქალი უცნაური და გაუმაძღარი ქმნილებაო, _ მეუბნებოდა, მაგრამ იმას კი აღარ მიხსნიდა, რატომაა ის უცნაური და გაუმაძღარი ქმნილება. პირდაპირ დაუჯერებელია, რაც ქალს მოუვა თავშიო. და ასეთი რამ მიამბო: `ჩემს მეგობარს ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი შეუყვარდა. ისიც კი მახსოვს, რომ მას კლარა ერქვა. ჩემი მეგობარი მთელი ძალ-ღონით ცდილობდა მოეგო ქალიშვილის გული, მაგრამ ვერაფრით მოახერხა. კლარას ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, თუმცა ეს კაცი ლამაზიც იყო, ახალგაზრდაც და პატივსაცემიც. კლარას ჰყავდა და, საოცრად მახინჯი: კოჭლიც იყო და კუზიანიც, _ პირდაპირ საზიზღარი არსება. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა მეგობარმა ხელი სთხოვა მას. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რატომ გააკეთა ეს, იქნებ რაიმე ანგარიშით, ან შეიძლება შეუყვარდე კიდეც ამ სიმახინჯის მიუხედავად, მაგრამ რა ქნა კლარამ? დიახ, აი აქ გამოაჩინა ქალურმა ბუნებამ თავისი ბრჭყალები. კლარა ყვირის, კლარა ერთ ალიაქოთს ტეხს: `მას ჩემი ცოლად შერთვა სურდა! ჩემი ცოლად შერთვა სურდა! _ ყვიროდა კლარა, _ მაგრამ ვერ მიართვეს, მე არ მსურს, არ მსურს, არაფრის გულისათვის~, _ იმეორებდა გაცოფებული. მერედა, როგორ გგონიათ, მოახერხა ჩემმა მეგობარმა დაქორწინება კლარას დაზე, რომელიც ასე ძლიერ შეუყვარდა? არა, აი, საქმეც სწორედ ესაა, რომ კლარამ არ ისურვა დისთვის დაეთმო ჩემი მეგობარი. ხე-ხე-ხე! რაკი თავიდან კლარაზე სურდა დაქორწინება, დაე მისი კუზიანი დის ღირსიც არ გამხდარიყო. ასე რომ, ჩემმა მეგობარმა ვერც ერთი ვერ შეირთო ამ ორი ქალიშვილიდან...~ ეს ენაბლუს მოყოლილი ერთ-ერთია მრავალ ამბავთა შორის. ამას ძალზე სასაცილოდ ჰყვებოდა, რადგან ენა ებმოდა. უნდა ითქვას, ძალზე უცნაური კაცი იყო... თავი ხომ არ მოგაწყინეთ?
_ არა, _ მიუგო დაგნიმ.
_ დიახ, ეს იყო ძალზე უცნაური კაცი. ისეთი ხარბი და თან ისეთი ქურდბაცაცა, რომ არაფრად უღირდა, რკინიგზის ვაგონის ფანჯრისთვის ტყავის თასმა მოეხსნა და შინ წაეღო. დიახ, ეს არაფრად უღირდა. ამბობენ, ერთხელ ასეთ ქურდობაზეც კი წაასწრესო, მაგრამ, მეორე მხრივ, ფულს დაუფიქრებლად ხარჯავდა, როცა კარგ გუნებაზე იდგა. ერთხელ თავში აზრად მოუვიდა, მოეწყო დიდი გასეირნება ეტლებით. ნაცნობი არავინ ჰყავდა, ამიტომაც მარტო თავისთვის, ერთი კაცისთვის დაიქირავა ოცდაოთხი ეტლი და უბრძანა, გამწკრივებულებს ევლოთ. ჰოდა, აი, ოცდასამი ეტლი სულ ცარიელი მიდიოდა, ოცდამეოთხე, უკანასკნელ ეტლში კი თვითონ იჯდა და ფეხით მოსიარულეთ ღმერთივით ამაყი და კმაყოფილი გადაჰყურებდა, რომ ასეთი დიდი პროცესია მოაწყო...
ნაგელის გაუთავებელ ქაქანს წარმატება არ მოჰყოლია, დაგნი არც კი უსმენდა. ბოლოს, ნაგელი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. რა ეშმაკად როშავს ამ აბდაუბდას და თავს ისულელებს. განა შეიძლება ახალგაზრდა ქალიშვილის, თანაც უკვე ქალბატონის, გული მოიგო მოყინულ ცხვირებზე, ლოყებსა და ოცდაოთხი ეტლისგან შემდგარ პროცესიაზე ყბედობით? და უცებ მოაგონდა, რომ ადრეც მაგრად მოხვდა ესკიმოსისა და ბიუვარის რომელიღაც საზიზღარი ამბის გამო. ამის გახსენებაზე სახეზე წამოენთო, უნებლიეთ შეირხა და კინაღამ შეჩერდა. დასწყევლოს ეშმაკმა, რატომ თვალს არ ადევნებს თავის თავს. ოჰ, როგორ რცხვენია! ეს წუთები, როცა იგი ასე სულელივით ყბედობს, ამასხარავებს მას, ამცირებს და მთელი კვირებითა და თვეებით უკან სწევს მის წარმატებას. რა აზრი შეექმნება დაგნის მასზე!
ნაგელმა იკითხა:
_ რამდენი დრო გვრჩება ბაზართან მისვლამდე?
დაგნიმ ღიმილით მიუგო:
_ რატომ ლაპარაკობთ ასე სწრაფად და შეუჩერებლად? რატომ ხართ ასე ნერვიული?
ეს კითხვა ისე მოულოდნელი იყო ნაგელისთვის, რომ შეცბუნებული მზერა ვეღარ მოაცილა დაგნის, შემდეგ კი გულაძგერებულმა ხმადაბლა მიუგო:

_ ფრეკენ ჰელან, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს შეგპირდით, რომ თუ კიდევ მომცემდით თქვენი ნახვის ნებას, რაზედაც გინდა ვილაპარაკებდი, მაგრამ იმაზე კი არა, რაზეც ამიკრძალეთ ლაპარაკი. ვცდილობ, შევასრულო დაპირება. მგონი, მოვახერხე.
_ დიახ, _ თქვა დაგნიმ, _ უნდა შეასრულოთ დაპირება, არ უნდა გატეხოთ სიტყვა.
ეს ისეთი კილოთი თქვა დაგნიმ, რომ თითქოს ნაგელს კი არა, უფრო მეტად საკუთარ თავს ეუბნებოდა.
_ ჯერ კიდევ თქვენს მოსვლამდე გადავწყვიტე, მეცადა და შემესრულებინა ჩემი დაპირება. ვიცოდი, რომ შეგხვდებოდით.
_ როგორ შეგეძლოთ ეს გცოდნოდათ?
_ თქვენი ნაფეხურები შევნიშნე გზაზე.
დაგნიმ სწრაფად გადახედა ნაგელს და გაჩუმდა. ცოტა ხნის მერე კი თქვა:
_ ხელი შეხვეული გაქვთ. გაიჭერით?
_ დიახ, _ მიუგო ნაგელმა, _ თქვენმა ძაღლმა მიკბინა.
ორივენი შეჩერდნენ და ერთმანეთს გადახედეს. ნაგელმა მაგრად მომუჭა ხელი და სევდიანი ხმით განაგრძო:
_ ტყეში მოვდიოდი ყოველ ღამეს, ვიდრე დავიძინებდი. მომიტევეთ, მაგრამ ეს დანაშაული არ არის. თქვენ ამიკრძალეთ, მაგრამ მე არ შევისმინე თქვენი ნათქვამი და ამას ვეღარაფრით გამოვასწორებ; ძაღლმა მიკბინა, ისიც ხომ თავისი სიცოცხლისთვის იბრძოდა, და მე მოვკალი იგი, შხამი დავალევინე... ყოველთვის მიყეფდა, როცა თქვენს ფანჯრებთან მოვდიოდი, რომ ძილი ნებისა მესურვებინა.
_ მაშ, ძაღლი თქვენ მოკალით? _ ჰკითხა დაგნიმ.
_ დიახ, _ მიუგო ნაგელმა.
გაჩუმდნენ. იდგნენ და ერთმანეთს უცქერდნენ. ნაგელი ღრმად სუნთქავდა.
_ შემეძლო უარესიც ჩამედინა, ოღონდაც კი თქვენი ნახვის საშუალება მომცემოდა, _ განაგრძო ნაგელმა, _ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯები, დღედაღამ სულ თქვენზე ვფიქრობ. არა, ამას თქვენ ვერ წარმოიდგენთ! ხალხს ველაპარაკები, ვიცინი, მხიარულ ქეიფებსაც კი ვაწყობ. წუხელაც სტუმრები მყავდა ღამის ოთხ საათამდე. ქეიფი კი იმით დამთავრდა, რომ ჭიქები დავამსხვრიეთ, მაგრამ მაშინაც კი, როცა ვსვამ და ვმღერი, მხოლოდ თქვენზე ვფიქრობ და ამან ლამის ჭკუიდან შემშალოს. აღარაფერზე ვზრუნავ და არ ვიცი, რით გათავდება ეს ყველაფერი. უნდა შემიბრალოთ და ორიოდე წუთი მაჩუქოთ კიდევ. მინდა რაღაც გითხრათ. ნუ გეშინიათ, არ მინდა თქვენი არც დაშინება და არც ცდუნება, მხოლოდ თქვენთან საუბარი მსურს.
_ ნუთუ ისევ არ იშლით თქვენსას და არ გნებავთ გონს მოხვიდეთ? _ ჰკითხა დაგნიმ უკმეხად, _ თქვენ ხომ შემპირდით?
_ დიახ, მართლია, შეგპირდით. არ ვიცი, შეიძლება შეგპირდით კიდეც, კეთილგონივრულად მოვიქცევიო, მაგრამ ეს ძალზე ცუდად გამომდის... მაშ, კარგი, ვიქნები კეთილგონიერი, შეგიძლიათ მენდოთ. მაგრამ იცით, ეს როგორ გავაკეთო? მასწავლეთ. იცით, მე კინაღამ შემოგივარდით სახლში, მინდოდა კარი შემომეღო და პირდაპირ შემოვსულიყავი თქვენთან, თუნდაც თქვენთან ერთად იქ სხვებიც ყოფილიყვნენ! მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ვებრძოდი საკუთარ თავს, დამიჯერეთ, ცილს გწამებდით და ვცდილობდი, დამემსხვრია თქვენი მეუფება ჩემზე, დამემცირებინეთ სხვების თვალში. ყოველივე ამას კი იმისათვის როდი ვაკეთებდი, რომ შური მეძია. არაა... არც იმიტომ, რომ ნამდვილად ვიღუპები. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ შემეკავებინა თავი, მესწავლა კბილის კბილზე დაჭერა, რომ საკუთარი თვითშეგნების წინაშე მეტისმეტად არ მომეხარა ქედი. აი, ეს რისთვის გავაკეთე, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი, ამან მიშველა თუ არა. გამგზავრებაც კი ვცადე, ბარგი ჩავალაგე, მაგრამ ესეც ვერ შევძელი და ისევ დავრჩი. ან სად უნდა წავსულიყავი?! მე უფრო ის შემეძლო, თქვენ გამოგკიდებოდით, აქ რომ არ დარჩენილიყავით. თუნდაც ვერ მეპოვეთ, მაინც გამოვემგზავრებოდი თქვენს საპოვნელად და მთელი მონდომებით დაგიწყებდით ძებნას იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს ოდესმე მაინც გიპოვიდით. მაგრამ თუკი დავრწმუნდებოდი, რომ ცდა არაფერს მიშველიდა, თანდათან უფრო მოკრძალებული გავხდებოდი და ღმერთს მადლობას შევწირავდი, თუ საშუალება მომეცემოდა, შევხვედროდი ისეთ ვინმეს, რომელიც ოდესღაც თქვენი ახლობელი იყო, რომელიმე თქვენს დობილს, რომელიც ყოველდღე ხელს გართმევდათ ან ვისაც უღიმოდით ბედნიერ წუთებში. აი, როგორ მოვიქცეოდი. განა შემიძლია აქედან გამგზავრება? თანაც ახლა ზაფხულია, ეს ტყე კი ჩემი ტაძარია, სადაც ჩიტებიც კარგად მიცნობენ. ისინი შემომცქერიან ყოველ დილით, როცა აქ მოვდივარ, მოიბრუნებენ პატარა თავებს, მიყურებენ და ნელ-ნელა იწყებენ ჟღურტულს. ვერასოდეს დავივიწყებ იმ პირველ საღამოსაც, როცა აქ ჩამოვედი, მთელი ქალაქი ალმებით რომ მოერთოთ თქვენს პატივსაცემად. ამან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. რაღაც უცნაური სიმპათიით

განვიმსჭვალე, გაბრუებული დავდიოდი გემბანზე წინ და უკან და შევყურებდი ალმებს, სანამ ნაპირზე არ გადმოვედით. დიახ, ეს იმ საღამოს იყო...
მაგრამ მას შემდეგ არაერთხელ გაიხარა ჩემმა გულმა. ყოველთვის იმ გზით დავდივარ, რომლითაც თქვენ გიხდებათ სიარული, ხანდახან კი ბედი გამიღიმებს და გზაზე თქვენს ნაფეხურებს შევნიშნავ ხოლმე, როგორც, მაგალითად, დღეს. მაშინ კი გელით, სანამ ისევ არ გამოივლით ამ გზაზე, მე კი ტყეში მივიმალები ხოლმე, პირქვე ვწევარ ქვას ამოფარებული და გელოდებით. ორჯერ გნახეთ ასე ჩვენი უკანასკნელი საუბრის შემდეგ. ერთხელ ექვსი საათი ველოდი თქვენს დაბრუნებას და მთელი ექვსი საათი ვიწექი, არ ვდგებოდი, მეშინოდა, თვალში არ გცემოდით. ღმერთმა უწყის, ასე დიდხანს სად იყავით იმ დღეს...
_ ანდერსენებთან ვიყავი, _ თქვა უცებ დაგნიმ.
_ დიახ, შეიძლება მართლაც იქ ბრძანდებოდით. ბოლოს და ბოლოს მაინც დაველოდე თქვენს დაბრუნებას. თქვენ მარტო არ იყავით, სავსებით ნათლად გხედავდით ქვის სამალავიდან და ჩუმად გითვლიდით სალამს. არ ვიცი, რა აზრმა გაგიელვათ ამ დროს, მაგრამ თქვენ თავი მოაბრუნეთ და ერთი წუთით ქვაზე შეაჩერეთ მზერა.
_ ოღონდ მომისმინეთ... ღმერთო ჩემო, ისე თრთით, თითქოს სასიკვდილო განაჩენის გამოტანას გიპირებდეთ.
_ ეგ მართლაც რომ ასეა, მშვენივრად მესმის, ყინულივით ცივი გაგიხდათ მზერა.
_ დიახ, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, ამას ხომ ბოლო უნდა მოეღოს, ბატონო ნაგელ! თუ კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი, თქვენთვის გასაგები უნდა შეიქნეს, რომ არცთუ მთლად კეთილშობილურად ექცევით მას, ვინც აქ არ არის. ხომ მართალია? აბა, მის ადგილას წარმოიდგინეთ თავი! თანაც საკმაო სატანჯველი გამიჩინეთ. ბოლოს და ბოლოს რა გსურთ ჩემგან? გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, _ არ გავტეხ ჩემს სიტყვას, მე მიყვარს იგი. ეს, ალბათ, გასაგები უნდა იყოს თქვენთვის! ამიტომაც უფრო ფრთხილად მოიქეცით. მართლაც აღარასდროს შეგხვდებით, თუკი ჩემს ნათქვამს ოდნავადაც არ იღებთ ყურად. ამას გულწრფელად გეუბნებით.
დაგნი აღელვებული იყო, ბაგეები უთრთოდა და თავს ძალას ატანდა, რომ ქვითინი შეეკავებინა. რაკი ნაგელმა არაფერი უპასუხა, ისევ განაგრძო:
_ შეგიძლიათ სახლამდე მიმაცილოთ, თვით ჩემს სახლამდე, თუკი ეს თქვენც გსურთ და გასეირნება უსიამოვნებად არ გადაიქცევა ჩვენთვის, ორივესთვის. თუ გნებავთ, მომიყევით რაიმე, დიდად დაგიმადლებთ, მიყვარს თქვენი მოსმენა.
_ დიახ, დიახ, _ წამოიძახა ნაგელმა მოზეიმე კილოთი, თითქოს ჯაჭვიდან სულ სხვა მოლაყბე აეშვაო, _ ოღონდაც თქვენ გვერდით ვიარო, რა თქმა უნდა, გაგაცილებთ. ეჰ, თქვენ ცივ წყალს მასხამთ, პირდაპირ მყინავთ, როცა ასე გამინაწყენდებით ხოლმე...
დიდხანს მისაუბრობდნენ, ათას უბრალო რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ისეთ მოკლე-მოკლე ნაბიჯებს ადგამდნენ და ისე ნელა მიდიოდნენ, რომ ძლივს მიიწევდნენ წინ.
_ რა მშვენიერი სურნელი დგას, რა მშვენიერი! _ თქვა ნაგელმა, _ როგორ გამოცოცხლდნენ წვიმის შემდეგ ბალახები და ყვავილები! არ ვიცი, გიყვართ კი, საერთოდ, ხეები? უცნაურია, მაგრამ თითქოს ნათესაურ კავშირს ვგრძნობ ყოველ ხესთან. თითქოს მეც ტყის ნაწილს წარმოვადგენდი ოდესღაც. როცა აქ ვდგავარ და ირგვლივ ვიცქირები, რაღაც მოგონებით იმსჭვალება მთელი ჩემი არსება. ო, ერთი წუთით შეიცადეთ, მოისმინეთ! მოისმინეთ, რარიგ გალობენ ჩიტები, ისინი მზეს ესალმებიან. მთლად გაგიჟდნენ, გადაირივნენ, ისე დაფრინავენ, რომ ლამის სახეში გვეცნენ, ჩვენს აქ ყოფნას ვერც კი ამჩნევენ.
და მათ კვლავ განაგრძეს გზა.
_ ჩემს წარმოსახვაში ჯერ კიდევ არ წაშლილა ის დიდებული წარმოდგენა, რომელიც ჩამინერგეთ ნახევარმთვარის მსგავს ცისფერიალქნიან ნავზე, _ თქვა დაგნიმ, _ ეს ძალზე მშვენიერი იყო! როცა ასე მაღალი და ღრმაა ზეცა, მე თვითონვე მეჩვენება, რომ თითქოს იქ მივირწევი და ვერცხლის ანკესით ვთევზაობ.
ნაგელი ბედნიერი იყო, რომ დაგნის ისევ ახსოვდა ის განწყობილება, რომელიც თვით ნაგელს დაეუფლა ივანობის ღამეს. თვალებზე ცრემლი მოადგა და გატაცებით მიუგო:
_ დიახ, მართლაც, თვქენ ძალზე მოგიხდებათ ასეთ ნავში ჯდომა!
როცა დაახლოებით ტყის შუაგულს მიაღწიეს, დაგნიმ დაუდევრად ჰკითხა ნაგელს:
_ რამდენ ხანს დარჩებით აქ კიდევ?
და დაგნიმ მაშინვე ინანა, რად ვკითხეო, უნდოდა, სიტყვა უკან წაეღო, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა, როცა ნაგელმა გაიღიმა და პირდაპირ არ უპასუხა კითხვას. დაგნი დიდად მადლიერი იყო ნაგელისა თავაზიანობისათვის. მან, ალბათ, შენიშნა ქალის შეკრთომა.

_ მე ყოველთვის იქ ვიქნები, სადაც თქვენ ხართ, _ მიუგო ნაგელმა, _ აქ დავრჩები მანამდე, სანამ ფული მეყოფა, _ თქვა მან და დასძინა, _ მაგრამ ეს არცთუ ისე დიდხანს გაგრძელდება.
დაგნიმ შეხედა მას, თვთონაც გაეღიმა და ჰკითხა:
_ ეს არცთუ ისე დიდხანს გაგრძელდება? თქვენ ხომ მდიდარი ბრძანდებით, როგორც მითხრეს.
ახლა კი ნაგელის სახემ ადრინდელი უცნაური გამომეტყველება მიიღო და დაგნის უპასუხა.
_ მე მდიდარი ვარ? მისმინეთ, ქალაქში ხმა დადის, რომ მდიდარი ვარ, რომ მაქვს მამული, რომელიც ძალიან ძვირადაა შეფასებული. ყველაფერი ტყუილია, გთხოვთ, არ დაიჯეროთ, თვალთმაქცობაა. არავითარი მამული არ გამაჩნია, ყოველ შემთხვევაში, ის ძალზე პატარაა და თანაც მარტო მე კი არ მეკუთვნის, არამედ ჩემს დასაც. თანაც, განიავებულია უამრავი ვალითა და ათასგვარი ვალდებულებით. აი, სიმართლე, თუ გნებავთ, ესაა.
დაგნის უნდობლად გაეღიმა.
_ დიახ, ცხადია, თქვენ ხომ ყოველთვის სიმართლეს ამბობთ საკუთარ თავზე, _ თქვა მან.
_ არ გჯერათ? გეეჭვებათ? მაშინ ნება მიბოძეთ, ის მაინც გითხრათ, თუმცა ჩემთვის დამამცირებელია ამის თქმა, მაგრამ ნება მომეცით, ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვეთ: იცოდეთ, რომ პირველსავე დღეს, როგორც კი ამ ქალაქში ჩამოვედი, ფეხით გავემგზავრე მეზობელ ქალაქში, ხუთი მილი გავიარე და იქიდან ჩემს თავს გამოვუგზავნე სამი დეპეშა საკმაოდ დიდ თანხასა და ფინეთში არსებულ საკარმიდამოზე. შემდეგ კი ეს სამივე დეპეშა გაშლილი დავტოვე მაგიდაზე, ჩემს ოთახში, რამდენიმე დღეს, რომ სასტუმროში ყველას წაეკითხა. ახლა ხომ გჯერათ? განა ჩემი სიმდიდრე თვალთმაქცობა არ არის?
_ მხოლოდ იმ პირობით, რომ არ ამასხარავებთ საკუთარ თავს?
_ ისევ? თქვენ ცდებით, ფრეკენ. გეფიცებით ყველა წმინდანს, ვინც კი ქვეყანაზე გამაჩნია, რომ არ ვტყუი! აი, მთელი ჩემი ამბავი.
დუმილი ჩამოვარდა.
_ მაგრამ რისთვის გააკეთეთ ეს, რატომ გამოუგზავნეთ საკუთარ თავს დეპეშები?
_ საკმაოდ გრძელი ამბავი გამოვა, ყველაფერს დაწვრილებით რომ მოგიყვეთ... თუმცა, მოკლედ რომ ვთქვა, ეს იმისათვის გავაკეთე, რომ ხალხისათვის თვალში ნაცარი შემეყარა, რომ სენსაცია გამომეწვია ქალაქში. ხე-ხე-ხე, სავსებით გულახდილად გეუბნებით ამას.
_ ახლა კი ცრუობთ.
_ გეფიცებით, არ ვცრუობ.
ისევ დუმილი ჩამოვარდა.
_ უცნაური კაცი ბრძანდებით! და რას გსურთ ამით მიაღწიოთ, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. ხან ჩემთან ერთად მოდიხართ და... არ გერიდებათ საოცრად გულახდილი იყოთ ჩემთან, მაშინ კი, როცა რამდენიმე სიტყვით კეთილგონიერებისაკენ მოგიწოდებთ, მაშინვე პირს იბრუნებთ ჩემგან და ცდილობთ საზიზღარ თვალთმაქცად, ცრუპენტელად, ტყუილების გუდად წარმომიდგინოთ თავი. არ სჯობდა ამით თავი ტყუილად არ შეგეწუხებინათ? ერთიც და მეორეც ჩემზე ერთნაირ, ძალზე მცირე შთაბეჭდილებას ახდენს. მეტისმეტად დინჯი ადამიანი გახლავართ. მთელი ეს გენიალობა ჩემს გაგებას აღემატება...
დაგნიმ უცებ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.
_ სწორედ დღეს სულაც არ მინდოდა გენიალობა გამომემჟღავნებინა. ჩემთვის ხომ უკვე დაკარგულია ყველაფერი, რისთვისღა უნდა ვეცადო?
_ მაშ, რადღა მიყვებით საკუთარ თავზე ამ საზიზღრობებს ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას? _ შესძახა განრისხებულმა დაგნიმ.
ნაგელმა კი მშვიდად უპასუხა:
_ რომ თქვენზე შთაბეჭდილება მოვახდინო, ფრეკენ.
ახლა ორივენი შეჩერდნენ და ერთმანეთს შეაცქერდნენ. ნაგელმა განაგრძო:
_ მე ადრე უკვე მქონდა ბედნიერება, რამდენიმე სიტყვა მეთქვა თქვენთვის ჩემს მეთოდზე. თქვენ მეკითხებით, რატომ გადმოგიყაჭეთ სწორედ ის საიდუმლოებანი, რომელთა გამჟღავნება ჩემთვის საზარალოა მხოლოდ და რომელთა დამალვაც შემეძლო? მე კი გიპასუხებთ, მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშის გამო. სახელდობრ, ჩემს თავს საშუალებას ვაძლევ ასეთი გულახდილობით მაინც შთაბეჭდილება მოვახდინო თქვენზე, თუმცა უარყოფთ ამას. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ამ დაუდევარმა გულგრილობამ, რომლითაც ჩემს საიდუმლოს ვამჟღავნებ, იქნებ ჩემ მიმართ ცოტაოდენი პატივისცემა ჩაგინერგოთ. იქნებ ამაშიც ვცდები, ესეც სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია და სამწუხაროდ, ვერაფერს გავხდები ამასთან. მაგრამ თუგინდაც ვცდებოდე, ყველაფერი ხომ უკვე დაკარგულია და მეტი აღარაფერი დამეკარგება. შეიძლება მხოლოდ ასეთ დასკვნამდე მივიდეთ: ეს სასოწარკვეთილებაა, აზარტი. მე თვითონვე გეხმარებით, წამომიყენოთ ბრალდებები და როგორც კი

ჩემს სუსტ ძალ-ღონეს შეეფერება, გადაწყვეტილება მიგაღებინოთ, ჩამომცილდეთ და უკუმაგდოთ. რატომ ვაკეთებ ამას? იმიტომ, რომ სულს მიმღვრევს რაიმე ვთქვა ჩემს სასარგებლოდ და ამ საცოდავი ხერხით მცირეოდენი გამორჩენა ვნახო. მე არაფრის გულისათვის გამბედაობა არ მეყოფოდა, წარმომეთქვა თუნდაც ერთი ასეთი სიტყვა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, _ ამგვარი ხერხით ვცდილობ მივაღწიო სწორედ იმას, რასაც სხვები საცოდავი გულახდილობით აღწევენ. ეჰ... თუმცა თავის დაცვას სულაც არ დავიწყებ. უწოდეთ ამას თვალთმაქცობა. ან კი რატომაც არა, ეს გამოდგება, სავსებით ზედგამოჭრილია. თვითონვე დავუმატებ, რომ ეს საძაგელი ტყუილია. კეთილი და პატიოსანი, მაშ, ეს თვალთმაქცობაა და თავს არ ვიცავ, თქვენ მართალი ბრძანდებით, მთელი ჩემი არსება თვალთმაქცობაა. მაგრამ მთელი ხალხი, მეტად თუ ნაკლებად, თვალთმაქცობის ტყვეა, ან კი თვალთმაქცობის ერთი სახე რითაა უკეთესი მეორეზე, თუ ყველაფერი, არსებითად, თვალთმაქცობაა? ვგრძნობ, რომ ლამის სიშმაგემ მომიაროს და ისევ წამოვიწყო გაუთავებელი დავა. თუმცა არა, არ მსურს. ღმერთო ჩემო, როგორ დამღალა ყოველივე ამან. კარგი, კარგი, ვეუბნები ჩემს თავს. წერტილი დასვი... აბა, ვინ დაიჯერებს, მაგალითად, რომ ექიმი სტენერსენის ოჯახში ყველაფერი რიგზე არაა. არ ვამბობ, რომ იქ რაიმე ცუდადაა, ამიტომაც ვეკითხები ჩემს თავს, შეიძლება ვინმეს მოუვიდეს თავში ასეთი აზრი, რომ ვინმემ ცუდი გაიფიქროს ასე პატივცემულ ოჯახზე? ოჯახი კი მხოლოდ ორი ადამიანისგან, ცოლისა და ქმრისგან შედგება, _ მათ არ ჰყავთ შვილები და არც რაიმე დიდი საზრუნავი აქვთ. და მაინც, როგორ არ ვთქვათ, რომ არის იქ მესამე პირიც. ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის, მაგრამ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, აღმოჩნდეს, რომ არის მესამე პირიც ცოლისა და ქმრის გარდა, ვინმე ახალგაზრდა კაცი, ძალზე ერთგული მეგობარი ამ ოჯახისა, რწმუნებული რაინერტი. რას იტყვით ამაზე?.. შესაძლოა, ეს ორივე მხარის ბრალია. თანაც შეიძლება თვითონ ექიმმაც კარგად იცის ყველაფერი, მაგრამ ვერაფერი მოუხერხებია ამისთვის, ყოველ შემთხვევაში, წუხელ ძალზე ბევრს სვამდა და ქვეყანაზე ყველაფრისადმი ისე გულგრილი იყო, რომ მთელი კაცობრიობის სრული განადგურება ისურვა წყალბადციანმჟავას დახმარებით, სხვა ყველაფერი კი ფეხებზე დაიკიდა! საცოდავი! მაგრამ ის, მგონი, მხოლოდ ერთადერთი არაა მუხლებამდე საცდურში ჩაფლული, თუნდაც არაფრად ჩამთვალოთ მე, _ ნაგელი, წელამდე სიცრუეში რომ ვარ ჩაძირული. აი, თუნდაც მინუტი ავიღოთ. კეთილი კაცია, ალალ-მართალი, წამებული ადამიანი! კარგის გარდა, სხვა არაფერია მასში, მაგრამ მე იმასაც თვალს ვადევნებ. გეუბნებით, იმასაც თვალს ვადევნებ! თქვენ განცვიფრდით? შეგაშინეთ? ეს კი არ მინდოდა, მაგრამ ნება მიბოძეთ ახლავე დაგამშვიდოთ: მინუტს ვერავინ გადააცდენს ჭეშმარიტი გზიდან, ის ნამდვილად ალალ-მართალი კაცია, მაგრამ თვალს რატომ არ ვაცილებ, რატომ ვადევნებ თვალს რომელიმე ქუჩის კუთხიდან ღამის ორ საათზე, როცა შინ ბრუნდება უწყინარი გასეირნებიდან? რატომ ვუთვალთვალებ ჯაშუშივით წინიდან თუ უკნიდან, როცა ნახშირიანი ტომრები დააქვს კლიენტებთან და ქუჩაში ნაცნობებს ესალმება? ყოვლად უმიზეზოდ, გარწმუნებთ, ყოვლად უმიზეზოდ! ისე, უბრალოდ მაინტერესებს, მე მიყვარს მინუტი და ბედნიერი ვარ სწორედ ამ წუთს, რომ შემიძლია წარმოგიდგინოთ იგი, როგორც ნათელი პიროვნება მთელი ამ სიცრუის ფონზე. აი, რატომ გავიხსენე ის და თქვენ, ცხადია, კარგად მიმიხვდებით ამას. ხა-ხა-ხა! მაგრამ ახლა ჩემს თავს დავუბრუნდები... აჰა, არა, არა, აღარ მსურს საკუთარ თავთან დაბრუნება! სხვა ყველაფერი რაც გინდა იყოს, ოღონდ ეს კი არა!

უკანასკნელი წამოძახილი ისე აღმოხდა მკერდიდან, ისე ღრმა სევდით იყო გამსჭვალული, რომ დაგნის ნაგელი შეებრალა. ამ წუთს მიხვდა, რომ საქმე აქვს მეტისმეტად გაწამებულ, დატანჯულ ადამიანთან, მაგრამ რაკი ამის შემდეგ ნაგელი მაშინვე შეეცადა, წაეშალა დაგნიზე მოხდენილი შთაბეჭდილება, უცებ ხმამაღლა გადაიხარხარა და ერთხელ კიდევ დაიფიცა, რომ ამქვეყნად ყველაფერი მხოლოდ თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი, ნაგელისადმი გულში გაღვიძებულმა მეგობრულმა გრძნობამ მაშინვე გაუარა.

დაგნიმ უკმეხად უთხრა:

_ თქვენ გადაკრულად ახსენეთ ფრუ სტენერსენი. ეს სიტყვები, თუნდაც ორგზის ნაკლებად უხეში ყოფილიყო, საკმაოდ სულმდაბლური იყო. რაც შეეხება მინუტს, ამ უბედურ ხეიბარს. მართალი რომ გითხრათ, ეს ძალზე უხამსობა და საზიზღრობაა!

დაგნიმ გზა განაგრძო, ნაგელი კი უკან გაჰყვა. მას პასუხი არ გაუცია და თავჩაღუნული მიდიოდა. მხრები ორჯერ მძლავრად შეერხა და დაგნიმ, თავისდა გასაოცრად, შენიშნა, როგორ გადმოუგორდა თვალებიდან ცრემლის ორი კურცხალი. ნაგელი შებრუნდა, რათა დაემალა მღელვარება.

ორიოდე წუთს ასე მიდიოდნენ, ხმის ამოუღებლად. დაგნის გული აუჩუყდა და მწარედ ნანობდა, ასე უკმეხად რად ვუთხარიო. შეიძლება მართალიცაა, ამას რომ ამბობს? რა იცის დაგნიმ? ღმერთმა უწყის, იქნება ამ კაცმა რამდენიმე კვირა იმაზე მეტი ნახა და შეამჩნია, რაც მან წლების განმავლობაში ვერა? კვლავ ხმის ამოუღებლად მიდიოდნენ. ნაგელი სრულიად დამშვიდდა და ისევ ცხვირსახოცს ათამაშებდა გულგრილად ხელში. რამდენიმე წუთის მერე მღვდლის კარ-მიდამოც გამოჩნდებოდა.

უცებ დაგნიმ უთხრა:
_ ძალზე დაიშავეთ ხელი? მოიტათ, მაჩვენეთ.
იქნებ იმისათვის, რომ გაეხარებინა ნაგელი ყურადღებით ან ერთი წუთით მისმა მდგომარეობამ ნამდვილად გავლენა იქონია დაგნიზე, ეს სიტყვები გულწრფელად, თითქოს ათრთოლებული ხმით წარმოთქვა და მაშინვე შეჩერდა.
ახლა კი ვნებამ იფეთქა ნაგელის გულში. ამ წუთს, როცა დაგნი ასე ახლოს იდგა მასთან, მის ხელზე თავდახრილი, ნაგელი გრძნობდა მისი თმიდან და ყელიდან შემოფრქვეულ სურნელებას. ჯერ ერთი სიტყვაც არ ეთქვა და მისმა სიყვარულმა სრულ სიგიჟეს მიაღწია. ნაგელმა ჯერ ცალი ხელით მიიკრა მკერდზე, შემდეგ კი, როცა ქალი გაუძალიანდა, მეორე ხელიც მოიშველია. დიდხანს ვნებიანად იკრავდა მკერდზე დაგნის და თითქმის ხელშიც კი აიტაცა. ნაგელმა იგრძნო, ქალის ზურგი როგორ მოიღუნა და დანებდა. მძიმედ და ტკბილად ესვენა ქალი მის მკვლავებში და დაბინდული თვალებით შესცქეროდა ნაგელს.
ნაგელი ეუბნებოდა, _ მშვენიერი ხარ, ძალზე მშვენიერი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მეყვარებიო. ერთმა ხომ უკვე თავი მოიკლა შენი გულისათვის და მეც ასე მოვიქცევი, ოღონდ მანიშნე, ერთი სიტყვით მიბრძანე. ოჰ, რა ძლიერ, რა ძლიერ მიყვარხარო! _ იმეორებდა დაუსრულებლად, ქალს კი თანდათან უფრო ნაზად, უფრო მხურვალედ იკრავდა მკერდზე!
_ მიყვარხარ, მიყვარხარ! _ ჩურჩულებდა იგი.
დაგნი აღარ ეწინააღმდეგებოდა, თავი ოდნავ ჩამოეყრდნო ნაგელის მარცხენა მხარზე, ნაგელი კი პირდაპირ ახრჩობდა ხშირი და მწველი კოცნით და კოცნას მაშინღა წყვეტდა, როცა ნაზ, ალერსიან სიტყვას ეტყოდა. ვაჟი ნათლად გრძნობდა, რომ ქალიც ეკვროდა მკერდზე და როცა კოცნიდა, უფრო მაგრად ხუჭავდა თვალებს.
_ მოდი ხვალ ჩემთან ხის ქვეშ, გახსოვს ის ვერხვის ხე? მოდი ჩემთან! მიყვარხარ, დაგნი! მაშ, მოხვალ? მოდი, როცა გნებავს, მოდი შვიდ საათზე.
დაგნიმ არაფერი უპასუხა და მხოლოდ უთხრა:
_ გამიშვით! _ და ნელა გათავისუფლდა ნაგელის მკლავებიდან.
ერთ წუთს იდგა ასე და ირგვლივ იცქირებოდა. მისი სახე უფრო და უფრო დაბნეულ იერს იღებდა. ბოლოს ბაგეები უმწეოდ აუთრთოლდა, გაიწია გზის პირას მდებარე ქვისაკენ, ზედ ჩამოჯდა და აქვითინდა.
ნაგელი დაიხარა და ნაზად დაუწყო ლაპარაკი. ეს ორიოდე წუთს გაგრძელდა. დაგნიმ უცებ ხელები დამუშტა, წამოხტა, რისხვისაგან გაფითრებულმა მუშტები მკერდზე მიიკრა და შესძახა გაცოფებით:
_ რა სულმდაბალი კაცი ხართ, ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სულმდაბალი, მაგრამ, ცხადია, თქვენ ამას ვერ გრძნობთ. არა, როგორ შეგეძლოთ, როგორ შეგეძლოთ ასე მოქცევა!
და იგი ისევ აქვითინდა.
ნაგელი ხელახლა შეეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ. ნახევარ საათს იდგნენ ქვასთან, გზის პირას, გაუნძრევლად.
_ თქვენ კი გინდათ კიდევ მოვიდე თქვენთან შესახვედრად, _ თქვა მან, _ მაგრამ აღარასოდეს არ შეგხვდებით, აღარასოდეს. აღარ მსურს, გიხილოთ ჩემმა თვალებმა, საზიზღარო არამზადავ!
ნაგელი ეხვეწებოდა, მომიტევეთო, მუხლებზე დაემხო მის წინ და უკოცნიდა კაბის კალთას, მაგრამ დაგნი მხოლოდ იმეორებდა: არამზადა ხართ, უნამუსოდ მოიქეცით, რა მიქენით! შორს, შორს! არ გაბედოთ უკან გამომყვეთ! ერთი ნაბიჯიც აღარ გადმოდგათო!
დაგნი სწრაფად შეტრიალდა და წავიდა შინისაკენ.
ნაგელმა მაინც სცადა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ ქალმა მბრძანებლურად აუქნია ხელი და უთხრა:
_ ფეხი არ გადმოდგათ!
ნაგელი შეჩერდა და ქალს თვალი გააყოლა, მაგრამ როცა ოციოდე ნაბიჯით დასცილდა დაგნი, ნაგელმაც ხელები დამუშტა და მიუხედავად იმისა, აუკრძალეს გამოკიდება, მაინც გამოედევნა და კვლავ აიძულა დაგნი, შეჩერებულიყო.
_ არაფერს გავნებთ, _ უთხრა მან, _ ოდნავ მაინც გებრალებოდეთ. აი, ვდგავარ თქვენ წინაშე და მზად ვარ თავი მოვიკლა, ჩემგან რომ გაგათავისუფლოთ. ოღონდაც კი მანიშნეთ, მითხარით მხოლოდ ერთი სიტყვა. ამას ხვალაც გაგიმეორებთ, თუკი გნახავთ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ერთი მოწყალება მოიღოთ, _ მომეპყრათ სამართლიანად. ხომ ხედავთ, _ თქვენი ისეთი მეუფების ტყვედ ვარ, რომლისგანაც ვეღარ დავიხსნი თავს. ეს ხომ მხოლოდ ჩემი ბრალი არაა, რომ თქვენ შეგხვდით ამ ცხოვრების გზაზე. ღმერთს ვთხოვ, არასოდეს გამოგაცდევინოთ ისეთი ტანჯვა, როგორსაც მე ახლა განვიცდი.
შემდეგ ნაგელი შეტრიალდა და ქალაქისაკენ გაემართა.

მძლავრი მხრები ისევ უთრთოდა გზად მიმავალსაც. არავინ შეუმჩნევია წინ შეხვედრილთაგან, არავინ უცვნია, ასე გაიარა მთელი ქალაქი და გონს მაშინღა მოეგო, როცა სასტუმროს კიბესთან აღმოჩნდა.

XV

მომდევნო ორ-სამ დღეს ნაგელი ქალაქში აღარ დარჩა. გემით გაემგზავრა სადღაც და მისი ოთახი დაკეტილი იყო. არავინ იცოდა, საით გაემართა, მაგრამ ჩრდილოეთისკენ მიმავალ გემზე დაჯდა, _ შეიძლება გასართობადაც წავიდა.

ნაგელი დილით ადრე დაბრუნდა, ვიდრე ქალაქი გამოიღვიძებდა. ძალზე ფერმკრთალი და უძინარი ჩანდა, მაგრამ სასტუმროში კი არ მივიდა, ჯერ რამდენიმე ხანს სანაპიროზე ისეირნა აქეთ-იქით, შემდეგ კი სრულიად ახალი გზით წავიდა ყურისაკენ, სადაც ახლაღა დაიწყო კვამლის ამოსვლა ორთქლის წისქვილის მილიდან. ჩანდა, მხოლოდ იმისთვის დახეტიალებდა, რომ ეს ორი საათი მოეკლა როგორმე. როცა ბაზარში გამოცოცხლება დაიწყო, ნაგელი უკვე იქ იყო: ფოსტის კანტორის კუთხეში იდგა და ყურადღებით ადევნებდა თვალს ყველა გამვლელ-გამომვლელს. როგორც კი მართა გუდეს მწვანე კაბას მოჰკრა თვალი, მაშინვე მასთან მივიდა და მიესალმა.

_ მომიტევეთ, იქნებ აღარც კი გახსოვართ, მე ნაგელი მქვია, თქვენი სავარძლის, ძველი სავარძლის ყიდვა რომ მინდოდა, მაგრამ შეიძლება კიდევაც გაყიდეთ?

_ არა, არ გამიყიდია, _ მიუგო მართამ.

_ კეთილი, მაგრამ ძველი ნივთების მოყვარული ვინმე მაინც მოვიდა და დაგაფასებინათ?

_ კი იყო, მაგრამ...

_ მერე? მართლა? სხვებიც მოვიდნენ, რას ამბობთ? მანდილოსანი? აჰ, ეს აუტანელი ქალები! ყველგან მათ უნდა ჩასჩარონ ცხვირი! ჩანს, იყნოსა ეს იშვიათი ნივთი და მაშინვე გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეეძინა. დიახ, ეს წმინდა ჩვეულებრივი ქალური ფანდია. მაინც რამდენი შემოგთავაზათ, სადამდე ავიდა? გეუბნებით, არაფრის გულისათვის არ დავუთმობ მაგ სავარძელს. ვერც ერთი ეშმაკი ვერ მაიძულებს დავთმო ეს სავარძელი.

მართა მთლად დააბნია ნაგელის გაცხარებამ და სწრაფად უპასუხა:

_ არა, არა, მე მას თქვენ დიდი სიამოვნებით მოგცემთ.

_ მაშინ ნებას დამრთავთ, შემოვიარო დღეს საღამოს, დაახლოებით რვა საათზე, რომ ეს საქმე გავათაოთ?

_ დიახ, შეგიძლიათ, მაგრამ უმჯობესი არ იქნება, სავარძელი სასტუმროში გამოგიგზავნოთ, ასე უფრო ნაკლებს ვიცოდვილებთ.

_ არა, არა, არაფრის გულისათვის, არავითარ შემთხვევაში არ მოგცემთ მაგის ნებას, ასეთ ნივთებს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. სიმართლე გითხრათ, სულაც არ მინდა ეს სავარძელი სხვა ვინმემ ნახოს. მე თვითონ შემოვივლი თქვენთან საღამოს. აი, კიდევ რა, სავარძელი არ გაწმინდოთ ჩვრით და არ გარეცხოთ. ღმერთმა დაიფაროს! ერთი წვეთი წყალიც არ მიაკაროთ!..

ნაგელი მაშინვე სასტუმროსაკენ წავიდა, სადაც გაუხდელი მიწვა საწოლზე და მაგარი, ღრმა ძილით ეძინა გვიან საღამომდე.

ივახშმა თუ არა, მაშინვე სანაპიროზე გაეშურა, მართას პატარა სახლისაკენ. რვა საათი იქნებოდა, კარზე რომ დაუკაკუნა და შინ შევიდა.

ოთახი ახლახან მოერეცხათ: იატაკი სუფთა იყო, ფანჯრები დაწმენდილი. თვითონ მართას მძივი ეკეთა ყელზე. ცხადი იყო, ნაგელს უცდიდა.

ნაგელი მიესალმა, დაჯდა და მაშინვე მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ მართა არც ახლა ნებდებოდა, პირიქით, უწინდელზე უფრო მეტად გაკერპდა და სურდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, სავარძელი მუქთად დაეთმო ამ ახირებული კაცისთვის. ნაგელი საოცრად გაცოფდა და დაემუქრა, პირდაპირ სახეში მოგაყრით ხუთას კრონს, სავარძელს ხელს დავავლებ და გავიქცევიო. დიახ, ამას იმსახურებდა იგი. არასოდეს შეხვედრია ასე კერპი ქალი და არც ასეთი განუსჯელობა სმენია. ნაგელმა მუშტი დასცხო მაგიდას და ჰკითხა, ბოლოს და ბოლოს, გონება მთლად ხომ არ დაკარგეთო.

_ იცით, რა? _ უთხრა მან და ქალს დაჟინებით მიაჩერდა, _ თქვენი სიკერპე ეჭვს მიღვიძებს. გულახდილად მითხარით: ეს სავარძელი პატიოსანი გზით გაქვთ ნაშოვნი თუ არა? გულახდილად გეტყვით, ყველა ჯურის ხალხთან მქონია საქმე და ზედმეტი სიფრთხილე არასოდეს გვავნებს ხოლმე. თუ ეს სავარძელი ხელთ ჩაგივარდათ რაიმე გაიძვერული გზით ან რაიმე გაუგებრობის შედეგად, სულაც არ მინდა მისი ყიდვა. თუმცა მომიტევეთ, თუ სწორად ვერ გავიგე თქვენი უარი.

და ნაგელმა დაბეჯითებით სთხოვა, სიმართლე მითხარითო.

ამ ეჭვით თავგზააბნეულმა, გვარიანად შეშინებულმა და შეურაცხყოფილმა მართამ მაშინვე თავის მართლება დაიწყო: სავარძელი პაპამისს ჩამოეტანა და ოჯახის კუთვნილებას წარმოადგენდა უკვე მთელი ასი წლის განმავლობაში. ტყუილად ფიქრობს ნაგელი, თითქოს რაიმეს ვმალავ სავარძელთან დაკავშირებითო. მართას ცრემლები მოადგა თვალზე.

_ კარგი, რაკი ეგრეა, დროა, ბოლო მოვუღოთ ამ უბრალო საქმეს, წერტილი დავუსვათ! _ წამოდგა ნაგელი და საფულე ამოიღო.
მართამ ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა, სურდა, კიდევ გაეწია წინააღმდეგობა, მაგრამ ნაგელმა ყურადღება აღარ მიაქცია. მაგიდაზე დააწყო ორი წითელი ასიანი და საფულე ისევ დაკეტა.
_ ინებეთ! _ თქვა მან.
_ რაკი ეგრეა, მაშინ მხოლოდ ორმოცდაათი მომეცით! _ შეევედრა მართა.
ამის თქმისას ქალი ისე დაიბნა, რომ ნაგელს ორჯერ თავზეც გადაუსვა ხელი, რომ როგორმე დაეთანხმებინა. თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა, მაგრამ თავზე ხელი გადაუსვა ნაგელს და ისევ სთხოვა, მხოლოდ ორმოცდაათი კრონის გადახდას დასჯერებოდა. ამ სულელ ქალიშვილს ცრემლები კვლავ თვალებზე ჰქონდა მომდგარი.
ნაგელმა თავი ასწია და შეხედა. ამ ჭაღარა საბრალო ქალმა, ამ ორმოცი წლის ქალიშვილმა, ჯერ კიდევ მწველი შავი თვალები რომ შერჩენოდა და მთელი თავისი არსებით მონაზონს მოგაგონებდათ, ამ თავისებურმა და იშვიათმა სილამაზემ იმოქმედა ნაგელზე, აიძულა, ერთი წუთით შეყოყმანებულიყო. ხელში აიღო მისი ხელი, ხელი მოუთათუნა და უთხრა:
_ ღმერთო ჩემო, რა უცნაური ვინმე ბრძანდებით, ძვირფასო, _ მაგრამ მაშინვე წამოდგა სკამიდან და ხელი გაუშვა.
_ ვფიქრობ, არავითარი საწინააღმდეგო არ გექნებათ, სავარძელი ახლავე წავიღო, _ თქვა მან და სავარძელს წამოავლო ხელი.
ჩანდა, მართას აღარ ეშინოდა მისი. შეამჩნია, რომ ნაგელმა ხელები დაისვარა, ძველ სავარძელს რომ შეეხო, მაშინვე ხელი ჩაიყო ჯიბეში და თავისი ხელსახოცი გაუწოდა ნაგელს ხელის გასაწმენდად. ფული ისევ მაგიდაზე იდო.
_ მართა, _ თქვა ნაგელმა, _ უკეთესი არ იქნება, რამდენადაც შეგიძლიათ საიდუმლოდ შეინახოთ ამ გარიგების ამბავი? არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, რომ მთელმა ქალაქმა შეიტყოს, ხომ მართალია?
_ დიახ, _ თქვა მართამ დაფიქრებით.
_ თქვენს ადგილას ფულს ახლავე შევინახავდი. ან, ჩვენ შორის რომ ითქვას, ჯერ ფანჯარას ჩამოვაფარებდი რაიმეს. აი, თუნდაც ამ წინსაფარს.
_ მაგრამ ძალიან რომ დაბნელდეს? _ იკითხა მართამ და წინსაფარი ფანჯარას ჩამოაფარა, რაშიაც ნაგელიც ეხმარებოდა.
_ სხვათა შორის, თავიდანვე ასე უნდა გაგეკეთებინათ, _ თქვა ნაგელმა, _ კარგი არ იქნებოდა, რომ ვინმეს აქ დავენახე.
მართამ არაფერი უპასუხა. ფული მაგიდიდან აიღო და ხელი გაუწოდა ნაგელს, ბაგეები შეარხია, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა.
ნაგელს ჯერ კიდევ არ გაეშვა მართას ხელი, რომ უცებ უთხრა:
_ მომისმინეთ, შემიძლია გკითხოთ, თქვენ, ალბათ, გეძნელებათ ცხოვრება, თავისთავად ცხადია, დაუხმარებლად, მხარდაუჭერლად... თუ მცირეოდენ დახმარებას იღებთ?
_ დიახ.
_ მომიტევეთ, გეთაყვა, ამას რომ გეკითხებით. ერთი აზრი დამებადა: რომ გაიგონ, ცოტაოდენი ფული გაუჩნდაო, მაშინ არათუ დახმარებას მოგიხსნიან, თვით ფულსაც წაგართმევენ, დიახ, დიახ, წაგართმევენ. აი, რატომაა საჭირო არავის უთხრათ ამ გარიგების ამბავი; გესმით ახლა? მე მხოლოდ გირჩევთ, როგორც პრაქტიკული ადამიანი. არც ერთ სულიერს არ უთხრათ, რაც აქ მოხდა... მართლა, ახლა მომაგონდა: კარგი იქნებოდა თქვენთვის უფრო წვრილი ფული მომეცა, რომ დახურდავება არ დაგჭირვებოდათ.
ის ყველაფერზე ფიქრობს, ყოველ უბრალო შემთხვევაზეც. ნაგელი ისევ დაჯდა და წვრილი ფულის გადათვლა დაიწყო. არასწორად დათვალა, რაც კი წვრილი ფული ჰქონდა მართასთვის მისაცემად, აიღო და მთელი შეკვრა შეახვია.
_ ახლა კი შეგიძლიათ შეინახოთ! _ თქვა ნაგელმა.
მართა შებრუნდა, ლიფი შეიხსნა და მკერდში ჩაიმალა ფული. მართამ უკვე მოათავა ეს საქმე, მაგრამ ნაგელი მაინც არ ამდგარა, მერე კი თითქოს შემთხვევით თქვა:
_ დიახ, რაღაც მინდოდა მეთქვა... მინუტს ხომ არ იცნობთ?
ნაგელმა შეამჩნია, რომ მართას ნელ-ნელა წამოენთო სახე.
_ რამდენჯერმე შევხვდი მას, _ განაგრძო ნაგელმა, _ ძალიან მიყვარს ეს ერთგული და ძვირფასი ადამიანი. ახლა დავავალე ვიოლინო მიშოვოს სადმე და დარწმუნებული ვარ, ამ საქმეს მომიგვარებს. თქვენ როგორ გგონიათ? თუმცა იქნებ არც იცნობთ მას?
_ არა, ვიცნობ.

_ აჰ, დიახ, მართლა, მინუტმა მითხრა, რომ გიყიდათ რამდენიმე ყვავილი დაკრძალვის დღეს, კარლსენის დაკრძალვის დღეს. მითხარით, იქნებ კარგადაც იცნობთ? რა აზრის ხართ მინუტზე? თქვენც ხომ გჯერათ, რომ ყოველ შემთხვევაში, ჩემს დავალებას კარგად შეასრულებს? როცა ამდენ ადამიანთან გაქვს საქმე, ზედმეტი არაა ცნობების შეგროვება. ერთხელ შედარებით დიდი თანხა დამეკარგა იმის გამო, რომ ბრმად ვენდე ერთ კაცს და წინასწარვე არაფერი ვიკითხე მასზე. ეს ჰამბურგში მოხდა.
და არ ვიცი, რა სურვილმა მოუარა, ნაგელი მოჰყვა იმ ერთი კაცის ამბავს, რომლის გამოც ფული დაკარგა. მართა ისევ მის წინ იდგა, მაგიდაზე დაყრდნობილი. იგი აღელდა და ბოლოს გაცხარებით წამოიძახა:
_ არა, არა, აღარაფერი თქვათ მასზე!
_ ვისზე?
_ იოჰანესზე, მინუტზე.
_ მაშ, მინუტს იოჰანესი ჰქვია?
_ დიახ, იოჰანესი.
_ ნამდვილად იოჰანესი ჰქვია?
_ დიახ.
ნაგელი გაჩუმდა. ამ უბრალო აღმოჩენამ, რომ მინუტს იოჰანესი ჰქვია, მოულოდნელად უბიძგა მის აზრებს, ერთი წუთით სახის გამომეტყველებაც კი შეუცვალა. ცოტა ხანს ხმის ამოუღებლად იჯდა, შემდეგ კი იკითხა:
_ რატომ ეძახით იოჰანესს და არა გრიგორს ან მინუტს?
მართამ თავი ჩაქინდრა და დარცხვენით წარმოთქვა:
_ ჩვენ ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთიმეორეს.
დუმილი ჩამოვარდა.
მაშინ ნაგელმა ნახევრად ხუმრობით და უაღრესად გულგრილად თქვა:
_ იცით, რა შთაბეჭდილება შემექმნა? მინუტს ძალიან უნდა უყვარდეთ. დიახაც, ნამდვილად, ასეთი აზრი დამებადა თავში, ეს მართალია. არც დიდად მიკვირს, თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ მინუტი ცოტა კადნიერი მეჩვენა. ხომ მართალია? ჯერ ერთი, ის ჭაბუკი აღარაა, მეორეც _ ცოტა ხეიბარიცაა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ქალები საოცრად ახირებული ბუნებისანი არიან. თუ რაიმე ჟინიანობა შეგამჩნიეს, მაშინვე თავის ნებით, სიხარულითაც კი გეტაკებიან განუსჯელად. ხა-ხა-ხა, ასეთები არიან ქალები! 1886 წელს დიდად უცნაური ამბის მოწმე შევიქენი. ერთი ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა ქალიშვილი გათხოვდა თავისივე მამის შიკრიკზე. ვერასდროს დავივიწყებ ამას. იგი შეგირდი იყო, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის უწვერულვაშო ბიჭი: ლამაზი კი იყო, _ დიახ, საოცრად ლამაზი, ესეც უნდა ითქვას. ჰოდა, ეტაკა ქალი ამ უმწიკვლო ბიჭს სიყვარულით გაგიჟებული და საზღვარგარეთ გაემგზავრა მასთან ერთად. ნახევარი წლის შემდეგ დაბრუნდა, მაგრამ სიყვარული უკვე გამქრალიყო! ჰოდა, რამდენიმე თვე სასტიკად იტანჯებოდა ეს ქალი, მაგრამ ქმრიანი იყო და ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა. რა უნდა ექნა? აი, იგი მუშტებს ურტყამს მაგიდას, ცხვირს უწევს მთელ ქვეყანას და ცოდვებში ეფლობა, როგორც იტყვიან, ხელიდან ხელში გადადის სტუდენტებსა და ნოქრებს შორის და ამთავრებს იმით, რომ მეტსახელად წებოს არქმევენ. ის უბრალოდ ღირსი იყო სიბრალულისა, მაგრამ მან ერთხელ კიდევ გააცვიფრა ქვეყანა. რამდენიმე წლის ამნაირად გართობის მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ნოველების წერა დაიწყო, მწერლად გადაიქცა და მასზე ალაპარაკდნენ, _ დიდი ნიჭი აქვსო. ალბათ, სწავლის დიდი უნარი ჰქონდა, სტუდენტებსა და ნოქრებს შორის გატარებულმა ორმა-სამმა წელმა არაჩვეულებრივად განავითარა და ასწავლა წერის ხელოვნება. ამის მერე შესანიშნავი ნაწარმოებების წერა დაიწყო. ხა-ხა-ხა, დიახ, ეშმაკმა უწყის ეს რა ქალი იყო! დიახ, ასეთები არიან ქალები! თქვენ იცინით, ამას ვერ უარყოფთ, ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ მაინც ვერა. რომელიმე ჩვიდმეტი წლის შიკრიკი ადვილად შეძლებს ჭკუა დაგაკარგვინოთ. დარწმუნებული ვარ, არც მინუტი გაატარებს მთელ სიცოცხლეს სიმარტოვეში, თუკი ცოტაოდენ ძალ-ღონეს დაძაბავს, როგორც საჭიროა ხელს მოჰკიდებს ამ საქმეს. მასში არის ისეთი რაღაც, რომელიც შთაბეჭდილებას ახდენს თვით მამაკაცებზეც, მაგალითად, ჩემზეც. გული საოცრად უმანკო და გაურყვნელი აქვს, მისმა ბაგეებმა კი ტყუილის თქმა არ იციან. ხომ მართალია? თქვენ ხომ მას მოხარშულსაც კი იცნობთ და უნდა დამეთანხმოთ, რომ ასეა. მაგრამ რა შეიძლება ითქვას ნახშირით მოვაჭრე ბიძამისზე? ეს ბებერი მელა, როგორც მე მეჩვენება, დიდი უსიმპათიო ვინმე უნდა იყოს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მთელ საქმეს მინუტი აკეტებს. ჰოდა, გეკითხებით, რატომ მინუტს არ უნდა ჰქონდეს საკუთარი საქმე? ერთი სიტყვით, თუ ამგვარი რამ მოხდა, მინუტი შეძლებს ოჯახის რჩენას. თქვენ თავს აქნევთ?
_ არა, თავს არ ვაქნევ.

_ ყოველ შემთხვევაში, მოთმინება მაინც გამოგელიათ, ალბათ, და თავი შეგაწყინეთ ამ კაცზე ყბედობით, ვისთანაც არა გესაქმებათ რა, და სავსებით მართალიც ბრძანდებით... მომისმინეთ, აი, რა მომაგონდა ამ წუთს, _ გული არ მოგივიდეთ ჩემზე, მართალი რომ გითხრათ, მინდა როგორმე დაგეხმაროთ, _ მაგრად უნდა ჩაკეტოთ ღამით სახლის კარი! რა შეშინებული შემომცქერით? რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ! ნურაფრის გეშინიათ და უნდობლად ნუ მიცქერით. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ სწორედ ახლა, როცა ფულის შენახვა გჭირდებათ, ბრმად არავის მიენდოთ. მართალია, არ გამიგონია, რომ ქალაქში არეულობა იყოს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. დაახლოებით ორ საათზე, როგორც იცით, საკმაოდ ბნელა, ჰოდა, სწორედ დაახლოებით ორ საათზე ჩემთანაც კი, ფანჯრის ქვემოთ საეჭვო ხმაურს მოვკარი ყური. დიახ, დიახ, გული ხომ არ მოგდით, ასეთი რჩევა რომ მოგეცით? მაშინ, ნახვამდის, დიდად მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, სავარძელი ხელიდან გამოგგლიჯეთ. ნახვამდის, ძვირფასო.
ამ სიტყვების თქმისთანავე მან ხელი ჩამოართვა მართას. კართან მისული ერთხელ კიდევ შემობრუნდა და უთხრა:
_ მომისმინეთ, ყველაფერს სჯობია თქვათ, რომ ორი კრონი მოგეცით სავარძელში, მაგრამ არაფრისდიდებით მეტი არა, ერთი გროშითაც მეტი არა, თორემ ფულს წაგართმევენ, ეს კარგად გახსოვდეთ. ხომ მართალია? შემიძლია ამის იმედი ვიქონიო?
_ დიახ, _ მიუგო მართამ.
ნაგელმა ხელი წამოავლო სავარძელს და წავიდა. სიხარულით უბრწყინავდა სახე, ჩუმად იცინოდა და ხმამაღლაც კი გადაიხარხარა, თითქოს რაიმე მარჯვე ოინი დაეტრიალებინოს.
_ ღმერთო ჩემო, რა გახარებული იქნება ახლა! _ თქვა ნაგელმა აღტაცებით, _ ხე-ხე-ხე, ასეთი სიმდიდრის გამო ამაღამ იქნებ ვერც კი დაიძინოს.
როცა შინ დაბრუნდა, იქ მინუტი დაუხვდა, იჯდა და უცდიდა ნაგელს.
რეპეტიციიდან პირდაპირ აქ მოსულიყო და იღლიაში აფიშების შეკრულა ჰქონდა ამოჩრილი. დიახ, ცოცხალი სურათები ძალზე კარგი და წარმტაცი უნდა ყოფილიყო. ისინი ისტორიულ სცენებს დადგამდნენ სხვადასხვა ფერის შუქზე. თვითონ სტატისტის როლს ასრულებდა.
_ როდის დაიწყება ბაზრობა?
ხუთშაბათს გახსნიან, ცხრა ივლისს, დედოფლის დაბადების დღესო, უთხრა მინუტმა. აფიშები თვითონ მინუტს უნდა გაეკრა ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. ნებართვა მიეღოთ, ერთი აფიშა სასაფლაოს ჭიშკარზეც კი გაეკრათ... სხვათა შორის, ის ვიოლინოს გამო მოვიდა. ვერ ეშოვა. მთელ ქალაქში ერთადერთი ვიოლინო იყო, რომელზეც დაკვრა შეიძლებოდა და ისიც არ იყიდებოდა, ორგანისტს ჰქონდა ეს ვიოლინო და თვითონვე დაუკრავდა ბაზრობაზე. რამდენიმე ნომერი უნდა შეესრულებინა.
_ მაშასადამე, ვერაფერს გავხდებით მასთან?
მინუტმა წასვლა დააპირა. როცა ქუდს ხელი წამოავლო და ფეხზე წამოდგა, ნაგელმა უთხრა:
_ თითო ჭიქა ხომ არ გადაგვეკრა? უნდა გითხრათ, რომ დღეს საკმაოდ კარგ გუნებაზე ვარ, რაღაც სასიამოვნო ამბავი შემემთხვა. იცით, დიდი ძალდატანების შემდეგ ერთი ისეთი სავარძლის ყიდვა მოვახერხე, რომლის მსგავსი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება, სრულიად დარწმუნებული გახლავართ ამაში. გესმით რაიმე ამ ძვირფასი მარგალიტის, ჰოლანდიური ხელოვნების ამ ერთადერთი თავისებური ქმნილებისა? მსოფლიოს არც ერთ საგანძურზე არ გავცვლიდი ამას, გეფიცებით! აი, სწორედ ამ შემთხვევის გამო მსურდა თითო ჭიქა ღვინო გადაგვეკრა, თუ ამის საწინააღმდეგო არა გაქვთ რა. დავურეკო? არა? მაგრამ ამ აფიშების გაკვრა ხომ ხვალაც შეგიძლიათ... არ შემიძლია ასე დიდი წარმატება დავივიწყო. იქნებ არც იცით, რომ კოლექციონერიც გახლავართ და აქ იმიტომაც ვცხოვრობ, რომ დავყნოსო, ხომ არ არის რაიმე იშვიათი ნივთები. შეიძლება არც მითქვამს თქვენთვის ჩემი ძროხის ზანზალაკზე რაიმე? არა? ღმერთო ჩემო, მაშ, წარმოდგენაც არ გქონიათ, რა კაცი ვარ! მართალია, აგრონომი გახლავართ, მაგრამ სხვა რამითაც ვარ დაინტერესებული. დღეისათვის ორას სამოცდაშვიდი ძროხის ზანზალაკი მაქვს. მათი შეგროვება ამ ათიოდე წლის წინ დავიწყე და ახლა, მადლობა ღმერთს, პირველხარისხოვანი კოლექცია მაქვს. თუ იცით, როგორ ჩავიგდე ხელში ეს სავარძელი? _ შემთხვევით, სრულიად შემთხვევით. ქუჩაში მივდიოდი, ჩავუარე სანაპიროზე ერთ პატარა სახლს და ჩემი ძველისძველი ჩვეულების თანახმად, თვალი ფანჯრისაკენ გავაპარე. უცებ ეს სავარძელი დავინახე და მაშინვე მივხვდი მის ღირსებას. კარზე დავაკაკუნე და შევედი სახლში. ხანში შესული ჭაღარა ქალი შემომეგება...
დამავიწყდა, რა ჰქვია. ჰო, ეს სულერთია, იქნებ არ იცნობთ. აჰ, მგონი, ფრეკენ გუდეს, მართა გუდეს ეძახიან ან რაღაც ამის მსგავსს... ჰოდა, კარგი და პატიოსანი, თუმცა ქალმა უარი თქვა სავარძლის გაყიდვაზე, მაგრამ ისე მივეძალე, რომ აღმითქვა, მოგყიდიო და აი, მოვიტანე კიდეც. ყველაზე კარგი კი ისაა, რომ მთლად მუქთად ვიშოვე, სულ მუქთად. მართალია, ორი კრონი დავუგდე მაგიდაზე, რომ

სანანებლად არ დარჩენოდა სავარძლის გაჩუქება, მაგრამ ეს სავარძელი რამდენიმე ასი კრონიც კი ღირს. გთხოვთ ამაზე არავის არაფერი უთხრათ; არავის სიამოვნებს, მასზე ცუდს რომ ამბობენ, მე კი სულაც არ მაქვს ჩემი თავისთვის სასაყვედურო. მაგ ქალიშვილს სულ არაფერი გაეგებოდა ამ საქმისა, მე კი, როგორც სპეციალისტსა და მყიდველს, როდი მევალებოდა მეზრუნა მის სასარგებლოდ. მართალი არაა? _ სულელურად არ უნდა მოიქცე, ხელსაყრელი შემთხვევით უნდა ისარგებლო, ეს ხომ არსებობისათვის ბრძოლაა... მაგრამ ნუთუ ახლაც უარს მეტყვით თითო ჭიქა ღვინის გადაკვრაზე, რაკი გაიგეთ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი?
მინუტი მაინც გაიძახოდა, უნდა წავიდეო.
_ რა სამწუხაროა, _ განაგრძო ნაგელმა, _ მე კი მიხაროდა, რომ საშუალება მომეცემოდა თქვენთან ყბედობისა. თქვენ ხომ ერთადერთი მამაკაცი ბრძანდებით, რომელთანაც საუბრის სურვილი მეღვიძება, როგორც კი დაგინახავთ, დიახ, თანაც თქვენ იოჰანესს გეძახიან? ჩემო ძვირფასო მეგობარო, მე ეს დიდი ხანია ვიცოდი, მანამდეც, ვიდრე ამ საღამოს მეტყოდნენ... მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, გეთაყვა! რა უბედურებაა, რომ ადამიანებს ეშინიათ ჩემი. დიახ, დიახ, ნუ უარყოფთ ამას, მართალი რომ გითხრათ, ისეთი შეშინებული თვალებით მომაჩერდით, რომ... აღარაფერს ვამბობ იმაზე, ეგრე რომ აკანკალდით.
მინუტი უკვე კართან მისულიყო. როგორც ეტყობოდა, სურდა მალე გასცლოდა ნაგელს, ახლავე მიეტოვებინა ეს სახლი. საუბარი თანდათან უსიამოვნო ხასიათს იღებდა.
_ დღეს ექვსი ივლისია? _ უცებ იკითხა ნაგელმა.
_ დიახ, _ მიუგო მინუტმა, _ ექვსი ივლისია, _ და ამ სიტყვების თქმისთანავე კარის სახელურს წაატანა ხელი.
ნაგელი ნელა მიუახლოვდა მინუტს, ძალზე ახლოს მივიდა მასთან, მხრებში ხელები ჩასჭიდა, გაშტერებით დააცქერდა და წასჩურჩულა.
_ ექვს ივნისს კი სად ბრძანდებოდით?
მინუტს ხმა არ ამოუღია, ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ამ გამგმირავი მზერითა და იდუმალი ჩურჩულით შეშინებულს თავგზა სულ დაებნა, განსაკუთრებით შეაკრთო უცნაურმა შეკითხვამ თვისა და რიცხვის თაობაზე, სწრაფად გამოაღო კარი და დერეფანში გავარდა. იქ ერთ წუთს ადგილზე ტრიალებდა დაბნეული, კიბეს ვეღარ პოულობდა, ნაგელი კი ზღურბლზე მდგარი უყვიროდა:
_ არა, არა, ეს სიგიჟეა! გთხოვთ, დაივიწყოთ ეს ამბავი. შემდეგ აგიხსნით, შემდეგ გეტყვით.
მაგრამ მინუტს აღარაფერი ესმოდა. ის უკვე ძირს იყო, სასტუმროს ვესტიბიულში, ვიდრე ნაგელი ყოველივე ამას ეტყოდა, იქიდან კი გარეთ გავარდა, _ აღარც მარჯვნივ მიუხედავს და აღარც მარცხნივ, _ პირდაპირ ბაზრისაკენ, წყალსატუმბავისაკენ მიმავალ ქუჩაში გავარდა, სადაც პირველსავე შემხვედრ გვერდით ქუჩაში შეუხვია და გაუჩინარდა.
ერთი საათის შემდეგ, _ იქნებოდა ასე ათი საათი, _ ნაგელმა სიგარას მოუკიდა და ქუჩაში გავიდა. ქალაქს ჯერ კიდევ ეღვიძა, მღვდლის კარ-მიდამოსაკენ მიმავალ გზაზე ბევრნი დასეირნობდნენ წინ და უკან ნელი ნაბიჯით, ქუჩებში ისევ გაისმოდა მხიარული შეძახილები და მოთამაშე ბავშვების კისკისი. კაცები და ქალები კიბეებზე ჩამომსხდარიყვნენ, მშვენიერი საღამოთი ტკბებოდნენ და წყნარად ესაუბრებოდნენ ერთიმეორეს. დროდადრო ქუჩის გადაღმაც ეხმიანებოდნენ მეზობლებს.
ნაგელი ნავმისადგომისაკენ გაეშურა. მან იქ მინუტი დაინახა, ფოსტის კანტორის, ბანკის, სკოლისა და ციხის კედლებზე აკრავდა აფიშებს. მერედა, რა გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად აკეთებდა ამას, რა მონდომებით შრომობდა და არ ზოგავდა დროს, თუმცა აქამდეც უნდა წასულიყო დასასვენებლად! ნაგელმა სულ ახლოს გაუარა, მიესალმა, მაგრამ არ შეჩერებულა.
როცა თითქმის ნავმისადგომს მიაღწია, ვიღაც უკნიდან შეეხმიანა. მართა გუდემ, სულს რომ ძლივს ითქვამდა, შეაჩერა იგი და უთხრა:
_ მომიტევეთ! თქვენ ძალზე ბევრი ფული მომეცით.
_ საღამო მშვიდობისა, _ მიუგო ნაგელმა, _ თქვენც სასეირნოდ გამოხვედით?
_ არა, ქალაქში ვიყავი, სასტუმროს მახლობლად გიცდიდით. თქვენ ძალზე ბევრი ფული მომეცით.
_ რაო, ხელახლა დავიწყოთ ეს კომედია?
_ მაგრამ თქვენ შეცდით! _ წამოიძახა დარცხვენილმა მართამ, _ იქ ორას კრონზე მეტი იყო წვრილი ფული.
_ აჰ, აი, რა ყოფილა თურმე! მაშ, მე ნამდვილად რამდენიმე კრონი გადმოვაყოლე? კარგი, თქვენ ხომ შეგიძლიათ უკანვე დამიბრუნოთ.
მართამ ლიფის შეხსნა დაიწყო, მაგრამ უცებ შეჩერდა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, აღარ იცოდა, რა ექნა. მერე ისევ ბოდიში მოიხადა, _ აქ ბევრი ხალხია, უხერხულია, ფული ამოვიღო ქუჩაში, კარგად მაქვს შენახულიო.

_ არა, არა, _ აჩქარებით მიუგო ნაგელმა, _ მე ხომ შემიძლია თქვენთან მოვიდე მაგ ფულის მისაღებად, მაშ, ნება მიბოძეთ, შემოვიარო თქვენთან.
ორივენი მართას სახლისაკენ გაემართნენ. გზაში უამრავი მოსეირნე შეხვდათ, რომლებიც ცნობისმოყვარე თვალებით აცილებდნენ ორივეს.
როცა მართას ოთახში შევიდნენ, ნაგელი იმავე ფანჯარასთან დაჯდა, სადაც ამას წინათ იჯდა და რომელზეც ისევ წინსაფარი იყო ჩამოფარებული. ვიდრე მართა წვალებით იღებდა ფულს, ნაგელს არაფერი უთქვამს, მაგრამ, როცა წვრილი ფულის შეკრულა გაუწოდა, რამდენიმე ჭუჭყიანი და გახუნებული ათკრონიანი ასიგნაცია, რომელთაც მართას მკერდის სითბო ჯერ კიდევ შერჩენოდა და სინდისი ნებას არ აძლევდა ეს ფული თუნდაც ერთი ღამით ქალს თავისთან დაეტოვებინა, _ ნაგელმა სთხოვა, თქვენთვის დაიტოვეთო.
მაგრამ მართას სულში, როგორც ეტყობოდა, უწინდელმა ეჭვმა გაიღვიძა ნაგელის განზრახვის მიმართ, უნდობლად შეხედა ნაგელს და უთხრა:
_ არა... მე პირდაპირ არ მესმის თქვენი...
ნაგელი სწრაფად წამოხტა სკამიდან.
_ სამაგიეროდ, მე ძალიან კარგად მესმის თქვენი, _ მიუგო მან, _ ამიტომაც წამოვდექი და კარისკენ გავიწიე. ახლა ხომ დამშვიდდით?
_ დიახ... არა, თქვენ კართან რატომ უნდა იდგეთ.
და ქალმა ხელებიც კი გაუწოდა, თითქოს იმისათვის, რომ შეეჩერებინა იგი. ასე ეშინოდა ამ უცნაურ ქალიშვილს, რომ ეწყენინებინა ვინმესთვის.
_ ერთი რამ უნდა გთხოვოთ, _ უთხრა ნაგელმა მაშინ, მაგრამ მაინც არ დამჯდარა, _ რომ მოისურვებდეთ, უდიდეს სიხარულს მომანიჭებდით... ძალზე დაგიმადლებდით ამას. მინდა გთხოვოთ ხუთშაბათს საღამოს ბაზრობაზე მოსვლა. გსურთ მომანიჭოთ ეს სიამოვნება? ეს თქვენც გაგართობთ. იქ ბევრი ხალხი იქნება, დიდი განათება, მუსიკა, ცოცხალი სურათები. აჰ, მობრძანდით, გეთაყვა, ნამდვილად არ ინანებთ! იცინით? რატომ იცინით, მერე? ღმერთო ჩემო, რა თეთრი კბილები გქონიათ!
_ განა შემიძლია სადმე წავიდე? _ მიუგო მან, _ როგორ იფიქრეთ, რომ იქ შემიძლია წასვლა? მერედა, რისთვის უნდა ვქნა ეს, რისთვის გსურთ, რომ მე იქ წავიდე!
ნაგელმა ყველაფერი სინდისიერად და გულახდილად აუხსნა, _ ეს ჩემი უბრალო ახირებაა, დიდი ხანია, რაც ამას ვფიქრობდიო. ამას წინათ დამებადა ეს აზრი, მაგრამ შემდეგ დამავიწყდა და ახლაღა გავიხსენე. უნდა მოხვიდეთ იქ, უნდა იყოთ სხვებთან ერთად, მსურს იქ გიხილოთო. თუ გნებავთ, არც კი დაგელაპარაკებით, _ ნურაფრის გეშინიათ, სულაც არ მინდა თავი მოგაბეზროთ. ის კი გამიხარდება, რომ თუნდაც სხვებთან ერთად გიხილოთ, მოვისმინო თქვენი სიცილი. არა, აუცილებლად უნდა მობრძანდეთო.
ნაგელმა შეხედა მართას. რა საოცრად თეთრი თმა აქვს, თვალები კი რარიგ შავი, რარიგ დაბინდული! ცალი ხელით იკრავდა ლიფის ღილებს და ეს ხელი, გრძელთითებიანი სუსტი ნაცრისფერი ხელი, შეიძლება სუფთაც კი არ იყო, მაგრამ ქალი უჩვეულო უბიწოების შთაბეჭდილებას ახდენდა. ხელის მტევნის ნაკეცს ორი ცისფერი ძარღვი გარკვევით ემჩნეოდა.
_ დიახ, _ თქვა მართამ, _ იქ შეიძლება მართლაც გაერთოს კაცი, მაგრამ შესაფერისი ტანსაცმელი არ გამაჩნია, კაბაც კი არა მაქვს ასეთ საღამოზე ჩასაცმელი.
ნაგელმა შეაწყვეტინა:
_ ბაზრობამდე ჯერ კიდევ სამი დღეა, ხუთშაბათამდე, რაც გნებავთ, იშოვით. დრო სავსებით საკმარისია! მაშასადამე, გადაწყვიტეთ, რომ წამობრძანდებით?
მართა ნელ-ნელა დაჰყვა ნაგელის თხოვნას.
_ არ შეიძლება სავსებით დაიმარხოთ თავი, _ უთხრა ნაგელმა, _ ამით მხოლოდ წააგებთ. თანაც ასეთი თვალები გაქვთ, ასეთი კბილები... არა, ეს პირდაპირ დანაშაული იქნება. მაგ ხურდა ფულით კი, მაგიდაზე რომ აწყვია, შეიძლება კაბა იყიდოთ... დიახ, დიახ, ხმა აღარ ამოიღოთ! მით უმეტეს, ეს მე მოვიგონე, თქვენ კი თქვენივე სურვილის წინააღმდეგ დამეთანხმეთ.
ნაგელი ჩვეულებისამებრ მშვიდად გამოეთხოვა მართას და ეჭვისათვის არავითარი საბაბი აღარ დაუტოვა, მაგრამ ტალავერში, სადაც მართაც გამოვიდა მის გასაცილებლად, ქალმა თვითონვე ერთხელ კიდევ გაუწოდა ხელი ნაგელს და მადლობა გადაუხადა ბაზრობაზე მიწვევისთვის:
_ დიდი ხანია ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში აღარ მომხდარა, _ ეს მართლაც დიდად უჩვეულო იყო მართასთვის, _< მაგრამ, ცხადია, როგორც საჭიროა, ისე მოვიქცევი, _ შეჰპირდა ნაგელს.
ამ დიდმა ბავშვმა ისიც კი აღუთქვა, როგორც საჭიროა, ისე მოვიქცევიო, თუმცა ნაგელს ეს არ უთხოვია მისთვის!

XVI

დადგა ხუთშაბათი. ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა, მაგრამ საღამოს ბაზარი მაინც გაიხსნა მუსიკის გრიალით და უამრავი ხალხი მოაწყდა. მთელი ქალაქი შეიკრიბა, გარეუბნებიდანაც კი ჩამოვიდა ხალხი ამ მხიარულ სანახაობაში მონაწილეობის მისაღებად.

დაახლოებით ცხრა საათზე, როცა იოჰან ნაგელი შევიდა დარბაზში, ის უკვე ხალხით იყო გაჭედილი. ადგილი სულ ბოლოში, კართან ძლივს იშოვა, სადაც რამდენიმე ხანს ფეხზეც კი იდგა და ვიღაცის სიტყვას ისმენდა. ფერმკრთალი ჩანდა და ახლაც, ჩვეულებისამებრ, ყვითელი კოსტიუმი ეცვა, სახვევი კი ხელიდან უკვე მოეხსნა, ორი ჭრილობა თითქმის უკვე შეხორცებოდა.

ესტრადასთან ექიმ სტენერსენსა და მის მეუღლეს მოჰკრა თვალი, იქვე ცოტა მარჯვნივ მინუტიც იდგა, ცოცხალ სურათებში სხვა მონაწილეებთან ერთად, დაგნი კი არ ჩანდა.

სანთლებისა და ერთ გროვად შემჭიდროებული ხალხისაგან დამდგარმა სიცხის ბუღმა ნაგელი მალე გამოაგდო დარბაზიდან, ზღურბლზე რწმუნებულ რაინერტს შეეჯახა, მიესალმა, მაგრამ პასუხად რაინერტმა ოდნავ შესამჩნევად დაუკრა თავი. ნაგელი დერეფანში გაჩერდა.

და აი, ნაგელმა ისეთი რამ შენიშნა, შემდეგშიც რომ დაიპყრო მისი აზრი და ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა: მისგან მარცხნივ ღია კარი გვერდით ოთახში გადიოდა, სადაც ხალხი პალტოებს იხდიდა და სწორედ იქ, სანთლების შუქზე, ნათლად დაინახა დაგნი ჰელანი, მის პალტოსთან რომ წრიალებდა. არ შეიძლებოდა, შემცდარიყო, რადგან მთელ ქალაქში მის გარდა არავის ჰქონდა ასეთი ყვითელი საგაზაფხულო პალტო, თანაც ნაგელს გარკვევით ახსოვდა, სადაც ჩამოჰკიდა. დაგნი განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა, ჩანდა, რაღაცას ეძებდა, ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა და მის პალტოს რამდენჯერმე გადაუსვა ხელი. ნაგელი მაშინვე შემობრუნდა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი დაგნისათვის არ წაესწრო და ქალს არ შერცხვენოდა.

ამ პატარა ამბავმა ძალზე ააღელვა იგი. რას ეძებდა დაგნი და ან რისთვის დასჭირდა მისი პალტო? _ სულ ამაზე ფიქრობდა და არ შეეძლო ამის დავიწყება. ღმერთმა უწყის, შეიძლება იმის გაგება სურდა, ედო თუ არა ჯიბეში ნაგელს ცეცხლსასროლი იარაღი. იქნებ ისე გიჟად თვლის დაგნი, რომ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი? ერთიც ვნახოთ და ჯიბეში წერილი ჩაუდო. ნაგელი მზად იყო, ასეთი სასიხარულო რამეც შესაძლებლად მიეჩნია; არა, არა, ალბათ, თავის პალტოს ეძებდა და ეს უბრალო დამთხვევაა მხოლოდ. როგორ შეიძლებოდა ნაგელს ამ აუხდენელ იმედზე ეფიქრა?! ცოტა მოგვიანებით კი ნაგელმა დაინახა, როგორ მიიკვლევდა დაგნი გზას დარბაზში. ნაგელი მაშინვე წინა ოთახში გაჩნდა და გულაფართქალებულმა მოსინჯა პალტოს ჯიბეები. წერილი არ იყო, შიგ არაფერი დაუხვდა, ხელთათმანებისა და ცხვირსახოცის გარდა.

დარბაზში ტაშის გრიალი გაისმა. ბურგომისტრმა დაამთავრა თავისი სიტყვა და ბაზრობა გახსნილად გამოაცხადა. ხალხი ნიაღვარივით გაიჭრა დერეფანსა და გვერდით ოთახებში, ყველანი გრილ კუთხეში, კედლის გასწვრივ ჩამოსხდნენ და გამაგრილებელ სასმელებს მიეტანნენ. ქალაქის საზოგადოების ახალგაზრდა ქალიშვილებს კელნერებივით წინ თეთრი წინსაფრები აეფარებინათ, იღლიაში ხელსახოცები ამოეჩარათ, ორივე ხელში ლანგრები და ჭიქები ეჭირათ და ისე დაფარფატებდნენ ხალხში.

ნაგელმა დაგნის დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერსად ნახა. ფრეკენ ანდერსენს მიესალმა, რომელსაც აგრეთვე თეთრი წინსაფარი ჰქონდა აფარებული და ღვინო სთხოვა. ქალიშვილმა შამპანური მოუტანა. ნაგელმა გაოცებით შეხედა.

_ თქვენ ხომ შამპანურის გარდა არაფერს სვამთ.

ამ ოდნავ გესლიანმა ყურადღებამ მაინც გამოაცოცხლა. სთხოვა, ჩემთან ერთად ერთი ჭიქა ღვინო დალიეთო და ისიც მაშინვე ჩამოჯდა მის გვერდით, თუმცა უამრავი საქმე ჰქონდა. ნაგელმა მადლობა გადაუხადა თავაზიანობისათვის, შეუქო ტუალეტი და აღტაცებული დარჩა მისი ძველებური ქინძისთავით, ყელთან რომ ჰქონდა მიბნეული. ძალზე ლამაზი ჩანდა იგი ამ საღამოს, უჩვეულოდ მოხდენილი და სანდომიანი, მოგრძო, არისტოკრატიული სახე ჰქონდა, მეტისმეტად დახვეწილი, თანაც უძრაობით გამოირჩეოდა, არც ერთხელ ნერვიულად არ დაიმანჭებოდა და, საერთოდ, მის საზოგადოებაში რაღაც სიმტკიცესა და მხნეობას იგრძნობდა კაცი, ეს ქალიშვილი კი არა, მაღალი საზოგადოების ქალი, ქალბატონი გეგონებოდათ.

როცა ფეხზე წამოდგა, ნაგელმა უთხრა:

_ ამ საღამოს აქ უნდა მოსულიყო ერთი ქალიშვილი, რომელსაც მინდა მცირეოდენი ყურადღება მივაქციო, _ ეს ფრეკენ გუდეა, მართა გუდე, არ ვიცი, თქვენ იცნობთ თუ არა მას. მითხრეს, რომ მოსულა უკვე. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა რაიმეთი გავახარო. იგი სულ მარტოდმარტოა. მინუტმა რაღაცები მიამბო მასზე. როგორ ფიქრობთ, ფრეკენ, შეიძლება თუ არა ვთხოვოთ ჩვენთან მოსვლა. რა თქმა უნდა, თუ თქვენც საწინააღმდეგო არა გექნებათ რა.

_ აჰ, არა, პირიქით! _ მიუგო ფრეკენ ანდერსენმა, _ დიდი სიამოვნებით მოგიყვანთ ახლავე. ვიცი, სადაც ზის.
_ მაგრამ თქვენც ხომ დაბრუნდებით?
_ დიახ, გმადლობთ!
ვიდრე ნაგელი იჯდა და იცდიდა, ოთახში შემოვიდნენ რწმუნებული რაინერტი, ადიუნქტი და დაგნი. ნაგელი წამოდგა და მიესალმა. დაგნიც ფერმკრთალი ჩანდა, ასეთი სიცხის მიუხედავად. მოკლესახელოებიანი ყვითელი კაბა ეცვა, ყელზე ძალზე მძიმე ოქროს ძეწკვი ეკიდა. ძეწკვი საოცრად არ უხდებოდა. ერთი წუთით დაგნი კარში გაჩერდა, ერთი ხელი ზურგზე ედო და თითებით თავის ნაწნავს ათამაშებდა.
ნაგელი მივიდა მასთან. რამდენიმე მგზნებარე სიტყვით პატიება სთხოვა იმ შეუწყნარებელი საქციელისათვის, პარასკევს რომ ჩაიდინა. ეს უკანასკნელი იქნება, ნამდვილად უკანასკნელიო. ამის მეტად საბაბი აღარ გექნებათ რაიმე მაპატიოთო. ნაგელი ხმადაბლა ლაპარაკობდა, უთხრა, რისი თქმაც უნდოდა და გაჩუმდა.
დაგნიმ მოუსმინა, შეხედა კიდეც, მაგრამ როცა ნაგელმა ლაპარაკი დაამთავრა, უთხრა:
_ აღარც კი ვიცი, რაზე მელაპარაკებით, რაც მოხდა უკვე დავივიწყე, უფრო სწორად, მინდა დავივიწყო... _ უთხრა და გაეცალა. დაგნი უკვე სრულიად გულგრილად უცქეროდა მას.
ირგვლივ ხალხის გუგუნი იდგა, ფინჯნებისა და ჭიქების წკრიალი, საცობების ტკაცუნი, სიცილი და წამოძახილები ისმოდა, დარბაზიდან კი ქალაქის სასულიერო ორკესტრის საძაგელი ხმა მოისმოდა.
როცა ფრეკენ ანდერსენი დაბრუნდა მართასთან ერთად, მათთან მინუტიც მოვიდა. ყველანი ნაგელის პატარა მაგიდას შემოესხდნენ, სადაც თხუთმეტიოდე წუთს დარჩნენ. ფრეკენ ანდერსენი დროდადრო წამოდგებოდა ხოლმე და ლანგრით ხელში ემსახურებოდა სტუმრებს, რომლებიც ყავას მოითხოვდნენ. ბოლოს და ბოლოს იგი სულ წავიდა, რადგან ძალზე ბევრი საქმე ჰქონდა. შეუდგნენ მრავალფეროვანი პროგრამის შესრულებას: კვარტეტმა რაღაც იმღერა, სტუდენტმა ეიენმა ხმამაღლა წაიკითხა საკუთარი ლექსი, ორმა ქალმა როიალზე დაუკრა, ორგანისტმა კი აღასრულა თავისი პირველი სოლო ვიოლინოზე. მთელი ამ ხნის მანძილზე დაგნი თავის ორ კავალერს შორის იჯდა. მაგრამ აი, მინუტსაც უხმეს, საჭირო იყო აქეთ-იქით სირბილი სხვადასხვა დავალების შესასრულებლად, დამატებით უნდა ეშოვათ ჭიქები, ფინჯნები, ბუტერბროდები, _ ყველაფერი ნაკლები აღმოჩნდა ამდენი ხალხისათვის.
როცა ნაგელი მარტო დარჩა მართასთან, მართაც წამოდგა და წასვლა დააპირა. არ შეუძლია ნაგელთან მარტო დარჩენა, მან უკვე შენიშნა, რომ რწმუნებულმა რაღაც თქვა მათზე, ფრეკენ ჰელანმა კი გაიცინა. არა, ურჩევნია წავიდეს.
მაგრამ ნაგელმა დაითანხმა, კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დაელია მართას. მას შავი კაბა ეცვა; ახალი კაბა კარგად ჰქონდა ტანზე მორგებული, მაგრამ არ უხდებოდა, უფრო მოხუცს ამგვანებდა ამ ორიგინალური გარეგნობის ქალიშვილს, ჭაღარა თმა შავ კაბაზე უფრო მკვეთრად მოუჩანდა. მხოლოდ თვალები უციმციმებდა მომხიბვლელად და როცა იცინოდა, მეტყველი სახე მთლიანად უცოცხლდებოდა.
ნაგელმა უთხრა:
_ აბა, ხომ მხიარულად ბრძანდებით? ხომ კარგად გრძნობთ თავს დღეს?
_ დიახ, გმადლობთ, _ მიუგო მან, _ კარგად ვარ.
ნაგელი თავგამოდებით ართობდა მას, ცდილობდა, შეჰგუებოდა მას, მოუყვა რაღაც სასაცილო ეპიზოდს, რამაც გულიანად აცინა ქალი; ეს იყო ამბავი იმაზე, როგორ შეიძინა ძროხის ზანზალაკი. ეს ძვირფასი განძი, პირდაპირ დაუფასებელი ნივთი! ზანზალაკზე ამოკვეთილი იყო ძროხის სახელი, რომელსაც ეისტონს ეძახდნენ, ალბათ, ხარი იყო...
ახლა კი გადაიხარხარა მართამ. მას დაავიწყდა, სად იყო, ბავშვივით აქეთ-იქით აქნევდა თავს და გულიანად ხარხარებდა ამ საცოდავ ხუმრობაზე.
_ იცით, რა? _ თქვა ნაგელმა, _ მგონი, მინუტი ეჭვიანობს.
_ აჰ, არა, _ მიუგო გადაჭრით მართამ.
_ ეგეთი შთაბეჭდილება შემექმნა. სხვათა შორის, მეც მირჩევნია თქვენთან მარტო ჯდომა. ნეტარებას მგვრის თქვენი სიცილის მოსმენა.
მართამ არაფერი უპასუხა და მხოლოდ თავი დახარა.
ასე განაგრძობდნენ საუბარს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაგელი ისე იჯდა, რომ დაენახა ის მაგიდა, რომელსაც დაგნი მიუჯდა.
განვლო რამდენიმე წუთმა. ფრეკენ ანდერსენი ისევ დაბრუნდა ერთი წუთით, ორი-სამი სიტყვა თქვა, ცოტა ღვინო მოსვა და კვლავ წავიდა.
უცებ დაგნი წამოდგა და ნაგელის მაგიდასთან მივიდა.

_ რა მხიარულებაა აქ! _ თქვა მან და ხმა ოდნავ აუთრთოლდა, _ გამარჯობა, მართა! რაზე იცინით ეგრე გულიანად?
_ ვმხიარულობთ, როგორც შეგვიძლია, _ მიუგო ნაგელმა, _ ათას სისულელეს ვუყვები, ფრეკენ გუდე კი ისე თავაზიანი და შემწყნარებელია, რომ იცინის კიდეც... შეიძლება ერთი ჭიქა ღვინო შემოგთავაზოთ?
დაგნი დაჯდა.
დარბაზში ატეხილმა უჩვეულო ტაშის გრიალმა მართას საბაბი მისცა, წამომდგარიყო და ენახა, რა ხდებოდა იქ. იგი თანდათან შორდებოდა მათ, ბოლოს კი შემოტრიალდა და მოაძახა:
_ იქ ოინბაზია, მინდა ვუცქირო... _ და წავიდა.
დუმილი ჩამოვარდა.
_ თქვენ მიატოვეთ თქვენი კამპანია, _ უთხრა ნაგელმა და სურდა კიდევ რაიმე ეთქვა, მაგრამ დაგნიმ შეაწყვეტინა.
_ თქვენმა თანმხლებმა კი თქვენი.
_ დიახ, მაგრამ იგი დაბრუნდება. მართლა ხომ თავისებური გარეგნობისაა ფრეკენ გუდე? დღეს ბავშვივით მხიარულობს.
დაგნიმ არაფერი უპასუხა ამაზე, მხოლოდ ჰკითხა:
_ სადმე გაემგზავრეთ?
_ დიახ.
ისევ დუმილი გამეფდა.
_ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ აქ ნამდვილი მხიარულებაა ამ საღამოს?
_ მე? წარმოდგენაც კი არა მაქვს, რა ხდება აქ, _ მიუგო მან, _ აქ იმისთვის სულაც არ მოვსულვარ, რომ ვიმხიარულო.
_ მაშ, რისთვის მოხვედით?
_ რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ თქვენ მენახეთ, ცხადია, გარკვეული მანძილიდან, ხმის ამოუღებლად...
_ ოჰო, და ამის გამო ქალიც მოიყვანეთ?
ნაგელი ვერ მიუხვდა ნათქვამს, უცქეროდა დაგნის და ფიქრობდა.
_ ფრეკენ გუდეს გულისხმობთ? არ ვიცი, რა გიპასუხოთ. ძალზე ბევრი რამ მითხრეს მასზე, _ მთელი წლები შინაა გამოკეტილი და უსიხარულო ცხოვრებას ატარებს. მე მოვიყვანე, მინდა ცოტა მაინც გაერთოს, მინდა ასე მოწყენილი არ იჯდეს შინ. აი, ესაა ყველაფერი. ფრეკენ ანდერსენმა მოიყვანა ამ მაგიდასთან. ღმერთო ჩემო, რა უსიხარულო ცხოვრება აქვს ამ ქალს. თმაც კი გასჭაღარავებია.
_ იმედი მაქვს, არ ფიქრობთ... ხომ არ გგონიათ, რომ მე ვეჭვიანობ? მაშინ დიდად ცდებით! დიახ, კარგად მახსოვს თქვენ მიერ მოყოლილი ამბავი ერთ გიჟზე, რომელიც ოცდაოთხი ეტლით მისეირნობდა. ეს კაცი ენაბლუ იყო, როგორც თქვენ ბრძანეთ, და უყვარდა ერთი ქალიშვილი, რომელსაც კლარას ეძახდნენ. ო, კარგად მახსოვს ეს! ჰოდა, როცა კლარამ არ მოისურვა, საერთო ჰქონოდა ამ კაცთან, მაშინ ქალმა არც ის ისურვა, მისთვის თავისი კუზიანი და მიეთხოვებინა. არ ვიცი, რისთვის მომიყევით ეს ამბავი, ეგ თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ჩემთვის სულერთია, მაგრამ ვერ მაიძულებთ, მაეჭვიანოთ, თუკი გსურთ დღეს ამას მიაღწიოთ. არა, ამას ვერც თქვენ მოახერხებთ და ვერც თქვენი ენაბლუ.
_ მაგრამ, ღმერთო ჩემო, _ თქვა ნაგელმა, _ თქვენ, ცხადია, ამას სერიოზულად არ ამბობთ.
დუმილი ჩამოვარდა.
_ არა, მე სერიოზულად ვამბობ ამას, _ მიუგო დაგნიმ.
_ ნუთუ ფიქრობთ, ასე მოვიქცეოდი, თქვენში ეჭვის აღძვრა რომ მსურვებოდა. ნუთუ მაშინ აქ ორმოცი წლის ქალს მოვიყვანდი და ნებას მივცემდი, მაშინვე გაგვცლოდა, რა წამსაც კი გამოჩნდით?.. ალბათ, სულელად მთვლით.
_ სულაც არ ვიცი, როგორი ბრძანდებით, მაგრამ ერთი კი მშვენივრად ვიცი, რომ მუხანათურად მომექეცით და ყველაზე მძიმე წუთები განმაცდევინეთ ჩემს სიცოცხლეში. ასე რომ, აღარც კი მესმის რაიმე. არ ვიცი, სულელი ხართ თუ ჭკვიანი. ისიც კი არ ვიცი, სრულ ჭკუაზე ხართ თუ არა, მაგრამ ამაზე აღარ ვფიქრობ, ჩემთვის სულერთია, რანაირიც უნდა ბრძანდებოდეთ.
_ დიახ, რა თქმა უნდა, ეს ასეა, _ უთხრა ნაგელმა.
_ ან კი რატომ სულერთი არ უნდა იყოს ეს ჩემთვის? _ განაგრძო იმით გაგულისებულმა დაგნიმ, ნაგელმა ასე რომ დაუთმო მაშინვე, _ რა მესაქმება თქვენთან? ძალზე ულამაზოდ მომექეცით და კიდევაც მიბრძანებთ, რომ თქვენზე ვიფიქრო ისევ? ყოველივე ამის სრულსაყოფად მიყვებით უცნაური ნართაულებით სავსე ამბავს; დარწმუნებული ვარ, განგებ მომიყევით კლარასა და მისი დის ამბავი. რა თქმა უნდა, განგებ! მერედა, რატომ დამდევთ უკან? ცხადია, მე ვგულისხმობ არა ახლანდელ

შეხვედრას, ახლა მე თვითონ მოვედი თქვენთან, არამედ საერთოდ, რატომ არ მომასვენებთ? ამასაც კი, ერთი წუთით აქ რომ მოვედი და გესაუბრებით, ცხადია, იმით ახსნით, რომ თავი ვეღარ შევიკავე ამისგან, რომ ჩემთვის ეს ასე მნიშვნელოვანია...
_ ძვირფასო ფრეკენ, მე სრულებითაც არ ვფიქრობ რაიმეს მაგაზე.
_ არ ფიქრობთ? მაგრამ მე სულაც არ ვიცი, მართალს ამბობთ თუ არა! სულაც არ ვიცი. მე ეჭვი მეპარება თქვენში, მეფიქრება, არ გენდობით, ერთი სიტყვით, ყველაფერს მოველი თქვენგან. შეიძლება ახლა მეტისმეტად უსამართლოდაც გექცევით, მაგრამ ხომ შეიძლება თუნდაც ერთხელ გატკინოთ გული? ძალზე დავიღალე თქვენი ნართაულებისაგან და ვარაუდებისგან...
ნაგელი არაფერს ეუბნებოდა და მხოლოდ ჭიქას ატრიალებდა ხელში. მაშინ კი, როცა დაგნიმ ისევ გაიმეორა, არ გენდობითო, მიუგო:
_ დავიმსახურე.
_ დიახ, _ განაგრძო დაგნიმ, _ თითქმის არაფერში აღარ გენდობით. იმაშიც კი ეჭვი შემეპარა, მართლა ეგრე განიერი მხრები გაქვთ თუ არა, ვიფიქრე, ბამბით ხომ არ აქვს გამოტენილი პალტოს მხრები-მეთქი. გულახდილად გამოგიტყდებით, რომ წეღან ვიყავი, აი, იმ ოთახში და გავსინჯე თქვენი პალტო, მხრებში ხომ არაფერი უდევს-მეთქი და თუმცა მართალი არ აღმოვჩნდი, უწინდებურად მაინც აღარ გენდობით. სხვაგვარად არც შემიძლია. მაგალითად, თქვენ არ მოერიდებოდით არავითარ ზომას, რომ იმაზე რამდენიმე დიუმით მაღალი გამოჩენილიყავით, ვიდრე ნამდვილად ბრძანდებით, რადგანაც არცთუ ისე მაღალი ხართ. დარწმუნებული ვარ, გამოიყენებდით ასეთ საშუალებას, რომ არსებობდეს. ღმერთო ჩემო, განა თქვენ მიმართ უნდობლობას არ უნდა გრძნობდეს კაცი? ვინ ბრძანდებით ნამდვილად? ან რისთვის ჩამოხვედით ამ ქალაქში? აქ ნამდვილი სახელითაც კი არ ცხოვრობთ, თქვენი ნამდვილი სახელი ხომ სიმონსენია, უბრალოდ სიმონსენი და მეტი არაფერი! ეს მე სასტუმროდან გავიგე. ამბობენ, რომ თქვენთან ჩამოსულა ვიღაც ბანოვანი, თქვენი ნაცნობი ბანოვანი, და სიმონსენი დაგიძახათ თურმე, ვიდრე ამაში ხელს შეუშლიდით. ღმერთო, რა სასაცილოა ეს და თანაც რა სისაძაგლე. ქალაქში იმასაც ამბობენ, რომ პატარა ბიჭებს სიგარებს აწევინებთ და ამით ერთობით, ქუჩებში სკანდალებს ტეხთ. სხვათა შორის, ისიც თქვეს, რომ ერთხელ რომელიღაც მოახლე გოგონას შეხვდით ბაზარში და რაღაცის გამოკითხვა დაუწყეთ, დიახ, რაღაცის გამოკითხვა უამრავი ხალხის თანდასწრებით. ჰოდა, ყოველივე ამის მიუხედავად, სრულიად ბუნებრივად მიგაჩნიათ, რომ სიყვარული ამიხსნათ და ყოველთვის გზაზე გადამიდგეთ. აი, ეს მაწამებს საშინლად, რომ თქვენ გაბედეთ...
დაგნი შეჩერდა. ბაგეების ხშირი თრთოლა ამჟღავნებდა მის მღელვარებას, იგი ლაპარაკობდა გაცხარებით და გულწრფელად, ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა და არაფრის წინაშე არ იხევდა. დადგა ხანმოკლე დუმილის წუთები, შემდეგ კი ნაგელმა თქვა:
_ დიახ, მართალი ბრძანდებით. ბევრი ტანჯვა მოგაყენეთ. ცხადია, რომ მთელი თვე თუ ყოველდღე ერთ კაცს დაუწყებთ თვალთვალს, დიდ მნიშვნელობას თუ მისცემთ მის ყოველ სიტყვას და შეამჩნევთ მის ყოველ საქციელს, მაშინ ბოლოს და ბოლოს შენიშნავთ რაიმე სულელურს, რომელსაც შეგიძლიათ ჩასჭიდოს ხელი. შეიძლება არცთუ სამართლიანად მოექცეთ ამ ადამიანს, მაგრამ ეს არაფერია, თანახმა ვარ. ქალაქი დიდი არაა, ყველას ვეჩხირები თვალში, უკან დამდევენ და ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებენ. ამას ვერსად გაექცევა კაცი. მეც ნამდვილად ისეთი არა ვარ, როგორიც უნდა ვიყო.
_ ღმერთო ჩემო! _ თქვა დაგნიმ უკმეხად, _ რა თქმა უნდა, ეს სავსებით ბუნებრივია, იმიტომ გამჩნევენ, რომ ქალაქი ასე პატარაა. დიდ ქალაქში კი თქვენ ერთადერთი კაცი როდი იქნებოდით, რომელიც მიიქცევდა ყურადღებას.
ეს გულგრილმა და უჩვეულოდ სწორმა შენიშვნამ პირველ წუთს ნაგელის გულწრფელი აღტაცება გამოიწვია. მას სურდა ეს მისთვის რამდენიმე თავაზიანი სიტყვით გაემჟღავნებინა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. დაგნი ძალზე აღელვებული იყო, მეტისმეტად მტრულად იყო განწყობილი მის წინააღმდეგ და გარდა ამისა მეტისმეტად აუფასურებდა მის მნიშვნელობას. ეს კი ნაგელს, ცოტა არ იყოს, სწყინდა. მაშ რაღას წარმოადგენდა ნაგელი დაგნის თვალში? ყველაზე ჩვეულებრივ უცხო ადამიანს პატარა ქალაქში, ადამიანს, რომელიც ყურადღებას იქცევდა მხოლოდ იმით, რომ იგი აქ უცხო კაცი იყო და ყვითელ კოსტიუმში გამოწყობილი დადიოდა. ნაგელმა ოდნავ გაცხარებით თქვა:
_ იმას კი აღარ ამბობენ, რომ ერთხელ უშვერი ლექსი დავაწერე ერთ საფლავის ქვას, _ მინა მეეკის საფლავის ქვას? ხომ არავის უნახავს ეს? თუმც ეს სიმართლეა, დიახ, სიმართლე. სიმართლეა ისიც, რომ მე შევედი აქაურ აფთიაქში, ამ პატარა ქალაქის აფთიაქში, და ვთხოვე წამალი ერთი საძაგელი სენისა, რომლის სახელი ქაღალდზე დავუწერე, მაგრამ არ მომცეს, რაკი რეცეპტი არა მქონდა. კინაღამ დამავიწყდა: არ გიამბოთ მინუტმა, რომ ერთხელ ვცადე ორასი კრონით მომესყიდა, რათა ჩემი შვილის მამობა ეკისრა? ესეც სრული სიმართლეა, თვით მინუტს შეუძლია ამის დადასტურება. დიახ, მეც შემეძლო კიდევ უამრავი ფაქტი მომეტანა...

_ არაა საჭირო, ესეც საკმარისია, _ მიუგო დაგნიმ ჯიუტად.
სასტიკი მზერა სტყორცნა ნაგელს და გულგრილი კილოთი მოაგონა ყალბი დეპეშები, სიმდიდრე, რომელიც ამ დეპეშებით თვითონ მოიწერა, ვიოლინოს ბუდე, რომელსაც ყველგან დაატარებდა, თუმცა შიგ ვიოლინო არ ედო და მისი დაკვრაც კი არ შეეძლო, ზედიზედ ჩამოთვალა ის შემთხვევები, როცა ის იტყუებოდა, წყალწაღებულთა გადარჩენის მედალიც არ დავიწყებია, რომელიც ნაგელისავე თქმით, უწესო გზით იშოვა. მას ყველაფერი ახსოვდა და არ ზოგავდა ნაგელს. ამ წუთს ყოველი წვრილმანიც კი დიდ მნიშვნელობას იძენდა მის თვალში. დაგნიმ მიახვედრა, რომ ყველა ის ცუდი თვისება, რომელზეც ადრე ფიქრობდა, ნაგელი ტყუილად მიიწერსო, ახლა ნამდვილად მიაჩნია. დიახ, იგი, ცხადია, ორაზროვანი და თავხედი კაცია!
_ ჰოდა, აი, სწორედ ასეთი, როგორიცა ბრძანდებით, _ დასძინა დაგნიმ, _ მაინც ცდილობთ, მოულოდნელად თავს წამომადგეთ და შემაკრთოთ, მაიძულებთ, გადავირიო თქვენთან ერთად. თქვენ ხომ არც სირცხვილი გაგაჩნიათ და არც სინდისი, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ, მხოლოდ სულ რაღაცას მიხსნით და მიხსნით...
ლაპარაკი ექიმმა სტენერსენმა შეაწყვეტინა, რომელმაც აჩქარებით შემოირბინა დარბაზიდან, ეტყობოდა, მეტისმეტად მოუცლელი იყო. იგი ერთ-ერთი თაოსანი იყო ამ ბაზრობისა და გულმოდგინედ ირჯებოდა.
_ გამარჯობათ, ბატონო ნაგელ! _ წამოიძახა მან, _ გმადლობთ იმ საღამოსთვის... დიახ, ველური აყალმაყალი კი ავტეხეთ მაშინ!.. მაგრამ მომისმინეთ, ფრეკენ ჰელან, არ დააგვიანოთ, ახლა ხომ ცოცხალ სურათებს ვდგამთ.
და ექიმი გაუჩინარდა ისევ.
დარბაზში ისევ მუსიკის ხმა გაისმა და ხალხი ამოძრავდა. დაგნი წინ გადაიხარა, რომ კარში შეეხედა, შემდეგ ისევ შემობრუნდა და ნაგელს უთხრა:
_ აი, მართაც ბრუნდება.
ნაგელმა ხმა არ ამოიღო.
_ არ გესმით, რა გითხარით?
_ მესმის, _ მიუგო ნაგელმა დაბნეულად.
თავი არ აუწევია ნაგელს და მხოლოდ სავსე ჭიქას ატრიალებდა ხელში ისევ, არც ერთხელაც არ შეუსვამს ღვინო, თითქმის მაგიდაზე ჩაექინდრა თავი.
_ სს! _ თქვა დაგნიმ დაცინვით, _ ისევ დაუკრეს, ხომ მართალია, როცა ასეთი მუსიკა გესმის, გინდა სადმე განმარტოებით იჯდე, მეზობელ ოთახში, ხელში სატრფოს ხელი გეჭიროს, _ განა ასე არ მეუბნებოდით ერთხელ? მე მგონია, ეს სწორედ ის ლანერის ვალსია და ახლა, როცა მართა მოვა... მაგრამ, ეტყობა, დაგნიმ მაშინვე ინანა, ასე გესლიანი სიტყვები რად ვუთხარიო. უეცრად გაჩუმდა და თვალებში ნაზი შუქი აუციმციმდა, შემდეგ კი ნერვიული მოძრაობით ღრმად ჩაეშვა სავარძელში.
ნაგელი ისევ თავჩაქინდრული იჯდა მის წინაშე და დაგნი მხოლოდ იმას ამჩნევდა, როგორი აჩქარებით სუნთქავდა იგი. ჰელანი წამოდგა, აიღო ჭიქა ხელში და სურდა რაღაც ეთქვა, ოდნავ ალერსიანი სიტყვებით გამომშვიდობებოდა, რომ უსიამოვნო შთაბეჭდილება წაეშალა, მაგრამ ესღა უთხრა:
_ ახლა კი უნდა წავიდე.
ნაგელმა სწრაფად შეხედა, ისიც წამოდგა და თავისი ჭიქა აიღო ხელში. ორივემ ჩუმად გამოცალეს ჭიქები. ნაგელი თავს ძალას ატანდა, რომ ხელების კანკალი შეეკავებინა, დაგნი ხედავდა, როგორ ებრძოდა იგი თავს, რათა მშვიდი გამომეტყველება მიეღო. და უეცრად ამ ადამიანმა, რომელსაც დაგნი უკვე თავისი დაცინვით სრულიად განადგურებულად, მოსპობილად თვლიდა, უაღრესად თავაზიანად და გულგრილად უთხრა:
_ იქნებით თუ არა ისე თავაზიანი, ფრეკენ, მე ხომ ამის მეტად, ალბათ, ვეღარც გნახავთ... იქნებით თუ არა ისე კეთილი, რომ როცა თქვენს საქმროს წერილს გაუგზავნით, ის ორი პერანგი შეახსენოთ, რომელთა ჩუქებასაც ამ ორი წლის წინ მინუტს დაჰპირდა. გთხოვთ, მომიტევოთ, რომ ისეთ საქმეში ვერევი, რომელიც მე სულ არ მეხება, მაგრამ ამას მხოლოდ მინუტის გულისათვის გეუბნებით. იმედი მაქვს, მომიტევებთ ამ თავხედობას. მისწერეთ მას ამ ორ პერანგზე და თვითონ გაიხსენებს.
დაგნი უცებ გაშრა, მთლად გაქვავდა. იდგა პირდაღებული და უცქერდა ნაგელს, საპასუხო სიტყვები ვეღარ ეპოვნა, მაგიდაზე ჭიქის დადგმაც კი დაავიწყდა. ეს მთელ წუთს გაგრძელდა. მერე კი ისევ გამოერკვა, უაღრესი აღშფოთებითა და რისხვით აღსავსე მზერა სტყორცნა ნაგელს, _ ეს მზერა იყო სწორედ გამანადგურებელი პასუხი, შემდეგ კი სწრაფად შეაქცია ნაგელს ზურგი. წასვლისას ჭიქა კართან მდგარ მაგიდაზე დაახეთქა და დარბაზში გაუჩინარდა.
დაგნის ისიც კი აღარ მოაგონდა, რომ რწმუნებული და ადიუნქტი ისევ იმავე ადგილას ისხდნენ და მას უცდიდნენ.

ნაგელი ისევ დაჯდა. მხრებმა ისევ თრთოლა დაუწყო და რამდენჯერმე შეშფოთებით იტაცა ხელი თავზე. მთლად წელში მოკაკული იჯდა. როცა მართა დაბრუნდა მასთან, წამოხტა და მადლიერების გრძნობით სახე გაუბრწყინდა. სკამი მიუწია, რომ დამჯდარიყო.
_ რა კეთილი ბრძანდებით, რა კეთილი! _ უთხრა მან, _ აი, აქ დაბრძანდით, დიდი ყურადღებით მოგექცევით, გიამბობთ მრავალ საინტერესო ამბავს, თუკი მოსმენას მოისურვებთ. აი, ნახავთ, როგორ გაგართობთ, თუკი აქ იჯდებით. მაშ, დაბრძანდით, ძვირფასო. შეგიძლიათ, როცა კი მოისურვებთ, წაბრძანდეთ, მე თვითონ გაგაცილებთ, კარგი? არასდროს არ გაგაჯავრებთ, არასდროს! ახლა ამ პატარა ჭიქით გადაკრავთ ღვინოს, ხომ მართალია? მე კი რაიმე მხიარულ ამბავს მოგიყვებით და თქვენ ისევ გაიცინებთ. დიდად მოხარული ვარ, რომ დაბრუნდით. ღმერთო ჩემო, რა ნეტარებაა თქვენი სიცილის მოსმენა, თქვენი, რომელიც ყოველთვის ეგრე სერიოზული ბრძანდებით. დარბაზში არცთუ დიდი მხიარულება იქნებოდა, ხომ მართალს ვამბობ? ჩვენ აქ უკეთესად ვიქნებით ცოტა ხანს. მით უმეტეს, რომ იქ სიცხეცაა. მაშ, დაბრძანდით.
მართა შეყოყმანდა, მაგრამ მაინც დაჯდა.
და აი, ნაგელმა დაუწყო შეუწყვეტელი საუბარი, უყვებოდა სასაცილო ანეკდოტებს და სხვადასხვა სათავგადასავლო ამბავს, თავშეუკავებლად ყბედობდა ამაზე თუ იმაზე, ციებცხელებიანივით, ძალდატანებული მხიარულებით, შეშინებული, არ წავიდეს, ლაპარაკი რომ შევწყვიტოო. განუწყვეტლივ იცვლიდა სახის გამომეტყველებას, დაძაბულობისგან ამბები ერეოდა, უმწეოდ იტაცებდა ხელს თავზე, რომ კვლავ მოეკრიბა აზრები. მართა კი ფიქრობდა, ნაგელი, ალბათ, ამითაც ერთობაო და ხარხარებდა. იგი მოწყენილი არ იყო, მისი მოხუცი გული სიხარულით ივსებოდა და ხანდახან თვითონაც ლაპარაკობდა გატაცებით. რარიგ გულუბრყვილოა და რარიგ მხურვალე გული აქვს. როცა ნაგელმა უთხრა, რა ამაოა ეს ცხოვრება, ეს წუთისოფელიო. მან, ქალმა, რომელიც წლიდან წლამდე ბაზარში კვერცხებსა ყიდდა და ამით გაჰქონდა თავი, უპასუხა, _ დავლიოთ ამ წუთისოფლის სადღეგრძელო, ცხოვრება არც ისეთი ცუდი რამ არის, ის ხშირად მშვენიერიც კი არისო.
_ ცხოვრება ხშირად მშვენიერია! _ თქვა მან.
_ დიახ, მაგაშიც მართალი ბრძანდებით, _ უპასუხა ნაგელმა, _ ახლა კი წავიდეთ, ცოცხალი სურათები ვნახოთ. აქვე, კართან, დავდგეთ, როგორც კი მოისურვებთ, მაშინვე შეგვეძლება დასხდომა. ხედავთ თქვენი ადგილიდან თუ არა? გნებავთ, ხელში აგიყვანოთ?
მართამ გაიცინა და უარის ნიშნად თავი გააქნია.
როგორც კი ნაგელმა სცენაზე დაგნი დაინახა, მხიარულება უეცრად გაუქრა, თვალები თითქოს გაეყინა და მის გარდა ვეღარაფერს ხედავდა. თვალს ადევნებდა, საითკენ მიმართავდა დაგნი მზერას, ზომავდა მას თავით ფეხამდე, აკვირდებოდა მისი სახის გამომეტყველებას და ისიც კი შეამჩნია, რომ ვარდი მის მკერდზე თანაბრად იწევდა და ეშვებოდა, იწევდა და ეშვებოდა. იგი მონაწილეთა ჯგუფის სულ ბოლოს იდგა და ადვილად შეიძლებოდა მისი ცნობა, თუმცა გულმოდგინედ იყო გადაცმული. ფრეკენ ანდერსენი შუაში იჯდა, როგორც დედოფალი. მთელი სურათი რებუსის მსგავსად იყო წარმოდგენილი, რომელშიც ადამიანებიც მონაწილეობდნენ და იარაღიც წითელი შუქის ფონზე. ექიმ სტენერსენს დიდი ცდითა და თავგანწირვით დაედგა ეს წარმოდგენა.
_ რა ლამაზია! _ წაიჩურჩულა მართამ.
_ დიახ... რაა ლამაზი? _ იკითხა ნაგელმა.
_ სურათი... განა ვერ ხედავთ? საით იცქირებით?
_ დიახ, ლამაზია.
მართასათვის ეჭვი რომ არ აღეძრა და მას ნაგელისთვის ვერ შეენიშნა, რომ ის ერთი რომელიმე სახისაკენ, ერთი წერტილისაკენ იცქირებოდა, ყველა მონაწილეზე ცალ-ცალკე დაუწყო გამოკითხვა, თუმცა ხეირიანადაც არც კი ესმოდა, რას პასუხობდა მართა. ისინი უცქეროდნენ მანამ, სანამ წითელი შუქი არ ჩაქრა და ფარდა არ დაეშვა. რამდენიმეწუთიანი მცირე შუალედებით მოსდევდა ხუთი სურათი ერთიმეორეს. უკვე თორმეტი საათი სრულდებოდა. მართა და ნაგელი ახლა კართან დამდგარიყვნენ და უკანასკნელ სურათს ასე უყურეს. როცა ყველაფერი ბოლოს და ბოლოს დასრულდა და მუსიკის ხმა ისევ გაისმა, კვლავ მიუსხდნენ სუფრას და ბაასი დაიწყეს. გულკეთილობის გამო მართა უფრო მეტს უთმობდა ნაგელს და წასვლაზე აღარაფერს ამბობდა.
რამდენიმე ახალგაზრდა მანდილოსანი ხელში უბის წიგნაკებით დადიოდა სტუმრებს შორის და ლატარიის ბილეთებს ყიდდა. ლატარიაში თამაშდებოდა თოჯინები, სარწეველები, ნაქარგები, ჩაის ჭურჭელი და მაგიდის საათები. ყველგან ხმაურობდა ხალხი, ყველანი გაფანტულიყვნენ და საუბრობდნენ. დარბაზშიცა და გვერდით ოთახებშიც უამრავი ხმა გუგუნებდა, როგორც ბირჟაზეა ხოლმე. საღამო მხოლოდ ორ საათზე დამთავრდებოდა.

ფრეკენ ანდერსენი ისევ მიუჯდა ნაგელის სუფრას. ოჰ, როგორ დაღლილიყო, როგორ დაღლილიყო. დიახ, გმადლობთ, სიამოვნებით დავლევ ნახევარ ჭიქა ღვინოს, მაგრამ დაგნისაც ხომ არ დავუძახოო, თქვა მან. და მან დაგნი მოიყვანა, მას მინუტიც მოჰყვა.
ამ დროს კი ასეთი ამბავი დატრიალდა:
მათ ახლოს მაგიდა ამოყირავდა, რამდენიმე ფინჯანი და ჭიქა ძირს გადავარდა. დაგნიმ ოდნავ შეჰკივლა და მართას ხელს ნერვიულად სტაცა ხელი. შემდეგ თავის შიშზე თვითონვე გაეცინა, მღელვარებისგან სახეზე მთლად წამოენთო და პატიება ითხოვა. მეტისმეტად აღგზნებული ჩანდა და ყველაფერზე ნერვიულად იცინოდა, თვალები კი საოცრად უციმციმებდა. მან პალტო უკვე წამოისხა, მზად იყო წასასვლელად და ახლა ადიუნქტსღა უცდიდა, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, სახლამდე უნდა მიეცილებინა.
ადიუნქტი კი ისევ რწმუნებულთან ერთად იჯდა სუფრასთან და აღარ დგებოდა მთელი ერთი საათის განმავლობაში, საკმაოდ მაგრად შემთვრალიყო.
_ ბატონი ნაგელი სიამოვნებით გაგაცილებს, დაგნი, _ უთხრა ფრეკენ ანდერსენმა.
დაგნიმ გულიანად გადაიკისკისა.
ფრეკენ ანდერსენმა განცვიფრებით შეხედა.
_ არა, _ მიუგო დაგნიმ, _ ბატონ ნაგელთან წასვლას ვეღარ გავბედავ! რაღა არ მოსდის თავში. ჩვენ შორის რომ ვთქვათ, მან პაემანიც კი დამინიშნა და მთხოვა, მივსულიყავი. გარწმუნებთ! ხის ქვეშ, მითხრა მან, დიდი ვერხვის ქვეშ მოდიო! არა, ბატონი ნაგელი მეტისმეტად არასაიმედოა! ეს-ესაა დაბეჯითებით მოითხოვდა ჩემგან ორ პერანგს, რომელთაც თითქოს გრიგორს დაჰპირებია ჩემი საქმრო ოდესღაც, გრიგორს კი სულაც არაფერი ახსოვს ამის შესახებ. მართალს არ ვამბობ, გრიგორ? ხა-ხა-ხა, აბა, როგორ მოგწონთ ეს ამბავი?
ამის თქმისთანავე სასწრაფოდ წამოდგა და სიცილით მივიდა ადიუნქტთან, რომელსაც რაღაც წასჩურჩულა, ალბათ სახლში გაცილება სთხოვა.
მინუტი ძალზე აღელდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, აეხსნა, მაგრამ დაიბნა და გაჩუმდა. შეშინებულ მზერას ხან დაგნიზე შეაჩერებდა, ხან ნაგელზე. მართაც განცვიფრებული და შეშინებული იყო. ნაგელმა რამდენიმე დამამშვიდებელი სიტყვა უთხრა მას და ჭიქები ხელახლა აავსო. ფრეკენ ანდერსენი ერთბაშად გონს მოეგო და ბაზარზე ალაპარაკდა. რამდენი ხალხი მოვიდა, ასეთი წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ალბათ, დიდი შემოსავალი ექნებათ, მაინცდამაინც ბევრი არ დახარჯვიათო.
_ ვინ იყო ის ლამაზი მანდილოსანი, ქნარზე რომ უკრავდა? _ იკითხა ნაგელმა, _ აი, ის, ბაირონისებური სახე რომ ჰქონდა და თმაში ვერცხლის ისარი გაერჭო?
_ აქაური არ არის, ქალაქში რამდენიმე დღითაა ჩამოსული. განა მართლა ეგრე ლამაზია?
_ დიახ, მშვენიერია, _ თქვა ნაგელმა და რამდენიმე შეკითხვა კიდევ მისცა ამ მანდილოსანზე, თუმცა ყველანი კარგად ხედავდნენ, რომ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა იგი. რაზე ფიქრობდა? რატომ შეიჭმუხნა ეგრე უეცრად შუბლი და სახეზე დამწუხრებული გამომეტყველება გამოეხატა? ნელა ატრიალებდა ხელში ჭიქას.
მაგრამ დაგნი ისევ დაბრუნდა და შეჩერდა მათ მაგიდასთან. იდგა ფრეკენ ანდერსენის სკამის უკან და ხელთათმანებს იკრავდა, თან ნაგელს მიმართა:
_ მაინც რას ფიქრობდით, ბატონო ნაგელ, პაემანს რომ მინიშნავდით? რა გქონდათ განზრახული? მითხარით ახლა!
_ რა დაგემართა, დაგნი, _ წასჩურჩულა ფრეკენ ანდერსენმა და სკამიდან წამოდგა.
მინუტიც ადგა. ყველანი უსიამოვნოდ შეძრწუნდნენ. ნაგელმა თავი ასწია, მის სახეზე განსაკუთრებული მღელვარება არ შეიმჩნეოდა, მაგრამ ყველამ შეამჩნია, რომ დადგა ჭიქა, მძიმედ დაიწყო სუნთქვა და ორ-სამჯერ მაგრად მომუჭა ხელები. რას იზამს? რას ნიშნავს, რომ ჯერ ოდნავ გაიღიმა, მერე კი ისევ შეიჭმუხნა შუბლი? ყველასათვის გასაოცრად მშვიდი ხმით მიუგო:
_ რისთვის გთხოვეთ პაემანზე მოსვლა? უკეთესი არ იქნება თქვენთვის, ფრეკენ ჰელან, რომ არ გიპასუხოთ მაგ კითხვაზე? ისეც ბევრი უსიამოვნება მოგაყენეთ. მე ვნანობ ამას და ღმერთია მოწმე, მზად ვიყავი ეს არ მომხდარიყო, მაგრამ ამჯერად რისთვის გთხოვეთ პაემანზე მოსვლა, თქვენ თვითონაც მშვენივრად იცით, მე არ დამიმალავს ჩემი გულისწადილი, თუმცა არ უნდა გამემხილა. თქვენ უნდა მომიტევოთ, ამის მეტს ვერაფერს გეტყვით...
ნაგელი გაჩუმდა. აღარც დაგნის უთქვამს რამე. ეტყობა, მისგან სხვანაირ პასუხს მოელოდა. ამ დროს ადიუნქტმაც მოუსწრო და ბოლო მოუღო ამ მწუხარე სცენას. იგი ძალზე შეწუხებული იყო და ძლივს იდგა ფეხზე.
დაგნიმ მკლავში ხელი გამოსდო და მასთან ერთად გაემართა გასასვლელისაკენ.
ამ წუთიდან დარჩენილი პატარა საზოგადოება უცებ გამოცოცხლდა, ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. მართამ მხიარულად, უმიზეზოდ გადაიხარხარა სიხარულისაგან და მხიარულად

შემოარტყა ხელი ხელს. ხანდახან, როცა შეატყობდა, ძალიან ბევრს ვიცინიო, გაწითლდებოდა და შეწყვეტდა სიცილს, სხვებს გადახედავდა, ეს ხომ არავინ შეამჩნიაო. ამ მომხიბვლელ შეცბუნებას, რომელიც მას წარამარა ემართებოდა, აღტაცებაში მოჰყავდა ნაგელი და აიძულებდა ათასგვარი სისულელე ჩაედინა, ოღონდაც კი გაეხანგრძლივებინა ეს სიცილი. სხვათა შორის, წარმოადგინა `მოხუცი ნოე~ საცობზე, რომელიც მას კბილებით ეჭირა.
მათ საზოგადოებას ფრუ სტენერსენიც შეუერთდა. თქვა, ადგილიდან ფეხს ვერ მოვიცვლი, სანამ ყველაფერი არ დამთავრდებაო. ერთი ნომერიღა დარჩა, ორი ტანმოვარჯიშე უნდა გამოვიდეს და მინდა აუცილებლად ვნახოო. დიახ, ეგეთი ჩვეულება ჰქონდა: ყოველთვის ბოლომდე რჩებოდა ხოლმე. ღამეები გრძელი იყო და ყოველთვის სევდა იპყრობდა, როცა მარტო რჩებოდა სახლში. ხომ არ წამოვლენ ისინი დარბაზში ამ ორი ტანმოვარჯიშის საყურებლად?
ყველანი დარბაზში შევიდნენ.
ვიდრე ისინი ამ სანახაობის მოლოდინში ისხდნენ, უცებ შუა კარიდან შემოვიდა მაღალი, წვერულვაშიანი კაცი. ხელში ვიოლინოს ბუდე ეჭირა. ეს ორგანზე დამკვრელი გახლდათ, შეესრულებინა თავისი ნომრები და შინ აპირებდა წასვლას. იგი შეჩერდა, თავი დაუკრა მათ და მაშინვე გამოელაპარაკა ნაგელს ვიოლინოზე. მინუტი ნამდვილად იყო ჩემთან ვიოლინოს საყიდლად, მაგრამ მისი გაყიდვა არაფრის დიდებით არ შემეძლო, მემკვიდრეობით გადმომეცა ეს ვიოლინო, პატარა სულიერი არსება მგონია, ისე მიყვარსო. ამ ვიოლინოზე ჩემი სახელიც კი დავწერე, ამაში ადვილად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, _ არა, ეს არაჩვეულებრივი ვიოლინოაო... და მან ფრთხილად გახსნა ბუდე.
აი შიგ დევს ეს მშვენიერი წაბლისფერი ინსტრუმენტი ვარდისფერ შალითაში გახვეული, სიმებზე ბამბაგადაფარებული.
_ ხომ მართლა ლამაზია ეს ვიოლინო? აი, ეს სამი ასო კი, პატარა ლალებით რომაა დაწერილი ყელის ბოლოში, ნიშნავს: გუსტავ ადოლფ კრისტენსენი. არა, ამისთანა ნივთის გაყიდვა დანაშაულია! რითი უნდა გაიხაროს კაცმა, როცა დღეები ასე გაჭიანურებული გეჩვენება ხოლმე? თუ გნებავთ, დაუკარით, რამდენჯერმე გაატარ-გამოატარეთ ქამანი, ეს სულ სხვა საქმეა.
არა, არ ვცდიო, მიუგო ნაგელმა.
მაგრამ ორგანისტს ინსტრუმენტი უკვე ამოეღო ბუდიდან და სანამ ტანმოვარჯიშეები თავიანთ უკანასკნელ ნომრებს ასრულებდნენ, ხალხი კი ტაშს უკრავდა, ორგანისტი განაგრძობდა საუბარს თავის შესანიშნავ ვიოლინოზე, რომელიც მემკვიდრეობით უკვე მეოთხე თაობას გადმოეცა.
_ ბუმბულივით მსუბუქია, თვითონ გასინჯეთ, აიღეთ ხელში.
ნაგელმაც შენიშნა, რომ ვიოლინო მართლაც ბუმბულივით მსუბუქი იყო, მაგრამ როცა ხელში აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, ქამანი აათამაშა სიმებზე, მცოდნესავით თქვა:
_ ეს მიტელვალდერია, ვიცი.
მაგრამ, ეს რომ მიტელვალდერი იყო, ძნელი არ იყო ამას მიხვედროდა კაცი, რადგან ვიოლინოს შიგნიდან ეწერა ეს, რაღა საჭირო იყო დიდი მცოდნის სახე მიეღო? როცა ტანმოვარჯიშეები სცენიდან გავიდნენ და ტაშს აღარავინ უკრავდა, ნაგელი უცებ წამოდგა სკამიდან. ხმა არ ამოუღია, არაფერი უთქვამს, ისე გაიწოდა ხელი ქამანისაკენ. მეორე წუთს, როცა ყველამ წამოდგომა და წასვლა დააპირა, როცა ხმაური და ხმამაღალი ლაპარაკი ატყდა, ნაგელმა უცებ ჩამოჰკრა ქამანი და ნელ-ნელა ყველაფერი დაწყნარდა მის გარშემო. ამ ჩასხმულმა, ფართომხარბეჭიანმა კაცმა, ყვითელ კოსტიუმში გამოწყობილი შუა დარბაზში რომ უეცრად ამოტივტივდა, ყველა გააოცა. მაინც რას უკრავდა? რომელიღაც რომანსს, ბარკაროლას, ბრამსის უნგრულ საცეკვაოს, რაღაც ვნებიან პოპურის, ველური და ხმამაღალი ბგერებით დაწერილ პიესას, რომელმაც მთელი დარბაზი გაავსო. ნაგელს გვერდზე გადაეგდო თავი და ყველაფერი რაღაც იდუმალებით მოცულ შთაბეჭდილებას ახდენდა. მისმა უეცარმა გამოსვლამ პროგრამის გარეშე და ისიც დარბაზის შუაგულში, სადაც გვარიანად ბნელოდა უკვე, მისმა უჩვეულო გარეგნობამ და თითქმის გაშმაგებულმა სისწრაფემ ყველა განაცვიფრა, _ ჯადოქარი ეგონათ იგი. ნაგელი რამდენიმე წუთს უკრავდა და ამ ხნის მანძილზე ხალხი გაუნძრევლად იჯდა და უსმენდა. იგი ასრულებდა მძიმე ჯადოსნური პათოსით, უკრავდა ფორტეს ფანფარების დახმარებით. იგი იდგა სრულიად გაუნძრევლად, მხოლოდ ხელი დაქროდა სწრაფად, თავი კი სულ გვერდზე ჰქონდა გადაგდებული. ასე რომ, ამ დარბაზში იგი ამოტიტივდა სავსებით მოულოდნელად და საოცრად განაცვიფრა თვით ბაზრობის მომწყობნი, თორემ საკვირველი არ იყო, ერთი შეტევით დაეპყრო ეს გულგრილი მოქალაქეები და გლეხები. ვეღარაფერი გაეგოთ, მათ ეს დაკვრა გაცილებით უკეთესი ეგონათ, ვიდრე ნამდვილად იყო, ყველაზე კარგი რამ, ფრიად შესანიშნავი რამ, თუმცა ნაგელი, ცოტა არ იყოს, დაუდევრად უკრავდა სისწრაფის გამო. მაგრამ ოთხი-ხუთი წუთის შემდეგ მან რამდენჯერმე ძლიერ ჩამოჰკრა ქამანი სიმებს, რაღაც სასოწარკვეთილი გმინვის გამომხატველი, რაღაც ისე შეუძლებელი, ისე აღმაშფოთებელი კვნესისა, რომ მსმენელები საოცრად შეაშფოთა, ასეთი სამი-

ოთხი გოდება კიდევ აღმოხდა ვიოლინოს და ნაგელმა უცებ შეწყვიტა დაკვრა, ძირს დაუშვა ინსტრუმენტი და იდგა ერთ ადგილას გაქვავებული.
განვლო მთელმა წუთმა, ვიდრე მსმენელნი გონს მოეგებოდნენ. შემდეგ კი ტაში დასცხეს, რაც დიდხანს გაგრძელდა. გაისმოდა შეძახილები: `ყოჩაღ!~, ხალხი სკამებზე ხტებოდა და მოწონების გამომხატველი შეძახილები აზანზარებდა დარბაზს. ორგანისტმა ღრმა თაყვანისცემით მიიღო თავისი ვიოლინო, ხელი მოუთათუნა და ფრთხილად ჩადო ბუდეში; შემდეგ ხელი ჩამოართვა ნაგელს და დიდი მადლობა გადაუხადა. მათ გარშემო ხალხის ხმაური და გუგუნი იდგა. ექიმმა სტენერსენმა აქოშინებულმა ხელი სტაცა ნაგელს და წამოიძახა:
_ ღმერთო ჩემო, ჩემო ძვირფასო, აი, ხომ უკრავთ, გამოირკვა, რომ უკრავთ!
ფრეკენ ანდერსენმა, რომელიც ყველაზე ახლო იჯდა ნაგელთან, შეხედა მას და უდიდესი განცვიფრებით უთხრა:
_ აკი ამბობდით, დაკვრა არ ვიციო.
_ მართლაც რომ არ ვიცი, _ მიუგო მან, _ ეს რა სალაპარაკო და ანგარიშში ჩასაგდებია. რომ იცოდეთ, რარიგ ყალბი იყო, როგორი ცუდი, მაგრამ ხომ მართლა მოეჩვენათ ნამდვილ დაკვრად? ხე-ხე-ხე, უნდა განაცვიფრო ქვეყანა, არ უნდა მოგერიდოს, მაგრამ თქვენს ჭიქებს აღარ დაუბრუნდებით? ხომ არ წამობრძანდებით, ფრეკენ გუდე, ჩვენთან ერთად?
ისინი კვლავ მეზობელ ოთახში გავიდნენ. ყველა ამ საიდუმლოებით მოცულ ადამიანზე ლაპარაკობდა, რომელმაც ასე განაცვიფრა ისინი. რწმუნებული რაინერტიც კი ერთი წუთით შეჩერდა მის წინ და უთხრა სასხვათაშორისოდ:
_ გმადლობთ, ხომ უქალო ქეიფზე დამპატიჟეთ, მოუცლელობის გამო ვერ მოვედი, მაგრამ დიდად გმადლობთ, ეს დიდი თავაზიანობა იყო თქვენი მხრიდან.
_ მაგრამ რატომ დაასრულეთ ასე შემზარავი აკორდებით? _ ჰკითხა ფრეკენ ანდერსენმა.
_ სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, _ მიუგო ნაგელმა, _ მინდოდა ეშმაკი გამომეჯავრებინა.
ექიმი სტენერსენი ნაგელთან მივიდა და ისევ ქათინაური უთხრა.
_ ჩემი დაკვრა იოლ წარმატებაზე დამყარებული მასხრობა და თვალთმაქცობა იყო, _ მიუგო ნაგელმა, _ იმის წარმოდგენა რომ შეგეძლოთ, რა საზიზღრად ვუკრავდი, რარიგ ყალბი იყო ეს მაღალი ტონები... თვითონვე მესმოდა, რა ცუდად ვუკრავდი, მაგრამ უკეთ დაკვრა აღარ შემეძლო, დიდი ხანია არ მივარჯიშია.
მაგიდის ირგვლივ თანდათან მეტი ხალხი იკრიბებოდა. ისინი უკანასკნელ წუთებამდე ისხდნენ. დამსწრენი სუფრებიდან წამოიშალნენ, სანთლების ჩაქრობა დაიწყეს და გასასვლელს მიაწყდნენ. სამის ნახევარი იქნებოდა.
ნაგელმა წასჩურჩულა მართას:
_ ხომ შეიძლება მოგილოცოთ? რაღაც მინდა გითხრათ.
მან სწრაფად გადაიხადა დანახარჯი, გამოეთხოვა ფრეკენ ანდერსენს და მართასთან ერთად გარეთ გამოვიდა. მართას პალტო არ ეცვა, ქოლგა ეჭირა ხელში და მის დამალვასაც ცდილობდა, ისე ძველი იყო.
როცა გარეთ გამოვიდნენ, ნაგელმა შენიშნა, რომ მინუტი დამწუხრებული სახით გამოსცქეროდა მათ, რაღაც საოცრად დაღმეჭოდა სახე.
ისინი პირდაპირ მართას სახლისაკენ გაემართნენ. ნაგელი შეუმჩნევლად იხედებოდა ირგვლივ, მაგრამ ვერავის ხედავდა. მან თქვა:
_ რამდენიმე წუთით რომ თქვენთან შემოსვლის ნება მომცეთ, უაღრესად დაგიმადლებთ.
_ ძალიან გვიანაა, _ შეყოყმანდა მართა.
_ ხომ შეგპირდით, არასდროს არ მოგაყენოთ რაიმე უსიამოვნება. უნდა მოგელაპარკოთ.
მართამ კარი გააღო.
როცა ისინი ოთახში შევიდნენ, ქალმა ლამპა აანთო, ნაგელმა კი ამასობაში ფანჯარას რაღაც ჩამოაფარა. მას ხმა არ ამოუღია, ვიდრე მართა ლამპას აანთებდა, შემდეგ კი უთხრა:
_ მაშ, ცოტა გამხიარულდით დღეს, არა?
_ დიახ, გმადლობთ!
_ თუმცა ამის თქმა სულაც არ მინდოდა. მოდით და აქ, ჩემს ახლოს დაბრძანდით. ნურაფრის გეშინიათ. შემპირდით, რომ არ შეგეშინდებათ! კარგი, მაშ, მომეცით თქვენი ხელი ამის ნიშნად.
მართამ ხელი გაუწოდა, ნაგელმა კი ის თავის ხელში ჩაიჭირა.
_ ხომ არ ფიქრობთ, ვიცრუებ, მოგატყუებთ? არა. მინდა რაღაც გითხრათ. მაშ არ ფიქრობთ, რომ მოგატყუებთ?
_ არა.

_ ყველაფერს თანმიმდევრობით, დაწვრილებით გეტყვით... ხომ მენდობით? მინდა გითხრათ, დიდი ნდობით მომექცევით თუ არა? აჰ, სისულელეა! რას ვჩმახავ! მთავარი ის კი არაა, რომ ეს საკმაოდ ძნელია, დამიჯერებთ თუ არა, მე რომ, მაგალითად, გითხრათ, ნამდვილად ძალიან მომწონხართ-მეთქი? ეს ხომ, ალბათ, თქვენც შეამჩნიეთ, მაგრამ მე რომ უფრო მეტი მოვინდომო დ გითხრათ... გამიგეთ, უბრალოდ მინდა გთხოვოთ ცოლად წამომყევით-მეთქი. დიახ, ცოლად, აი, ახლა კი გითხარით... არა მარტო შეყვარებული იყოთ ჩემი, არამედ ცოლი... ღმერთო ჩემო, როგორ შეშინდით! არა, არა, ნუ წამართმევთ თქვენს ხელს. ახლავე ყველაფერს აგიხსნით, როგორც საჭიროა, და ყველაფერი ნათელი შეიქნება თქვენთვის. წარმოიდგინეთ, რომ არ დამეთანხმებით: რაკი პირდაპირ, მიუკიბავ-მოუკიბავად გაძლევთ ამ წინადადებას და რომ იმას ვამბობ, რასაც ნამდვილად ვფიქრობ, _ პირველად ასეთი შესაძლებლობა წარმოიდგინეთ, შემდეგ კი ნება მიბოძეთ განვაგრძო ლაპარაკი. კეთილი და პატიოსანი. რამდენი წლისა ბრძანდებით? თუმცა მაგის კითხვა სულაც არ მინდოდა; მე ოცდაცხრისა გახლავართ და უკვე გადავცილდი ფიცხი თავქარიანობის ხანას. თქვენ, ალბათ, ოთხი, ხუთი ან ექვსი წლით უფროსი იქნებით ჩემზე, მაგრამ ეგ არაფერს ნიშნავს...
_ თორმეტი წლით უფროსი ვარ თქვენზე, _ თქვა მართამ.
_ თორმეტი წლით უფროსი! _ წამოიძახა იმით გახარებულმა ნაგელმა, რომ მართა ყურს უგდებდა, რომ ჯერ მთლად არ დაეკარგა თავგზა, _ მაშ, თორმეტი წლით უფროსი, ეს შესანიშნავია, პირდაპირ დიდებული! მერედა, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს თორმეტი წელი იქნება ხელშემშლელი მიზეზი? მე მგონი, თქვენ შეიშალეთ! მაგრამ აი, რაშია საქმე. გინდათ სამჯერ თორმეტითაც იყოთ უფროსი, მერე რა, რაკი შეგიყვარეთ, თუკი ყოველი სიტყვა, რომელსაც ამ წუთს წარმოვთქვამ, სრული სიმართლეა? დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, თუმცა არც ისე დიდხანს, მაგრამ რამდენიმე დღეს მაინც; არა, ვცრუობ. მერწმუნეთ, ღვთის გულისათვის, დაბეჯითებით გთხოვთ ამას. მე ამაზე საკმაოდ კარგა ხანს ვფიქრობდი, ღამეებიც კი არ მეძინა ამის გამო. საოცარი თვალები გაქვთ, მათ დამატყვევეს თავიდანვე, როცა გიხილეთ. მე ხომ ერთი წყვილი თვალი ქვეყნის კიდემდეც კი გამიტაცებს. ეჰ, ერთხელ რომელიღაც ბერიკაცმა მაიძულა შუაღამისას ტყეში მეწრიალა და ეს მან მხოლოდ თავისი თვალების უცნაური ძალით შეიძლო. ის კაცი გიჟი იყო... თუმცა, ეს აქ არაფერ შუაშია! მაგრამ თქვენმა თვალებმა ჩემზე წარმტაცი შთაბეჭდილება მოახდინა. გახსოვთ, თქვენ აქ იდექით, ოთახის შუაგულში და მიცქეროდით, როცა ახლოს ჩავიარე. თავი არ მოგიბრუნებიათ, მხოლოდ თვალები გამომაყოლეთ, _ მე ამას ვერასოდეს დავივიწყებ. შემდეგ კი, როცა შეგხვდით და გამოგესაუბრეთ, თქვენმა ღიმილმა ამაღელვა. არ მახსოვს, როდისმე შევხვედროდე მეორე ადამიანს, რომელიც თქვენსავით გულიანად და გულწრფელად იცინოდეს, მაგრამ თქვენ თვითონ, რა თქმა უნდა, ვერ გრძნობთ ამას! მთელი სილამაზე სწორედ ისაა, რომ თქვენ თვითონ ვერ გრძნობთ ამას... მაგრამ, მგონი, საშინელ სისულელეს ვჩმახავ. თვითონვე მესმის ეს, თუმცა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შეუჩერებლად უნდა ვილაპარაკოთ, თორემ არ დამიჯერებთ და ეს მიბნევს თავგზას. მაგრამ თქვენ რომ ნემსებზე არ იჯდეთ... იმის თქმა მინდა, თქვენ რომ ყოველ წუთს მზად არ იყოთ ასადგომად და წასასვლელად, ახლავე აგიხსნიდით ყველაფერს. ნება მიბოძეთ ისევ ხელში მეჭიროს თქვენი ხელი, მაშინ უფრო გასაგებად ვილაპარაკებ. აი, ასე, გმადლობთ!.. მიმიხვდით, რომ ნამდვილად თქვენგან სხვას არაფერს არ გამოველი იმის გარდა, რაც უკვე გითხარით. მე არავითარი ქვენა გრძნობა არ მალაპარაკებს. ან კი განსაკუთრებით რამ განგაცვიფრათ ჩემს ნათქვამში? ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მომივიდა თავში ეგ გიჟური აზრი... ვერ მიხვდებით, რომ მე... რომ მე... ნუთუ ფიქრობთ, რომ ეს შეუძლებელია? მართალს არ ვამბობ? აი ახლა, მაშ, რაზე ფიქრობთ?
_ დიახ... მაგრამ, ღმერთო ჩემო, მოვეშვათ ამას!
_ მაგრამ მომისმინეთ, სიმართლე უნდა გითხრათ, მე არ ვიმსახურებ ეჭვი გეპარებოდეთ ჩემს სიმართლეში.
_ არა, _ უთხრა მართამ, თითქოს თავის ნათქვამს ნანობსო, _ ეჭვი არ მეპარება არაფერში, მაგრამ ეს მაინც შეუძლებელია.
_ რატომაა შეუძლებელი? აღთქმით ხართ ვინმესთან დაკავშირებული?
_ არა, არა!
_ არა! თუ აღთქმით ხართ ვინმესთან დაკავშირებული... ვთქვათ, მაგალითად, ვინმე რომ დავასახელოთ... თუნდაც მინუტი...
_ არა, _ წამოიძახა მართამ ხმამაღლა და თან მაგრად მოუჭირა ხელი ნაგელს.
_ არა? მაშ, კეთილი. მაშ ამ თვალსაზრისით არავითარი ხელის შემშლელი მიზეზიც არაა, ნება მიბოძეთ, განვაგრძო საუბარი. თუ თქვენ ფიქრობთ, ისე მაღლა ვდგავარ თქვენზე, რომ ამან შეგვიშალოს ხელი.... არაფერს დაგიმალავთ. ბევრ რაიმეში ისეთიც არა ვარ, როგორიც უნდა ვიყო. სხვათა შორის, ამ საღამოს ხომ საკუთარი ყურით მოისმინეთ, რას ამბობდა ფრეკენ ჰელანი. შეიძლება სხვებისაგანაც მოგისმენიათ ამ ქალაქში, რა ცუდი კაცი ვარ ამისა და ამის გამო, ზოგჯერ ჩემზე

შეიძლება უსამართლოდაც მსჯელობენ, მაგრამ ხალხი, საერთოდ, მაინც მართალია. მე ნამდვილად ბევრი დიდი ნაკლი მაქვს. გამოდის, რომ თქვენი უმანკო სულითა და ბავშვური ნათელი აზრებით გაცილებით მაღლა დგახართ ჩემზე და არა პირიქით. მაგრამ გპირდებით, რომ ყოველთვის კეთილი ვიყო თქვენ მიმართ, მერწმუნეთ, ეს არც ჩემთვის იქნება ძნელი, ჩემთვის უდიდესი სიხარული იქნება ბედნიერი გიხილოთ... გარდა ამისა, აი კიდევ რა: შეიძლება ცოტა კიდევაც გეშინიათ იმისა, რომ ქალაქში ლაპარაკს დაიწყებენ. ჯერ ერთი, ქალაქი შეურიგდება იმას, რომ ჩემი ცოლი უნდა გახდეთ, თუნდაც აქაურ ეკლესიაში დავიწეროთ ჯვარი, თუკი მოისურვებთ. მეორეც, ქალაქში უამისოდაც საკმაოდ ლაპარაკობენ, არა მგონია, სრულიად შეუმჩნეველი დარჩენოდათ, რომ უკვე ორჯერ გნახეთ და ამ საღამოს ნება მივიღე ერთად ვყოფილიყავით ბაზრობაზე. მაშასადამე, ამ მხრივ იმაზე უარესი არ იქნება, რაც არის. ან კი სულერთი არ არის? თქვენ სრულიად გულგრილად უნდა უყურებდეთ იმას, რას ფიქრობს ქვეყანა... ტირით? ძვირფასო, ნუთუ გული გატკინეთ იმის გამო, ჩემი ლაპარაკის საგნად რომ გაქციეთ?
_ არა, მაგის გამო როდი ვტირი.
_ მაშ, რის გამო?
მართამ არაფერი უპასუხა.
მაშინ ნაგელს რაღაცამ მოუარა თავში და შეეკითხა მართას.
_ იქნებ გგონიათ, რომ ცუდად მოგექეცით? მითხარით, თქვენ ხომ ცოტა შამპანური დალიეთ? ორ ჭიქაზე მეტი ხომ არა? შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ ამ ხელსაყრელი შემთხვევით ვისარგებლო, რაკი ერთი ყლუპი ღვინო დაგილევიათ და საჩქაროდ გამოგძალოთ თანხმობა? ამიტომ ტირით?
_ არა, არა, მაგიტომ სულაც არა.
_ მაშ, რის გამო?
_ არ ვიცი.
_ იმას ხომ არ ფიქრობთ, რომ აქ რაიმე ბოროტი განზრახვით მოვედი? ღმერთს გეფიცებით, გულწრფელად ვლაპარაკობ, მერწმუნეთ, ბოლოს და ბოლოს.
_ დიახ, გერწმუნებით, მაგრამ რომ არ მესმის. უცნაური რაღაც მემართება... თქვენ არ შეგიძლიათ ეს გსურდეთ.
არა, ნაგელს სურს ეს! მას ხელში უჭირავს მართას პატარა, სუსტი ხელი და თავის აზრს გამოთქვამს, წვიმას კი ფანჯრის მინებზე წკაპაწკუპი გააქვს. იგი ძალიან ნელა ლაპარაკობს, მართამ რომ გაიგოს, ზოგჯერ კი მთლად ბავშვივით ტიტინებს. ო, მშვენივრად მოეწყობიან! წავლენ, წავლენ სადმე შორს, სადაც კი თვალი მიუწვდებათ; მთავარია, ისე მიიმალნონ, რომ არავინ იცოდეს, რა დაემართათ. ხომ მართლა ასე გააკეთებენ? შემდეგ ისინი იყიდიან ერთ პატარა სახლს და მცირეოდენ სამოსახლო მიწას სადმე ტყეში, დიდებულ, ლამაზ ტყეში. ამ პატარა მიწის ნაკვეთს ისინი `სამოთხეს~ დაარქმევენ. ნაგელი დაამუშავებს მას, ჰოი, როგორ დაამუშავებს. იქნებ ისეც მოხდეს, რომ ხანდახან ცოტა ინაღვლოს კიდეც, დიახ, ძვირფასო, ეს შეიძლება მოხდეს. მას შეიძლება მოაგონდეს რაიმე, აღდგეს რომელიმე მისი მოგონება, ესა თუ ის განცდილი მწარე ამბავი, ის ამას გაიხსენებს, _ ეს ხომ სულ ადვილად შეიძლება მოხდეს, მაგრამ მართა მოითმენს ამას, ხომ მართალია? ნაგელი, ცხადია, ეცდება ეს მაინცდამაინც არ შეამჩნევინოს, ჰპირდება, რომ ყოველთვის ეცდება ამას. იგი მხოლოდ მშვიდად იჯდება, ეცდება საკუთარ გულში ჩაიკლას მოგონება ანდა წავა სადმე, შორს, ტყეში და რამდენიმე ხნის მერე ისევ დაბრუნდება, მაგრამ მათ სახლში ერთი უკმეხი სიტყვაც კი არ ითქმება. ისინი მორთავენ თავიანთ სახლს ველური მცენარეებით, ხავსითა და ქვებით, იატაკზე ღვიას დააფენენ, თვითონ მოიტანს ხოლმე მას. შობადღეს არ დაივიწყებენ, რომ გარეთ ჭვავის ძნა დაუდონ პატარა ჩიტებს. წარმოგიდგენიათ, მათთვის რა შეუმჩნევლად გაივლის დრო და როგორი ბედნიერები იქნებიან! სულ ერთად იცხოვრებენ, ერთად წავლენ, ერთად დაბრუნდებიან და არასდროს დაშორდებიან ერთმანეთს, ზაფხულობით შორს გაისეირნებენ და დააკვირდებიან, ბალახი და ხეები როგორ იზრდებიან წლიდან წლამდე. ღმერთო ჩემო, რამდენ სიკეთეს გაუწევენ უცხოელებსა და მოგზაურებს, რომელთაც შეიძლება მათი სახლის ახლოს გაიარონ. იყოლიებენ საქონელსაც: ორიოდე ძროხას, რომელთაც საკუთარი ხელით აჭმევენ. როცა ნაგელი შეშის ჭრას, ბარვასა და მიწის დამუშავებას მიჰყოფს ხელს, მართა ცხოველებს მოუვლის.
_ დიახ, _ მიუგო მართამ. მან უნებლიეთ თქვა `დიახ~ და ნაგელმა გაიგონა ეს.
_ შემდეგ კი, _ განაგრძო ნაგელმა, _ კვირაში ერთხელ ან ორჯერ დაისვენებენ და ხელიხელჩაკიდებულნი ერთად წავლენ სანადიროდ ან ჩიტების დასაჭერად, მართას მოკლე კაბა ეცმება, წელზე ქამარი ექნება შემორტყმული, ნაგელს კი ხალათი და წაღები, ბალთებით რომაა შესაბნევი. ოჰ, როგორ იმღერებენ, ხმამაღლა ილაპარაკებენ და ერთმანეთს გადასძახებენ ხოლმე! მათი ხმა მთელ ტყეში გუგუნით გაიჭრება! ასე არაა? მაშ, ხელი ხელს დავკრათ?

_ დიახ, _ თქვა მართამ ისევ.
მართა ნელ-ნელა გაიტაცა ამ ლაპარაკმა. ნაგელი მას ცოცხალ სურათს უხატავდა, არაფერი, უბრალო წვრილმანიც კი არ ავიწყდებოდა. ისიც კი მოიგონა, რომ საჭიროა ისეთი ადგილი იპოვონ, სადაც წყლის მოტანა ადვილი იქნება, მაგრამ ამაზე თვითონ იზრუნებს, ყველაფერს მოაგვარებს. მართა მხოლოდ უნდა ენდოს მას. ო, მას საკმაო ძალა შესწევს იმისათვის, რომ სამოსახლო ადგილი გაწმინდოს უღრან ტყეში, მას მარჯვე ხელები აქვს, როგორც თვით მართაც ხედავს!.. და სიცილით შეუდარა მართას ნაზი, ბავშვური ხელი თავისას...
მართა ყველაფრის ნებას რთავდა ნაგელს, რასაც კი მოისურვებდა. როცა მან ლოყაზე მოუთათუნა ხელი, არ განძრეულა, მხოლოდ უცქეროდა ნაგელს. ბოლოს ტუჩები ყურთან მიუტანა ნაგელმა და პირდაპირ ჰკითხა, გაბედავს თუ არა იგი, სურს თუ არა ეს? და მართამ ისევ მიუგო `დიახ~. ეს იყო ფიქრმორეული და საოცნებო პასუხი, რომელიც მან ძლივს წაიჩურჩულა, მაგრამ მალე ისევ ყოყმანი დაიწყო: არა, კარგად რომ დავფიქრდები, ეს მაინც შეუძლებელია. როგორ შეგიძლიათ ეს ნამდვილად გსურდეთ, რას წარმოვიდგენო.
ნაგელი კი კვლავ არწმუნებდა, რომ მას სურს ეს, სურს სულითა და გულით, მართას არაფერი გაუჭირდება, თუნდაც პირველ ხანებში კარგად ვერ წაუვიდეთ საქმე; ნაგელი იმუშავებს ორივეს ნაცვლად, მართას არაფრის არ უნდა ეშინოდეს. მთელ საათს არწმუნებდა იგი და ნელ-ნელა დასძლია მისი წინააღმდეგობა. ამ ერთი საათის მანძილზე ორჯერ თქვა უარი მართამ, ორჯერ აიფარა სახეზე ხელები და წამოიძახა: `არა, არა~, მაგრამ მერე მაინც დაეთანხმა, თან გაშტერებით აცქერდებოდა ნაგელს თვალებში და დარწმუნდა, რომ მას სულაც არ სურდა წუთიერი გამარჯვებისავის მიეღწია: რაკი ასეა, დაე, ასე იყოს, როგორც მას ნებავს! მართა დამარცხდა, ბრძოლის გაგრძელება ამაო იყო. ბოლოს და ბოლოს, მან სრულიად გარკვეულად უთხრა ნაგელს `დიახ~.
ცარიელ ბოთლში ჩარჭობილი სანთელი საცაა ჩაიწვებოდა უკვე. ისინი მაინც ისხდნენ თავ-თავიანთ სკამებზე, ერთმანეთის ხელები ეჭირათ და საუბრობდნენ. მართა მოიქანცა მღელვარებისაგან, წამდაუწუმ ცრემლები ადგებოდა თვალებზე, მაგრამ მაინც იღიმებოდა.
ნაგელმა თქვა:
_ მართლა, მოდი, მინუტს დავუბრუნდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ეჭვიანობდა ბაზრობაზე.
_ დიახ, _ მიუგო მართამ, _ შეიძლება ეგ ეგრძნო, მაგრამ რას იზამ.
_ დიახ, ცხადია, ვერაფერს ვიზამთ! მომისმინე, ძალიან მინდა დღეს რითიმე გაგახარო, მაგრამ რითი? ო, როგორ მსურს ხელები მკერდზე მიიკრა აღტაცებისაგან! მითხარი რამე, მოითხოვე რამე! ეჰ, ძალზე კეთილი ხარ, ძვირფასო მეგობარო, შენ არასდროს არ მთხოვ რამეს! დიახ, დიახ, მართა, დაიხსომე, რასაც ახლა გეტყვი: მე დაგიცავ, ვეცდები, გამოვიცნო შენი სურვილები და ვიზრუნო შენზე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. დიახ, ძვირფასო, ამას არ დაივიწყებ, ხომ? არასოდეს არ მოგიწევს იმის თქმა, რომ დავივიწყე ჩემი აღთქმა.
ოთხი საათი შესრულდა.
ისინი წამოდგნენ, მართამ ერთი ნაბიჯი გადადგა ნაგელისკენ და ნაგელმა ის მკერდზე მიიკრა. მართამ ხელები შემოხვია ყელზე და რამდენიმე წუთს ასე იდგნენ. მისი მშიშარა, წმინდა გული მონაზონისა ძლიერ ფეთქავდა ნაგელის ხელში, ნაგელმა ეს იგრძნო და დასამშვიდებლად თავზე ხელი გადაუსვა მართას. მათ შორის სრული თანხმობა დამყარდა.
პირველად მართამ ამოიღო ხმა:
_ მთელ ღამეს თვალებგახელილი ვიწვები და ვიფიქრებ. შეიძლება ხვალ გნახო, თუ გნებავს?
_ დიახ, ხვალ, რა თქმა უნდა, მინდა! მაგრამ რომელ საათზე? შეიძლება რვაზე მოვიდე?
_ დიახ... გინდა ისევ ეს კაბა ჩავიცვა?
ამ ამაღელვებელმა შეკითხვამ, ქალის მთრთოლარე ბაგეებმა, ფართოდ გახელილმა თვალებმა, მისკენ რომ იყო მიმართული, ააღელვა ნაგელი, სულის სიღრმემდე აათრთოლა.
მან მიუგო:
_ ძვირფასო! საყვარელო ბავშვო! ქმენი, რაცა გნებავს! რარიგ კეთილი ხარ!.. მაგრამ ამაღამ უნდა დაიძინო, აუცილებლად დაიძინე. იფიქრე ჩემზე, მითხარი `ღამე ნებისა~ და დაიძინე. იმედი მაქვს, აქ მარტოს არ გეშინია.
_ არა... ახლა ხომ დასველდები, შინ რომ წახვალ.
მართამ იმაზეც კი იფიქრა, რომ ნაგელი დასველდებოდა.
_ მხიარულად იყავი და მშვიდად დაიძინე, _ უთხრა მან.
მაგრამ წინკარში რომ გამოვიდა, რაღაც გაახსენდა. მობრუნდა მართასკენ და უთხრა:
_ ერთის თქმა დამავიწყდა: მდიდარი არა ვარ. იქნებ მდიდარი გეგონე?
_ ეგ მე არ ვიცი, _ მიუგო მართამ და თავი გადააქნია.

_ არა, მდიდარი არა ვარ, მაგრამ ჩვენ ვიყიდით სახლს და ყველაფერს ვიყოლიებთ და შევიძენთ, რაც დაგვჭირდება. ეს კი ჯერჯერობით შემიძლია, შემდეგ კი თანდათანობით ყველაფერზე ვიზრუნებ, ყველაფერს მე ვიკისრებ, აბა, რისთვის მაქვს ხელები?.. გული ხომ არ მოგივიდა, რომ მდიდარი არა ვარ?
_ არა, _ მიუგო მართამ, ხელი ხელზე სტაცა და ერთხელ კიდევ მაგრად მოუჭირა. გამოთხოვებისას ნაგელმა უთხრა, კარი მაგრად ჩაკეტეო, და ქუჩაში გამოვიდა.
კოკისპირული წვიმა მოდიოდა და ძალზე ბნელოდა.
ნაგელი სასტუმროში კი არ წავიდა, ტყეზე მიმავალი გზით მღვდლის კარ-მიდამოსკენ გაემართა. თხუთმეტ წუთს მიდიოდა ასე. თვალშეუდგამ სიბნელეში ძლივს არჩევდა რაიმეს. ბოლოს ნაბიჯი შეანელა, გზიდან გადაუხვია და ხელების ფათურით დიდ ხესთან მივიდა. ეს ვერხვი იყო. აქ შეჩერდა. ქარი აშრიალებდა ტყეს, წვიმა ისევ კოკისპირულად ასხამდა, მაგრამ ნაგელის ირგვლივ ყველაფერი ჩამკვდარიყო და დადუმებულიყო. თავისთვის ჩურჩულებდა რამდენიმე სიტყვას, იძახდა: `დაგნი, დაგნი~, შემდეგ გაჩუმდებოდა, მერე კი ისევ ამ სახელს იმეორებდა. დაგნიმ შეურაცხყო ნაგელი ამ საღამოს, თავზე გადააღვარა მთელი ზიზღი, ახლაც კი ახსოვდა გულის კუნჭულში მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, მაგრამ მაინც იდგა და მასზე ლაპარაკობდა. მუხლებზე დაემხო, ხის ქვეშ, ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო და სიბნელეში ხის კანზე მისი სახელის ამოკვეთა დაიწყო. ასე წვალობდა რამდენიმე წუთს, თითებით სინჯავდა ქერქს და კვეთდა დანით, ისევ სინჯავდა, ვიდრე არ მორჩა.
თავშიშველი მუშაობდა ამ ხნის მანძილზე.
როცა ხელახლა გზაზე გამოვიდა, დაფიქრდა და უკან გაბრუნდა. ისევ ხელის ფათურით მიაღწია ხეს, თითებით მოსინჯა მის ტანზე ამოჭრილი ასოები. ხელმეორედ დაემხო მუხლებზე; გადაიხარა და ემთხვია ამ სახელს, ამ ასოებს, თითქოს აღარ ეწერა მათი ნახვა. ბოლოს წამოდგა და წავიდა.
ხუთი საათი იქნებოდა, როცა დაბრუნდა სასტუმროში.
XVII
ისეთივე წვიმა მოდიოდა და ისეთივე პირქუში და საძაგელი ამინდი იდგა მეორე დღესაც. გეგონებოდათ ღარღანებიდან შეუჩერებლად მომდინარე წყლის ნაკადი, ფანჯრებს რომ ეღვრებოდა, არასოდეს აღარ შეწყდებოდა. საათი საათს მისდევდა. კარგა ხანია, შუადღე გადავიდა, მაგრამ მაინც არ გამოიდარა. სასტუმროს უკან მდებარე პატარა ბაღში ქარსა და დელგმას ყველაფერი დაემსხვრია და წაელეკა. წყლით დამძიმებული ბუჩქების ტოტები მიწაზე გართხმულიყო და ტალახით იყო დაფარული.
ნაგელი მთელი დღე შინ იჯდა, ჩვეულებისამებრ, ბოლთას სცემდა ოთახში, წიგნს კითხულობდა და გუნუწყვეტლივ მისჩერებოდა საათს. დღე გაუთავებლად ჭიანურდებოდა. უდიდესი მოუთმენლობით უცდიდა იგი საღამოს დადგომას.
სრულ რვა საათზე მართასაკენ გაემართა. ცუდი არაფერი ეეჭვებოდა, მაგრამ მართა მას მწუხარე და ნამტირალევი სახით შეეგება: ნაგელი გამოელაპარაკა, ქალი მოკლედ და ორჭოფულად აძლევდა პასუხს და არც კი უცქეროდა მას. რამდენჯერმე სთხოვა კიდეც, მომიტევეთ, ჩემზე თუ მოგივათ გულიო.
როცა ნაგელმა მისი ხელი აიღო ხელში, მართა აკანკალდა, უნდოდა უკან დამდგარიყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც დაჯდა სკამზე მის გვერდით. ამ ადგილიდან აღარც წამომდგარა, სანამ ნაგელი არ წავიდა ერთი საათის შემდეგ. რა მოხდა? ნაგელმა გამოკითხვა დაუწყო, სთხოვა, აეხსნა, რაში იყო საქმე, მაგრამ მართამ გარკვევით არაფერი უპასუხა.
არა, ავად არაა, მან მხოლოდ გადაიფიქრა...
აი, რა ყოფილა თურმე! მაშ, ნანობს ცოლობას რატომ შევპირდიო? იქნებ დარწმუნდა, რომ ვერ შეიყვარებს ნაგელს?
დიახ, მაგრამ დაე მიუტევოს და ნუ მოუვა გული! ამაზე წუხელ მთელ ღამეს ფიქრობდა, მთელ ღამეს, შეუწყვეტლად, და თანდათან დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია. თავის გულს დაეკითხა და ეშინია, რომ ისე ვერ შეიყვარებს, როგორც საჭიროა.
დუმილი ჩამოვარდა.
მაგრამ არა ჰგონია, რომ მერე, თანდათან შეუყვარდება? ნაგელს ხომ უხაროდა ახალი ცხოვრების დაწყება და რა კეთილი იქნებოდა შენ მიმართ!
ნაგელის სიტყვებმა გული აუჩუყა მართას, მკერდზე მიიკრა მისი ხელი, მაგრამ ამ ხნის მანძილზე თავი არ აუწევია და არც არაფერი უთქვამს მისთვის.
მაშ, მართა არ ფიქრობს, რომ ნაგელი აიძულებს, შეაყვაროს თავი მოგვიანებით, როცა ერთად იცხოვრებენ?
მართამ წასჩურჩულა:

_ არა!
გრძელი წამწამებიდან ორი ცრემლი გადმოუგორდა.
ისევ დუმილი გამეფდა.
ნაგელი კანკალებდა, ლურჯი ძარღვები საფეთქლებთან მძლავრად ებერებოდა.
ჰო, დიახ, ძვირფასო, აქ ვეღარაფერს გააწყობ. ცრემლებით ვერაფერს უშველი. მან უნდა მიუტევოს ნაგელს, ხვეწნით რომ ამოართვა სული. მას ხომ მხოლოდ სიკეთე სურდა მართასთვის.
მართამ ხელი სტაცა ხელზე და მაგრად მოუჭირა. ნაგელს ცოტა გაუკვირდა მისგან გულისთქმის ასე გამომჟღავნება და ჰკითხა:
_ ხომ არაფერია ჩემში ისეთი, რაც უკუგაგდებს ჩემგან? ვეცდები, გამოვასწორო, შევიცვალო, თუკი ეს შემიძლია. იქნებ არ მოგწონს, რომ...
მართამ აჩქარებით შეაწყვეტინა:
_ არა, ასეთი არაფერია, არაფერი, მაგრამ ყველაფერი ეს უაზროა და მე, მაგალითად, ისიც კი არ ვიცი, ვინ ბრძანდებით. სიმართლე გითხრათ, ვიცი, ჩემთვის სიკეთე გსურთ. ნუ გაიგებთ ჩემს სიტყვებს უკუღმართად...
_ ვინ ვარ მე, მაგალითად? _ თქვა ნაგელმა და მართას შეხედა.
უეცრად თავში ეჭვმა გაუელვა, მიხვდა, რომ ვიღაცამ ძირი გამოუთხარა მისდამი მართას ნდობას, რომ რაღაც მტრული სოლივით შეიჭრა მათ შორის. ნაგელმა ჰკითხა:
_ ხომ არავინ მოსულა დღეს თქვენთან?
მართამ არ უპასუხა.
_ მომიტევეთ. გეთაყვა, არსებითად, ეს სულერთია. უფლებაც კი აღარ მაქვს გკითხოთ რაიმე.
_ ოჰ, რა ბედნიერი ვიყავი წუხელ! _ თქვა მან, _ ღმერთო, რა მოუთმენლად ველოდი გათენებას და როგორ გიცდიდით! მაგრამ დღეს მხოლოდ ეჭვი დამეუფლა.
_ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ მხოლოდ: მაშ, თქვენ არ გჯერათ, რომ პატიოსანი ვარ, თქვენ მაინც არ მენდობით, მიუხედავად ყველაფრისა?
_ არა, ყოველთვის არა. ნუ მოგივათ გული ჩემზე, ძვირფასო. თქვენ ხომ მთლად უცხო ბრძანდებით, თქვენზე მხოლოდ ის ვიცი, რაც თქვენ თვითონვე მითხარით. შეიძლება ამ წუთს პატიოსანი განზრახვა გამოძრავებთ, შემდეგ კი ინანოთ ყველაფერი. მე ხომ არ ვიცი, რა აზრები მოგივათ თავში.
დუმილი ჩამოვარდა.
ახლა კი ნაგელმა ნიკაპზე წაავლო მართას, თავი ოდნავ მაღლა აუწია, თვალებში ჩახედა და უთხრა:
_ კიდევ რა გითხრათ ფრეკენ ჰელანმა?
მართა დაიბნა. შეშინებულმა შეხედა მას, რამაც გასცა მისი გაოცება და წამოიძახა:
_ ეგ მე არ მითქვამს, ეგ როდის გითხარით? არა, მე ეგ არ მითქვამს.
_ არა, არა, ეს თქვენ არ გითქვამთ, _ ნაგელი ჩაფიქრდა, თვალებით ერთ წერტილს მიაშტერდა და სხვას ვერაფერს ხედავდა, _ არა, თქვენ არ გითქვამთ, რომ ის აქ იყო, თქვენ არ გიხსენებიათ მისი სახელი, დამშვიდდით... მაგრამ ფრეკენ ჰელანი მაინც აქ ბრძანდებოდა ნამდვილად, იგი ამ კარიდან შემოვიდა და ამავე კარიდან გავიდა, როცა თავისი საქმე აღასრულა. ეს საქმე მას ისე ძლიერ აინტერესებდა, რომ დღეს ასეთ ამინდშიც კი გამოვიდა გარეთ. რა უცნაურია ეს ყველაფერი! ჩემო ძვირფასო, კეთილო მართა, რა კეთილი გულის ადამიანი ბრძანდებით, აი, თქვენ წინ მუხლს ვიყრი, რაკი ეგეთი კეთილი ხართ! მაგრამ მერწმუნეთ მე მაინც, მერწმუნეთ მხოლოდ დღეს და დაგიმტკიცებთ, რარიგ შორს ვიყავი იმ აზრისაგან, რომ თითქოს მომეტყუებინეთ. ახლავე ნუ მეტყვით უარს, დაფიქრდით ერთხელ კიდევ! შემპირდებით ამას! მოიფიქრეთ ხვალამდე და ნება მომეცით თქვენთან შემოვიარო...
_ სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა ვქნა, _ შეაწყვეტინა მან ნაგელს.
_ არ იცით? მაშ, გსურთ ჩამომცილდეთ ერთხელ და სამუდამოდ? დიახ, დიახ!
_ მე მირჩევნია მაშინ მოვიდე თქვენთან, როცა ცოლს შეირთავთ და მოეწყობით... ახალ სახლში... მინდა გითხრათ, როდესაც თქვენ... მე მირჩევნია თქვენი მოახლე ვიყო. დიახ, აი, რა მინდოდა გულით.
დუმილი ჩამოვარდა.
დიახ, მისმა უნდობლობამ ნაგელისადმი უკვე ღრმა ფესვები გაიდგა, მას აღარ შეუძლია ბრძოლა ამ უნდობლობასთან და დამწუხრებული ნაგელი გრძნობდა, რომ რაც მეტს ლაპარაკობდა თვითონ, მართა უფრო და უფრო უსხლტებოდა ხელიდან. მაგრამ რისთვის ტიროდა ასე? რა აწამებდა? ხელს რატომ არ აშვებინებდა? ნაგელმა ისევ ჩამოაგდო მინუტზე სიტყვა. ეს გამოცდა იყო. მას სურდა, რადაც უნდა დასჯდომოდა მართასაგან თანხმობა მიეღო, რომ ისევ შეხვედროდა მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც კარგად აწონ-დაწონიდა ყველაფერს.
ნაგელმა უთხრა:
_ მომიტევეთ, რომ თქვენი თანდასწრებით უკანასკნელად ვახსენებ მინუტს, მომიტევეთ, საკმაო საფუძველი მაქვს იმისათვის, რომ ვილაპარაკო ასე, როგორც ვლაპარაკობ. ცუდს არაფერს გეტყვით მაგ

ადამიანზე, პირიქით, _ ალბათ, გაიხსენებთ, რომ მასზე მხოლოდ კარგი გითხარით, რაც კი ვიცოდი და გესაუბრეთ სრულიად გულახდილად. მე ვფიქრობდი, რომ იგი გზაჯვარედინზე მედგა თქვენთან დაკავშირებით და ამიტომაც ჩამოგიგდეთ მასზე სიტყვა. სხვათა შორის, იმასაც გიმტკიცებდით მაშინ, რომ მინუტსაც ისევე, როგორც ყოველ სხვა ადამიანს, შეუძლია არჩინოს ოჯახი და ახლაც ვფიქრობ, რომ იგი შეიძლებს ამას, თუ თავიდან ვინმე დაეხმარება, რომ ფეხზე დადგეს. მაგრამ თქვენ ამის მოსმენაც არ გინდოდათ, არ იყავით მინუტით დაინტერესებული და ისიც კი მთხოვეთ, მასზე აღარ ჩამომეგდო სიტყვა. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ახლაც კიდევ ვარ ეჭვით შეპყრობილი, თქვენ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ დამარწმუნეთ და ახლაც გეკითხებით, არის თუ არა რაიმე თქვენს და მინუტს შორის? თუ ასეა, მაშინვე უკან დავიხევ. დიახ, აი, თქვენ თავს აქნევთ; მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია, რისთვის მეუბნებით უარს, რომ ხვალამდე ყველაფერი კარგად მოიფიქროთ და მაშინ გამცეთ საბოლოო პასუხი! ამას მოითხოვს უბრალო სამართლიანობა! თქვენ ხომ ასე კეთილი ადამიანი ბრძანდებით.

მაშინ მართა დაეთანხმა, ფეხზეც კი წამოდგა მღელვარებით შეპყრობილი, ცრემლმორეული ღიმილით ხელიც კი გადაუსვა თავზე, როგორც ეს გუშინ გააკეთა. მას სურს ხვალ შეხვდეს ნაგელს, ძალიან სურს, მაგრამ იგი ცოტა ადრე უნდა მოვიდეს, ოთხ ან ხუთ საათზე, ვიდრე დღეა, მაშინ ვერავინ იტყვის რაიმეს. ახლა კი ნაგელი უნდა წავიდეს და რაც ჩქარა წავა, უკეთესი იქნება. დიახ, ხვალ კი დაე მოვიდეს, იგი სახლში იქნება და დაელოდება...

საოცარი ბავშვია ეს შინაბერა! საკმარისია ერთი სიტყვა, ნახევარნიშნება, რომ კვლავ აანთო მისი გული და გამოიწვიო მისი ნაზი, ალერსიანი ღიმილი. მართამ ისე მიაცილა ნაგელი კარამდე, რომ ხელიდან არ გაუშვია მისი ხელი. კიბეზე კი ძალიან ხმამაღლა უსურვა ნაგელს ღამე მშვიდობისა, თითქოს ვიღაც ავადმყოფს უნდა გამოაჯავროსო...

...წვიმამ გადაიღო, თითქმის მთლიანად შეწყდა. აქა-იქ რუხ ღრუბლებს შორის უკვე გამოჩნდებოდა ხოლმე ლურჯი ცის ნაჭერი და მხოლოდ დროდადრო თუ ჩამოვარდებოდა ნესტიან მიწაზე წვიმის ერთი წვეთი.

ნაგელმა კვლავ თავისუფლად ამოისუნთქა. დიახ, ისევ დაიპყრობს მის გულს. ან კი რატომ ვერ უნდა შეძლოს ეს? ნაგელი შინ კი არ წავიდა, ზღვის სანაპიროსკენ გაემართა, ჩაუარა ქალაქის სახლებს და მღვდლის კარ-მიდამოსაკენ მიმავალ გზაზე აღმოჩნდა. ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო. რამდენიმე ნაბიჯი ჯერ კიდევ არ გაევლო, რომ გზის მეორე ბოლოს ვიღაცის ფიგურა გამოჩნდა. ეს დაგნი იყო. ქერა ნაწნავი ზურგზე გადმოეგდო საწვიმარი ლაბადის გარეთ.

ნაგელს გააჟრჟოლა თავიდან ფეხებამდე და ერთ წამს თითქმის უმოძრაოდ იდგა. მეტისმეტად განცვიფრდა. განა ის ამ საღამოსაც ბაზარში არ უნდა ყოფილიყო? ან იქნებ ცოტა ხანს გაისეირნებს, ცოცხალი სურათების დაწყებამდე? იგი უჩვეულოდ ნელა მიდიოდა და ორჯერ-სამჯერ კიდევაც შეჩერდა და მაღლა აიხედა ჩიტებისაკენ, ტოტებში რომ დაიწყეს ფრთხიალი. მან შეამჩნია ნაგელი. ხომ არ უნდა ისევ გამოცადოს? იმიტომ ხომ არ ჩერდება, რომ გაიგოს, გაბედავს თუ არა ნაგელი მასთან კვლავ გამოლაპარაკებას?

დაგნის შეუძლია მშვიდად იყოს, თავს აღარ მოაბეზრებს! ნაგელში უცებ გულისწყრომამ, ბრმა, ყრუ გულისწყრომამ გაიღვიძა ამ არსების მიმართ, რომელსაც იქნებ კიდევ სურს შეაცდინოს იგი და დაუფიქრებელი საქციელი ჩაადენინოს მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ ბედნიერება ჰქონდეს, დაამციროს ნაგელი. იმასაც კი იკადრებს, რომ ბაზარში ყველას გასაგონად ერთხელ კიდევ თქვას, როგორ მოვიდა ნაგელი მასთან პაემანზე. ის ხომ ახლაღა იყო მართასთან, რომ იქაც დაენგრია ნაგელის ბედნიერება! ნუთუ ბოლოს და ბოლოს აღარ შეწყვეტს დაგნი მის გზაზე ბოროტების თესვას? დაგნიმ მოინდომა სამაგიერო გადაეხადა ნაგელისთვის, _ კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მან ხომ საჭიროზე მეტიც გადაუხადა.

ორივენი ერთნაირად ნელა დადიოდნენ წინ და უკან. ერთმანეთისაგან ორმოცდაათიოდე ნაბიჯი აცილებდათ. ეს რამდენიმე წუთს გაგრძელდა. უცებ დაგნის ცხვირსახოცი დაეცა ძირს. ნაგელმა დაინახა, როგორ ჩამოუცურდა დაგნის ის საწვიმარი ბალადიდან და რარიგ ფრიალ-ფრიალით დაეცა მიწაზე. იცის კი, ცხვირსახოცი რომ დაუვარდა?

ნაგელი კი თავის თავს ეუბნება, რომ დაგნის სურს შეაცდინოს იგი, მისი გულისწყრომა ნაგელის მიმართ ჯერ კიდევ არ დამცხრალა, დაგნის ნებავს, აიძულოს ნაგელი, აიღოს ეს ცხვირსახოცი და მას მიუტანოს, რომ დაგნიმ პირდაპირ სახეში შეხედოს და კარგად დატკბეს მართასთან მისი დამარცხებით. გულისწყრომამ ახალი ძალით იფეთქა ნაგელის გულში, ბაგეები მოკუმა, შუბლი კი ავადმყოფურად შეეჭმუხნა. ხე-ხე-ხე, როგორ არა! ისღა აკლია, მის წინაშე გამოცხადდეს, აჩვენოს თავისი სახე და საშუალება მისცეს, დასცინოს მას! ნახეთ, აი, აქ დააგდო თავისი ცხვირსახოცი, ის გზაზე გდია, შუა გზაზე, თეთრია და საოცრად სიფრიფანა, ეს, მგონი, ბაფთიანი ცხვირსახოცია, შეუძლია დაიხაროს და აიღოს...

ნაგელი მაინც ნელა განაგრძობდა სიარულს და როცა იმ ადგილას მივიდა, სადაც ცხვირსახოცი ეგდო, ზედ დაადგა ფეხი და ისე გაიარა.
კიდევ რამდენიმე წუთს მიდიოდნენ ისინი ამნაირად, ნაგელმა შეამჩნია, რომ დაგნიმ უცებ საათზე დაიხედა და მაშინვე შემობრუნდა უკან. იგი პირდაპირ ნაგელისაკენ მიდიოდა. მაშინ ნაგელიც უკან შემობრუნდა და მის წინ ნელა წამოვიდა. იმ ადგილას რომ მოვიდა, სადაც ცხვირსახოცი ეგდო, ნაგელმა მეორედ დააბიჯა ფეხი მას, ისიც დაგნის თვალწინ და განაგრძო სიარული. იგი გრძნობდა, ახლა მის ზურგს უკან დაგნი მოდიოდა, მაგრამ ნაბიჯი არ აუჩქარებია. ასე იარეს მათ, ვიდრე ქალაქს არ მიაღწიეს.
დაგნი მართლა ბაზრისაკენ მიმავალ გზას დაადგა, ნაგელი კი სასტუმროსაკენ გაემართა.
თავის ოთახში რომ შევიდა, ფანჯარა გამოაღო და იდაყვით რაფას გადაეყრდნო, მთლად მოტეხილი და მღელვარებისაგან განადგურებული. რისხვამ გაუარა, რატომღაც მთლად მოიკრუნჩხა და ქვითინი აუტყდა, ხელებში ჩამალა თავი და ხმადაბლა ქვითინებდა, თვალები გაშრობოდა და მთელი ტანით ცახცახებდა. აი, რითი დამთავრდა ყველაფერი. ოჰ, როგორ ნანობდა ამას, როგორ უნდოდა, რომ არ მომხდარიყო ეს! შეიძლება განგებ გააგდო ხელიდან ცხვირსახოცი, შეიძლება მისი დამცირება სურდა, _ მერედა, რა? მას მხოლოდ შეეძლო აეღო იგი, დაემალა და მთელი სიცოცხლე უბით ეტარებინა.
ცხვირსახოცი თეთრი, ქათქათა იყო, მან კი ფეხით ტალახში გასვარა. ვინ იცის, იქნებ არც გამოართმევდა დაგნი ამ ცხვირსახოცს, თუნდაც მის ხელში დაენახა, შეიძლება ნებას მისცემდა ნაგელს, თავისთვის დაეტოვებინა. ვინ იცის? თუნდაც ხელი გამოეწოდა ცხვირსახოცის გამოსართმევად, მუხლებზე დაეცემოდა მის წინაშე და სთხოვდა, შეევედრებოდა, ეჩუქებინა მისთვის ეს ცხვირსახოცი, ესახსოვრა, ვით წყალობა უდიდესი. მერედა, თუნდაც დაეცინა ნაგელისთვის ისევ, რა მოხდებოდა ვითომ?
ნაგელი უეცრად წამოხტა და ორი ნახტომით კიბეზე გაჩნდა, გრიგალივით გაიჭრა ქუჩაში, რამდენიმე წუთში გაირბინა მთელ ქალაქში და ისევ მღვდლის კარ-მიდამოსკენ მისულ გზაზე გავიდა. შეიძლება კიდევ იპოვოს ცხვირსახოცი. მართლაც, დაგნის დაეტოვებინა ცხვირსახოცი იმავე ადგილას, თუმცა შეამჩნია, ალბათ, რომ ნაგელმა მეორეჯერ დაადგა მას ფეხი. რა ბედნიერებაა, მაინც რარიგ ბედნიერია ნაგელი! მადლობა ღმერთს! ბაგაბუგი გაჰქონდა მის გულს. ცხვირსახოცი უბეში ჩაიდო და შინისაკენ გაეშურა. გარეცხა, გააკრიალა, შემდეგ კი გულმოდგინედ გაასწორა. ცხვირსახოცი ცოტა დაზიანებულიყო, ერთი კუთხე მორღვეოდა ქუსლისაგან, მაგრამ რა უშავს. ო, რა ბედნიერია, რომ იპოვა!
როცა ისევ ფანჯარასთან დაჯდა, მაშინღა მიხვდა ნაგელი, რომ ეს მისი უკანასკნელი გასეირნება იყო, მთელი ქალაქი ხომ მან თავშიშველამ გაიარა. დიახ, ჭკუიდან შეიშალა ნაგელი, ჭკუიდან შეიშალა, ვაითუ დაგნიმ დაინახა? მას მახის დაგება სურდა ნაგელისათვის და, ბოლოს და ბოლოს, მართლა გააბა იგი მახეში. არა, ამას მალე უნდა მოეღოს ბოლო. მას უნდა შეეძლოს დამშვიდებული გულით უცქიროს დაგნის, თავაწეულმა, გულგრილად უნდა შეხედოს მას, ისე, რომ არაფრით არ გასცეს თავი. დიახ, ყველაფერს მოიმოქმედებს ამისათვის. გაემგზავრება და თან მართას წაიყვანს. ვაგლახ, მეტისმეტად კარგია იგი მასთან შედარებით, მაგრამ ნაგელი მართას დაიმსახურებს, ერთი წუთით არ დაისვენებს, არ დამშვიდდება, სანამ მას არ დაიმსახურებს.
ამინდი თანდათან გამოკეთდა, ნიავს ღია ფანჯარაში შემოჰქონდა სველი ბალახისა და ნესტიანი მიწის სუნი და თანდათან ამხნევებდა ნაგელს.დიახ, ხვალ ისევ წავა მართასთან და მოკრძალებით შეევედრება დაეთანხმოს, მაგრამ მეორე დილას საბოლოოდ გაუცრუვდა იმედი.